NEW

1970
2013

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტების და კონტექსტების
ჟურნალი №6

ოქტომბერი, 2013 წელი

ფასი 2 ლარი

# ახალი საუნჯე

## ნომრის ავტორები

ბათუ დანელია & ფრიდერიკე მაირიოკერი

## დებიუტი

ზურაბ ბოგიძე

## პროზა & ესეისტიკა

მარიკა მამალაძე & დავით ქართველიშვილი

## პოეზია

ლუკა აქიმიძე

მაია ლიპარტელიანი

ერეკლე შველიძე

## ნობელიანტი

ვლადისლავ რეიმონტი




## ახალი თარგმანი

უმბერტო ეკო

## ხელოვნება

ზაზა შათირიშვილი

დავით ანდრიაძე

## ახალი წიგნების შესახებ

ეკა ქევანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

1

ბათუ დანელია


**ეკა ქევანიშვილი** – ლექსის წერა – სუნთქვაა! 5
**ლელა კოდალაშვილი** – პოეტები – ხიდები 10
**მარიამ წიკლაური** – „როცა არ გიყვარს, არათუ სული, არამედ მღვრიეა მთელი ეს ჩვენი კაცობრიობა" 13
**შალვა ბაკურაძე** – მისი ფოლკლორული ხმა 15
**ბათუ დანელია** – ლექსები 4, 16-20
**ციტატები** (ნონა კუპრეიშვილი, გურამ ბენაშვილი, თამარ ერისთავი, ივანე ამირხანაშვილი, თემურ შავლაძე) 4, 16-19


ფრიდერიკე მაირიოკერი


**ბიოგრაფია** 21
**კლაუს კაშტბერგერი** – ფრიდერიკე მაირიოკერი 22
(გერმანულიდან თარგმნა ბექა ბარქაიამ)
**ფრიდერიკე მაირიოკერი** – ლექსები
(გერმანულიდან თარგმნეს გაგა ნახუცრიშვილმა, დათო ბარბაქაძემ, ნიკა ჯორჯანელმა და ლულუ დადიანმა) 29, 30, 36-41
**ბოდო ჰელი** – ეს ცეცხლოვან ბორბალს ჰგავს (ინტერვიუ ფრიდერიკე მაირიოკერთან)(გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 31
**ფრიდერიკე მაირიოკერი** – ქალაქ ვენაზე მიჯაჭვული; ერნსტ იანდლი და მისი მოვალეობა ღმერთების წინაშე (გერმანულიდან თარგმნა შორენა შამანაძემ) 34,35
**ფრიდერიკე მაირიოკერი** – სამი სიტყვა 42
(გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)


2

პროზა, ესეისტიკა


**ზურაბ გოგიძე** – Sister of the Moon 50
**მარიკა მამალაძე** – უცვეთი ანრი 53
**დავით ქართველიშვილი** – Veni Vidi... (მეორე ნაწილი) 61


3

პოეზია


**ლუკა აქიმიძე** 70-72
**მაია ლიპარტელიანი** 70,73
**ერეკლე შველიძე** 70,74

## 4 ნობელიანტი

**ამბროსი გრიშიკაშვილი** – რკინიგზის „რაპორტებიდან“ ნობელის პრემიამდე 77

## 5 ახალი თარგმანები

**უმბერტო ეკო** – პრაღის სასაფლაო. II თავი. ვინ ვარ მე? (იტალიურიდან თარგმნა ნინო ჩართოლანმა) 85

## 6 ხელოვნება

**ზაზა შათირიშვილი** – ტფ/თბილისური კულტურის პოეტიკა 91
**დავით ანდრიაძე** – სათაური ბოლოში ანუ ჯარა სიზმართა ცთომილთა 97

## 7 ახალი წიგნები

**ეკა ქევანიშვილი** – სალომე ბენიძის უძინართა ამბავი; 107
ირაკლი კაკაბაძე სახელმწიფო სახრჩობელასთან 108

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

რედაქტორი-სტილისტი
მარიამ წიკლაური

დიზაინი:
თეა აკოპია

დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
გათუ დანელია
ეკა ქევანიშვილი
ლელა კოდალაშვილი
მარიამ წიკლაური
შალვა ბაკურაძე
ბექა ბარქაია
თამარ კოტრიკაძე
შორენა შამანაძე
გაგა ნახუცრიშვილი
დათო ბარბაქაძე
ნიკა ჯორჯანელი
ზურაბ გოგიძე
მარიკა მამალაძე
დავით ქართველიშვილი
ლუკა აქიმიძე
მაია ლიპარტელიანი
ერეკლე შველიძე
ამბროსი გრიშიკაშვილი
ნინო ჩართოლანი
ზაზა შათირიშვილი
დავით ანდრიაძე

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
ელ-ფოსტა: axalisaunje@yahoo.com
www.saungeo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1

# ნომრის ავტორები

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



„ბედნიერები არც წერენ და არც ხატავენო — ამბობს ერთგან ინტერვიუში ბათუ დანელია. მას ჩვეულებრივ ადამიანურ ბედნიერებას ვერც უსურვებ. ვერ იკმარებს და, ალბათ, იმიტომ. მთავარია „პოეზიის დანალმული ველიდან“ მშვიდობიანად გააღწიოს. რაც შეეხება ე.წ. „უსაფრთხო ლექსებს“, დანამდვილებით ვიცი, რომც მოინდომოს, უკვე ველარ დაწერს.“

ნონა კუპრეიშვილი

## პოეტი

ყვავილიდანაც და ღვინოდანაც მელნის სუნი მცემს...
მელნისფერია თოვლიც, წვიმაც, ყინულიც;
ცა მოღრუბლულიც და მოწმენდილიც – მელნისფერი
მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ციცინათელები,
ქალი, ნათურაც და ლამპაც, – მელნისფრად ანათებ
მელნისფერია დღე და ღამე,
თვითონ შავიც კი მელნისფერია...
მელნისფერ სიზმრებს ვხედავ და
მელნისფერ გზებზე მივდივარ...
მელნისფერი თვალებით მიყურებენ...
მელნისფერი მეგობარი მყავს და
მელნისფერ ქალზე ვფიქრობ...
მელნისფერია ჩემი ოცნება,
სევდაც – მელნისფერი,
ღიმილიც – მელნისფერი,
ცრემლიც – მელნისფერი,
მელნისფერი სისხლი შრიალებს ჩემს ძარღვებში...
და საერთოდ, მე თვითონ, მელნისფერი კაცი ვარ...
ალბათ სულიც მელნისფერი მაქვს...
და ამაზე სწუხს ჩემი მელნისფერი დედა...

1973

# ბათუ დანელია: ლექსის წერა – სუნთქვაა!

*ეკა ქევანიშვილი*



**ზანათი**

სამეგრელოში, კერძოდ კი, აბაშის რაიონში არის ერთი სოფელი, სახელად, ზანათი. ამ სოფელს მდინარე აბაშა ჰყოფს შუაზე. ალბათ, კიდევ დიდხანს არაფერი მეცოდინებოდა ამ სოფელსა და წლების წინ იქ მდგარი ერთი ისლის სახლის თავგადასავალზე, და მით უმეტეს, არაფერს დავწერდი, პოეტი ბათუ დანელია რომ არა. ზანათი ის სოფელია, სადაც ბათუ დანელია დაიბადა და გაიზარდა და პირველი ლექსებიც დაწერა. მაშინ ბათუმ უკვე იცოდა ქართული – ქართული სკოლაში ვისწავლეთ – იხსენებს, სახლში მეგრულად ლაპარაკობდნენ.

ბათუს დედა და ბებია ზრდიდნენ.

ბათუს ბებია, ჩაგანავას ქალი, ადრე დაქვრივდა. ბათუს ბაბუა 28 წლისა დაღუპულა ფილტვების ანთებით. რა არ იღონა თურმე ჩაგანავას ქალმა მეუღლის საშველად, წაბლის ხის უზარმაზარი ოდაც ამ ამბავს შესწირვია – ავადმყოფის სამკურნალოდ მისი ქუთაისში წაყვანა გამხდარა საჭირო. ბათუს ბაბუას ვერაფერი უშველეს, სახლი კი უკვე გაყიდული იყო. ოჯახი ნელ-ნელა უკან მიდიოდა. ბათუ დანელიას დღესაც კარგად ახსოვს ისლის სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ და რომლის მთავარი მტერიც ქარი იყო. ქარი ხშირად ქროდა, ამიტომაც ისლის სახლსაც გამუდმებით სჭირდებოდა გადახურვა..

ერთი მეზობელი ჰყოლიათ, დიდი, მსხვილი კაცი, სახელად ბათუ და რადგან ბათუ დანელიაც დიდი ბავშვი დაიბადა, დეიდაშვილებმა ამიტომაც დაარქვეს ბათუ. მეტრიკაში იმ დროს ამ სახელს არ წერდნენ, ამიტომაც ბართლომე ჩაუწერეს, თუმცა ეს სახელი სოფელში მისთვის არასოდეს დაუძახიათ.

სოფლის სკოლაში 4 წელი ისწავლა. ცხოვრება ძალიან, ძალიან ჭირდა. ბათუ სენაკის სკოლა-ინტერნატს მიაბარეს, სწავლაც იქ განაგრძო. სახლიდან შორს. თვეში ერთხელ, ჩაჯდებოდა პატარა ბათუ დანელია სენაკი-ზანათის ავტობუსში და ორიოდე დღით მშობლიურ სოფელში მიდიოდა თავისიანებთან. ამ დროგამოშვებით ჩასვლებიდან ახსოვს ერთი, განსაკუთრებული დაბრუნება:

„ერთხელაც ჩავედი ჩემს სოფელში და ვხედავ, ისლის სახლის ადგილას ნამდვილი ოდა სახლი დგას. თურმე, ჩემს არყოფნაში უყიდია დედაჩემს და ჩაუდგამს. მეგონა, სხვის სახლთან გავჩერდი. ეს ნამდვილი, კრამიტით გადახურული ხის სახლი იყო. სიხარულისგან ვტიროდი. ეს იყო უზარმაზარი სიხარული, რომ ისლის სახლში აღარ ვიცხოვრებდი. ის სახლი კი დღესაც დგას ჩემს ეზოში. ჩავდივარ ხოლმე და ვუვლი, როგორც შემიძლია. ცუდ მდგომარეობაშია, დაძველდა და მეშინია ქარმა არ წააქციოს ან სახურავი თოვლმა არ ჩატეხოს. არადა, როგორ გავყიდო არ ვიცი... ვფიქრობ ხოლმე, მაინც ხომ არ ჯობს გავყიდო და ვინმემ მოუაროს, მაგრამ მერე, ამაზე რომ დავფიქრდები ხოლმე, ვხვდები, ამას ვერ გავუძლებ... ვენახიც მაქვს იქ, ვუვლი, შარშან ტონანახევარი ყურძენი დავკრიფე. ხანდახან ჩავდივარ ხოლმე და ცოტა ხნით ვრჩები. წელს არ მოვიდა კარგი მოსავალი. ცუდი ამინდები დაემთხვა".

სენაკის სკოლა-ინტერნატში მეხუთედან მერვე კლასამდე სწავლობდა. იქ ყველა ჩემსავით ღარიბი იყოო, ამბობს ბათუ დანელია. ყველას ერთნაირად უჭირდა. ვერც განსაკუთრებით კარგს იხსენებს იმ წლებიდან და ვერც ცუდს. მაშინ სხვა გზა მას და კიდევ ბევრი მისნაირი ბავშვის ოჯახს, უბრალოდ არ ჰქონდა.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზღვა და გიგანტური შვიდიანები

ბათუ დანელიას პირველ ლექსსაც თავისი, განსაკუთრებული თავგადასავალი აქვს., მოსაყოლი ამბავია და მოვყვები. ერთხელ, ბათუ რვა-ცხრა წლის იქნებოდა, ავად რომ გახდა. ამ ასაკში ავად ვინ არ გამხდარა, ძმრის ნინდები და კომბოსტოს ფოთლები, ოფლის მოდენა და დედის ხელი შუბლზე და მაგით მთავრდება, მაგრამ ეს ჩვეულებრივ ავადმყოფობას არ ჰგავდა. ბათუ დანელია იხსენებს, რომ უცნაურ, გრანდიოზულ ენერგიას გრძნობდა, რომელსაც ვერაფერში ხარჯავდა.

„ხანდახან მაღლა რომ ავიხედებოდი, ცაზე ღრუბლები მოულოდნელად დიდდებოდა და ციფრებს ვხედავდი, განსაკუთრებით, შვიდიანს. ეს შვიდიანი ზომაში იზრდებოდა, იზრდებოდა, თითქოს სამყაროსხელა ხდებოდა და მეჩვენებოდა, თავზე მეცემოდა. ხანდახან ისე მეშინოდა, ვტიროდი კიდეც. არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, ბავშვი რომ ამბობდა, შვიდიანს ვხედავ, რომელიც მეცემაო".

დედამ ბათუ სასწრაფოდ ექიმთან წაიყვანა. ექიმმა კი ამ უჩვეულო სიტუაციიდან სრულიად ჩვეულებრივი გამოსავალი შესთავაზა, ბიჭი რამე წრეზე შეეყვანათ, რომ ენერგია სრულყოფილად დაეხარჯა. ბათუ ცეკვაზე შეიყვანეს. იმ დღიდან შვიდიანები სადღაც გაქრნენ.

12 წლისა იქნებოდა, როცა ბათუ დანელია ფოთში მცხოვრებ ნათლიას ესტუმრა.. ნათლიამ თავის შვილებთან ერთად პირველად წაიყვანა ბათუ ზღვაზე. არა, ზღვა როგორ არ ენახა, ფილმებში! მაგრამ ის შთაბეჭდილება, რაც ნამდვილმა ზღვამ ბათუზე მოახდინა, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გახდა კიდეც მისი სულ სულ პირველი ლექსის დაწერის მიზეზიც.

„ბავშვები ზღვაში შევარდნენ, მე კი, მიუხედავად იმისა, რომ ცურვა ვიცოდი, გაუნძრევლად ვიდექი და ამ სასწაულს შევყურებდი. სოფელში რომ დავბრუნდი, მთელი თვე ზღვა მესიზმრებოდა. ერთ დილასაც კი ავდექი და ლექსი დავწერე. მახსოვს ბოლო სტროფი, ასეთი იყო:

„შენ მდიდარი ხარ, მაგრამ ამქვეყნად
მე შენზე უფრო მდიდრად მოვედი,
ზღვაო, რა გინდა, ნეტავ რად ღელავ,
ერთხელ ჩაფიქრდი, როგორც პოეტი".

იმ დღიდან ბათუ დანელიას წერა აღარ შეუწყვეტია. ლექსებით სავსე მისი პირველი რვეული ჯერ მასწავლებლის მაგიდაზე, მერე კი ადგილობრივ გაზეთის რედაქტორის ხელში მოხვდა და დაიბეჭდა კიდეც ის პირველი ლექსი. ასე შედგა ბათუ დანელიას დებიუტი. თუმცა მაშინ, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ პოეზია მისი ცხოვრების მთავარი საქმეც გახდებოდა, სიყვარულიც და ალბათ, ცხოვრების აზრიც.

მაშინ სხვა ოცნება ჰქონდა – სურდა რეჟისორი გამოსულიყო. ეს არ გამოუვიდა და თეატრალურის ნაცვლად ჯარში მოუწია წასვლა: „დღესაც რომ ვინმემ მითხრას, აი, ფული და ფილმი გადაიღეო, არ შევშინდები და საქმეს შევუდგები", – მეუბნება ბათუ დანელია.

კინო – მისი აუხდენელი ოცნებებიდან ერთ-ერთია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თბილისი

ლექსებს წერდა, მაგრამ რატომღაც არავინ უბეჭდავდა. „ცისკარი", „ლიტერატურული საქართველო", ყველა უარით ისტუმრებდა. წერით კი წერდა. ბოლოს "მნათობშიც" ცადიო და ამ ლიტერატურულ გამოცემასაც მიმართა. მაშინ ჟურნალს გიორგი ნატროშვილი რედაქტორობდა. ყველა ლექსი დაიბეჭდა. უკლებლივ. ცოტა ხანში ბათუსთან ჯანსუღ ღვინჯილიას და მამუკა წიკლაურის ზარიც გაისმა – მაშინ ორივე გამომცემლობა „მერანში" მუშაობდნენ. მალე ბათუ დანელიას პირველი წიგნი გამოვიდა. ლექსები, თითქმის ყველა, ურითმო იყო. ბათუ – 32 წლის. გამოხმაურებები – ძალიან კარგი. ეს ყველაფერი კი მწერალთა კავშირში მიღებით დასრულდა.

ვეკითხები, მწერალთა კავშირი და ზოგადად ეს „კავშირები" არ გზღუდავდათ ნეთქი?

„ვერ ვიტყვი ასე. მაშინ კავშირი ბევრს ნიშნავდა. ყველას არც იღებდნენ. ბევრი სარგებელი მოჰქონდა, სახლი, აგარაკი, მანქანა, კარგი ჰონორარი... ვინც კარგი პოეტი იყო, ის მაინც წერდა, და ვინც არ ვარგოდა, მასზე ეს ყველაფერი ისედაც არ მოქმედებდა".



1969

## პოეზია, პოეზიამ, პოეზიას...

ვეკითხები ყველაფერს, როგორ წერს, როგორ არ წერს, როდის წერს და რას არ წერს ან პირიქით, რაზეც სულ წერს. ვინც მოსწონს და ვინ – არ. თუ ბათუ დანელიას ლექსებს წაიკითხავ, თავში არც კი მოგივა ჰკითხო – ვერლიბრი თუ კონვენციური ლექსი? პასუხი ისედაც ნათელია – ყველაფერი, რაც პოეზიაა. თუმცა, მისი აზრით, ფორმა სულ იცვლება – ახალ ფორმას თუ მიაგნებ, მას შინაარსიც ახალი მოჰყვება.

– იცი რას დავაკვირდი? ქალები! ქალები მოდიან პოეზიაში და ისეთ მაგარ პოეზიას წერენ, გაგიჟდები! ლექსებს კი არა უბრალოდ, პოეზიას. რა განსხვავებაა? ლექსი შესაძლოა იყოს გარითმული სიტყვები. და საერთოდ არ იყოს პოეზია. მაშინ, რა არის პოეზია? აი, შოთა ჩანტლაძეს აქვს ერთი ლექსი: „წავიდა თოვლი, მოვიდა მიწა". „წავიდა თოვლი"– არ არის პოეზია, ასეთი რამ მილიონ კაცს უთქვამს, მაგრამ „მოვიდა მიწა" – არავის და სწორედ ესაა პოეზია. გამოჩნდა მიწაო რომ ეთქვა, არაფერი, „მოსვლაშია" პოეზია. ასეთი რამეები თუ არ არის ლექსში, მაშინ ის უბრალოდ ლექსია და არა პოეზია. ბევრი წერს ასე, განსაკუთრებით ბოლო დროს ვერლიბრს ძალიან შეაფარეს ვილაცებმა თავი: წავედი იქ, მოვედი აქ, დავჯექი, ავდექი – ეს არ არის პოეზია.

– ტაბუ? რა უნდა პოეზიაში ტაბუს? მაგას თუ დაუჯერე, რას დაწერ? ტაბუ ჰქონდა მაგალითად, პიკასოს? არა მგონია.

– ჩემი ლექსები სულ მე ვარ, ყველაფერი ჩემია. მე მგავს, ჩემი ცხვირი, ჩემი თვალი, ჩემი ხელია, ჩემი ლექსები.

– თუ ფიქრობ, რა არის სამყარო, ცხოვრება, სიკვდილი... ასეთ რამეებზე თუ ფიქრობ, ბედნიერი ვერ იქნები. და თუ ამაზე არ ფიქრობ, მაშინ პოეტი არც ხარ.

– რამდენიმე წლის წინ მაგარი მიწისძვრა იყო. სახლები დაინგრა მაშინ. მე შინ ვიყავი, რაღაცას ვწერდი. რაღაც ხმა კი გავიგე კიბეებზე, მაგრამ მიწისძვრა არ მიგრძვნია. ვიღაცებმა დამიძახეს ქვემოდან, გადავიხედე და ვნახე, მეზობლები მოედანზე შეკრებილიყვნენ. მე კი ვწერდი. ასეა, ჩემზე ხმაური არ მოქმედებს, სულ შემიძლია ვწერო, უზარმაზარ ჯგიასშიც ვიმუშავებ, თუ ლექსი მოვიდა.

– ხელით ვწერ, კომპიუტერი არც მაქვს და რომც მქონდეს, კომპიუტერში არც დავწერ. მელანი საოცრებაა. ქაღალდი მინდორი მგონია და კალამი ცხენი და როგორ დავწერ კომპიუტერში?

– ზეპირად ჩემი არც ერთი ლექსი არ ვიცი.

– ჩემი დღე ლექსით და წერით იწყება. არის თუ არა მერე მოსაბეზრებელი? განა სუნთქვა შეიძლება იყოს მოსაბეზრებელი?

– სულ მაინტერესებს, რატომ ვწერთ. როგორ კი არა, რატომ. არც ბედნიერებაა, არც ფული... მაშინ რატომ?

ერთ ინტერვიუში ბათუ დანელია ამბობს, რომ ურითმოდ უფრო მალე დაწერს პოეტი ლექსს, ვიდრე რითმით. ვეკითხები, გამოდის, რითმიანი ლექსების წერა უფრო რთულია?

„კი, ასეა. ერთხელ ბესიკ ხარანაულმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა,რომ მისი შესანიშნავი პოემა „ხეიბარი თოჯინა" 21 დღეში დაწერა. მე კი ვამბობ, ის პოემა რომ რითმიანი ლექსით დაწერილიყო და ისეთივე ძლიერი ყოფილიყო, როგორიც არის, შესაძლოა, ბესიკს ის 21 წელიც ეწერა".

რატომ ხდება, რომ ბათუ დანელია ბოლოდროინდელ ლექსებში სტრიქონების ბოლოს სიტყვებს აერთებს, ზოგჯერ ორს, ზოგჯერ სამსაც („ოღონდ დამერწმუნეთ, მოძღვარო, იმაშირომ", ან „ამ რუსთველს, ამ დანტეს, ამ ჩოსერს, ამბოდლერს). ბათუს სურვილია, რომ მკითხველმა ეს ორი-სამი სიტყვა წაიკითხოს ერთად, გადაბმულად, რათა სარითმო წყვილები უფრო მუსიკალურად ჟღერდეს.

მაგრამ ყველა დღე მაინც ასე იწყება და სრულდება – წერით. დღე ისე არ გავა, რომ არაფერი დაწეროს. „ალბათ, ის პოეტი ვიქნები, ვისაც გამოქვეყნებულზე ათჯერ, ასჯერ მეტი ლექსი დარჩებაო", ამბობს. ხშირად არ ბეჭდავს. გადის დრო და ის ამ ლექსებს ივიწყებს. ამასობაში ახალი ტექსტები ჩნდება. ეს მისი მთავარი და ერთადერთი საქმეა – წერა, თარგმნა, კითხვა. და მათით გამოწვეული სიამოვნება. ამ დროს მკითხველზე ნაკლებად ფიქრობს. სად არის მკითხველი? ამბობს ბათუ დანელია: „მთავარია, რასაც ვწერ, დარჩეს. მე მაინც მგონია, რომ ადამიანის მოვალეობაა, რაღაც ღირებული დატოვოს".

ბათუ დანელიას ხშირად ვერ ნახავ პოეტურ თავყრილობებზე, ტელევიზორში ან რომელიმე სამოქალაქო აქციაზე. თავადაც ამბობს, თითქოს განზეა, თავისთვის, მაგრამ: „ვფიქრობ, არ შეიძლება ცხოვრობდე ქვეყანაში, ხედავდე უსამართლობას, გაჭირვებულ და მშიერ ხალხს და ამაზე არ ფიქრობდე. თუ ფიქრობ და აზრს გამოხატავ, მაშინ შენც რაღაც დოზით ერევი პოლიტიკაში. როცა ადამიანს კლავენ და თავს ესხმიან, მაგ დროს თუ იტყვი, მე პოეტი ვარ და ჩემთვის ვარო, არა მგონია სწორი იყოს. შენი კალამი და ქაღალდია შენი ტრიბუნა. წერე, დაბეჭდე და ასე თქვი სათქმელი".

თქვენ რომ რომელიმე დიდი, მრავალრიცხოვანი ერის პოეტი ყოფილიყავით...

ამაზე ალბათ, ბათუს გარდა ბევრ ქართველ მწერალსა და პოეტს უფიქრია. რა იქნებოდა, მისი ენა რომ ათასობით, მილიონობით ადამიანს სცოდნოდა და მისი ლექსების წაკითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლებოდა. მართალია, ბათუს ლექსები ნათარგმნია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ენაზე, მაგრამ ეს ცოტაა.

„დიახ, მე მგონია, რომ უფრო ცნობილი და პოპულარული ვიქნებოდი. ეს შესაძლოა ვინმეს ზედმეტ თავდაჯერებულობად მოეჩვენოს, მაგრამ მართლა ასე ვფიქრობ. ჩემი ლექსები, მათი ფორმის მხრივ, არ არის ლიტერატურათმცოდნეების მიერ განხილული... სამწუხაროდ, ევროპის დიდმა ნაწილმა არც კი იცის ქართული ენა თუ არსებობს. ხანდახან ვფიქრობ, ადრე უფრო იცოდნენ, მარჯორი უორდროპის დროს, ვიდრე ახლა".

და გამოსავალი? მითუმეტეს მაშინ, როცა ყველა მხრიდან ისმის, რომ პოეზია არ იყიდება! პოეზია მომგებიანი არ არის! ბათუ დანელია ფიქრობს, რომ ამ დამოკიდებულებით ქართველი პროზაიკოსები და პოეტები ვერასოდეს გაარღვევენ საზღვარს.

„რატომ არ შეიძლება, ავიღოთ ჩვენი პოეტების ოც-ოცი ლექსი, შეარჩიონ ავტორები, თარგმნონ მათი ლექსები და ვაჩვენოთ უცხოელებს, შემდეგ, ვინც ყველაზე მეტად მოეწონებათ, დაე, ისინი აარჩიონ და მათი წიგნები გამოსცენ. რა არის ამაში რთული, განა რა თანხა დასჭირდება? მაგრამ ამას ჩვენ, პოეტები ვერ გადავწყვეტთ, ჩვენ ამის რესურსი არ გაგვაჩნია, ჩვენი მინიმალური შემოსავლით თარგმანის ფულს ვერ გადავიხდით. სხვათა შორის, პოეზია წამგებიანი იყო ადრეც, მაგრამ რაღაცის ხარჯზე ყოველთვის გამოსცემდნენ, მაგალითად, პროზის ხარჯზე... მაგრამ, ალბათ, ეს მიდგომაც შეიცვალა. რამდენია, ვისაც ფული აქვს და წიგნები არ უნდა. მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც წიგნი უნდა და ფული არა აქვს. ალბათ, ამას ვერასოდეს გაეიგებ. და ისიც სიმართლეა, რომ საქართველოში კარგი პოეტი ცხოვრობს ცუდად. მაგრამ შეიძლება ცუდი პოეტი ცხოვრობდეს კარგად".

## ბათუს ბროდსკი და სხვა პოეტებიც

ბროდსკი პირველად მოსკოვში, ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლის დროს წაიკითხა. პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, ეს კაცი სამშობლოდან როგორ განდევნესო. 1986 წელი იყო, როცა ბათუ დანელიამ იოსიფ ბროდსკის ლექსები სულ პირველად თარგმნა. 87-ში ბროდსკიმ ნობელის პრემია მიიღო. ამის შემდეგ ბროდსკის თარგმანს უფრო ინტენსიურად შეუდგა. დღეს ბათუ დანელიასეული ბროდსკის სამი კრებულია გამოცემული. რაზეც გული სწყდება ის არის, რომ ეს თარგმანები ვერც ერთხელ ვერ მოხვდა ლიტერატურული პრემია „საბას" „შორტლისტში". ბათუს აზრით, ნომინანტიც ლაურეატია, ოღონდ უფულო. წლევანდელ „საბაზე" საბოლოო სიაში 13 პროზაული თარგმანი მოხვდა და არცერთი პოეზია. ეს უსამართლობაა, – ფიქრობს ბათუ დანელია.

„თარგმანი სხვა შრომაა, მხოლოდ გადმოქართულება არაფერია, კიდევ რაღაც არის საჭირო, სხვანაირად პოეზია არ გამოვა. დიდი შრომაცაა და ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ შრო-



მას დაფასება სჭირდება. პრემიებიც უფრო მეტი უნდა იყოს, რომ მწერლები მეტად წახალისდნენ. საფრანგეთში რამდენი დღეცაა, ლამის იმდენი პრემიაა, რა ბედნიერია ეს ერი და მისი მწერლობა, ნიჭიერი მწერალი იქ არ დაიკარგება".

ბათუ დანელიას არასოდეს უნდა ჰკითხო, ვინ არის მისი საყვარელი პოეტი. ერთ პოეტს ვერასოდეს დაასახელებს. არ სწამს ასეთი კითხვების. ამიტომ ყველაზე ერთად ვლაპარაკობთ.

„რუსთაველზე ალარაფერს ვიტყვი, ის პირველია, მაგრამ თუ შემდგომ პერიოდზე ვილაპარაკებთ, მაშინ ვიტყოდი, რომ გურამიშვილი ეს იყო მოვლენა. მიკვირს, რატომ არის ასე დაუფასებელი ეს პოეტი საქართველოში. თუ მსოფლიოში საუკეთესო ათ პოემას დავასახელებ, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი" ერთ-ერთი მათგანი იქნება.

ძალიან მიყვარს პუშკინი. რუსებს ბევრი მაგარი პოეტი ყავთ. ახმატოვა, ბლოკი, ესენინი... არ არსებობს დღე, რომ რომელიმე

ერთი ჩემი საყვარელი პოეტი არ წავიკითხო. მარინა ცვეტაევა... ცვეტაევა გიჟია, ის კაცია! ქალი არ არის... ზოგადად, არ მიყვარს ასე გამოყოფა – ქალი პოეტი, კაცი პოეტი, მაგრამ თუ მაინც დავყოფ, ანა ახმატოვა მაინც ქალი პოეტია. ცვეტაევა კი, არ ვიცი, საიდან მოვიდა, რა გაჩნდა ასეთი. ათასი წელი არ ეყოლება ალბათ რუსეთის მისნაირი პოეტი ქალი".

### სიყვარულის ბიოგრაფია

ამ საერთო სათაურით იხსნება ბათუ დანელიას ჯერჯერობით ბოლო პოეტური კრებული „MIRABILIS VITA", რომლისთვისაც ბათუ დანელიამ 2009 წელს 2008 წლის საუკეთესო პოეტური კრებულისათვის ლიტერატურული პრემია „საბა" მიიღო. გრძელი და სავსე ბიოგრაფია აქვს მასთან სიყვარულს. ბევრ ლექსს იტევს.

ბათუ დანელია უკვე 26 წელია მარტოა. მის სახლში, ახლაც ხელუხლებლად ჰკიდია ფარდები, რომლებიც ბათუს მეუღლემ წლების წინ დაკიდა. ცოლი სიგიჟემდე უყვარდა. ერთად ათი წელი იცხოვრეს. მერე იყო ის უბედური ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელმაც ბათუ დანელიას ცხოვრება მთლიანად შეცვალა. იმ ტრაგედიას ბათუს მეუღლეც შეეწირა და მისი მეგობარი, პოეტი თამაზ ბაძაღუა და მისი ოჯახი. ბათუ გადარჩა. ამ ამბის გახსენება არ უყვარს. გასაგებიცაა. მხოლოდ იმას ამბობს, ძალიან ჯანმრთელი კაცი ვყოფილვარ სულიერად, ეს ამბავი რომ გადავიტანეო. მის ცხოვრებასთან ერთად შეიცვალა მისი პოეზიაც. მაშინ ბათუ დანელია 37 წლის იყო.

მას შემდეგ დაიწყო დიდი მარტოობა, რომელზეც ბათუ დანელია ხშირად წერს. („ჩაიარეს სასტიკმა გამოცდებმა, წუთისოფელს თოვლივით მიმათოვეს – გაჭირვებას როგორც კი გამოსცდები, მაშინათვე შეხვდები სიმარტოვეს").

ეს უკვე შეჩვეული მარტოობაა. მისი აღარ ეშინია. 26 წელი – ბევრია, ამბობს პოეტი, ბოლო დროს, მეგობრებზეც კი შემეცვალა შეხედულება და იმ დასკვნამდე მივედი, რომ 21-ე საუკუნე არ არის მეგობრობის საუკუნეო.

ამაზე ვიდავეთ, მაგრამ აზრი არ შეუცვლია.

მაგრამ ამ მარტოობაშიც იყო ერთხელ, რამდენიმე საათით ბედნიერი. ათი წლის წინ, ერთ ჩვეულებრივ დღეს, სამზარეულოში კარტოფილს თლიდა. ტელევიზორი ჩართული იყო (ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ტელევიზორი ბათუს მტერია. მტერი იმიტომ, რომ ის არის, როგორც თავად ამბობს, მისი ერთადერთი მეგობარი: „სახლში მე ვარ და ის... მეორე სულიერი ისაა. საშუალებას არ მაძლევს, რომ სულ ვწერო. არადა ისეთი გადაცემებია ხოლმე, რომ არ ვუყურო ძნელია, განსაკუთრებით, გადაცემები კოსმოსის შესახებ"). თავიდან მხოლოდ ქალის ხმა გაიგონა, გამოსახულება არ დაუნახავს, მაგრამ ქალს ისეთი საყვარელი ხმა ჰქონდა, მაშინვე შეუყვარდა. ტელევიზორის ოთახში იმის შიშით, რომ ქალი არ მოსწონებოდა, ფრთხილად შევიდა და ტელევიზორის ეკრანს შეხედა... მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ეს პირველი სიყვარული იყო. ეს სიყვარულის ამბავი ბათუსთვის დღემდე დაუსრულებელია... უსიყვარულოდ კი ის ცოლის შემრთველი კაცი არ არის.

თუმცა ვინ იცის, ვფიქრობ ჩემთვის. კაცი, რომელიც მეკითხება, ძალიან ხომ არ დავბერდიო და კაცი, რომელიც ამბობს, შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, 60 წლის ასაკში, მაინც გადაიღებდა ფილმს, არასოდეს იცი, მოულოდნელად რას გადაწყვეტს. ის ხომ სიყვარულზე წარსულ დროში არ ლაპარაკობს.

P.S. და არც მისი სხვა ოცნებებია დარჩენილი წინა საუკუნეში. ჯერ კიდევ არის დრო, ჯერ კიდევ არის შანსიც, ერთ დღეს, ცოტა ხნით, იტალიის რომელიმე გადაკარგულ სოფელში აღმოჩნდეს. იტალიური ენა ისწავლოს და დანტეს „ღვთაებრივი კომედიაც" გვითარგმნოს.



1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტები – ხიდები



*ლელა კოდალაშვილი*

არიან თანამედროვე პოეტები, ახალი ფერებით, სტილით, ლექსიკით... არიან ძველ დროსა და ესთეტიკაში დარჩენილები, რომელთაც მუდამ ჰყავთ თავისი მკითხველი... და არიან პოეტები – ხიდები, რომელთაც ძველიდან ახალზე, ახლიდან ისევ ძველზე გადასასვლელის შექმნა დაიკისრეს და მუდმივად ამ გზის გაკვალვაში არიან. ლიტერატურაში ზოგადი კანონების ძებნას აზრი არა აქვს. ერთი ისაა, რომ რომელიმე პერიოდის ლიტერატურულ მოძრაობას აქვს თავისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები. შესაბამისად, დაყოფილია ამ ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანების ჯგუფებიც. ზემოთ „პოეტები – ხიდები" ვახსენე. მათთან საკომუნიკაციო ველი უფრო ფართოა, შესაბამისად ფართოვდება კომუნიკაციის მსურველთა დიაპაზონიც. „ხიდი პოეტი" უნებურად ექცევა რეტროგრადისა და თანამედროვე მსოფლმხედველობის ლიტერატურისმოყვარულის ხედვის არეალში. მას ერთი კატეგორია ტრადიციების უგულებელყოფაში ამუნათებს, მეორე კი – ძველმოდურობაში. ორივე იღებს და იმავდროულად ვერ იღებს მას, როგორც თავისიანს. ერთდროულად მისაღებია და მიუღებელიც მისი ენა, როგორც ყოფითისა და ლიტერატურულის ნაერთი, როგორც ერთგვარი ანაქრონისტული ოქსიმორონი. არსად ყოფნა და იმავდროულად ყველგან ყოფნა სავარაუდოდ ამგვარი პოეტების უნებლიე ტვირთია ხოლმე. საბოლოოდ კი ისინი ჰარმონიას ქმნიან და ავსებენ იმ ბზარებს, რომელიც პოეზიაში ეპოქასა და ეპოქას შორის, ესთეტიკასა და ესთეტიკას შორის, ხედვასა და ხედვას შორის წარმოიშობა.

ცხადია, მთელი ეს მსჯელობა იმისთვის მჭირდება, რომ კონკრეტული პოეტის დასასახელებლად ნიადაგი მოვამზადო, განზოგადებული საუბრიდან კონკრეტულ მაგალითებზე გადავიდე და ამით უფრო ნათელი გავხადო ის მიჩქმალული ლიტერატურული პროცესები, რაც თან სდევს ხოლმე განსხვავებიდან განსხვავებაზე ხმაურიან გადასვლას, როცა ყველაფერ ამის ეპიცენტრში მთავარი პერსონაჟები ექცევიან, პერიფერიული დინებები კი ყურადღების მიღმა რჩება საზოგადოებას.

ელიოტი ამბობს, რომ არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად არაფერი არაფერს არ ენაცვლება, არაფერი არაფრის მაგიერ არ იქმნება... ამ ნათქვამს იმას დავამატებდი, რომ ყველაფერი ერთმანეთს ავსებს. თუ ამ კონცეფციას ლიტერატურას მოვარგებთ, თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ბათუ დანელიას პოეზიას სწორედ რომ შევსების, ფერების სპექტრის გამდიდრების, ღირებულებების გაწონასწორების უნებლიე ფუნქცია დაეკისრა. ჭეშმარიტებებისა და აბსოლუტურის ძებნა ლიტერატურაში იგივეა, რაც ჭეშმარიტების ძებნა ცხოვრებისეულ მოვლენებში. ბათუ დანელიაც, ამ ლოგიკის თანახმად, სასწაულმოქმედი არაა. ის პოეტია, რომლის პოეტური წარმოსახვების რეალურობა მისივე მკითხველის ცნობიერებაში მოწმდება და ამით ის მას ეხმარება, უფრო მძაფრად აღიქვას და განიცადოს ერთგვარ თანხვდომის ბადეში მოქცეული მომენტები, მოახდინოს იდენტიფიკაცია და ამით „უშველოს" საკითხსა თუ პრობლემას, გადაწყვიტოს ან, უბრალოდ, დაინახოს და აღიქვას.

ბათუ დანელიას ლექსების სემანტიკური ველი სადაა და მკითხველში წინააღმდეგობებს არ აღვიძებს. ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ პოეზიის მოყვარულთა ნაწილს ის თვალთახედვის მიღმაც კი დარჩა. ადამიანები მიჩვეულნი ვართ – ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც კაშკაშებს, თვალს გვჭრის, თუნდაც ეს ფოიერვერკი კი არა, ინკვიზიციის კოცონი იყოს...

პლატონის აზრით, ტრაგედია და კომედია კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს ემოციებს. ალბათ ამიტომაც, ერთი შეხედვით არამძაფრი პოეზია ყურადღებას ნაკლებად იქცევს. ალბათ ძალიან სენსიტიური უნდა იყოს მკითხველი, რომ ბათუ დანელიას ლექსებში კათარსისის ელემენტებს მიაგნოს.

მიიწურა ძველი გზები, ძველი ცნებები, ოდინდელი ათვლის წერტილები, მსოფლმხედველობა და ხედვის რაკურსი... ახლიდან გახდა მოსაძებნი და საკვლევი სიყვარულიცა და სიძულვილიც, ტრაგედიაცა და კომედიაც, ღმერთისა და სამშობლოს შინაარსიცა და ზოგადად, ლექსის საზომიც... პოეტი ამ ძიებებში

ჩაკარგა, გაიბნა და პასუხების მოფიქრებაში წლები გაიყვანა. სწორედ ეს წლების მანძილზე ფიქრის პროცესი ასახა ბათუმ თავის პოეზიაში, თარგმანებშიც კი. მისი პოეზიის სუბსტრატი, რა თქმა უნდა, არის სევდა წინააღმდეგობრივი სამყაროს გამო, სევდა სიმართვის გამო, სევდა განყენებულად დგომისა და მისი ყურალქმის გამო. თუმცა კი, ეს ყველაფერი ლექსის რომელიღაც შრეზეა განთავსებული. შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი, მით უფრო, მოწიფულ პოეტთან, როცა ავტორი მხოლოდ თავის ტკივილებზე კონცენტრირდება, არაჯანსაღი მოვლენა იქნებოდა... ბათუ დანელიასთან კი ვერ შეხვდებით ბანალურ წუწუნსა და ცრემლდენას, პირიქით, როგორც იტყვიან, ის მუდამ ფორმაშია. მის ლირიკულ გმირს აქვს ძალა, ღირსება, ნებისმიერი ყოფითი თუ სხვა პრობლემა სწორად აღიქვას, მერე კი განაზოგადოს, ფილოსოფიურ ჭრილში გადაიტანოს და გაფანტოს ჰაერში.

„ცხოვრებას როცა შევედავე
და ფეხიც ამოვკარ ერთ ადგილას,
იმ დღიდან მტკივა, ფეხი კი არა,
და, სხვათა შორის, არც თავი,
არამედ ყველა ვარსკვლავი და კვირტი ყოველი,
თითქოსდა ტანზე გამომყროდნენ...
და მერე, როგორც მოისართა სამიზნე ბოძი,
გარემოებებს შორის აღმოვჩნდი."

პოეზიის კვლევა უცნაური საქმიანობაა. ლიტერატორი ფაქტობრივად ახალ თეორიას ქმნის უკვე არსებული ლექსის თავისეულ მოდელზე საუბრისას, აქცენტი ხან ავტორის ჩანაფიქრზე გადადის, ხან მკვლევრის წარმოსახვებს მიჰყვება. წესით და რიგით, თუ ამოვიცნობთ ავტორის ჩანაფიქრს და იმას, თუ რამდენად შეძლო მან თავისი იდეის სწორად ჩამოყალიბება, საკვლევი ლექსის საკითხი გადაწყდება და რეცენზიის წერაც, როგორც რაღაც სტანდარტის შექმნა, გახდება ლიტერატურის შედარებით ზუსტი დარგი. აკი მარინა ცვეტაევაც ამბობს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიზუსტეო. მაგრამ პოეზია ხომ ყველაფერს ცვლის თავის თავში, გარდა უშუალოდ პოეზიისა. ის იცვლის გარეგნობას, შინაარსს, სტილს და ა.შ. სწორედ ამიტომ მისი შეფასება ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ლექსის მნიშვნელობა, შეუძლებელია, განისაზღვროს ერთი, ორი ან ათი ადამიანის აღქმითა თუ შეფასებით. ასოციაციათა ნუსხა უსასრულოა. ადამიანების ემოციურ „კომპოზიტებს" კი ბოლო არ უჩანს. ბათუ დანელია ცდილობს, არ გადაახტეს მოვლენებს და უნებურად ამბიციური ნაბიჯი არ გადადგას პოეზიის ამ უკიდეგანო სივრცეში, რათა არ დააბნიოს მკითხველი და არ აურ-დაურიოს მისი ემოციური სამყარო... აკი თვითონაც აღნიშნავს:

„ლექსებს არ ვაცმევ ძალიან ფასეულ რამეს.
ლექსებს ქარების მოტანილ ნემოთი ვმოხმ...
არ გამიჭრია მაგათთვის ზურმუხტის გზა...
იაინი ჩემთან წყალწყალა ღვინოსაც სვამენ".

აქ ჩანს, მისი, როგორც პოეტის ერთგვარი დაუცველობა, მოკრძალება და სისადავე. მაგრამ ლექსი ხომ გარკვეული კალაპოტია. მის შიგნით კი წინააღმდეგობების, ბრძოლის, ვნებათაღელვების და შეუსაბამობების ისეთი ორომტრიალია, რაც ჩარჩოში ძნელად თავსდება. სწორედ ამიტომ, ყველაფერი, რაც პოეტს თავისი შინაგანი სამყაროდან გარეთ გამოაქვს და ხშირად დიდი ძალისხმევის ფასად ლექსის გარეგნობასა და იერს აძლევს, სავსეა ამ ბრძოლის ერთი შეხედვით უხილავი კვალით. სწორედ ეს ნიშანია, რაც ყველაზე დიდ ემოციას ბადებს მკითხველში, ეს და-



1975

ფარული დარდია, რაც თავისი ღირსების სიმაღლით თვითონ ლექსზე მაღლაც კი შეიძლება დადგეს.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბათუ დანელიას ლექსებში მხატვრულობის ხარისხი ემოციური პლასტების ფონზე ხუნდება ან სულაც ქრება. მეტაფორული აზროვნება და ალუზიური ხედვები, ვერ ვიტყვი, რომ ამ პოეზიის ლაიტმოტივია, მაგრამ თავისი მოკრძალებული ადგილი უკავია და ზუსტად ასრულებს მინდობილ მისიას.

„დამპყრობელივით შემოდის სინათლე ქალაქში.
გამშველებელივით ჩადგება ყველაფერს შორის
და ყველაფერზე ისადგურებს,
როგორც მალამო სხეულის
მტკივან ზედაპირზე."

მისი ლექსები თემებისა და ფორმების, მხატვრული ხერხებისა და ჟანრების პატარა ისტორიაა. მაგრამ თითქმის ყველგან ჩანს ავტორის ექსცენტრული ბუნება, ჩანს მისი იუმორი, საკითხთან მიდგომის თავისებური ხერხი, რომელიც ბოლოს, როცა ჩნდება პრობლემისგან თავდაღწევის სურვილი, თავდაცვის ერთგვარ იარაღად იქცევა ხოლმე. ამ პოეტისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, რასაც კი მისი თვალი გასწვდება. ის არ ირჩევს საკვლევ ობიექტს, ანუ ლექსის თემასა თუ პერსონაჟს. გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჰერმეტული ფსიქიკის ადამიანმა ერთბაშად გადაწყვიტა, კონცენტრირდეს ლექსის ერთგვარად საკვლევ თემაზე და მისი ეს სპონტანურად გახსნა, ხანდახან ბავშეურობამდე მისული დაუფარავი ნაივურობა, მის ამ პირველყოფილ ემოციას ბუნებრივი ინსტრუმენტებით ასახავს. სწორედ ამიტომ არ გვჭრის თვალს მისი ლექსები, სწორედ ამიტომ ვიღებთ, როგორც რაღაც ორგანულსა და თვინიერს, ჩვენში მრავალგზის გამოწრთობილს.

ერთგან წერს:

„პოეტებს სარკეში ჩახედვას არ ვურჩევ,
რადგან პოეტისთვის ზოგჯერ სარკეში
შეიძლება მზე ამოვიდეს, მთვარე ჩავიდეს
თავად კი – არ გამოჩნდეს,
ღრუბლით დაფარული...“

სწორედ ასე „დაფარული" დადის ბათუ დანელია. მისი ლექსები შინაგანი ნარცისიზმისგან თავისუფალნი არიან და უბრალოდ, მშვიდად ასახავენ ავტორის ცხოვრებას. ეს ალბათ ერთგვარი პოეტური ეთიკაა, მისი, როგორც მწერლის, ღირებულებაა. მას ხომ თითქოს ვერაფერი გაუგია ცხოვრებისა და გულუბრყვილოდ ასახავს მას. და ეს მის მიერვე ასახული, უკვე ლექსის ფორმამიცემული, როგორც პირობითობა, ავტორსვე ეხმარება აღქმაში. ჩნდება ილუზორული ცოდნა არცოდნის შესახებ. აქ ბესიკ ხარანაული მახსენდება: „ვნერ არცოდნაზე და უსასრულოა ჩემი ასპარეზიო" – ამბობს. ეს სიტყვები ამ სიტუაციაში, როგორც ერთგვარი პოეტური სლოგანი, შეგვიძლია, გამოვიყენოთ. ბათუ დანელიასაც სწორედ „არცოდნა" აწერინებს ლექსებს, არცოდნა, როგორც ერთგვარი პროვოკატორი – „ამაოება ამაოთა, და ყოველივე ამაო არს...“

მაგრამ პოეტური აზროვნება, როგორც ღვთის საჩუქარი, ამაოების შეგრძნებას განზე სწევს და კოლექტივიზმის სახეობიდან გამოარჩევს. სწორედ ამიტომაა მისაღები და მოსაწონი პოეტური სუბიექტივიზმი, როგორც ფსიქოლოგიური, გნებავთ, ესთეტიკური შედეგი. სწორედ ამიტომაც აღარ ჟღერს რიტორიკულად შეკითხვები:

„წინ ისე მიდის, თითქოს არ სურს მოესწროს
მკვდარ მზეს –
ამაო წინსვლა, ღმერთის შექმნილს, რად სჭირს
მისჯილი?!"

მაგრამ პოეზია დიდაქტიკას ვერ იტანს, შესაბამისად არც ბათუ დანელია ცდილობს, თავისსავე შეკითხვებს პასუხი გასცეს. ის ან კითხვას სვამს, ან აღწერს იმას, რაც აღიქვა და საკუთარ პრიზმაში გამოატარა. იქნებ სწორედ ამგვარი პედალირებით იძლევა ის პასუხებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, იქნებ აღნიშვნა და საკითხთა უშველებელი, უკიდეგანო გროვიდან გამომზეურება უკვე ნიშნავს ავტორის პოზიციას და მის შეფასებასაც. ყოველ შემთხვევაში, ასე განსჯის ცალმხრივობას მაინც ავცდებით. ეს პოეტი თითქმის არასოდეს ტოვებს თავის კუთვნილ „ტერიტორიას" და წერს მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით, ხედვის რაკურსიც მხოლოდ მისეული აქვს, – შორიახლოს მყოფი დამკვირვებლის კუთხიდან. ის არასოდესაა აღელვებული იმის გამო, რომ პრობლემაში გაეხვა, აფექტის ტალღა არასოდეს ეჯახება მკითხველის თვალწინ. ალბათ ეს მომენტია, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის მის სტრიქონებს. სტრესებგადატანილი მწერლის სიმშვიდე ხომ გაცილებით საიმედო თავშესაფარია მკითხველისთვის.

ლიტერატურისმცოდნეობაში პოეტები ორ სახეობად არიან კლასიფიცირებულნი. ერთნი – ვინც პირადი გრძნობებისა და გამოცდილებების უგულებელყოფას მიიჩნევენ აუცილებლად და მეორენი, ვინც საკუთარ ემოციურ სამყაროს აწვდიან მკითხველს. ბათუ დანელია ალბათ უფრო პირველ კატეგორიას მიეკუთვნება. და გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს მწერალი და ბიოგრაფია განუყოფელი ნაწილებია, ამ შემთხვევაში მთლად გამართლებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მისი ლექსები განსაზღვრული ლიტერატურული ტრადიციებისა და ესთეტიკის მატარებელია, მაგრამ მათ შორის ნაკლებად წააწყდებით პიროვნულ მიდგომებს და მითუმეტეს, ბიბლიოგრაფიულ პასაჟებს. მისი ლექსები უფრო სხვა „ოცნებას" ახმიანებენ, სხვა აღქმებსა და აღწერებში ამჟღავნებენ პოეტურ ბუნებას. და, რაც მთავარია, ეს არაა ავტორის ნიღაბი, ან კეკლუცური ჟესტი. მისი გულწრფელობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია მკითხველის ემოციასთან, დრამატული პირობითობები კი სხვადასხვაგვარ წარმოდგენებს აგებენ. მთავარია, რომ ამ ყველაფრის ფონზე რჩება ლექსი, როგორც პოეტური ღირსების ერთგვარი საზომი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ასახავს ავტორის ცხოვრების გზას.

# „როცა არ გვიყვარს, არათუ სული, არამედ მღვრიეა მთელი ეს ჩვენი კაცობრიობა“



*მარიამ წიკლაური*

## *ფრაგმენტები წერილიდან*

ასე რომ არ იყოს, ამ პოეტს და მის შემოქმედებას დიდი ხანია მიეპატრონებოდა (არა მხოლოდ) ქართველი მკითხველი! ის ხომ არაჩვეულებრივი პოეტია, უძლიერესი მთარგმნელი, მან ხომ მთელი ცხოვრება მხოლოდ სიტყვიერებასა და პოეზიას შეალია. ტრაგედიამაც მასში თითქოს შექმნა დიდ ნიჭთან ერთად ის ფსიქოლოგიური ნიადაგი, რომელზეც ამოიზარდა მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ტრაგიზმისა და ლირიზმის ნაზავი, სულიერი სიღრმეების თითქმის მიუწვდომელი არეები. მან „გადაარჩინა თავის თავში ნიჭიერება" (ზ. აბზიანიძე) და მიუხედავად იმისა, რომ მარტოა თავის პოეტურ საბრძანებელში, პოეზიის მოყვარულთა მთელ თაობებს აზიარებს საოცარ შემოქმედებას. ის ახერხებს სრულიად ახლებურად შეაერთოს და დააკავშიროს სიტყვები — უფლის უხორცო მხედრები, ახალი პოეტური არქიტექტურა შემოგვთავაზოს, სიტყვიერების ახალი მუსიკა მოგვასმენინოს, სულიერების ახალი სივრცეები დაგვანახოს. ამიტომ ამ შემოქმედს აქვს უფლება, ერქვას პოეტი! იმის უფლებაც აქვს, იყოს პოეტი, რადგან აქვს განცდა ტრაგედიისა, აქვს ნიჭი, ატარებს ხსოვნას, მარტოობას, მარად ეჭვს, ნათელ გონებას, უჩვეულო სმენას, სიტყვის ჟინს, იშვიათ პასუხისმგებლობას სიტყვიერებისა და დროის წინაშე, საოცარ შრომისმოყვარეობას და წადილს იმისას, რომ არავის ჰგავდეს, თავისი ხმა ჰქონდეს, თავისი სათქმელი, თავისი კანონებით დაწერილი სიტყვის სამყარო შექმნას. არ ენდობა არაფერს და არავის: არც ხილულ და არც უხილავ მტერსა და მოყვარეს, ტაშსა და საცდურს. ყველაფერს ერთადერთისაკენ მიმართავს — აფოკუსირებს პოეზიად, პოეზიაში, პოეზიისთვის. მას ტანჯავს ცხოვრება, მისი არ ესმით, ან ესმით, მაგრამ არ აგონებენ. მას აქვს უმძიმესი ხასიათი, იგი ცხოვრობს სხვა რეალობაში, მარტოსულია და მარტოხელა, მარტობინადარი. მარტოობის მსოფლიოს მფლობელი, ულუკმაპურო, უმოყვასო, ელოდება, როდის გაზომავენ და როდის აღმოაჩენენ დარწმუნებით და დაუეჭვებლად მის „განიერ სტრიქონს". მე ვიცი, რომ ის ტანჯულია და მხოლოდ იმიტომ არ მეცოდება, რომ პოეტისათვის ალალია ეს ტანჯვა. და თუ რამ აძლებინებს და აძლიერებს მას, როგორც პოეტს, ის, რომ თავადვე ჩემზე უკეთ უწყის ყოველივე. და როცა ის მარტოდმარტოა, შია, სწყურია პურიც, მოძმეც, თანამეცხედრეც, შვილიც, დედაც, როცა უბრალოდ ზის და თვალი ჭერს მიუმტერებია, ყოველთვის ახსოვს, რომ ერთადერთი მეგობარი ღმერთია! ღმერთი კი მარტო სიცოცხლეში არ ეტევა, ის მარადისობაშია, ის სიკვდილშიცაა. ამიტომ სიკვდილიც მეგობრად ეგულება. სიკვდილი და არყოფნაც, რომელიც ყველაზე უკეთ აიელვარებს მის პოეზიას. სიკვდილი, რომელიც მის სახლში თხუნელასავით, სადღაც უჩინოდ დაძვრება. ხშირად დამინახავს რუსთაველზე, ყოველთვის მარტოა, შორსმზირალი, შავი სათვალით. ნუ დააბრალებთ მანიას, რომ თეთრი სამოსი მის მაღალ ტორსს უბრალოდ უხდება, არა, ეს თითქოს გამოწვევაა: ამ სიბინძურეში სისუფთავის შენარჩუნების ნიშნად. სიწმინდის საერთგულებლად. მაგრამ არამც და არამც ზავის ნიშნად ამ ბრძოლაში, ბედისწერამ რომ გაუმართა. ვერ ვიტყვი, რომ ის უყვართ. მისი ალბათ უფრო ეშინიათ, ერიდებიან, ეკრძალვიან. აქვთ საამისო მიზეზები. არ მინდა, ვინმე დაეამუნათო მასთან ფრთხილი და ერთობ მოზომილი ურთიერთობების გამო. რადგან ის რეალურადაც, პოეტის შესაფერად ეჭვიანია. ჰგონია რომ უთვალთვალებენ, ამოწმებენ, ებრძვიან, უჩინრად. ო, დაუნდობელო ბედის მწერალო, ზოგჯერ რა სასტიკად გიყვარს ადამიანთა ტანჯვა, ზოგჯერ რა გულმოწყალეც ხარ. მეტოქეს აირჩევ ხოლმე და თუ ძალა შეამჩნიე, დანდობა აღარ იცი! არიან ადამიანები, რომელთა სიცოცხლე ცხოვრების ტოლი არ არის. ტანჯულთა სიცოცხლე სიკვდილშიც გრძელდება. პოეტისათვის სიცოცხლე კოშმარული სიზმარია, მთელი ძალით რომ ყვირის, მაგრამ თითქოს ხმა არ ამოსდის, უჟღეროა მისი ბგერა, ვერავის ვერაფერს აგებინებს. თან ჩიტივით ფრენს ამ სიზმრებში, არ ვარდება, ვარდება და არაფერი სტკივა. დიახ, ასე სიზმარეულია შემოქმედისათვის სიცოცხლე. სიკვდილი დიდი პოეტისათვის გამოღვიძებას ჰგავს, ხმაც გასაგონი და მჟღერი ხდება, მას სცნობენ, ყურს უგდებენ, ეხმიანებიან, აციტირებენ, თავიანთი აღმოჩენების დასტურად მოიხმობენ.

მინდა ვუსურვო ამ პოეტს, სიზმრისათვის ასი წელი გაეძლოს, მერე ბედნიერს გამოეღვიძოს თავისი ხალხის გულში, თავისი მშობლიური პოეზიის წიაღში. ძნელია, სხვა რამ უსურვო ნამდვილ პოეტს. მაგრამ ის უფრო ძნელია, არ დაინახო და არ აღფრთოვანდე მისი შემოქმედებითი ღვაწლით, სიტყვიერებისათვის „ქვის კოდვით" [...]

მას შეუძლია წერილი მისწეროს ღმერთს, მზე ვარსკვლავების მოსედ შერაცხოს, სჯეროდეს, რომ მის ნაფიქრს ყოველი ბალახი და ხე იჭერს, მშობლიური წიაღი გრძნობს, რომ მღილის თანასწორს უფალი მაინც უსასრულობასთან გაათანაბრებს, და ვით აკვანში — ძარღვებში, ცრემლში, სიზმრებში, მშვენიერება ბავშვივით ჰყავს ჩანოლილი, სამყაროს ქომაგია, რომ სულ დარეკილი და მოგანგაშე ზარივით არის, რომ ზოგჯერ ღმერთის ნაკვალევს ხედავს, როგორც ბრმა ხედავს ხმასა და სურნელს, და რადგან სიჩუმეს აქ სხვაზე მეტად ახსოვს, მაინც იმედით და სასოებით ამარცხებს ბედისწერას! და მარტოობა, ვინ იცის, მისივე ძალად ქცეულა! მისივე სავსეობისა და სრულქმნილების დღესასწაულად! ტკივილთა განკურვნის მყუდრო სამეფოდ! სადაც მხარზე ვარსკვლავი ასკუპდება ჩიტად! [...]

როცა ლიტერატურული პრემია „საბას" მინიჭებისას, რატი ამაღლობელმა ბათუ დანელია პრემიის მისაღებად მიიხმო, ასეთი რამ თქვა: „ის ნამდვილი მაესტროა"! დიახაც, ის ნამდვილი ოსტატია, ნამდვილი მაესტრო პოეზიის. და რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს საბედნიეროდ ასეთი „მაესტროები". ბევრი არა, მაგრამ საკმაოდ გვყავს, საბედნიეროდ, საკმაოდ! ნეტა კი შეაძლებინა ჩვენი საზოგადოების გონსა და სულს მათი ნაღვაწის თუნდაც მცირე ნაწილის ჯეროვნად „მონელება" და „შერგება". მეეჭვება, რომ დღეს ან ოდესმე ჩვენ ამის ფერმენტი საკმაოდ გვქონდეს. ამ „მონელების" უნარს ბევრი რამ უწყობს ხელს საზოგადოებაში, მაგრამ არამც და არამც, დღეს არსებული დამოკიდებულებები ფასეულობათა მიმართ. ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო ჭარბად გვაქვს „დანიშვრა-გადანიშვრის", „შურის", „ლანძღვის", „გაქილიკების" ფერმენტები. ნურასდროს დავნომრავთ მაესტროებს: ვინ პირველია, ვინ მეორე და ვინ მესამე და ა. შ. თითოეული განუმეორებელია და ყველა პირველია! თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს „მაესტრო" ჯერ კიდევ დაბეჭდილიც არ არის ლიტერატურული პერიოდიკის ზოგიერთ გამოცემებში. ძლივძლივობით გამოდის მისი წიგნები და ტირაჟი 100-200-ს არ სცილდება. უცნაურზე უცნაურია, მაგრამ ფაქტია! არადა, იგი 60 წლის პოეტია უკვე! და ალბათ, „რუსთაველის პრემიის" ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატიც! ხანდახან მინდა, თავიც დავინდო და ხალხიც. ხანდახან მინდა, ახსნა მოვუძებნო ამ მზიან და თბილ ქვეყანაში, ამდენ ნაცნობ-მეგობრობის დღესასწაულში, მაინც საიდანღაც აისბერგივით ამოზრდილ მარტოობას, მიუსაფრობას და ვყვირი: გენიოსებო, „ტვინდასეტყვილებო" (ასე ეძახდნენ ფიროსმანს), ნიჭიერებო, თქვენ გვეხმარებით, რომ ვიარსებოთ, ვიქონიოთ ღირსებები, ვიქონიოთ სმენა, ხედვა, გემოც კი, უხილავი თუ ხილული ხელით შევეხოთ სივრცეებს, მარადისობას, წარმავლობას, ამაოებას და ყველა ამ შეგრძნებით გავიგოთ რაა სამყარო, რაა ღმერთი, რაა ადამიანი, რაა სიცოცხლე, რაა ბედნიერება, რაა უბედურებაც, რაა სიყვარული, ან სული რაა და სამშობლო რას ჰქვია, მაგრამ იმაშიც დაგვეხმარეთ, რომ არ დავკომპლექსდეთ სულ და მუდმივად არ ვიტანჯოთ თქვენი თავისდროზე ვერმიპატრონების გამო. ჩვენ ხომ ათასწლეულებია ქრისტეს ჯვარცმაც გვყოფნის სატანჯველად და სინანულად... ქრისტეში ვართ ყველა, ზოგი ადამიანად და ზოგი გენიოსად მოსული, მაგრამ მაინც თანაბარნი მის გულში! მოდით, შევძლოთ ქრისტეში მოყვასურად თანაცხოვრება! ვყვირი, ვყვირი და აღმოჩნდება, რომ მეც სიზმარში ვარ და ხმა არ ამომდის... „ჰო, ანგელოზი არა ვარ, მხოლოდ ფრთები მაქვს / ანგელოზისა და მათი საშუალებით / კი არ დავფრინავთ, არამედ წონასწორობას / ვიცავთ როგორღაც ორ წერტილს შორის გადებულ / უმოაჯირო, უხილავ ბოგირზე, რომლის ქვეშ / ჯოჯოხეთის ქვაბებიც თუხთუხებენ და / სამოთხის ბაღიც გაშლილა — უნარმტაცესი".



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი ფოლკლორული ხმა



შალვა ბაკურაძე

სულხოლოს საპატრიარქოს ტელევიზიას ვუყურე
იქ ფრაზა მოვისმინე
„არის წიგნები რომლებიც გვამდიდრებენ და გვაჯანსაღებენ"
მანამდე
ძალიანარვიჩქარე
მშობლები მოვინახულე
ქალაქგარეთ წავუთევზავე
სამსახურში ვიჯლიგინე (რა სახსენებელი იყო)
ზურა ჯიშკარიანს ახალი სიმღერა მოვუყევი
ცოლშვილს ვეხუტე
კიდევ სხვა ბევრსაც ვეხუტე
სულხოლოს საპატრიარქოს ტელევიზიას ვუყურე –
ასეთია ბათუ დანელიას ფიქრი
ამასვე გავს მისი ფოლკლორული ხმა
მას განვითარებული ქართული პოეზიის ფოლკლორის ხმა ქვია
როდესაც ბათუ ზის
ის არის პოეზიის რენესანსის დარაჯი
როდესაც ბათუ ზის
იგულისხმება რომ მის ირგვლივ მხოლოდ ამაზეა ფიქრი
ბათუ პოეზიის სინდისია
ბათუს თუ კითხავთ რას ნიშნავს შენთვის შენი წიგნიო
არავინ იცის რას გიპასუხებთ ბათუ
იმიტომ რომ ბათუმ ყველაფერი მაშინ იცის
როდესაც პოეზიის რენესანსს დარაჯობს
ზოგჯერ ბათუ გიჟიცაა
თუმცა დანამდვილებით არც ეგ არ იცის არავინ
ბათუზე მხოლოდ ვარაუდით შეიძლება წერა
ისევე როგორც ვინმე 800 წლის წინანდელ პოეტზე
ბათუს არავინ იცნობს
და ძალიან სასაცილოა ხოლმე
როდესაც ბათუ ცდილობს ხალხს თავი გააცნოს
მას არასოდეს დასცდენია საკუთარ თავზე
თუმცა ბათუ პოეზიის სინდისია
როდესაც ბათუს ქუჩაში დაინახავთ
აუცილებელია მასთან მიხვიდეთ და კითხოთ
რას შვება მისი ახალი წიგნი
და თქვენ თვალწინ დაგიდგებათ ბათუს გმირული ცხოვრება
პოეტი რომელიც გმირი არ არის
არ არის ბათუ
ბათუა პოეტი
მახსოვს ცისკარში ბათუს თორმეტი მოციქული
ბათუს მიერვე შერჩეული
თორმეტი საუკეთესო
თომათი დაწყებული იოანეთი დამთავრებული
თორმეტი საუკეთესო ლექსი
ეს უნდა შეახსენოთ ბათუს
და მე ვიცი ის როგორც ჩაიცინებს
როდესაც ბათუ პოეზიაზე საუბრობს
ეს ჩივილს გავს ბათუ კი ჩვილს
და ბათუ მართალია
შეუძლებელია ბათუ მართალი არ იყოს
მაშინ ის პოეტი ვერ იქნებოდა
და სიმართლე ვერ იქნებოდა პოეზია
მე ძალიან მიყვარს ბათუ და ეს ჩემზე ძალიან ბევრს მეტყველებს



2009

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცრემლი და სამყარო

ხანდახან ვფიქრობ: ფიქრები იკვესებენ,
ხანდახან ვფიქრობ: ფიქრიდან მოვფრინდიდა
სამყაროს მინდა დავხედო მიკროსკოპით,
სამყაროს ცრემლს კი – შევხედო ჭოგრიტიდან.

რა უფრო ვრცელობს – ცრემლი თუ სამყაროთუ!..
როიალს ვუკრავ ფიქრების კლავიშიანს.
ქვეყნობენ იქნებ ჭინჭრეთი, სამყურეთი
და იქნებ მღილსაც ქვეყანა თავისიაქვს!

ხანდახან ფიქრი  ქაღალდზე გადამხატავს...
და ციდან რბიან პეპლების მთესავები.
ხანდახან მივალ სამყაროს გადაღმადა
რაღაცა თხევადს ვერთვი და ვეზავები...

და მაინც ერჩებით მე და ეს ბინამარტო!
და მაინც მახრჩობს ობლობის ანტურაჟი...
და აღარ ვიცი, ნამდვილად შინავართუ
სამყაროს გარეთ – ცრემლების სანთურაში...

## შეჯვარება

ქალს და კაცს ამაზე მთელსა და დიდებულს
ვერასდროს ვერარა ვერაფრით გაგვხდის, –
ახლა რომ ვაშენებთ, ასეთი ხიდების
ვერსად ვართ ამგებნი – ესა ნაღდი!

ჩვენ, ორი შიშველი ძელივით ვჯვარდებით
და, რახან „ჯვარია“ ამ სიტყვის ფუძე, –
გარშემო გვეკიდოს ფოლადის ფარდები
მანამდე, ვიდრე ჯვარს სიყვარულს ვუწერთ...

ჩვენ ახლა მივილტვით იქითკენ, სადაცრომ
ერთმანეთს ავანთებთ ალერსის შანდლად,
უფრო შორს თუ წავალთ, სამოთხეს გადავძვრეთ
და წინ რაც დაგვხვდება, ყველაფერს ვშთანთქავთ.

ჩვენ ახლა ვერთობით სიცოცხლის შევსებით,
ერთმანეთს ერთურთის ნავებზე ვარწევთ... –
ასეთ დროს ჩნდებიან შედევრი ლექსები,
რომლებსაც, რატომღაც, ვერ, ანდა – არვწერთ.

## რჩევა საწერი მაგიდის შესაჭმელად

გინდა გასწავლო როგორ უნდა ჭამო მაგიდა
ისე რომ გულზე არ დაგადგეს მქვახე კომშივით
უპირველესად მისი მოკბეჩა
კუთხიდან კი არ უნდა დაიწყო
არამედ სწორედ იმ ადგილიდან
სადაც უშუალოდ უზიხარ მას
და წინ კალმისთვის
ხალიჩასავით გიფენია თეთრი ქაღალდი
რასაც ბოლომდე როცა გაივლი
უკან არ უნდა გამობრუნდე
უნდა გადასცდე მილიმეტრით
და მაგიდას უნდა ჩასცხო კალამ-ჩანგალი
დანა ნამდვილად არ დაგჭირდება
საწერ მაგიდებს როგორც წესი
რბილ მასალისგან აკეთებენ
რადგან იციან
რომ მწერალს როცა საჭმლის ფული აღარ ექნება
საწერ მაგიდის ჭამა მოუწევს
აი ასეთი დრო შენც დაგიდგა
ამიტომ მიდი, ჭამე მაგიდა.

„ცნობიერების ნაკადი, რომელიც დისჰარმონიულიცაა და ჰარმონიად გარდასახულიც, მისი პოეტური ესთეტიკის იდეაფიქსია... არ სურს და არც გამოირჩევა გამოხატვის განსაკუთრებული სინათლითა თუ გამჭვირვალებით...

მისი წერის, ლექსის „კეთების“ ტექნოლოგია მოდად ქცეული საერთო ბუნდოვნების მიღმა დგას და თითქოს სრულიად განცალკევებულ მისთვის ღრმად შეცნობილ ხილვათა სამყაროს „აფერადებს“ ხმამაღალი ფიქრი და არა დეკლარაცია, პათეტიკა, მარიაჟი... ან მრავალთა კვაზიპოეზია...“

გურამ ბენაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აპრილი

აპრილი თვეა ნაღველის გადაცურვის,
ცას, მიწის წვიმად, მიელტვის სატაცური,
სიცივე კვდება იმედის გადაწურვით,
აპრილში ხენი ხდიანო აიაზმებს...
აპრილში ავიც – სიკეთეს გაიაზრებს,
აპრილში ღმერთი, პეპელად გადაცმული,
უდაძმო ბავშვებს შუეფრენს აივანზე.

აპრილი გვირთავს ნაზამთრალ ამასოფელს,
აპრილი ფერად პერანგებს ჩაგვაზომებს,
ქალებიც უფრო აპრილში ლამაზობენ...
ამიტომ აპრილს როგორღაც ვდარაჯობდა...
უცხოსაც უთქვამს აპრილში გამარჯობა...
აპრილში მადლის დიდდება ამაზონი,
აპრილში გულებს უნდებათ ქამანჩობა.

აპრილი ტანში აჟრჟოლებს ტაიგასაც...
აპრილში თავი არავინ დაიფასოს,
რაც უნდა მძლავრი ეგონოს ტაიფუნზე!
აპრილში ნაკლებ შეხვდები თაკილიანს.
აპრილში კერპიც ურჩობას გაყრილია...
თქვენ რატომ ასე... ბატონო კაიკაცო,
თქვენ მარტში რად ხართ, როდესაც აპრილია!

## მთაწმინდის წერილი მეტეხს

როდესაც გადათოვს მადათოვს,
თბილისმა სხვა საქმე გადადოს,
შეეშვას სათითე-სათათეს –
როგორც კი მადათოვს გადათოვს.
მტკვრისაკენ არ მისცე გზატკატოს,
უთხარი, ფიქრები გადადოს...
ელოდოს თიბათვეს, მკათათვეს
და გულში დაგროვილ წვათათვის
დაზოგოს გაძლება ცხრადათვის...
არ მისცე, არ მისცე გზატკატოს, –
უთხარი, დარდები გადადოს,
როდესაც გადათოვს მადათოვს!
როდესაც მადათოვს გადათოვს!

## მესამე მსოფლიო ომის მეორე დღე

დიდ-პატარიანად გავჟლიტეთ ერთურთი,
დავლეწეთ, დავშალეთ, გაგვაჩნდა თურამდა
უკვე ვერ აწვდენდა მიწა ხმას ღმერთამდი
და ჟამი ჩვენს სისხლში უჩვენოდ ცურავდა.

ჩვენ არსად ვიყავით და ჩვენი ბავშვებიც
აღარსად ბაძავდნენ გმირებს და ჯამბაზებს...
ჩვენ აღარ ვიყავით, ჩვენ, თორემ გარშემო
მთაც იდგა, ზღვაც იწვა ძველ პროფილ-ანფასით.

და ქარიც უკრავდა უდაბნოს სალამურს
და წვიმაც – მზეს ხელ-პირს ჩვეულად ბანდადა
პირთეთრი ღრუბელიც ცას, როგორც მალამო,
ნასმოდა ისევ და ქრებოდა თანდათან...

ჩვენ არსად ვიყავით!

„ჩუქურთმა ქართული ტაძრის სამკაული არ არის მხოლოდ, ის ორგანული ნაწილია მისი კედლის და მისი გუმბათის, ჩუქურთმის მჭრელებმა თავისი სული ჩააქსოვეს სვეტიცხოველს და ნიკორწმინდას, ოშკსა და ხახულს, ქვის სიმფონიად აქციეს თავიანთი ლოცვები.

ბათუ დანელიას შორეული წინაპარი ერთი იმ უსახელო ჩუქურთმის მჭრელთაგანი შეიძლება ყოფილიყო, ვინც თავისი მარჯვენის სიმტკიცით და სულის სიფაქიზით ქარგავდა ქართული ტაძრების პერანგს. სიმტკიცე და სიფაქიზე სწორედ ისეა შერწყმული მის პიროვნებასა და მის პოეზიაში, როოგრც ეს ქვის ამლერების ოსტატებს მოსდგამდათ, მარადიულობასთან რომ იყვნენ წილნაყარი.“

თამარ ერისთავი

## მდინარეთა მოსაბრუნებლად

ნე ის მადარდებს, ჩვენს მდინარეებს
შავი ზღვისკენ და კასპიის ზღვისკენ
რომ მიაქვთ მადლი ქართული მიწის –
შავი ზღვა მარტო ჩვენი როდია,
კასპიის ზღვა კი, რახანია, სულ სხვებს ეკუთვნით...
და სხვაგან მიაქვთ ჩვენს მდინარეებს
ქართული მიწის ღვინო, რძე, ერბო, წვენი, ბალზამი –
ქართული მიწის ვიტამინები...
და რა მოხდება, მტკვარო, რიონო,
ალაზანო და ენგურო და კელასურო და
ნატანებო და ჭოროხო და კინტრიშო, სუფსავ,
ხობისწყალო და კოდორო, ბზიფო
და კიდევ სხვებო – მცირეებო, პაწაწინებო,
რა მოხდება, რომ ზღვამდე უხვევდეთ
და ბრუნდებოდეთ უკან, აქეთკენ,
ჩვენკენ, ჩვენი უნაყოფო ადგილებისკენ,
თვითონ ეძებდეთ, თუ სადმეა
ხრიოკები და ყელგამშრალი, გამოფიტული ნიადაგები
და აქციოთ ნოყიერად, მოსავლიანად.
მაშ, როგორმე, ზღვამდე სადმე შემოუხვიეთ!
აი, ასე, თქვენ გენაცვალეთ,
თქვენ შემოგევლეთ მაგ ჩხრიალში და სიჩუმეში,
მაგ კამკამშიც და მაგ ამღვრევაშიც,
შემოუხვიეთ, უკან მობრუნდით,
აქეთკენ, ჩვენკენ, თქვენი ჭირიმე!
დიახაც აგრე, სწორედაც აგრე!
განა ასე არ ჯობია, ჩემო კარგებო,
საქართველოს ყვრიმალებზე მჩქეფო ცრემლებო!
აბა განა ისაა კარგი,
რომ, ზღვების შერთვით, სხვებისკენ მიგაქვთ
ქართული მიწის მთელი მარაგი!..

## სიბერის შეშინება სიყვარულით

ჯერ შორს დახტიან სიბერის ცელქი ციყვები
და მე ისე ვშლი ხელებს და ისე ვიღები,
თითქოს კარი ვარ... არ უნდათ ჩემი გაღება –
გაღებულს შანსი მეტი მაქვს შენი მიღების –
გეხვევი და შურს თვალებით შობენ ბრიყვები,
მაგრამ უშენოდ სიცოცხლე დამედაღება,
გავიფანტები, გავდნები, გავირიყები.

ხელებს ვშლი ისე, თითქოს კარს ქარი მაღებდეს
და შენი ტანის მფეთქავ და ელვარ ნაღვერდლებს
ვუშვებ შიგ – გულის ჭერქვეშ და შინდა დამბუგო,
ტუჩთა მშვილდებით კოცნების ისრებს გახვედრებ,
რომ ვერ მიყავდე ყამთასვლას თავის მახემდე...
მაშ, სიყვარულის გრიგალო, ქარო, ქარბუქო,
შორს მყოფ სიბერეს შიშისგან ვაცახცახებდეთ!

„ნოვაციის ფსიქოლოგიური გენეზისი სათავეს იღებს პოეტის პიროვნული ხასიათიდან; სადაც შეიძლება არსებობდეს საკმაო ამბიციები ლექსის ევოლუციური გარდაქმნისათვის, მაგრამ არ იყოს შესაბამისი შინაგანი მზაობა, ამიტომ კომპენსაციის ფუნქცია უნდა დაეკისროს ინტუიციას, რომელიც პოეტს უკარნახებს აზრის, რიტმის და რითმის დინამიკური კონსტრუქციების შექმნის იდეას. ბათუ დანელიას უკვე კარგად ცნობილი ორიგინალური ცამეტმარცვლიანი სალექსო ფორმა, რომელსაც თვითონ ჯვალოებს უწოდებს, და რომელიც გარეგნულად მოგვაგონებს რობერტ ფროსტის პოეტურ ოპუსებს, სწორედ ამ პრინციპით არის შექმნილი, კერძოდ, ფორმა მიგნებულია არა გონების, არამედ ინტუიციის ჩარევით. ნოვატორულ განწყობილებათა მეტრული ორგანიზაცია მას პიკის ზღვრამდე ჰყავს მიყვანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება გაჩნდეს ტრივიალური ალტერნატივა – ფორმა თუ შინაარსი? მაშინ საკითხავი იქნება ისიც, თუ რამდენად მყარია პოეტის შინაგანი გადაწყვეტილება, ხომ არ გადაექცევა ფორმა ცთუნებად ან ფორმის ძიება ხომ არ გაუჩენს ეჭვს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ? საინტერესოა აგრეთვე, ფორმა ეძებს შინაარსს თუ პირიქით, შინაარსი ეძებს ფორმას? ანდა, ავტორს ფორმა მხოლოდ საყრდენად სჭირდება, თუ ეს არის გადამწყვეტი დაპირისპირება ტრადიციასთან? [...]

ჩემი აზრით, ჯვალოები ქართული ლექსის ისტორიაში დარჩება საინტერესო ვერსიფიკაციულ მიგნებად, თუმცა მკვლევართათვის იგი იქცევა ერთგვარ სფინქსად, რომლის გამოცნობა დამოკიდებული იქნება იმის გარკვევაზე, თუ მეტრიკის ფორმალური ელემენტები რამდენად უწყობს ხელს ლექსის ფუნქციის ზრდას. მართლაც, რა არის ჯვალოები? რა არის ეს დაუსრულებელი წრებრუნვა ანჟანბემანისა, სადაც რიტმული პაუზები გადაედინება ტაეპიდან ტაეპში, სადაც იქმნება უცნაური ინტონაციის მასა, რომელიც გითრევს ცამეტმარცვლიან ბურუსში, სადაც ყოველი სტრიქონი არის კულმინაცია და სადაც ყველაფერს აწესრიგებს, იური ტინიანოვის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ემოციური მართვის ავტონომიური სისტემა?"

ივანე ამირხანაშვილი

## პირველყოფილი სპექტაკლები

ზოგჯერ ცის მოღრუბლვაც გამავსებს ნეტარებით,
როცა დღე ედრება ქვაბის ღრმულს ზარფუშიანს...
მე თოვლის ხსოვნაზეც მოხიბლულს ვედარები,
მე თოვის სურვილი მიჩნდება ზაფხულშიაც.

მინდა ცა სულ ფენდეს თოვლს თავის ნიშებიდან
და მინას სულ ჰქონდეს შინ თეთრი მილებები...
თოვაში, თან გემის აფრისებრ ვიშლებიდა
თან, საყდრის ქვასავით, კირისფრად ვილებები.

თოვს! ვდგავარ დახურულ ფანჯრებთან გალებული
და სული, საცაა, საზღვარსაც გადაცდება...
ის კაცი – ცოცხალიც ხომ არის დალეული.
რომელსაც თოვაში არ ძალუძს აღტაცება!

ჰე რა ვქნა, ალგზნებას შუბლით რომ ვეტაკები
და ვგავარ რვათვალას, ცხრასულას, ათგულიანს!..
თოვს! – პირველყოფილი მოფრენენ სპექტაკლები
და, თითქოს, ესენიც რობიკოს დადგმულია.

## ვარსკვლავიანი ღამის ლექსი

მზეს როცა მოკლავდნენ და დასავლეთი
ხდებოდა სისხლიანი ბაზალეთი –
ვარსკვლავებს მოველოდი მშველელებად
და, ყველა ბავშვისაგან განსხვავებით,
მე მათით მწუხარებას ვაზავებდი...
მსურდა სვლის შეძლებოდათ შენელებაც,
იმგვარად შემიყვარდნენ ვარსკვლავები.

ღამის ცა ათინათებს თუკითესავს,
რამ გვნახოს ვარსკვლავებზე უკეთესმა!
მე დღესაც ვერ ვიჯერებ გალაღებით,
რომ სახლებს სარკმელები, უმეტესად,
ვარსკვლავთა საცქერად არ უკეთდებათ,
თვითონ კი, იმაზედაც დავთანხმდები,
რომ სახლი ამიშენო უკედლებოდ...

ვარსკვლავებს – ცის საათის ციფერბლატებს
ვუცქერ და გული რად არ მიღელავდეს,
როდესაც მენატრება მომენატროს
მაგათი მოციმციმე სიფერადე... –
მივყავდით ალტაცების სიმღერამდე...
ეხ, ნეტავ, გავბავშვდე და ყოველმათგანს
ოცნების სამოსელად ვიკერავდე!

„ბათუ დანელიას „სოფლის იდილია" ქალაქის ყოფაშია ჩაწნული. მის არსებაში ქალაქი და სოფელი ეკამათება ერთმანეთს, ეტოქება. პოეტი გაორებულია, ორივე უყვარს და ვერც ერთს ვერ ელევა. სწორედ აქ ცნაურება მისი ლექსების მომხიბვლელობა და ბუნებრივი, ძალდაუტანებელი დრამატიზმი".

თემურ შავლაძე

## სარკე და პოეტი

პოეტებს სარკეში ჩახედვას არ ვურჩევ,
რადგან პოეტისთვის ზოგჯერ სარკეში
შეიძლება მზე ამოვიდეს, მთვარე ჩავიდეს
თავად კი – არ გამოჩნდეს,
ღრუბლით დაფარული...
სარკეში შეიძლება წინწყარო ჩამოიაროთ
და წინ ლამაზი ქალი კი არა –
ყივჩალი შემოგხვდეთ.
სარკეში შეიძლება ნერონმა
თავისი ლექსები წაგაკითხოთ
და თქვენს ხელნაწერებს ხანძარი გაუჩნდეს...
სარკეში შეიძლება გადაყვარებული
ქალი აყვავდეს
და მისი ყვავილების სურნელი შემოგეფრქვათ.
სარკეში შეიძლება...
მოკლედ, ბევრი რამ შეიძლება სარკეში ნახოთ,
პოეტად თუ ხართ დაბადებული,

მაგრამ პოეტად თუ არა ხართ დაბადებული,
სარკეში ყოველთვის გამოჩნდებით თქვენ,
საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი,
პირს გაიპარსავთ,
თმას დაივარცხნით,
ჰალსტუხს გაიკეთებთ და...
ერთი სიტყვით, სარკეში თქვენი თავის გარდა,
არავის და არაფერს დაინახავთ,
რაც იმას ნიშნავს,
რომ პოეტად არ გაჩენილხართ,
და თუ ამის გაგება არ გსურთ,
ან – ლექსების წერას შეეშვით,
ან – სარკეში ნუ ჩაიხედავთ!

## ადამიანი გარემოებებს შორის

ცხოვრებას როცა შევედავე
და ფეხიც ამოვკარ ერთ ადგილას,
იმ დღიდან მტკივა, ფეხი კი არა,
და, სხვათა შორის, არც თავი,
არამედ ყველა ვარსკვლავი და კვირტი ყოველი,
თითქოსდა ტანზე გამომყროდნენ...
და მერე, როგორც მოისართა სამიზნე ბოძი,
გარემოებებს შორის აღმოვჩნდი.

მე ქვას ვმღეროდი,
წყალს ვყვიროდი,
მინას ვსუნთქავდი,
რომ გამძლეობა მომეხვეჭა...
მე შემოდგომის ფოთლებივით ვთოვდი განცდებს
ჩემი დაფარულ სიმართლის გასაშიშვლებად,
მაგრამ მაინც არაფერი გამომდიოდა
ტანჯვის ამბავში –
ტანჯვა მაინც ტანჯვად რჩებოდა –
სიამედ ვეღარ გარდავქმნიდი.

მე ზოგჯერ სულაც არ ვიყავ მე
და მაშინ ჩიტს ჩიტი ვეგონე,
შეშლილს – შეშლილი და ძაღლს – ძაღლი
და სარკე ჩემში იხედებოდა,
რომ დაენახა ჩემი მტრები, ყველა, ვისაც კი
ერთხელ მაინც ჩაუხედავს გუბეში, ჭაში,
მით უმეტეს, საკუთარ თავში.

აქ დაცემული მინახავს წლები,
რომლებისთვისაც, როგორც ხარისთვის,
ადამიანებს ხორხის ყელი გამოუღადრავთ
და სისხლს წყალით კი არ რეცხავდნენ –
ჯიბეებში იჩხრიალებდნენ...
და იმ დახოცილ წლების ჩონჩხზე,
როგორც შუშის ნამსხვრევებზე,
მე დავდიოდი დაჩეჩქვილი ფეხისგულებით...
და მხოლოდ დარდი მცემდა ნუგეშს
და მომიძღვნიდა სითბოს ყინვა,
სახურავებზე ჩამომხრჩვალი
და ევერესტი ზღვის დონეზე დაბლა მეძახდა
და მუჭის სიმსხო ბგერებს ვჩრიდი
პირში ჩემს სმენას,
დაყრუებას რომ გავქცეოდი...
ხოლო კარები თავიანთ თავში
მე მაღებდნენ და კეტავდნენ სივრცეს
და მე დაგუბულ ტირილს მთებს შორის
თოკად ვაბამდი მოგონების ჯამბაზებისთვის
და ბულბულების ჩიჩახვები ამტკივდებოდნენ
ყელში, რომელიც უმღერლობის ამტანი იყო...

სწორედ ამიტომ ამოვარტყი
ერთ ადგილას ფეხი ცხოვრებას,
როცა გამოლმა შემომედავა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მე სიყვარულს ბოდიშს ვუხდი
ისე, როგორც დარჩენილ ვალს,
რომლის გადახდა აღარ უნდათ
ზოგ-ზოგებს ზოგჯერ,
მხოლოდ იმიტომ, რომ პროცენტები
ვალზე მეტი აქვთ გადახდილი...

მე მნიფე ბაღში მიკრეფია
მკვდარი ფოთლები და ვარსკვლავები –
არსაიდან დაცვენილები
და მათით დამწვარ ხელისგულებს
ვმალავდი ხალხში,
როგორც ჭამის წინ მალავს ბავშვი
გათხუპნილ თითებს
მხოლოდ იმიტომ, თუ გამოუჩნდა,
დედა უთუოდ დააბანინებს,
და ვიცი – სხვაფრივ თუ მოვიქცევი,
ყველა ნაკლი გამომიჩნდება.
მე ისიც ვიცი, ბოლოს და ბოლოს,
თუ ნატვრა კუბში არ აიყვანე,
ვერ აისრულებ ვერასდიდებით...

და, რა თქმა უნდა, ცხოვრებაზე
სხვა წარმოდგენა
შეექმნება კაცს, ვინაც თავის სადარბაზოსთან
შეეჯახება მელნისფერ ღრუბელს
და მისგან გაბმულ წვიმის წვეთებში
გაიხლართება, როგორც ბუზი ობობას ქსელში
და იმ უხილავ მაგნიტის ძალით,
რაც რკინას ახლოს არ იკარებს
და განიზიდავს,
იზიდავენ ის სივრცეები,
იმთავითვე რომ იყვნენ თურმე განკუთვნილი
იმ ფრთოსნებისთვის,
რომლებმაც წლეულს ნაჭუჭებს ვერ გამოაღწია.

არ შეიძლება გერქვას ძლიერი
იმის გამო, რომ ქვეყანას ანგრევ!
ძლიერი უფრო ისაა, ვისაც
გარეული იხვიც ერევა
თავის ბუმბულის სიმშვენიერით
და ჩახმახის გამოკვრამდე ხელებს უბორკავს...

არ არსებობენ ცუდი და კარგი გარემოებანი,
არსებობს ადამიანი,
რომელიც დგას გარემოებებს შორის,
როგორც საგზაო ინსპექტორი მოედნის გულში...

# ფრიდერიკე მაიროკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრიდერიკე მაიროკერი (დ. 1924) გერმანულენოვანი პოეზიის ოქროს ხანის – 50-იანი-70-იანი წლების – ავსტრიული ფრთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენელია. პოეზიაში მისი ექსპერიმენტული ნოვაციების მნიშვნელობა იმთავითვე აღიარეს კრიტიკოსებმა და ავტორიტეტულმა ლიტერატორებმა. მისი მეორე პოეტური კრებული **Tod durch Musen** (გამომცემლობა **Rowohlt, 1966**) კონკრეტული პოეზიის მამად მონათლული ოიგენ გომრინგერის ბოლოსიტყვით გამოიცა, მისი პირველივე პროზაული წიგნისთვის **Minimonsters Traumlexikon** (გამომცემლობა **Rowohlt, 1968**) ბოლოსიტყვა კი ექსპერიმენტული ლიტერატურის ცნობილმა გერმანელმა თეორეტიკოსმა, ფილოსოფოსმა და ტექნიკური ესთეტიკის შემქმნელმა, მაქს ბენზემ დაწერა. მაიროკერის მეუღლე იყო ერნსტ იანდლი (1925-2000), ევროპული ნეოავანგარდისტული ხმოვანი პოეზიის უცნობილესი ოსტატი (მაიროკერმა და იანდლმა ერთად გამოსცეს ექსპერიმენტული რადიოპიესების ოთხი წიგნი). 60-იანი წლების მერე მაიროკერის ყველა წიგნი დიდ გერმანულ გამომცემლობებში გამოიცემოდა, ამ წიგნების რაოდენობა კი შთამბეჭდავად დიდია. 2001 წელს „ზურკამპმა" გამოსცა მისი პროზაული და თეორიული ტექსტების ხუთი მსხვილი ტომი, 2005 წელს კი ამავე გამომცემლობაში მისი პოეტური ტექსტების ათასგვერდიანი ერთტომეულიც გამოიცა. მაიროკერს დღემდე მიღებული აქვს 30-ზე მეტი ლიტერატურული პრემია, მათ შორის ისეთი პრესტიჟული პრემიები, როგორებიცაა: გეორგ თრაკლის პრემია (1977), ავსტრიის დიდი სალიტერატურო პრემია (1982), ფრიდრიხ ჰიოლდერლინის პრემია (1993), ბავარიის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის დიდი სალიტერატურო პრემია (1996), გეორგ ბიუხნერის პრემია (2001) და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე, მის შემოქმედებაზე წერდნენ და წერენ ლიტერატურის საუკეთესო სპეციალისტები.

წინამდებარე მოზაიკის შეუფერხებელი და სწრაფი ორგანიზებისთვის, მაიროკერის თვალუწვდენელი შემოქმედებიდან ტექსტების სელექციისა და საავტორო უფლებების მოგვარებისთვის მადლობას ვუხდით პოეტის უახლოეს მეგობარს, ქალბატონ **CHRISTEL FALLENSTEIN**-ს, რომელმაც უანგაროდ იტვირთა ეს შრომატევადი საქმე.

ფრიდერიკე მაიროკერზე კლაუს კაშტბერგერის სტატია ამოღებულია წიგნიდან: **Deutschsprachige Lyriker des 20. Jahrhunderts (Erich Schmidt Verlag, Berlin, 2007)**. აღნიშნული სტატიის თარგმნისა და გამოქვეყნების თავაზიანი ნებართვისთვის მადლობას ვუხდით **Erich Schmidt**-ის გამომცემლობას.

# ფრიდერიკე მაიროკერი

I.

ავსტრიელი ავტორი ფრიდერიკე მაიროკერი ცნობილია, როგორც ენის ვირტუოზი არტისტი, რომელსაც ამჟამად ავსტრიული ლიტერატურის დიდ ქალბატონს უწოდებენ. თუმცა, ერთი რამ მაინც უნდა დაზუსტდეს: მისი ზოგიერთი ტექსტი ისეთი სიახლით და სასიცოცხლო ენერგიით ზემოქმედებს, თითქოს რომელიმე ნორჩი და ძროღადრო ანცი გოგოს მიერ იყოს დაწერილი. გვიანდელი შემოქმედება ისეთი დაღვინებული სტილით, რომელიც განვლილი შემოქმედებითი გზის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს, აქ არ მოიპოვება. იმ სიტყვების მიხედვით, რომლებიც ავტორის ბოლო ათწლეულში მიმდინარე პროცესების გამოსასახად და დასაარქივებლად მოუძიებია, შეიძლება ითქვას, რომ მისი შრომა ყოველი პროზაული თუ პოეტური წიგნით და, შესაძლოა, ყოველდღიურადაც ხელახლა იწყება.

ფრიდერიკე მაიროკერმა ავსტრიული ლიტერატურის ბოლო ნახევარ საუკუნეში, ალბათ, ამ ლიტერატურის ყველაზე მეტი „დებიუტი" წარმოადგინა: 40-იან წლებში მცირე პროზით და ლექსებით დაწყებული, მისი მრავალფეროვანი და მუდმივმატებადი შემოქმედება დღესდღეობით ორი მასშტაბური კორპუსით არის წარმოდგენილი. „ზურკამპის" მიერ გამოცემულ პროზაულ თხზულებათა ხუთი ტომი 1949-დან 2001 წლამდე დროის მონაკვეთს მოიცავს. სიურრეალიზმით ინსპირირებული მცირე პროზაული ნამუშევრებით დაწყებული, 60-იანი წლების ეგრეთ წოდებული „ტოტალური ტექსტების" გაგრძელებული და – ბოლო ათწლეულების დიდი პროზაული თხზულებების ჩათვლით, ეს მრავალტომეული არა მხოლოდ მაიროკერის თხზულებათა დიაპაზონის დოკუმენტაციაა, არამედ – იმავდროულად – თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურის განვითარების გზათა და შესაძლებლობათა პანოპტიკუმიც არის. 2004 წელს გამოცემული პოეტური თხზულებანი კი 850 გვერდზე მეტს შეიცავს, ლექსთა უბრალო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შედგენილი და მოიცავს ყველაფერს, რაც 1939-დან 2003 წლამდე პოეზიაში შეუქმნია ავტორს. ამ წიგნში უკანასკნელ წლებში შექმნილი 100-ზე მეტი გამოუქვეყნებელი ლექსიც არის შესული, რაც, თავის მხრივ, ერთ დამოუკიდებელ წიგნადაც შეიძლებოდა შეკრულიყო.

თითქმის კიდევ უფრო გასაკვირი, ვიდრე მაიროკერის ტექსტთა გიგანტური კორპუსი, ის გარემოებაა, რომ აღნიშნული კორპუსი ავტორის ყოველი აქტუალური ნაწერისთვის ასეთ მცირე როლს თამაშობს. რა თქმა უნდა, მან წლების განმავლობაში წერის ისეთი ტექნიკური მრავალფეროვნება და ჩვევები გამოუმუშავდა, მყიფე ენობრივ მასალასთან ურთიერთობას რომ უიოლებს. და მაინც, მაიროკერისთვის წერა არც ჩვევად ქცეულა და არც – ხელობად, რითაც აიხსნება კიდევ ბევრი ტეხილი და გარდამავალი ეტაპი, რაც მის თხზულებათა ნაკრებში ჩანს, გამომდინარე არა იმდენად სტილისტური ამოცანების გადაწყვეტებიდან, რამდენადაც – პირიქით – მათში უწყვეტი დაეჭვებიდან, მათგან გადახრიდან ან მათი უარყოფიდან.

ამასთან, 1970 წლის მერე, გადამწყვეტი განსვლა იწყება. მის მიერ „მოთხრობად" სახელდებული ტექსტიდან – *შემოღრუბლული მწვერვალი* – მოყოლებული, მაიროკერი უარს ამბობს ცალკეულ ტექსტთა წარმოების პირწმინდად ექსპერიმენტულ ქმედებაზე და მიიქცევა წიგნების შექმნისკენ, რაზეც დღემდე რჩება ორიენტირებული. წიგნთა პუბლიცირების საგამომცემლო ტექნიკური შესაძლებლობები აქ მხოლოდ გარეგნულ ჩარჩოს ქმნიან. ამიერიდან ეს ჩარჩო შინაარსობრივადაც და ფორმითაც წიგნიდან წიგნამდე ახლდება, მოდიფიცირდება და ვითარდება. დაახლოებით 1970 წლიდან მოყოლებული, ავტორი მიწყივ მორიგ აქტუალურ პროზაულ წიგნზე მუშაობს, და სწორედ ამ ერთი წიგნის წერა ნიშნავს იმასაც, რომ ყველა აქამდელი წიგნი არა მხოლოდ დასრულებული, არამედ საერთოდაც უკვე ხელახლა დავიწყებულია.

მაიროკერის ლირიკის შემთხვევაში კი განსხვავებული ვითარება გვაქვს: მას მერე, რაც 60-იან წლებში მისი ლირიკა და პროზა ერთმანეთისგან აღარც კი განირჩეოდა და თავად ავტორი 1960 წელს გამოცემულ თავის მნიშვნელოვან კრებულს – *სიკვდილი მუზებისგან* – „პოეტური ტექსტების" კრებულად მოიხსენიებდა, ლექსების წერა მისთვის დიდ პროზაულ ნამუშევართა ციკლებისა და რიტმების თანამდევ უწყვეტ საქმედ იქცა. განანგრძლივებული ტრემოლოსავით ნაწყობილან ეს ლექსები პროზაულ წიგნებზე ან მათივე გვერდით; ზოგ შემთხვევაში, ლექსები ამ წიგნებში არსებულ ენობრივ მასალას აცხრებიან, რათა სწრაფ ფორმებად გადაამუშაონ – სწორედ ისე, თითქოს მოცემული ფრაზა, ამ ბგერითი ცახცახით ატანილი, პროზაულ კონტექსტში თავის მოგვიანო ადგილს ველარ დალოდებოდეს. ასე წარმოიქმნებიან უწყვეტად ლექსები და, იმავდროულად, წიგნადი ფორმისა და წიგნის ბაზრის სხვა გასათვალისწინებელ ფაქტორთა მიღმა რჩებიან. უფრო შემთხვევით, ვიდრე გათვლით, გამთლიანდებიან ხოლმე ისინი ერთ კრებულად, თუ საკმარისად თავს მოიყრიან, ან წიგნში ისე აღმოჩნდებიან, როგორც ეს ავტორის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად გამოცემული ერთტომეულის შემთხვევაში მოხდა.

II.

მაირიოკერის პროზა წერის სპეციფიკური სახით არის წარმოდგენილი. მსგავსად ლირიკისა, პროდუქციაზე მითითება აქაც ტექსტთა ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, ტევად ფორმად აღიქმება. როცა მაირიოკერის წერის რაგვარობას ეხება საქმე, გასათვალისწინებელია მისი წერის უწყვეტი პროცესი, დაკვირვებებისა და შეგრძნებების გამუდმებული ჩანიშვნები, ამ ჩანიშვნებისა და მასალების შეგროვება, მათი რაოდენობრივი ზრდის ხელშეწყობა და ნაპირებიდან მათი გადმოსვლა. იმავდროულად კი, ასეთივე მნიშვნელობას იძენს ენობრივი წესრიგი, ანუ – რედუქციის ის პროცესები, რომლებიც წარმოქმნად ტექსტთა თანამდევი ხდება და იქამდე გრძელდება, ვიდრე ნაწერი ესთეტიკურ ავტონომიას მიაღწევდეს და გამოქვეყნებისთვის მზადმყოფი გახდებოდეს. ავტორი რომ ფორმით ენაში ცხოვრობს (რაც მის შესახებ დაწერილ ურიცხვ სტატიასა თუ ესსეში აღინიშნება), მხოლოდ მეტაფორაა და მეტიც არაფერი. მაირიოკერის შემთხვევაში კი ეს მეტაფორა ხორცშესხმულია: ფოტოებზე, რომლებზეც ვენაში მისი ბინაა გადაღებული, დოკუმენტირებულია ის ქაოსური გარემოცვა, რომელშიც მწერალი ქალი უკვე ხუთი ათწლეულია ცხოვრობს და რომლის ატმოსფეროც მან ჯერ კიდევ თავის ადრეულ ლექსში ღარიბი საცხოვრისი აღწერა.

ოთახში ენობრივი მასალები კოშკებად აზიდულან, ჩასანიშნი ბარათები სარეცხის თოკებზეა მიმაგრებული ან – სტიროპორის ფილებზე მიკრული. ნაწერებით აჭრელებული ხელსახოცებით და მუყაოს ერთჯერადი თეფშებით, წიგნებით, წერილებით, ათასგვარი ქაღალდით დახუნძლულა სივრცის შუაგულში განთავსებული როიალი, რომელიც როიალად უკვე თითქმის აღარ აღიქმება. წერის პროცესში გადაშვებულ, სამუშაოში დანთქმულ ავტორს თვეების და, ალბათ, წლების განმავლობაში ერთადერთი კომპაქტდისკის მეტი არაფერი მოუსმენია და გამეორების ღილაკს ამ დროს მისთვის მართლაც კარგი სამსახური გაუწევია. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორ ფორქერას, როცა ავტორი მორიგ წიგნზე – Lection – მუშაობდა.

მსგავს მელოდიებთან ერთად, მაირიოკერის სამუშაო და წარმოსახვითი სივრცის, შესაბამისად კი, მისი ლექსების ბინადრებად გადაქცეულან ამონარიდები წიგნებიდან და სურათებიდან, ნახატებიდან და გრაფიკული ნამუშევრებიდან. პოეტის შემოქმედების ცალკეულ ინტერპრეტაციათა ერთ რიგში მითითებულია, რომ მისი ლიტერატურა ინტერმედიით პერმანენტული სარგებლობის ნიმუშია. ჭარბად იღვრება ბგერები და სურათ-ხატები; ხდება სახეობრივი, სმენითი და ენობრივი ნყვეტები, ხატები აღდებიან და მისი დეტალებიც უჩინარდებიან – სურათ-ხატთა და ტექსტთა შრეებს შორის საზღვარი უქმდება.

ეს არის სუნით, გემოთი და შეგრძნებებით გამოწვეულ შთაბეჭდილებათა სინესთეზიური თეატრი, რომელიც მაირიოკერის ლიტერატურაში თამაშდება და, უცხო მასალებთან დაკავშირებული, გიმნაზიაში სწავლის დროს ნანახ ერთ-ერთ უმშვენიერეს საკულტო ფილმს მახსენებს: აბება შთანთქავს ქალამანას. ხოლო ამ ცხოველებს თუ მთელი მათი სისრულით წარმოვიდგენთ, მაშინ უშველებელ ჯოგს მივიღებთ, რომელსაც მაირიოკერის ტექსტები და ლექსები ბადებს. ჟან პოლის, კლაისტის, ჰერდერის, ჰოლდერლინის, ჰოპკინსის, ბრეტონის, ბეკეტის, ჯოისის, გერტრუდა სტაინის, ალექსანდერ კლუგეს, თომას კლინგის ნამუშევრებს, ყველასგან პატ[illegible] დერიდას ჩათვლით, მისი ტექსტ[illegible]ტავენ, როგორც – ბახის, შუბერტის, შუმანის, შონბერგის, Beatles-ის, Rolling Stones-ის, Mothers of Invention-ის ან ჯონ კეიჯის მუსიკას. ტარკოვსკის, გრინუეის, ჯოტოს, ტინტორეტოს, გოიას, ვან გოგის, კლიმტის, დალის, თომკუნსის, პიკასოს, მაგრიტის, შაგალის, ჯაკომეტის, კუბინის, კლეეს, მაქს ერნსტის, ფრენსის ბეკონის, ანტონი ტაპიეს, მაქს ვაილერის, არნულფ რაინერის, გერჰარდ რიხტერის, მარია ლასნიგის, როლანდ გოეშლის, მიმო პალადინოს, როლანდ ტოპორის თუ ენდი უორჰოლის სურათები და სასურათე მოტივები ამოყვინთავენ და ყველაფერს ფარავენ.

ყველა ასეთი შთაბეჭდილების თავმოყრის ადგილი ქაოსურობით ცნობილი „დაწყევლილი სახლია", რომელშიც – როგორც წიგნებიდან ვიცით – გამუდმებით რაღაცას ეძებენ, საძიებელ ობიექტს კი, როგორც წესი, შემთხვევით პოულობენ. იმავდროულად, ბინაში გამეფებული ქაოსი ნიშანდობლივ კონტრასტს ქმნის კონცენტრაციის იმ უმაღლეს ხარისხთან, რასაც ენობრივი მასალების დამუშავება მოითხოვს. ენასთან ურთიერთობაში ეს კონცენტრაცია, პირველ რიგში, იმ საკორექტურო ვარიანტების სიმრავლეში იჩენს თავს, რომლებიც თითოეული ტექსტის თუ ლექსის თანმხლებია. მაშინ, როცა ავტორი, წერის დაწყებისთანავე, ყოველმხრივ ეხსნება სინამდვილის აღქმას, წერის მოგვიანო სტადიებზე საქმეში ერთვება უმკაცრესი დისციპლინა. მაირიოკერის ლიტერატურა ნებისმიერ ასოციაციათა გორგალს კი არა, პოეტოლოგიურადაც კი უზუსტესად გათვლილ ფორმას წარმოადგენს.

III.

რამდენადაც ეს პოეტოლოგია წინდაწინ ცნობილ თეორიულ კონცეპტებს არ თანხვდება, მისი ნათელყოფა განსაკუთრებით 60-იან წლებში შექმნილ იმ ტექსტებში ხდება, რომლებსაც, როგორც წესი, „ექსპერიმენტულს" უწოდებენ. ეს ტექსტები ექსპერიმენტის თეორიის მადლიერი არიან უპირატესად ლიტერატურული ტექნიკის სფეროში, მაგრამ გადაჭრით ზურგს აქცევენ მას იქ, სადაც ექსპერიმენტის თეორია ლიტერატურის საყოველთაო წარმოებადობას ამტკიცებს. 1971 წელს გამოცემულ მის კრებულში ფანტომიფანი შესული ტექსტი *ამკენკე, ჩემო როიალო*... აამკარავებს მაირიოკერის ადგილს. „პოეტური ქცევის ინსტრუქცია", რომელსაც ტექსტის ქვესათაური გვპირდება, სწორედაც რომ



არ მოგვეცემა. ამის სანაცვლოდ, ავტორი თანმიმდევრულად განამწკრივებს ქცევის შეუსატყვის ინსტრუქციებს – ისეთებს, ავტორის მაშინდელი (და სამომავლოც) წერის პროცესის რელევანტური რომ არის, და – ისეთებსაც, პირწმინდად ენობრივი დამუშავების ტკბობას რომ პასუხობს:

ნუ იცხოვრებთ მშრალზე!
მოინახულეთ თქვენი ბავშვობის ადგილები!
მისდიეთ აბსტრაქტულ აკრობატიკას!
შეიმოსეთ კიბორჩხალებით!

როცა ტექსტის ზედაპირზე ექსპერიმენტული წერის ფორმალური მახასიათებლები – მაგალითად მწკრივები და პარალელური სტრიქონები – დომინირებს, ჩვენი ავტორი შინაარსობრივად ამ ყველაფერთან ნაკლებად ჰარმონიზებად პოეტური შთაგონების სფეროს მიმართავს. ფრენის მეტაფორა, რომლის საზღვრებშიც ეს ხდება, უკვე ტექსტის სათაურიდანვე ჩაწერილი და ტექსტის მიწურულს ძლიერ აქცენტირებას განიცდის:

დააფრინდით ჯოჯოხეთურ მეტყველებას!
ჩააგდეთ საფრთხეში ეკერი და ფარგალი!
ცოტა უფრო მეტად შეარხიეთ ენა!
მიახეთქეთ იგი კედელს ისე, რომ იყვირის!
ჰაერში მასთან ერთად თავქვე იმგზავრეთ!
და, მან გვერდით ჩაგიფრინოთ!

(მსუბუქი ქარსაცმელი – ნაშუადღევი ქრელია... ცხელა)

ულამაზესად მიმოფრინდით!
ცოტათი ქვემოთ ჩამოფრინდით!

(მოწითალო ზანტი ზეთვალი ... მთვრალი ყმაწვილის –)

(გადაუფრინეთ თქვენივე თავს და შორს მოიტოვეთ!
გადაუფრინეთ თქვენივე თავს და შორს მოიტოვეთ!
გადაუფრინეთ თქვენივე თავს და შორს მოიტოვეთ!

და გაუჩინარდით!

ლიტერატურის საყოველთაო წარმოებადობის მიმართ ეჭვი მაირიოკერმა 15 წლის შემდეგ პირდაპირ გამოთქვა. აი, რა[illegible] ენისა და სიტყვიერების გერმანული აკადემიის წევრად მის არჩევასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში:

„ისევ და ისევ მაწუხებს კითხვა, თუ რატომ არის დღესდღეობით საეჭვო, ანაქრონისტულიც კი, ლაპარაკი შთაგონებაზე, ნიჭზე, იმაზე უფრო მეტი ხალისით საუბრობენ, რომ თითქოს ნებისმიერს შეეძლოს *ტექსტის წარმოება*. ვაცხადებ, რომ ეს მე მეეჭვება" (სამყაროს განჭვრეტილი სურათი, თვითდახასიათების მცდელობა).

ამ თვალსაზრისით, *ამკენკე, ჩემო როიალო...* უკვე გვთავაზობს, სულ მცირე, ორმაგი წაკითხვის შესაძლებლობას. ტექსტის პოეტოლოგიური ადგილი ის შორისდებული ზონაა, რომელიც წარმოების ექსპერიმენტული წესით წვდომადობითაც არის ნიშანდებული და – ამ გაგებითაც, რომ ამ წესის მექანიკური გამოყენება თვით წერის საავტორო პროცესისთვის გადამწყვეტი სულაც არ არის.

ექსპერიმენტული ლიტერატურის თეორეტიკოსებმა ადრევე შენიშნეს, თუ რამდენად უგანეს მაირიოკერის მიერ 60-იან წლებში შექმნილმა ტექსტებმა ექსპერიმენტის თეორიას. მისი ტექსტების წიგნის – *მინიმონსტრის სიზმრის ლექსიკონი* (1968) – ბოლოსიტყვის ავტორი მაქს ბენზე ღიად მიუთითებს წაჩვევი ექსპერიმენტული წერის მეთოდის საზღვრებშივე მაირიოკერის მიერ პრაქტიცირებულ გაფართოებაზე. ბენზეს თანახმად, მაირიოკერთან თუმცა კი საცნაურია ისეთი „საკომპოზიციო ტექნიკები", როგორიც „გამწკრივება" ან „ალიტერაციის სქემაა", მაგრამ იქვე უკიდურესი სიჭარბით წარმოჩნდება „ამოფენის" „ჰიპოტიპური" მანერა, მოქმედება, რომელიც „მეტყველების მეტაფორული წესის წერვს" წარმოქმნის. მოგვიანებით მაირიოკერზე დაწერილ მნიშვნელოვან წერილებში ეს აზრი გაიმეორეს რაინჰარდ პრისნიცმაც და პეტერ ვაიბელმაც.

IV.

სამყაროს ერთობ სპეციფიკური აღქმა მაირიოკერს წერის ამოსავალ წერტილს სთავაზობს. რეცეპციის მუდმივი პროცესი, რაც იმთავითვე უწყვეტი ჩანიშვნებისა და ამ ჩანიშნულთა თავმოყრის – როგორც ენადქცევის – ხდომილებად არის წარმოდგენილი (და უფრო მეტიც: სამყაროს დამწერლობის ხდომილებად), უშუალოდ მწერლური დამუშავების შესაძლებლობისგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლადაც კი არ წყვეტს მოქმედებას. ამიტომ, მაირიოკერს ხშირად არც კი შეუძლია იმის თქმა, თუ რისთვის ინიშნავს მოცემულ მომენტში. გამოიყენებს თუ არა და თუ როგორ გამოიყენებს ჩანიშნულს საკუთარ ტექსტებში, ამას ის მხოლოდ მოგვიანებით გადაწყვეტს.

როცა ჩვენი ავტორი აღქმის მისეულ ფორმაზე ლაპარაკობს, ამ დროს საუბარია მოსმენაზე და მზერაზე, „ვერმოსმენაზეც" და „არაანირად ამოკითხვაზეც"; ყნოსვის, გემოვნების და შეხების შეგრძნებები, ამის საპირისპიროდ, უფრო არარელევანტური ჩანს. თავად მაირიოკერმა ერთხელ საკუთარი თავი დაახასიათა, როგორც „თვალის ადამიანი" და შემდეგ დაასკვნა:

„შემიძლია თვალისდახამხამებაში მეტაფორად იმის გადაქცევა, რასაც მე ვხედავ, რაც ჩემს მზერას იპყრობს, ანუ სურათხატი ბედნიერ გარემოებათა წყალობით მყისვე სიტყვად გადაიქცევა".

აქაც გამოცდილების კონსტრუქციულ მომენტზეა ყურადღება გამახვილებული: ის, რომ ენობრივი სურათხატი რეალობის აღქმასთან ერთად იბადება, ნიშნავს: ენა სინამდვილეს კი არ ექვემდებარება, ის თვითკმარ სარეცეპციო ქმედებას წარმოადგენს. ეს ასპექტი მაირიოკერთან დაკავშირებულ გამოკვლევებში საგანგებოდ გამოკვეთა ზიგფრიდ ი. შმიდტმა. სიტყვათა თუ სურათხატთა სხვა შინაარსის მისაგნებად და იმ „ტრანსრეალურ მიმართებათა" და „რილვათა" სანარმოებლად, წერისთვის არსებითნი რომ არიან, დამკვირვებელი და მწერალი სუბიექტი ზოგჯერ საკუთარ იდენტობას თმობს. თავად მაირიოკერი განსუბიექტივირების ამ პროცესს აღწერს, როგორც თვითდაქუცმაცების და თვით-დამცრობის პროცესს, რომელიც შეიძლება „ლაქუცურ" ქცევამდეც კი დავიდეს.

წერისას მისაღწევი სიზუსტე არ უნდა ავურიოთ რეალისტური რეპროდუცირების სიზუსტეში. დაკვირვების წესი, რომელიც საფუძვლად უდევს სიზუსტის პირველ ტიპს, თავის თავში გაკვირვების შემცველია, ანუ – იმ მზერის, რომელიც მზამზარეული დარწმუნებულობისგან და სინამდვილის ინტერპრეტირებისგან დაცულია. მაირიოკერთან ისიც აშკარაა, რომ ეს გაკვირვება, როგორც პოეტური მზერის მოდუსი, ბავშვობიდან მოდის. ავტორმა თავისი ბავშვობის ზაფხული (როგორც მის უცნობილეს ლექსს ჰქვია) ერთ პატარა ქვემოავსტრიულ სოფელ დაინცენდორფში გაატარა. როგორც მაშინ ლემფირკანტპოფს და პაპის ბაღს იკვლევდა (სახელდობრ, როგორც ცნობისმოყვარეობისა და შიშების ადგილს ერთდროულად), ამგვარადვე აღიქვამს მაირიოკერი მოგვიანებით იმ „საზარელ" ფაქტს, რომ ის „საკუთარ" ლიტერატურას ქმნის. წერის ინიციაციის მომენტი ავტორის მიერ გაკვირვებით რეგისტრირდება:

„მე, ჰერმეტული ბავშვობის მერე, არაფრის საქმის კურსში მყოფმა, განსაკუთრებული წინასწარი ნიშნებისა და სამხილების გარეშე, აღმოვაჩინე, როგორც რაღაც საშინელი, რაღაც წარმოუდგენელი: მე საკუთარ პოეზიას ვქმნი".

V.

წერის უწყვეტობის შესანარჩუნებლად, ენაში მოცემული მექანიზმები უნდა იქნას გამოვლენილი და – წერის პროცესში წარმოდგენილი. მაგალითად, ენობრივი რიტმის შესახებ, მაირიოკერის პოეტიკაში ცენტრალური მნიშვნელობა რომ ენიჭება, ავტორი ამტკიცებს: „მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რიტმი, დიახ, გასაღვიძებლად უნდა შევჯანჯღარდეს, რადგან მას სწორედ ენაში სძინავს, მხოლოდ გამოფხიზლება ესაჭიროება, გასაღვიძებელი შეჯანჯღარება, არა, გასაღვიძებელი კოცნა, ხომ ასეა". იმას, თუ რარიგ ძლიერ „შეჯანჯღარდება გასაღვიძებლად" ის, რასაც ენაში „სძინავს", უშუალოდ ტექსტთა წარმოშობის პროცესი გვიჩვენებს. მაგალითად, 1981 წელს გამოქვეყნებული ლექსის – *სიყვარულის შესაქმე* – სამუშაო ვარიანტების გადათვალიერებაც კი ნათელყოფს, რომ მწერლური შრომა აქ დისტანცირებულ არამჟირებად კი არ წარმოსდგება, არამედ ბავშვური თამაშის მსგავსია. ამგვარად, საფუძვლადმდებარე პირველი ჩანაწერები ქაღალდზე იმდენ ხანს მი-და-მოძრაობენ და მათი საპირისპირო რეაქციების გათვალისწინებით მოწმდებიან, ვიდრე, მრავალი საკორექტურო საფეხურის გავლის მერე, ბოლოსდაბოლოს, სატექსტო მდგომარეობას მიაღწევდნენ:

**სიყვარულის შესაქმე**

ხანჭკოლები, მფეთქავ
ღამეში, **ავრორა**, უცბო
არკადია, იქ
სიამოვნებით ვიქნებოდი შენთან ერთად –
შენ იყავი
მაშინ მწვანე ან ნაბლისფერი
თავქვე ქუჩაზე, მაშინ შენ ია
იყავი, ყასმინი –
მე შენ გხედავდი
თეთრს ან მწვანეს
ქუჩაში, მძლავრ
წითელნაბლისფერ წიფლნარში, ღია ნაცრისფერ
მტრედებში, ჟანგში
გახუნებული თეთრი
იასამანის... ოჰ,
ნასესხები სიყვარული
იდენ, რაც
მკერდს
აძძიმებს!

ტალავრები, გასხეპილი
ტყე, კენწეროები რარიგი ცახცახით

ეჩვევიან ერთურთს, ბზათა
თაღები, მინდვრის
გაუჩინარებული საწოლი, POUR ELISE
ცარიელი, ღია ავტომობილიდან...
რის ჭიქა... დამტვრევა /
დათვლა / დაჭედილი
დანარტყამი / ყველაფერი / მე
მკლავებში ვიქცევ ჩემივე თავს
[...]

ავტორისთვის ფონეტიკური მსგავსება ხშირად ხდება ახალ ენობრივ გამოთქმათა წარმოქმნისა და წარმოჩენის საბაბი. ერთადერთი სიტყვის მიღმა ხშირად მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა მთელი მწკრივები განიშლება; ამ სიტყვებს შორის კი გადახლართვა და ჯაჭვური რეაქციები მიმდინარეობა. ასეთ პროცესის თვითმხილველნი ვხდებით *სიყვარულის შესაქმის* – თეთრი ვარიანტის ჩათვლით – ბოლო სტრიქონთა შემთხვევაში. სერია „*დამტვრევა*" – „*დათვლა*" – „*დაჭედილი*" – „*დანარტყამი*" ძლიერ აჩქარებს ტექსტის ბგერწერას და ამით ამზადებს საჭირო სივრცისკენ ფინალურ შემობრუნებას.

ლექსის წერა მაირიოკერისთვის „რაღაც ერთობ ორგანულის" კულტივირებას ნიშნავს. წარმოქმნილი ტექსტი ზოგჯერ განიხილება, როგორც „ბელოვნური ცოცხალი ორგანიზმი"; ენის სამწერლო კვლევას ამ ვითარების გათვალისწინება უწევს. ასე საჭიროებს, მაგალითად, წარმოქმნის პროცესში მყოფი ტექსტი მოსამწიფებლად გარკვეულ დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ ჩანაწერები, ხანგრძლივი დახანების მერე, დაიფუფქებიან და დაიშლებიან, როგორც ამას აღწერს ავტორი ტექსტში *ჩემი გული ჩემი სახელი ჩემი ოთახი*:

„[...] ყველა ეს ჩაწანერი, დიდხანს თუ დარჩება მოუწესრიგებელი, ჩემს თვალწინ ისე დაიშლება ასოებად, თითქოს მარილმჟავაში ჩამეყარის, ყველაფერს დაშლის, თუ გადათეთრების პროცესი უშუალოდ ჩანაწერებს არ შეუერთდება, ყველაფერს დაშლის, თეთრად ნაწერი დროულად თუ არ შეუერთდება პირველ ჩანაწერებს, ყველაფერი აზრს დაკარგავს, სუბსტანციას დაკარგავს, ცარიელ მასრებს დაემსგავსება, გამოუსადეგარს, წამხდარს, დაემსგავსება დალეულ მშვენიერ სულს, ყოვლისშთანმთქმელი ცეცხლის მიერ ნაცრადქცეულს!, ასე შეიძლება ასი და ასზე მეტი გვერდიც კი ნაკუწებად იქცეს [...]".

ჟანრებს შორის, წარმოების მაირიოკერისეულ წესში, მუდმივი განსხვავებები აშკარავდება: მაშინ, როცა პროზაული ტექსტების მომზადება კონცენტრაციის ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს, ლირიკული პროდუქცია სპონტანური და მოულოდნელი „სხეულებრივი შეგრძნებებით" აღმოჩნდება ბიძგმიცემული; ნაწერი „ემიგრანტი ბიძგი" „გამოტყორცნის" სიტყვებს, რომლებიც მცირე დროის განმავლობაში ლექსებად გადამუშავდება. თავად ლექსს ავტორი „მოკლე ჩართვის ფიქრებს" ან „მოკლე ჩართვის შეგრძნებას" ადარებს. ეს საბეჭდ მანქანასთან ავტორის ტანის გამართულად დაჭერაშიც კი გამოიხატება:

„მე სხვადასხვაგვარად ვზივარ საბეჭდ მანქანასთან, იმის მიხედვით, თუ რა სახის ტექსტს ეხება საქმე. ლირიკის შემთხვევაში ალბათ უფრო მოშვებული ვარ, მე ეს ერთხელ სახვით ხელოვნებასაც შევადარე, შევადარე აკვარელზე მუშაობასა და პლასტიკაზე მუშაობას შორის განსხვავებას, და ამ უკანასკნელს პროზა შეესატყვისება. პროზაზე მუშაობისას ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თავი ძალზე მკაცრად მიჭირავს. აქ ისეთი დაძაბულობაა, ხანგრძლივად რომ უნდა შევინარჩუნდეს. ამ შეგრძნების აღსანერად სიამოვნებით ვიყენებ ინგლისურ სიტყვას „suspended", აქ ყველა დანარჩენი ერთზეა დამოკიდებული, ყველა დანარჩენი არაარსებითია. ამ ბოლო ლირიკული კრებულის შემთხვევაში იაე გამოვიდა, რომ მე ყველაფრის მიხედვით ვიცოდი, – ეს მხოლოდ ერთი ლექსი უნდა ყოფილიყო, რომელიღაც ინგრედიენტები – ასე ვთქვათ – წინასწარ იყო მომზადებული იმისთვის, რომ ლექსი გამოსულიყო" (ინტერვიუ ფრიდერიკე მაირიოკერთან, Die Presse, 23.1.1993).

ზემოთ ციტირებული ლექსის – *სიყვარულის შესაქმე* – შექმნის პროცესში აშკარავდება მაირიოკერის პოეტური მასალის შინაგანი წესრიგი: სათითაოდ მოძიებული და პირველ ბარათებზე დატანილი შთაბეჭდილებებიდან ბაღის მთელი ლანდშაფტი აიგება; ადრეული ჩანაწერი *ხანჭკოლები, მჟღერთაც ლამეში* უკვე შეიცავს „ჟასმინის", „ფოთლეულის", „ტალავერთა" და „ბზის" გარემოცვას. მაგრამ ბაღში, რომელიც ყოველთვის კონკრეტის ბაღია, არა მხოლოდ ოპტიკური შთაბეჭდილებები მოიპოვება, არამედ – აკუსტიკურიც: „ცარიელი, ღია ავტომობილიდან" საფორტეპიანო კომპოზიცია „POUR ELISE" ისმის.

თავად სიყვარულის ობიექტი, სავარაუდოდ, ბაღში ფიზიკურად იმყოფება, ის ინტიმური და იმავდროულად იდენტურობის შემწილბავი „შენ"-ით აღინიშნება და მასში ლანდშაფტის ფერები აისახება: შეყვარებული ბაღის მცენარეებივით მწვანე ან წაბლისფერია, რითაც ნადილს, იმავდროულად, სიყვარულის მინავლებისა და შესაძლო ქვნობის ფორმა მიეწერება. ეს მზერის წინაშე წარმომდგარი სევდიანი, მელანქოლიური ბაღია. მასში ისამხის ფურცლებს ქანგი მოსდებია, მინდვრის საწოლი გაუჩინარებულია – ეს უცხო არკადია და დაკარგული სამოთხეა.

ლექსის სათაური იმითაც არის საინტერესო, რომ ის *სიყვარულის შესაქმის* ავტორის საკითხსაც წამოჭრის. სიყვარულთან დაკავშირებით „შესაქმეზე" საუბარი ასოციაციურად პოეზიის „შესაქმეს" გვახსენებს, რომლის ნიმუშიც თვით ეს ლექსია, სახელად *სიყვარულის შესაქმე*. ხოლო თუ სიყვარული, პოეზიის მსგავსად, შეიძლება შესაქმედ წარმოგვიდგეს, მაშინ ის უნებლიეთ სულაც არ არის მოცემული, არამედ შექმნილია პოეტურად.

ისევე, როგორც ბაღი არ არის ლექსში ბუნებრივად მოცემული, არამედ პოეტურად კონსტრუირებულია. ასეთი *„სიყვარულის შესაქმის"* პარადოქსების რიგიდან არის ისიც, რომ მისი კონსტრუქცია გარეგნულად იმდენადვე წარმატებული ჩანს, რამდენადაც მტკივნეულად იქნა განცდილი შინაგანად მისი წარუმატებლობა. ასევეა აღნიშნულ ლექსშიც: მე, რომელიც წერს, ბოლოს მარტო იხევს უკან და თავის სიყვარულის შესაქმეს – სწორედ ამითვე – ბრწყინვალედ აღასრულებს.

VI.

თუ მაირიოკერის ადრეულ ლექსებში, განსაკუთრებით კი 60-იან წლებში შექმნილ იმ ლექსებში, რომლებშიც ენობრივი მონტაჟის ტექნიკა ხაზგასმულად წინა პლანზე გამოდიოდა, რის გამოც ბევრი ამ ტექსტთაგანი – მიუხედავად ენობრივი მასალის ემოციური მუხტისა – შეიძლებოდა (არასწორად) აღქმულიყო პირწმინდად ფორმალურ ეტიუდებად, მისი გვიანდელი ლექსები – ნაწილობრივ გამიზნული პროვოკაციების გზით – ავტორის სოციალურ გარემოსაც გამოწვევის ობიექტად აქცევენ. ფრანც შუჰ, ამასთან დაკავშირებით, მაირიოკერის შემოქმედების თითქმის უწანამძღვრო აუცილებლობას და, შესაბამისად, დამაჯერებლობის ძალას გაუსვა ხაზი და ნიმუშად მოუხმო პოეტის ლექსს სათაურით *ოთხტაეპედი ე. ი.-სთვის*:

შენ ხარ ბატონი
მე ვარ მსახური
მე ვარ საპალნე ცხოველი
(სამართლიანად) („საუბედურო ცხოველი")

მაირიოკერის ლირიკის სოციალური განზომილებისა და გამოყენებითი ხასიათის სხვა ნიმუშია მისი ლექსი ახლა მეტი არ გარეწრების განწყობაში, რომელსაც ავტორი ოფიციოზურ შემთხვევებს (ღირსება-დამსახურებათა აღნიშვნები, საიუბილეო ზეიმები) უძღვნის და რომელშიც მისთვის არასასურველი საჩუქრებიდან ზოგიერთ ნივთს ჩამოთვლის:

არ მგვრის სიხარულს როცა მავანი დაპრესილ ყვავილებს
ან 200 მილიონი წლის წინანდელ ლავაქვიშას მიგზავნის
არ მგვრის სიხარულს ჩემს კართან დატოვებული ყვავილები
სტუმართა მიერ მორთმეული ყვავილების თაიგულები –
ასეთმა სიმბოლოებმა ჩემთვის უკვე ყოველგვარი აზრი
დაკარგა და ცარიელ და პრეტენზიულ ჟესტებად იქცა.
მართლაც არ ვიცი სად და როგორ ვარ, მხოლოდ ის ვიცი,
რომ ძველი PIANO PONY ჩემი კომეტაა და ჩემთან ერთად ტირის.

ასეთი ერთი შეხედვით უბრალო წინადადებების ზემოქმედების შესახებ რამდენიმე წლის წინ მეც ზუსტი წარმოდგენის შექმნა შევძელი: ერთ-ერთი იმგვარი მაღალწარმომადგენლობითი ლიტერატურული ზეიმის დროს, როგორიც საშუალო სიდიდის ქალაქებში დროდადრო იმართება ხოლმე, თავისი მაშინდელი ლეზუნგის მიწურულს მაირიოკერმა სწორედ ეს ლექსი წაიკითხა. მაშინდელი ობერბურგომისტრის (მოქმედება დარმშტადტში ხდებოდა) ასისტენტმა ქალბატონმა, რომელსაც ყვავილების უშველებელი თაიგული მოჰქონდა, პოეტის მიერ სწორედ ამ სტრიქონების წაკითხვისას მიაღწია დარბაზის შუაგულს.



თავისთავად არაფრით გამორჩეული შემთხვევა იყო, თუ მაინცდამაინც თაიგულის ზომებზე არ გავამახვილებთ ყურადღებას (თაიგულს ერთ მხარეს ფარშავანგის ფრთების სიდიდის ეგზოტიკური ფოთლები ეკიდა). როცა ასისტენტმა სცენაზე წარმოთქმულ სიტყვებს ყური მოჰკრა, არც თუ ჩქარი სვლა დაამუხრუჭა, უმალ პირველი რიგისკენ შეუხვია და გეზი იმ ადგილისკენ აიღო, სადაც მისი შეფი იჯდა. შეფის მზერამ კი ასისტენტს წამიერად ანიშნა, როგორც უნდა მოქცეულიყო. სიგნალი მკაფიო და ლაკონური იყო: დაგეგმილი ჩანაფიქრის შესრულება. რამდენიმე წამის მერე ყვავილების თაიგული მაირიოკერის მკლავებში აღმოჩნდა. აღერსიანი იერით და გარეშე თვალისთვის პროფესიულად დაუცველი გამომეტყველებით შეხედა მაირიოკერმა ჯერ ბოლო წუთებში სიურრეალობად გადაქცეულ მცენარეულს, მერე კი – პუბლიკას. როცა ხანგრძლივი ტაში ჩაცხრა, არასასურველი საჩუქარი, რომლის არსებობაც აქამდე მხოლოდ ასატანი იყო, უკვე სასცენო მაგიდაზე ესვენა. იქ ეს თაიგული ასისტენტმა ქალბატონმა ბატონი ბურგომისტრის ზედმიწევნით აქტიური დახმარებით გადაიტანა. როცა პოეტმა პუბლიკას მადლიერების ნიშნად საბოლოოდ დაუკრა თავი, ეს მან ბალასტისგან თავისუფალმა მოიმოქმედა.

მაირიოკერის ტექსტების არსებობის წესის საკითხი უკანასკნელ ათწლეულებში კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაყოფიერი განხილვის თემად იქცა. საკითხი მოიცავდა ავ-

ტოპოეტურ სისტემებს, ასოციაციურ კავშირებს, კრისტალურ პოეტურ ფორმებს, ასევე – წერის ხანგრძლივ პროცესში ცხოვრებისა და წერის შორისმიმავალ ურთიერთშესატყვისობას. დარმშტადტში დაფიქსირებული სკანდალური ეპიზოდი, ალბათ, აქაც გამოდგება აუცილებელ განსხვავებათა წარმოსაჩენად: ამ ავტორთან ისეთი [illegible]ბით, როგორც ზოგჯერ თეორიებში აღიწერება, სულაც არ იშლება ზღვარი ცხოვრებასა და წერას შორის [illegible] როლები, რომლებსაც მაირიოკერი თავის ტექსტებში ირგებს და მერე რომელთა ტევადი შინაარსებითაც თავის ენას ტვირთავს, და მეორეა სწორედ ოფიციოზურ შემთხვევებთან დაკავშირებული მისი პიროვნული უკანდახევა, მათ შორის კი მართლაც უფსკრულია. იმ სივრცის შიგნით, რომელიც მისი ლიტერატურით იხსნება და ცნობრივად აღიწერება, ავტორის ფიგურა – შავით მოსილი და უამრავი ჯიბით აღჭურვილი ან სწორედ ბარათების ქაოსით მოცულ თავის საცხოვრის-გამოქვაბულში შეყუჟული – ხშირად მართლაც მხოლოდ ყოვლად უმნიშვნელო თანმხლებ მოვლენასავით გამოიყურება.

ერთ თავის პროზაულ ტექსტში მაირიოკერმა საკუთარი წერის პროცესი დაახასიათა, როგორც „სიცოცხლის გადათეთრება“, მისი პროზაული ტექსტების სხვა წიგნში კი მისი რთული არსებობის ორივე მინიმალური წინადადება მოულოდნელად ერთმანეთის გვერდიგვერდ განთავსდა, თითქოს დიახაც მათი ყოველწამიერი ტოლფასობის აღსანიშნად: „მე ვცოცხლობ მე ვწერ“. საბოლოოდ, ამ წინადადებაშიც სიდიდეთა თანაფარდობები აღინიშნება, და სიდიდეთა ასეთი თანაფარდობებით თამაშობს წერას მიცემული ავტორი საკუთარ თამაშს. ასე წარმოჩნდება იგი თავის ტექსტებში, მონაცვლეობით, როგორც „სიტყვის მათხოვარი“ და ბედის ნებიერი ბავშვი, რომელსაც ოდესღაც მთელი ენა აჩუქეს. როგორც შემთხვევათა უმრავლესობაში, ჭეშმარიტება აქაც არა შუალედში მოიპოვება, არამედ იგი მოჩვენებითი პარადოქსის ორივე პოლუსს მოიცავს. ენისა და სიტყვიერების გერმანული აკადემიის წევრად მის არჩევასთან დაკავშირებით წარმოთქმულ და ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ სიტყვაში მაირიოკერმა ეს პუნქტი ზუსტად დააფიქსირა:

„ვინაიდან ჩემი ცხოვრება ხომ ასე მძლავრად იქნა წამახული წერის ამ ფანქრის წვერისაკენ“.

VII.

ერთხელ პეტერ სლოტერდეიკმა, ვენის უნივერსიტეტის ერთ გადავსებულ სალექციო დარბაზში, ნიცშეს შესახებ ერთი თავისი მოხსენება არცთუ ურიგო თხოვნით დაიწყო: რომ ჩვენ (ვინც ამ დროს ფანჯრის რაფებთან და კარის ჩარჩოებთან ვიყავით მჭიდროდ განთავსებულნი) მორიგი საათნახევრის განმავლობაში ფანქრის წვერზე განვთავსებულიყავით. მაინცდამაინც ნიცშეს დახმარება არ არის საჭირო იმის ამოსახსნელად, რა იყო ნაგულისხმევი ამ შენიშვნაში, და ამ სურათის თვალნათლივ წარმოსადგენად არც სხვა მრავალი ადამიანის დახმარებაა აუცილებელი. ამისათვის საკმარისია თუნდაც ორი ადამიანი და მაირიოკერის ერთი ლექსი, მაგალითად, „პოლიფონიური კვალი“, რომელშიც გარდა ამ ფანქრის წვერისა, რომელიც ფურცელს მიუყვება, სხვა მართლაც არაფერი არსებობს:

> უყურე **1** როგორ ილევა შენს თვალსა და ჩემს თვალს შორის უყურე 1
> გულსამღერი სუნთქვასამღერი გაელვება!, შენი ლაწვი ჩემს
> ხელში ჩემი ლაწვი შენს ხელში ოჰ ვაშლის ლაწვი, წმ. პეტრე
> სახურავების თავზე (წვიმაში). ზაფხულის სალყუწი ხელსაწყო / უყურე 1
> რა ელვაა უყურე 1 რა ენებანია უყურე **1** რა მოქნილი წყვილი ბაგეა უყურე 1
> რარიგი თვალის კაკალია უყურე 1 რა პასაჟია უყურე 1 რა აღმგზნები მანძილია
> ჩვენს ტუჩებს შორის რადგან შენ თვითონ შეგიძლია **1** მოხუცი კაცი
> იყო რადგან მე თვითონ შემიძლია **1** მოხუცი კაცი ვიყო [...].

სურვილები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში დასაზღვრულია, და უსაზღვრო შესაძლებლობები, რომლებსაც წერა გვთავაზობს, მტკივნეულად და დიდი დისტანციით შორდებიან ერთმანეთს რეალურ ცხოვრებაში, მიუხედავად ყველა იმ მკაფიო შედეგისა, რომელიც პოეტურ ცხოვრებაში ამ საზღვართა გაუქმებით მოიპოვება. მხოლოდ რეალური წერის პროცესში ძალუძთ ცხოვრებას და წერას ფანქრის წვერზე თავმოყრა, ხოლო მერე – ერთად მკითხველის მონადირება.

ფრიდერიკე მაირიოკერმა თავისი ლირიკული ტექსტებით მრავალჯერ ნათელჰყო, რარიგ ბასრი შეიძლება აღმოჩნდეს მსგავსი ესთეტიკური წვერი. ერთხელ მის მრავალრიცხოვან მკითხველთაგან ერთ-ერთს პოეტისთვის უთქვამს, შენს ლექსებს ჯერ კიდევ ვერ ვკითხულობ, რადგან ისინი ტკივილს მაყენებენო. მე უკვე ვიცი: ასეთი განდობის ნამდვილი ადრესატი ავტორის პიროვნება კი არა, მის მიერ შექმნილი ლიტერატურა იქნებოდა, მაგრამ, ჩანს, ეს გაზიარება როგორღაც ორივეს თანაბრად ეკუთვნის და იგი ერთდროულად მაირიოკერისთვისაც და მისი ლიტერატურისთვისაც უსაშინლესი კომპლიმენტია, ჩაწნული თუნდაც მისი ერთი ლექსის საოცრად უცხო სათაურში: *„ის, ენის სისხლიანი ღეროთი...“*

*გერმანულიდან თარგმნა ბექა ბარქაიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მონოდება**

ჩემი ცხოვრება:
საჭვრეტი ყუთი მცირე ლანდშაფტით
მშვიდი ხალხი
და ჩავლილი ცხოველები
კარგად ნაცნობი დაბრუნებული სცენარები

უეცრად ვილაც წამოიძახებს ჩემს სახელს
ცოტა ხნით ვდგავარ უქარო ხედთან
წოელვარე ფერად სურათთან

გავარვარებული ბორბალივით
მიველავები ციცაბო ფერდზე
მე გუშინდელი მოვიშორე ყველა ტაბუ ყველა ოცნება
მოძრავი და უცხო მიზანი:

არჩევანის გარეშე
მაგრამ მოუთმენელი გულით

* * *

ხანდახან რაღაც უცაბედი მოძრაობებით
ჩემი ხელი ეხება შენს ხელს ხელის სახელოს
ჩემი სხეული უნებურად ებჯინება
ჩერე შენს სხეულს ტანსაცმლით მოსილს
ეს სულ პატარა სიახლოვე მცენარეების მოძრაობას ჰგავს
შენი თვალები ღიმილიანი შენი მზერა ბოდიალობს თითქოს და განგებ
სიცარიელეში დასაწყისშივე განყვეტილი შენი კითხვები
საით აპირებ ზაფხულში წასვლას
რა წიგნს კითხულობ ახლა
შუა გულში და ყელში გამდის
ტკბილ დანასავით
და მე ვშრები როგორც ზაფხულში შადრევნები

**იანის რიცოსის ლექსების წაკითხვის შემდეგ**

ახლა ვფიქრობ, რომ
შორს წავედი ბოლოს და ბოლოს,
ყველა ძახილი უკან დავტოვე,
კრინტს აღარ დავძრავ,
ბოლოს და ბოლოს საყვედურებიც
ჩემ გარეშე წამოიძახონ,
ახლა ვფიქრობ, რომ
ბოლოს და ბოლოს
ჩემი თავის დევნას
მოვეშვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გადახრები

მიმოზები ალბათ
მომიზები რაღაც
ამძიმებს და უშლის ხელს
ძილს ყვითელს ხმაურიანი
წინწკლები კი
მოძვრება თავში –
ასე თბილი
სუსტი ნიავი
ფერმკრთლად ხანგრძლივი
ელვარება / კალენდრის
გვერდი
უცდის
მზის ჩასვლას

ყინულივით ცივი
ხელები
ბალდახინის
ქვეშ

## გრტყელი ფერდოგი, ბიულეტენი

წირვის ღვინო, ქიქები, ვსხედვართ,
ერთმანეთის კალთებს შევიგრძნობთ,
ამ საღამოს 24 რიცხვში, შენს ნაკვთებში
ლექციის შემდეგ
ვეძებ გზებს,
რომ შევაკავო ჩემი გრძნობები,
მივუყვები ციცაბო კიბის საფეხურებს
მოხსენებების ოთახისაკენ
ზურგს უკან კი ვგრძნობ შენს მოსასხამს,
დარბაზში რომ მხვდებოდა თვალში
ნარამარა წარმოდგენისას.
იღება კარი,
თავქარიანად შემორბიან მეგობრები
ახლად დაწყებულ თოვაში კი
ქუჩის დაღმა
ასკინკილით მიხტუნავს გოგო
გაშლილი თმებით.

ღამემშვიდობის, დილამშვიდობის,
როგორ სწრაფად
გარბის დღეები.

## გზოგა

ლურჯი კნუტების ხროვა
ხუთი წლის წინათ,
აღდგომები ძველი
გასული, მსხვილ,
მძიმე მტვერში,
კედელს ციცაბოდ მიბჯენილი
ცინცხალი წკეპლა
ჩარჩოებს მიღმა

## გაზაფხულის ამოსუნთქვა

დილამშვიდობის,
დღე მშვენიერი,
დრო ისევ ცოტა –
შენი სუნთქვა ტელეფონში ადრიან დილით,
ლურჯი
მზე იისფერი

*გერმანულიდან თარგმნა გაგა ნახუცრიშვილმა*

## რას საჭიროებ

რას საჭიროებ შენ ამ ქვეყნად? ხეს და სახლს რათა
შეძლო გაზომვა რა გრძელია რა მოკლეა კაცის ცხოვრ
რა გრძელია რა მოკლეა კენწეროს რომ მზერას შეავლებ
ჩაიკარგები მდიდრულ მწვანე სილამაზეში
რა გრძელია რა მოკლეა დაფიქრდები რა ხანმოკლეა
შენი ცხოვრება ამ ცხოვრებას შეადარებ ხეთა ცხოვრება

ხეს საჭიროებ შენ ამ ქვეყნად სახლს საჭიროებ
შენთვის კი არა მარტოოდენ შენ კუთხე და ჭერიც გეყო
რათა იჯდე და ფიქრობდე და გეძინოს და
მიცემული იყო ოცნებ
წერდე და დუმდე და ხედავდე მეგობარს შენსას
ვარსკვლავებს ბალახს ყვავილებს ზეცას

*გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ*

# ეს ცეცხლოვან ბორბალს ჰგავს

## *ბოდო ჰელის საუბარი ფრიდერიკე მაირიოკერთან მის სამუშაო ოთახში 1985 წლის 28 სექტემბერს*

*(ფრაგმენტი)*



**ჰელი:** გასული 30 წლის განმავლობაში შენ 40-მდე წიგნი გამოაქვეყნე, ხომ ასეა?

**მაირიოკერი:** დიახ, დაახლოებით ასე უნდა იყოს. ჩემი ზოგიერთი ნაწარმოები მოგვიანებით კრებულში შევიდა, ანდა გავრცობილი სახით ხელახლა გამოიცა.

**ჰელი:** გარდა ამისა, თუ არ ვცდები, 25 აუდიოპიესა გაქვს დაწერილი.

**მაირიოკერი:** მართალია, პირველი ოთხი აუდიოპიესა ერნსტ იანდლთან ერთად დავწერე.

**ჰელი:** შენს შესახებ დღეისათვის უკვე სამი წიგნი გამოიცა, მათგან ყველაზე ვრცელის ავტორია ზიგფრიდ შმიტი. ამ ყველაფრის ფონზე გაქვს თუ არა იმის შეგრძნება, რომ ლიტერატურის სფეროში მყარად გაქვს ლუზა ჩაშვებული?

**მაირიოკერი:** ლუზის ჩაშვებაზე თუკი ვილაპარაკებთ, ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემი პირველი წიგნები. თუნდაც „გამოთხოვება." ამ წიგნმა მკითხველთა მხრიდან დიდი გამოხმაურება მოიპოვა. ბევრი მკითხველი მწერს, სწორედ ამ ადრეულმა წიგნებმა ყველაზე მეტად შეგვძრა, მათში ძალიან ბევრი რამ ამოვიკითხეთ ისეთი, პირადად რომ გვეხებაო. ზოგჯერ ავტორსა და მკითხველს შორის ერთგვარი იდენტიფიკაციის განცდაც კი ჩნდება. ასე თუ ისე, რეცეპცია ბევრად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ჩემს ტექსტებს დიდი სიამოვნებითა და წარმატებით ვკითხულობ საჯარო გამოსვლებისას, ეს კი სამოციანი წლების ბოლოდან დაიწყო. მანამდე ძალზე იშვიათად ვკითხულობდი აუდიტორიის წინაშე და ამის კეთება არ მიყვარდა. ზოგჯერ მიხაროდა კიდეც, როცა ჩემ ნაწარმოებებს ჩემს ნაცვლად მსახიობები კითხულობდნენ.

**ჰელი:** შენი ლექსებისა და პროზის მცოდნენი ამტკიცებენ, რომ შენ მათი საუკეთესო ინტერპრეტატორი ხარ, თუმცა არტისტული სალაპარაკო ტექნიკა არ გაქვს. შენი აუდიოპიესების შემსრულებელი მსახიობები ხომ ძალიან ხშირად ცვლიან შენს სათქმელს.

**მაირიოკერი:** ამაზე ბევრი მიფიქრია. აუდიოპიესის შემთხვევაში გადაწყვეტა გიწევს, როგორ მოიქცე, დადგმა თვითონვე განახორციელო თუ არა. მე საამისოდ გამბედაობა მაკლია, თანაც ვფიქრობ, რომ კარგი რეჟისორის ხელში აუდიოპიესა ახალ, სულ სხვა განზომილებას იძენს.

**ჰელი:** მე ვფიქრობ, როდესაც საკმარის დროს გაძლევენ, მაშინ კითხვისას მსმენელს ერთგვარად აჯადოვებ, შამანივით ნუსხავ. მართლაც ამას ისახავ მიზნად?

**მაირიოკერი:** მსგავსი რამ არასოდეს გამიცნობიერებია და ეს ჩემთვის არავის უთქვამს, მაგრამ მე მგონია, რომ ადრეული წიგნებიდან, პირველი ლირიკული კრებულებიდანაც კი – ზოგიერთი ლექსი ხომ ორმოციან, ორმოცდაათიან წლებშია დაწერილი – კარგად გამომდის კითხვა, როდესაც შესაბამის განწყობაზე ვარ და არც ხმა მღალატობს. ჩემი ოცდაოთხწლიანი მასწავლებლობის განმავლობაში ხმის იოგები ისე დავიზიანე, რომ ზოგჯერ ხმა სრულებით მიწყდება. მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით ბოლო დროს, საჯარო კითხვის შემდეგ მრჩება კმაყოფილების განცდა, ვიცი, რომ ეს მართლაც კარგად გავაკეთე. ბოლო დროს საჯარო კითხვები შემიყვარდა და ახალ ნაწარმოებს როდესაც ვწერ, მაშინვე ვამზადებ კითხვისათვის განკუთვნილ ვარიანტს: ზოგიერთ ადგილს მოვნიშნავ ხოლმე, რათა კითხვისას საგანგებოდ გამოვყო, ზოგიერთ აბზაცს მთლიანად ამოვაგდებ, არა იმიტომ, რომ ის აღარ მომწონს, არამედ რადგან აუდიოვერსიისათვის შეუფერებლად მიმაჩნია.

**ჰელი:** ესე იგი, სრულიად განსხვავებული რამაა შენი ტექსტების ხმამაღლა წაკითხვა და მათი მოსმენა?

მაირიოკერი: რა თქმა უნდა, განსხვავება ძალზე დიდია, თუმცა ვერ გეტყვი, რა უფრო მეტს აძლევს აუდიტორიას.

**ჰელი:** როგორ იწყება შენთვის ახალ ნაწარმოებზე მუშაობა? არაერთხელ გითქვამს, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ თითქოს უძირო ხვრელში ვარდები და გეჩვენება, რომ უკვე ველარასოდეს ვერაფერს დაწერ. მერე კი ყველაფერი თავიდან იწყება: ჩანასახობრივი უჯრედიდან ახალი, დიდი თუ პატარა ტექსტი იბადება, რომლის წინასწარ განჭვრეტა არ შეგიძლია.

**მაირიოკერი:** სხვადასხვანაირად ხდება. ხშირად წარმოდგენა არ მაქვს, რა მინდა, მერე კი ჟურნალ „პროტოკოლის" რედაქტორი ოტო ბრაიხა, ვისთანაც 1966 წლიდან ვთანამშრომლობ, რაიმე მითითებას მაძლევს, ვთქვათ, ასეთს: მომდევნო ნომრისათვის შენგან პროზას ველოდები, ამა და ამ თემაზე.

**ჰელი:** ესე იგი, გარედან შემოთავაზებული თემა დისკომფორტს არ გიქმნის?

**მაირიოკერი:** პირიქით, ეს ძალიან მეხმარება ხოლმე, თუმცა ზოგჯერ ახალი ნაწარმოები სულ სხვაგვარადაც მოდის. მაქვს ლექსის წინამორბედი პერიოდები... როდესაც დიდხანს მუშაობ ვრცელ პროზაულ ნაწარმოებზე, ისეთი შეგრძნება გიჩნდება, თითქოს ლექსს ველარასოდეს დაწერ, მერე კი უცბად მოდის ისევ ის ფიზიკური, დიახ, სრულიად ფიზიკური განცდა იმისა, რომ შენში ლექსი იბადება, ზოგჯერ არაერთიც. ასე მომივიდა ამ ზაფხულს. მერე კი ერთი მეორეში გადადის, ერთი ლექსი ხშირად მომდევნოს სათაურს ბადებს და ასე შემდეგ. უკანასკნელ თვეებში საკმაოდ ბევრი ლექსი დავწერე, ზოგ დღეს 4-5 ვრცელი ლექსი გამომდიოდა, მაგრამ ეს სრულებით არ ყოფილა იმ გაგებით დამღლელი, რა გაგებითაც პროზაზე მუშაობა გღლის, იმას ვგულისხმობ, რომ საკუთარი თავისათვის ძალის დატანება არ მჭირდებოდა; სხვა დროს ეს პროცესი სულსა და სხეულს უცნაურად ქანცავს, არ ვიცი, როგორ აეხსნა, ეს ცეცხლოვან ბორბალს ჰგავს, მაგრამ ამ უკანასკნელი ლექსების შემთხვევაში სულ სხვა რამ მოხდა: გეგონებოდა, დილაადრიან ბინაში რალაცას დავეძებ, მაგრამ ეს რალაც საჭირო ნივთი კი არა, წერის დასაწყებად აუცილებელი იმპულსია, ეს რალაც ემოციური ბიძგია, რომელიც ჩემი არსებიდან პირველ სიტყვებს ამოტყორცნის. ეს პროცესი ფიზიკურია, ეროტიკულიც კი. თუ არ ვცდები, რილკემ თქვა, წერა და სიყვარული ერთი და იგივეაო, პოდა ეს ჩემთვის სიყვარულის აქტს უდრის. უკანასკნელმა ლექსებმა დიდი სიხარული მომანიჭა, თანაც ისინი მოგვიანებით სრულებით არ გადამიმუშავებია, უკვე მზამზარეული სახით დაიწერა ფურცელზე. ეს მართლაც ძალზე ბედნიერი პერიოდი იყო ჩემთვის.

**ჰელი:** ვიცი, რომ წინათ მხოლოდ და მხოლოდ ამ ბინაში, შენს სამუშაო ოთახში, როგორც შენ მას უწოდებ, შენი ვაების სავანეში შეგეძლო წერა, სხვაგან კი არაფერი გამოგდიოდა. ამ ზაფხულს კი პირიქით მოხდა ისე, რომ...

**მაირიოკერი:** ...ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მოხდა: მართლაც სიცოცხლეში პირველად დავწერე რალაც სხვაგან, ამ ბინის გარეთ. ასე მგონია, ამ ზაფხულს რორმოსში დაწერილი ლექსები აქ რომ შექმნილიყო, სულ სხვანაირი, ანუ ბევრად უფრო მძლავრი იქნებოდა.

**ჰელი:** რით ახსნი ამას: ქალაქის გარემოთი თუ იმით, რომ შინ უფრო უკეთ შეგიძლია ყურადღების კონცენტრირება?

**მაირიოკერი:** პირველ რიგში იმით, რომ აქ მარტო ვცხოვრობ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვარ და ყოველ წვრილმანს თავად ვწყვეტ, არავის წინაშე ვაგებ პასუხს. კარგად ვარ აღზრდილი და 24 წლის განმავლობაში ვცდილობდი, მოწაფეებისთვისაც თავაზიანობა ჩამენერგა, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ, რომ სხვა ადამიანმა შეიძლება ყოველწუთს რალაც, თუნდაც უმცირესი მოითხოვოს ჩემგან, – მორჩა, გათავდა!

**ჰელი:** შენს ზოგიერთ ხელნაწერსა და კოლოფს პატარა ბარათი აკრია, წარწერით „ტაბუ".

**მაირიოკერი:** ტაბუ ჩემი ადრეული ბავშვობის განუყრელი ნაწილი იყო. პატარაობაში არასოდეს დავყავდი უფროსებს კინოში, მაგრამ ერთხელ, 6 თუ 7 წლის ასაკში წამიყვანეს ფილმზე, რომელსაც „ტაბუ" ეწოდებოდა. ეს ჩემი პირველი ფილმი იყო და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე. მას მერე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში ეს სიტყვა და მას დღემდე იმ ფილმით მოგვრილი შოკი ახლავს თან. დღესაც მახსოვს ბოლო კადრები: მღელვარე ზღვა, რომელშიც კაცი იხრჩობა, და წყლიდან ამოწვდილი მისი ხელი. ჩემთვის სიტყვა „ტაბუ" ნიშნავს: ხელები შორს! ეს მხოლოდ მე მეხება. ამ ბარათებს მაშინ ვტოვებ ხოლმე, როდესაც სამოგზაუროდ მივდივარ. მუდამ ვვარაუდობ, რომ რალაც საშინელების გამო შეიძლება შინ ველარ დავბრუნდე და ჩემ ნივთებში უცხო ადამიანებმა აფათურონ ხელი.

**ჰელი:** შენს ხელნაწერებს გამოქვეყნებამდე ხშირად მაძლევ წასაკითხად, მაგრამ მოგვიანებით წიგნში იგივე ტექსტს რომ ვკითხულობ, განსხვავებულად მეჩვენება, თუმცა არც ერთი სიტყვა არ არის შეცვლილი.

**მაირიოკერი:** დიახ, ხელნაწერსა და დაბეჭდილ ტექსტს შორის მართლაც დიდი განსხვავებაა. გამოქვეყნება ავტორისათვის მნიშვნელოვანი გამოცდილების შეძენასა და შინაგან ზრდასთანაა დაკავშირებული, რადგანაც დაბეჭდილი ტექსტისაგან დისტანცირებას განვიცდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ფრიდერიკე მაირიოკერი*

# ქალაქ ვენაზე მიჯაჭვული



მე ამ ქალაქის ერთგული ვარ, როგორ ვერთგულობ ამ ქალაქს, რატომ ვერთგულობ ამ ქალაქს, ალბათ იმიტომ რომ აქ დავიბადე, სულ აქ ვცხოვრობდი, აქ ამეხილა თვალები, მის გაუგებარ ნება-სურვილს მივდევ, ან იძულებული ვიყავი მივყოლოდი, ამ ქალაქის ერთგული ვარ, თუმცა სიყვარულით არ მიყვარს, შევეჩვიე, ვიცნობ, მიცნობს, ვენდობი, შინაგანად მშვიდად ვარ, როცა აქ ვარ, გზააბნეული და სასოწარკვეთილი ვარ, როცა აქ არა ვარ, მშვიდად ვარ და ვენდობი მას და ვიცი, რომ დამიცავს, როგორც აქამდე მიცავდა, აქ მინდა განსვენება, როცა ცოცხალი აღარ ან ველარ ვიქნები. ამ ქალაქში სიამოვნებით ვცხოვრობ, მაგრამ ეს ქალაქი არ მიყვარს, საერთოდ არ მენაღვლება. არც მისი მცხოვრებლები მიყვარს, თუმცა შევეჩვიე მათ, კაცმა რომ თქვას, ისინი საერთოდ არ მენაღვლებიან, თუკი თავად მომეშვებიან, თუკი თავად არ დამესევიან და არ დამფლეთენ. ხანდახან შემზიზღდებიან, აი საკუთარი თავი რომ შეგზიზღდება, ხანდახან მეზიზღება ეს ქალაქი, გული მერევა, თავბრუ მესხმის, ღებინება მინდება, პიდრანტი – ზებრა! მაგრამ მეორე წუთში გული მომიბრუნდება, ჩემს თავზეც, ქალაქზეც, მაცხოვრებლებზეც... ხანდახან რაღაც ამომიტივტივდება, გამიკრთება, არ ვიცი, კაშკაშა მომენტებია, მზის ჩასვლისას ან დილის ბინდბუნდში სახურავებზე გაელვებული მქრქალი ჩრდილი, ეკლესიის კოშკის აბრჭყვიალებული შპილი, შორეულ წერტილში დასრულებული ერთი ძველი, მშვენიერი, გრძელი ქუჩა, ჯერ შტეფანსკირხეს შპილს ავხედავ, მერე მის ფუნდამენტს დავხედავ, ხან ზევით ვიყურები, ხან ქვევით, თავბრუ მესხმის, სიცოცხლე მიყვარდება. ჩემი მზერა დასავლეთ ჰორიზონტზე გამოსახული კოშკების, გუმბათების, ბორცვების კონტურებს დაყვება, მე ვდგავარ ჩემი საცხოვრებლის ფანჯარასთან, ტანსაცმელი მიბრჭყვიალებს, როცა მეკითხებიან, აქ რა გაკავებსო, ვპასუხობ, რომ ყველაფერი მაკავებს, საზიზღარი რამეებიც კი. სულ უფრო და უფრო იშვიათი მოგონებები ჩემს ბავშვობაზე, მშობლებზე, მამაჩემის ცხოვრებასა და სიკვდილზე, ბებია-ბაბუაზე, მეგობრებსა და თანამებრძოლებზე, ახლა ყვავილობს გონების თვალი. ყოველი ხისათვის ვიბრძოდი, ჩვენს პირდაპირ, დიდ ეზოში, ადრე სამი წაბლი და ორი ნეკერჩხალი იდგა, რომლებიც გაზაფხულზე ერთიანად აბრჭყვიალდებოდნენ ხოლმე, ბოლო მათგანს მინდა უკეთესად მოვუფრთხილდე, მაგრამ უმშვენიერესმა ქუჩებმა იერი იცვალეს, იმას ვგულისხმობ, რომ მთლიანად გავერანდნენ, პირდაპირ კივიან, სანაგვედ იქცნენ და მთელი ეშხი დაკარგეს, აღარაფერი მესმის, ნეტა კალენდარი აირიოს, ამას მთელი გულით ვნატრობ.

ვენა ჩემთვის ისეთი რამეა, რაზეც უკვე აღარც ვფიქრობ, ზამთრის ერთ დღეს ჩემი ჩრდილი წინ მისწრებს, და მე ვეკითხები ჩრდილს, სად მიდიხარ-მეთქი, სად მიდიხარ?, – ვეკითხები ჩემს ჩრდილს, – რა გექაჩება, –, – ვენაში მივდივარ, შიში მექაჩება, –, მეუბნება ჩრდილი, მზეს ზურგსუკან ვიტოვებ, მეშინია, მაგრამ ვენაში გავრბივარ, სულ გაქცევას ვცდილობ, მაგრამ ვენაში ვრჩები, მარტო აქ ყოფნა შემიძლია, თუნდაც შიშთან ერთად. ამ დროს შიში ჩემ ფიქრთა მატიანე ხდება, რაც მეტად მეშინია, მით მეტს ვფიქრობ, ზოგჯერ მიწას მოვწყდები ხოლმე, აქ ცა ყველაზე ლამაზია.

# ერნსტ იანდლი და მისი მოვალეობა ღმერთების წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი გულისგამგმირავია სამყარო, მე ვიცი რომ ყველაფერი სხვანაირადაა, ყველაფერი სულ სხვანაირადაა, – მეუბნება ტელეფონში და ჩემს წარმოდგენაში ის არის ბავშვი, რომელიც თვალისმომჭრელად თეთრი ნარცისებით სავსე მდელოზე დახტის, შუბლზე ნახევარმთვარეები ახატია, – ხელში არაფერი გვრჩება, – მეუბნება ტელეფონში, – და გვინდა სრული კომპენსაცია ლიტერატურულ სფეროში მივიღოთ, მაგრამ შეგნებული უნდა გქონდეს, რომ სარისკო თამაშში ჩაები, მოგება ყოველთვის გარანტირებული არა გაქვს და არის ისეთი საათებიც, როცა საკუთარ თავს მართლა ეკითხები ეს რა ავიტეხე, რა შარში გავები, და ეს ყოველთვის საუკეთესო საათები როდია, – და მთელი შენი ცხოვრება ლიტერატურას მიუძღვენი, და სანაცვლოდ არაფერს იღებ –, ერთიანობაში მას იმდენი ბრწყინვალე ღირსება აქვს, რომ ნაკლს ვერ უპოვი, მისი გონება ჩემში სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას აღძრავს, ის არის თავისუფალი სული, ოსტატი ლაკონურობისა, კეთილსინდისიერებისა, წესრიგიანობისა, იგი ქოლერიკია (მამამისივით), მელანქოლიურად მშვიდია, აუღელვებელი, დროდადრო ზედმიწევნითი აკურატულობა, მიმზიდველი პედანტიზმი შეიპყრობს ხოლმე, ამ დროს ვერავინ უშველის, საფოსტო მარკების დაწებებას იწყებს და ეს მისთვის წმინდათაწმინდაა, შუბლზე ცისფერი ფარვანას ფრთების ნახევარმთვარეები აქვს, მე ვხედავ მას ბავშვობაში, გაყვითლებულ ფოტოებზე, ეს მისი ბავშვობის ფრთებია, ამ სურათებზე თავის ადრეულ ასაკში გარდაცვლილ დედას ჰგავს, რომლის გაცნობაც მე ყოველთვის მინდოდა, ასე მგონია რომ ერთმანეთს კარგად გავუგებდით, – როგორი გენეალოგიაა, – ყვირის ის და გულისხმობს ჩაის ვარდს, ერთი ცალი ყვითელი ვარდი მაგიდაზე დავუდგი, თავისი წამლების არსენალს უფრთხილდება, მიმალავს და ვენის არსენალში კიდევ მისი ბაბუა-ბებია ცხოვრობდა, დედის მხრიდან, მის პროფილში ხანდახან დღესაც ამოიცნობ ბავშვის თავს იმ ფოტოსურათიდან, ფართოდ გაღებული თვალებით, ფართოდ დაღებული პირით და როცა თავის მგზნებარე ლექსებს მჭექარე ხმით წარმოთქვამს, ამ დროს შეიძლება თვალები ნაღვლიანი ჰქონდეს, მონაცრისფრო-მოცისფრო ყვავილთა ბურთულები, ყვავილების ოთახში გაჩერება ისე უყვარს, რომ სანამ მთლიანად არ დაჭკნებიან, ჭიქიდან არ იღებს, ძალიან ცოტა მათგანის სახელი იცის, რაც შეეხება ცხოველების სიყვარულს, ეს მისი დანიშნულებაც გახდა მას შემდეგ რაც ჩემი დანიშნულება გახდა, ისიც მოვალეობის ადამიანია. მისი მოცისფრო-მონაცრისფრო თვალები ხანდახან დამფრთხალი იყურებიან, მაგრამ უმეტესად მაინც შეუვალ სიმტკიცეს ასხივებს სულიდან და სახიდან, მებრძოლი, მშვიდობის მოესველი სული, სტიქიური, თავდაჭერილი სული, თავისი ხმით მას თითქმის ყველაფერი შეუძლია, ყველაფერში კომპეტენტურია, ან შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეა, ის არის სრულიად მრავალმხრივი, სრულიად გონებადამჯდარი, სრულიად ღირსეული, სრულიად უანგარო რადიკალი, მას ლომის ძალა აქვს, უშიშარია, მომთმენი, შეუპოვარი, ისეთი ჩამოქნილი, თუმცა შემჭიდროვებული და თავისი წახნაგოვანი თვალებივით მრავალწახნაგოვანი ფიქრები აქვს – მე აქ ფილოსოფიას არ ვგულისხმობ! მაინც როგორი უბრალო და ჩვეულებრივია ჩემი ფიქრები მის ფიქრებთან შედარებით, როცა მათ ერთმანეთს ვადარებ, მწარედ ვმარცხდები, პირში ჩალაგამოვლებული ვრჩები, მე მერყევი და გაუბედავი ვარ, ჩემი თავისა არ მჯერა, ის კიდევ ჩემგან განსხვავებით ნამდვილი პიროვნებაა, – შენ პიროვნება ხარ, – წამოვიყვირებ ხოლმე, რაზეც იმდენს იცინის, რომ ცრემლები მოსდის. თავისი წახნაგოვანი თვალებით სამყაროს ყოველ მომენტში ახლებურად აღიქვამს, მისთვის სამყარო ერთი მომენტიდან მეორემდე იცვლება, იცვლებიან ადამიანები, ღამის საათებში განსაკუთრებულად შთაგონებულია ხოლმე, ფასდაუდებელია, რასაც ამ დროს გამოსცემს, ყველაფერი ჩასაწერია.

ხანდახან ისეც ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთს ტკივილს აყენებენ, დაბერების პროცესი მიმდინარეობს და ისინი ერთმანეთს უსამართლოდ ეპყრობიან და გულგრილობაც ჩნდება, ორი თეთრი ძაღლი, ტწო ბეაგლეს, ინგლისურად ისევე იწერება როგორც გერმანულად, მაგრამ მოპსი აქედან არ მოსულა, აქედან არ მოხვედრილა ლექსში, ეს მისი ხმოვნებისადმი სიყვარულის ბრალია. შენ ისეთ სახეს იღებ, – მეუბნება რესტორანში ვახშმობისას, – თითქოს აწი ისევ დაინახავ ძაღლს, რომელიც გიყვარდა... ვდგავარ ასე, ერთიანად დამცირებული, ყველა ხაზით დაქვემდებარებული, ლიტერატურის მაჩანჩალა ძაღლივით, სახეგაქვავებული, და ა.შ. ასე ძაღლებთან სულ ასე მეპყრობოდა ხოლმე, და აშ., nosing the path... მაგრამ ეს სულ სხვა რამეა, არც დროს აქვს მნიშვნელობა რამდენი ხანია უკვე, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, სპილოს მუსიკა, იმას ვგულისხმობ, რომ მუსიკა მისი უდიდესი სიყვარულია, კერძოდ – ჯაზი, სამოციანების დასაწყისში როკმუსიკამ რომ გამიტაცა, ჩემს აღფრთოვანებას დასცინოდა, თუმცა მალევე გადაედო, ამასობაში მე კვლავ მივუბ-

რჩენდი შოპენს, ბრამსს, შუბერტს, შუმანს და ბახს, ამას წინათ სატი აღმოვაჩინე, მანაც ასევე, ასე გადაიკვეთა ჩვენი გატაცებები ცოტათი მაინც, თუნდაც ზედაპირულად, ხომ მართალია, ან გული ტყუილად ამიჩუყდა, რადგან სინამდვილე სრულიად სხვა რამეა. შეუფერებელ დროს ნათქვამმა მისმა ერთმა სიტყვამ საუკეთესო ხასიათიც კი შეიძლება მოგიშხამოს, შეუფერებელმა სიტყვამ კი მთელი საღამო გააფუჭოს, მეგობრობის შენარჩუნება ხომ თოკზე წონასწორობის დაცვაა ბევრ სხვა რამესავით – მისი ბოლო პარადოქსი და ფენიქსი – გათენებამდე სიფხიზლე და გულისგამაწვრილებელი ალიონი, – მუსიკას მასწავლიდა და ჭკუას მარიგებდა.

ყოველთვის ჭკუის დარიგების წინააღმდეგი იყო, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ჭკუის დარიგებას, მაგრამ ახლა ამას მეგობრობის შესანარჩუნებლად, გასართობად, ანიმაციისათვის აკეთებს. ის ამბობს, რომ თავად ის არის დიდებული ანიმატორი – სუნთქვის შთამბერავი, სუნთქვის კაცი, მის ფანჯარასთან იფანი დგას, რომელსაც ორივენი შევხარით, რადგან იგი კედლის ბზარში, პატარა ნიადაგზე ამოვიდა, მას ოთახში შემოუვარდა და იზრდება. როგორც ამბობს, მწერლობა არის თავხედური და არცთუ ყოველთვის კმაყოფილების მომტანი რისკი, ანუ დაღუპვა, თავად ეს ყველაზე უკეთესად იცის და ისიც, რომ ამ გზის ბოლო ხშირად ავადმყოფობა და გამოფიტვაა. ამ ბოლო დროს იშვიათად იცინის, ადრე სიცილს ავიტეხდით ხოლმე, მისი საფერფლის ფსკერზე ნახევარმთვარეს ან მის მსგავს, ნახევარწრის ფორმის ჰორიზონტს ვხატავდით, მას უყვარს ხატვა და კარგადაც ხატავს, ზის ასე ჩემ წინ, ჩვენი შეგრძნებები და ფიქრები თითქოს სრულად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ზოგიერთ სფეროში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებიან კიდეც – ის მომხრეა ტრივიალური ხელოვნების, მე წინააღმდეგი ვარ, მე წინააღმდეგი ვარ კონკრეტული პოეზიის პურისტული ფორმების, ის მომხრეა, ის მომხრეა ფრი-ჯაზის, მე წინააღმდეგი ვარ, – ანუ მთელი ეს გამგებიანობა ამავე დროს გაუგებრობაცაა, ხელის ჩრდილის ფრაგმენტია, ალბათ ჩემ თავსაც უნდა დავაბრალო, ალბათ ყოველ დილით ჩემ თავთან ვმარცხდები, მაგრამ მე კვლავ ნავიკითხე მისი აზრები, მე კვლავ ვიყურები ჭეშმარიტების ჩქმალულ სარკეში: მის თვალებში.

*გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ*



ფრიდერიკე მაირიოკერი და ერნსტ იანდლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერნსტ იანდლისადმი

მე ახლა ვლოთობ ამბობს ის
დაგირეკავ როდესაც გადასხმა დასრულდება ამბობს ის
თქვენ მხოლოდ მწვანე ქსოვილში გახვეულ
ფიგურებს ნახავთ ამბობს ქირურგი
ჰოსპიტლის კაპელაში ვეძებ შესაფარს
ენის ქვეშ სეფისკვერი ფსიქოტროპულ საშუალებასავით.
ყვავილების მცირე გროვა თოვლის მცირე გროვა, სიკვდილი ვამბობ
ეს რთული მახვილკუთხიანი მოსახვევი ქარაფშუტობა დაგმობა ვამბობ
უკვე უგრძნობლად ვარ, ვცურავ
მის თვალებში სატყუარასებრი სიზმარი
დანინწკლულ მინას ციდან დავყურებ
თმა უცებ აბლაბუდა იყო მის
კეფაზე გაღეღილი პერანგი გრძელი გახუნებული
თმა მის კეფაზე თითებზე დაეიხვიე ერთი
ნაზი სხივთკონა ანუ დაბლობის მდელოებიც
ან თეთრი იები სადმე სხვაგან.

## ცხოვრების ერთი მონაკვეთის მიმოხილვა

ჩემს ზურგჩანთაში
ბეგქონდარას ღეროა
ორი მონეტა
ბლაგვეწვერიანი ფანქარი
დაჭმუჭნილი წერილები
ნამცხვრის ნამცეცები
მწვანე სარეცხის სამაგრი
იაპონელი გერმანისტი ქალის სავიზიტო ბარათი
პატარა გატეხილი სავარცხელი
დალის ჭიანჭველები დაჩრდილულ სანოტო ფურცელზე

*ემი ნექამისადმი*

## პრელუდია ასლან გიულტეკინისათვის, მკერავისთვის

და ხედავდნენ ერთმანეთს ვგულისხმობ
ნასროლ მზერასა თუ მზერებს ხანგრძლივად ცქერა
მისი დუქნის კართან ჩავლისას ანუ ცალი თვალით
შეეხნენ ერთმანეთს ფიქრიანები, შემდეგ
თითქოს მდინარის მოხვეულში მამაკაცი იყო
შეშლილი სცენა, ილიიდან წვეთი ოფლი
ნელა ჩამომედინება მკლავზე
და უეცრად ჩემი სახელიდან ასო
ვარდება ძირს მე ვხედავ მის ვარდნას, როგორ ქრება –
გვიმრის თვალებით, ბრეტანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### დედაჩემი შიშველმკლავება
როდესაც მესალმებოდა მასთან მისულს

დედაჩემი ალერსით მოპასუხე
როდესაც ვურეკავდი ვერ მოვალ-მეთქი

დედაჩემი პირშებრუნებული
როდესაც კიდევ ილაპარაკებდა მაგრამ აღარ შეეძლო

დედაჩემი თვალდახშული
როდესაც გვიან მივედი უკანასკნელად რომ მოეხვეოდი

### მელანქოლია, ანუ ამ დღის მე-3 ლექსი

ეს არ იყო წითელი ბაფთა ყვითელ თმაში (woman with yellow hair, Pablo Picasso),
ეს იყო წითელ აბრეშუმის ქაღალდში გახვეული 1 თაიგული
ეს იყო კართან მომაკვდავი მტრედი ნაცრისფერ აბრეშუმის საფარში
ეს იყო მტრედი ის არ განძრეულა როცა სახლიდან გამოსულმა ახლოს ჩავუარე
ტუბერკულოზი, ამბობდა მეგობარი ქალი, მე სულთმობრძავი მტრედი ვიყავი,
ბარტყები ირტყმევინებიან სანამ ნნევას ვიზომავდი, მეგონა
ბარტყები ირტყმეევინებიან. ქუჩაში ტყვიისფერი
ცა სულ უფრო დაბლა ეშვებოდა და მნთქავდა

*გერმანულიდან თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა*



ფრიდერიკე მაირიოკერი და ერნსტ იანდლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვით ანარქიის შავი დროშა

განთავისუფლდით
ბოლოს და ბოლოს,
მოსცილდით ამ ფერს, ქალბატონო!
მითხრა ექიმმა
ჩემი მორიგი ჭინჭრისციების
მკურნალობისას
და მკაცრი სახით ამხედ-დამხედა
ტერფით თხემამდე
და ჩამავებულ
წყვილ თვალზედაც

## ზამთრისეული ბედნიერება

ახლა ხსნაა და აღმოჩენა ამ ხმის მოსმენა
ჩიტის ჟღურტულის კვლავ გაგონება
სამოთხეები აყვავდნენ და ცრემლებს
ვღვრი თითქოს

მაგრამ ეს ხმა რომ ჩიტის ხმას არ ჰგავს
ზამთრისეული ბედნიერება მე არ მეკუთვნის
მავანი ვიღაც სულ სხვაგან მყოფი მოისმენს ამ ხმას
ჩიტის ხმას ჟღურტულს მყის ჩემ მაგივრად ახლა
ამ წუთში და ამწამიერ

## დიდედა და შვილიშვილი, ანუ ძველი ფოტოს თვალიერებისას

27 თებერვალია,
რუბენსის პარკი
სამი წლისა ვარ
პომპონიანი თბილი ქუდით
ჩამოკიდული უთითებო
ხელთათმანებით:
ბაღის ძელსკამზე
ვდგავარ მზეში
და დიდედას მკერდამდე ვწვდები –
ნაზად მიელტვის პატარა ხელი
დიდ ხელს ხანდაზმულს

(უკანა მხარეს
ქვაში ნაკვეთი
სფინქსის თმები
ეტლში შებმული სამი მგელი
მალე თორმეტჯერ
დასჭყივლებს ჭოტი –
წითლად ელავენ
აბრეშუმის ალმები
ქარში)

## გად ელსტერი მოგონება და წინასწარჭვრეტა

მაღლობს შეფენილ
ნიფლნარ ტყეში
წინგადახრილი
ხის ბალიშზე
ვიჯექი ერთხელ და მზის სხივები
მწვანედ ბრწყინავდნენ ტოტების ტევრში,
ეს იყო ალბათ
ნახევარი საუკუნის წინ
ვარ გოლიათი და
ქონდრისკაცი –
დავპატარავდი გავქრი თანდათან
და იქ აღმოვჩნდი,
სად თქმულებებით პირთამდე სავსე
გუდაზე სძინავთ,
ხმის და ღიმილის,
ცრემლებისა და ნაწნავების
*თავგადასავლებს ყურად ელიან*
*დედამიწაზე და ღრუბლებს შორის*
*რომ თამაშდება მაისის თვეში*
და გამიფრინდა თვალი მტრედივით
ბნელ-მრუდე ხეთა ხეივნისაკენ
ჭრელი მბორგავი ცხოველებისკენ
მრუმედ ნაღვენთი ნაჟურისა და
ნვერაპრეხილი ტერფებით მედინ
წყლის ღვთაებისკენ, მაშინ როდესაც
მავრის სამოსელს ვატარებდი
მე...

## ჟაჟანო შუა ქალაქში

ჩემი თავებით იფრქვევა ცრემლთა
ფოიერვერკი, იასამანს
ჟანგი ედება, ლელქაში
ღელავს და ზაფხულის ნიღაბი ავდარს
ისევ გვპირდება –
რძიანა მინდორს ანოყივრებს,
შოშიები – შემოგვეჩვივნენ, კოლოები
ზიმზიმებენ ეკალბარდებში,
ეული ღრუბლის ჭკნობაშემდგარი ყვავილობა
მწვანე ალუბლის კუწწულებით
გეირგვინშომწნულა –
იმპერატორის ორთავიან ჭედურ არწივებს
მხარს უმშვენებს – პორტრეტები წითელ ალიზზე –
სასაფლაოს გალავანი იშლება, რადგან
მარადმწვანე სუროს ყლორტებს ეყრდნობა მხოლოდ
ქარბორიაში მტაცებელი ფრინველის მსგავსად
ფრთამოქნეული დუმს ჩემი გული
ნანადირევის ხარბად მზირალი

## ცხოვრების ბრჭყალთა ტყვეობაში

მოწოდებას თუ არ ვიგულისხმებთ,
ჩიტის გალობას, თუ გამოვრიცხავთ
რა საამოა გასაგები, ცხადი სიტყვები
გულისცემაში ჟამგამოვლილი, ასეა
ვამბობ, რათა არ ვიყო იძულებული
სისხლის, საკუთარ სისხლს ვუღრმავდებოდე,
ძველსა და ახალ ორ დისკოს შორის
ბარბაროსული განშტოებებით შემოგვშრიალებს
დღე ქაღალდების, წვიმა, ამინდი,
ეს ყველაფერი *ორგანიზმზე ძალადობაა:*
ეს სისხლიანი სპექტაკლები, ოფლი, ცრემლები,
შენ მაკვირდები ფრთხილი მზერით,
ფრთხილი ღიმილით, ფრთხილი სიტყვით, შენი აზრების
ერთმანეთში ჩახლართულ ძაფებს მე ვერ მივყვები,
შენი გონების მეორე მხარე ხშულია ჩემთვის,
რადგან ცხოვრების ბრჭყალების ტყვე ვარ
ჩემი წინმსწრები თვალსაწიერი მეყოვნდა სადღაც
მოულოდნელად: ტვინის ლორწოვან ხვეულებში,
ასე ვთქვათ ჩარჩა, რათა ვეღარ გათავისუფლდეს,
მე კი ეს მხუთავს და ასე შემდეგ,
მთლად სიტყვა-სიტყვით კი არ გაიგოთ,
რასაც მე ვამბობ *ძარღვიანი მხნე დედაკაცი.*
შენ იღიმები და იბუდებ, აქ, ჩემ ცრემლებში,
ასე მგონია, უკვე აღარც გეუცხოვება
საკმარისად შენივე ტყავი, კარგა ხანია
ვცდილობდი თავის მოტყუებას, თუმცა სამხილი
წლებია უკვე რჩება უცვლელი,
თუმცა სამხილის მოფრთხილებას
ახლა უკვე აღარც აქვს აზრი, აი სიმართლე,
აი, ესაა ყველაფერი მერწმუნე, ვფიცავ

*კურტ ნოიმანს*

## იგივეობა

თეთრი
ფუმფულა ფინიაა
ფანჯრის რაფაზე; მე ვეხუტები,
ლამის სახეზე ჩამოფხატული
მამაჩემის ნაქსოვი ქუდით,
იქვე ლამაზი, მოღიმარი,
დიდედაა იისფერ-თეთრი
არშიებით შემკული კაბით –
მაგნეზიუმის შუქით მამა
გვაკრთობს უეცრად;
დაკრძალულია ყველა უკვე,
მე ისევ ვცოცხლობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლერწმის ხავსი 85

ცვარდაკრული და
დანამულია მწვანე ჩექმები
ამ დილით ბაღში თვალი მოვკარ
მოლზე ჭრიჭინას იქვე ბალახში
დაკუჭულ მთვარის ოლროჩოლრო
ანარეკლში კრთება ზმანება
ზმანებაში კრიალებს სარკე
მთვარის ნიაღში სარკეები იღვენთებიან
აგვისტოა და ელვარებს დილა –
ბაღის ჭიშკარზე გვარ-სახელი ფერგაცრეცილი,
უეცრად ვამჩნევ: ჩვენი გვარები
ორთავ აბრაზე წვიმისაგან ჩამორეცხილა
ნიაღვრებით ნაშლილა ლამის,
ღამით ჭიშკარს ღვარცოფი თუ ეხეთქებოდა
გადაუვლიდა როგორც საფლავებს...
ჩვენ საფლავებზე გადაშლილი გვარ-სახელები,
უსახელო საფლავის ქვები, მენიშნა უცებ,
ალბათ ჩემ გვერდით ჩუმად მდგომსაც
ამძიმებდა იგივე ფიქრი

## აკლდამა

ვწევართ უძრავად ჩვენ გვერდიგვერდ
ძილის უძლურ და გათანგულ გარსში
თითქოს მეფეთა აკლდამაში
განვისვენებდით შუადღისას
პრიალა ტყავით ტანშებურვილი მუმიები
ერთმანეთის არამცნობები და
ვუფრთხილდებით ერთმანეთს მაინც

## ლექსი ეპიგრაფით

*(„გული მაქვს მშრალი": მაიას ენაზე: მწყურია)*

წყურვილი მკლავდა
შენი სიტყვა
არ შემაწიე

სიყმილი მღრღნიდა
შენი მზერა
არ მინილადე
მიწა ვჭამე და ცის ცვარ-ნამით დარწყულებული
გადავრჩი ვცოცხლობ

გული მაქვს მშრალი
სიყვარულთან გაუცხოებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ისევ დედამიწა რადგან საყრდენია

რადგან იმატა და მომწვდა ლამის ყელამდე წყალი
მე მიპყრობს შიში ზღვის დასასრულთან და სიკვდილში
გამოუცდელი წვიმის ცრემლებით აღვსილ ამ ბაღში
მწუხრის ჩრდილებში დავეხეტები თავს ზემოთ ირმის
ნახტომია სადაც ქარები ოკეანენი ხვდებიან ზამთრებს ხვდებიან ველებს
A-ნის სიშავეს ჟამის სილურჯეს უხილავის თეთრ სიქათქათეს
მენამული ყვავილის სიბრძნეს ზეთისხილის იდუმალ ბაღში
ბაღში რომელიც აღვსილია წვიმის ცრემლებით
მწუხრის ჩრდილებში
ირმის ნახტომი ჩემ თავს ზეგარდმო
ვისაც საკუთარ თავს ურჩევნია გარესამყარო შემცდარ გზას ადგას
შენ გაკისრია თვით შენს წინაშე უდიდესი მოვალეობა
ის ერთადერთი შენ ხარ სწორედ ვინც ზედმეტია ვეუბნები თავს
დაიძინე და ყველაფერზე უარი თქვი მეორე დილას
შენ ხარ უკვე სხვა პიროვნება ვეუბნები თავს თუმც შეგნების
მსხვერპლი მაინც არ მსურს გავიღო ვეუბნები ჩემ საკუთარ
სახელმოხვეჭილ ლამეულ სხეულს ზღვის დასასრულთან
რადგან იმატა და მომწვდა ლამის ყელამდე წყალი
მე მიპყრობს შიში მწუხრის ჩრდილებში

*პიერ გარნიეს*

### უდროოდ გარდაცვლილ ბულბულზე თქმული

ალარ გააჩნდა მას სიმღერა
დადუმებული იყო უკვე
თუმცა ულრმესი მწუხარებით მომაპყრო მზერა მისმა თვალებმა
თოელივით თეთრმა მისმა თვალებმა
თითქოსდა ნათლით მოსილი ძევს ჯერ ისევ სადღაც /
უკანასკნელი წერილი მისი / და მე არ ვიცი
საძინებელი ჩარაზულია
მაშინ როცა ლაჟვარდისფერი
ბულბულის ეილას დაუვიწყარი ხედი წყალსგალმა
ტირილს მანდომებს
ეს გახლეჩილი ჩემივე მე ნახევარმთვარე ჩემი, სარკმელში
რომლის ნათელშიც შევიდა იგი
მესაფლავეებმა შესუდრეს შემდეგ

და ირწეოდა როგორც მაშინ თავის ჰამაკში D.-ში, ხეებქვეშ
როცა სიმღერა შეეძლო ჯერაც
როცა სიმღერა შეეძლო ჯერაც
როცა სიმღერა შეეძლო ჯერაც
ქარებს შეჩვეულ ბორცვებს ზეგარდმო
ზეცისკენ მდინარ ქერის მინდვრების გადალახვისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰიოლდერლინის კოშკი, ნეკართან, მაისში

ჰიოლდერლინის იოტა მხოლოდ
ჰიოლდერლინის ღია-მეწამულ ოთახში /
დერეფანში მდგარს
თვალი გამექცა წითელყვავილებიანი ლარნაკისკენ
ირგვლივ ყვავილთა ჩამოცვენილი ფურცლების ეარაკით
ეს იყო მეტი არაფერი /
ცარიელი ოთახი მხოლოდ ლარნაკი ყვავილებით
ორი ძველი სკამი –
ვაღებ ფანჯარას
ბაღში იგივე ხეებიაო შენ მითხარი
ის ხეებია ისევ ჯერაც იმდროინდელი
თუმცა უეცრად მოისმა მუსიკის ხმა
ბრწყინავს მოცისფრო ვერცხლის ტალღა

*ვალერია ლავიჩკას*




## შეყვარებილობის ასაკი

ლექსი შებღალული და დატყვევებული / კომბოსტოს თავები ვიტრინაში გამოწყობილი / გასაშლელი მაგიდა / ბელერინა დაჭმუჭნული / დასავლეთში სახურავებს ზეგარდმო ამნე: უზარმაზარი ჯვარცმა / ვენებში რეზინის ნილაკი / გწვავს მოგონება გაცვეთილი თავმისაყრდნობი სავარძელი / ცაცხვის ჭრელი მერქანი, შავი გოშია აიყვანა ბავშვივით პარკის ძელსკამზე ერთმა უცხო ენაზე მოლაპარაკე ქალმა და მუქკანიანმა შავთვალება მამაკაცმა შემოჰკრა ტაში / მშობლიური თუნუქის დროშა კოშკის ქიმზე ბრუნვისას გარინდებული / ტენისის ცალი ფეხსაცმელი  გადაგდებული ქუჩის კუთხეში მდგარ ნაგვის ყუთში / წიგნის ფურცლები გზასავალზე მიმოფანტული ქარისაგან ატაცებული / აივნებზე ღია ცისფერი საყვავილე ხის კოთხოები / *AGIP-ის მონსტრი* ცეცხლის ალს აფრქვევს ღია ხახიდან იქვე რძიანას ბუჩქი სახლის გალავანს მიყრდნობილი / დღეს ისე ცხელა კოლხოზური[1] ქანცგანწყვეტილობაა გამლვალ ასფალტზე / მოქსუტუნე ზურგქარი / ლოცვის სტრიქონები / აფაზია[2] / ჯონ დოულენდი[3] / ოთახში კრაზანები ირწევიან ბუდეები მოუწყვიათ ჩემ ქაღალდებში / გალუმპული კიბე შემშრალა თვალის დახამხამებაში ისეთი პაპანაქებაა დღეს / ფაქიზი თეთრი ნაქსოვი საყელოს პატარა ნაგლეჯი / ფაქიზი თეთრი თვალის ნაპრალით მაკვირდება წმინდანის ხატი თუნუქის ძველი ტოლჩა სრულყოფილი თანხვედრა ძარცვას ლატარიასა და მოუწესრიგებლობას შორის მწვანე მოკლესახელოიან მაისურზე დაბეჭდილი ლურჯი ჰალსტუხი / საკოს გულის ჯიბიდან გამოჩრილი ყაყაჩოს ნაფლეთი / სინათლის მწვანე ვაშლი კიბის საფეხურზე მომწვანო შუშის კარიდან გამონაშუქი ანარეკლი / სამი გერმანული სასტუმრო / მღვიმე /  ხის გასასვლელით ხვდები ვარდისფერ ხეივანში, ხის გასასვლელით თვალს თეთრი კაბა და ვარდისფერი ფანჯარა ხვდება ღამით ფარდებს მიღმა, ან იქნებ მარჯვენა თვალმა მიმტყუნა მოჩვენებითი ცდომილება ანუ, თუ სტრიქონების წაკითხვა ქირს მარჯვენა მხარეს, მაშინ გვერდის მარჯვენა კიდეს სტრიქონები  მხოლოდ გაჭირვებით გასარჩევი ხდება / შემდეგ მოუხერხებლად მოკეცილ-მოკუნცხული გვერდზე ბალიშებს ვეტმასნები ერჩები ასე დაწოლილი / ძილისთვის უჩვეულო მდგომარეობაში მეორე გალვიძებამდე – adios[4] ანდა  ahoi[5] ამბობენ მეგობრები სანამ ჩვენ დაგვტოვებენ თვალებს ვიფშვნეტდი ღამის სამ საათზე ადრე ჩაქრა იქითა მხარეს სინათლე

***გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა***

---

[1] კოლხოზური – იგულისხმება კოლექტიური

[2] აფაზია (მედ.) – მეტყველების უნარის დაკარგვა

[3] ჯონ დოულენდი – ინგლისელი კომპოზიტორი (1563-1626)

[4] adios (ესპ.) – ნახვამდის

[5] ahoi (ინტ. მეზღვაურ.) – ჰეი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ფრიდერიკე მაირიოკერი*

# სამი სიტყვა

## ვიდრე ცა მეწამული მარაოებით შრიალებს

***28. 10. 1993 მიუნჰენის ფილარმონიაში წარმოთქმული სიტყვა***

ნება მომეცით, როგორც ავსტრიელმა პოეტმა, ორიოდე სიტყვით მოგმართოთ, ვიდრე ჩვენი ვენის ფილარმონიის მუსიკოსები თქვენს წინაშე წარსდგებიან. ბატონებო და ქალბატონებო, ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ დღეს საშუალება მეძლევა, ჩემი ქალაქისა და ქვეყნის სახელით მოგესალმოთ.

მაქს ფრიში ამბობს: „მე მჯერა ილუზიის, იმისაც კი, რაც მსოფლიოში არსად ხდება... მწამს, რომ იმასაც კი, რაც მხოლოდ ნატვრის, სწრაფვის, მიუწვდომელი მიზნის სახით არსებობს, ადამიანებსა და ხალხებზე დიდი გავლენა აქვს." 1993 წლის 15 სექტემბერს ვენის კაფეში ვიჯექი, პირისპირ ლემბერგიდან ჩამოსული უკრაინელი სტუდენტი მეჯდა. გაუმართლა: ავსტრიაში სასწავლებლად რამდენიმეკვირიანი სტიპენდია მიიღო. მისი ლურჯი ზურგჩანთა შუაში გვიდევს – მასზე 12 ოქროს ვარსკვლავით შემკული ევროკავშირის ემბლემაა გამოსახული. მიამბობს თავისი სწავლის შესახებ, გერმანისტია, ამბობს, რომ იტალიის და ამერიკის ნახვაზე ოცნებობს. გაცისკროვნებული თვალებით მიმზერს და სერიოზულ სახეზე სიკეთით სავსე ღიმილი უკრთის. ოცი წლის ბიჭის ეს ღიმილი თბილ და ამო განცდას აღმიძრავს უკვე სიბერეს მიტანებულ ადამიანს, რომელსაც თითქმის აღარ შერჩა იმედი, რადგან მომავალიც თითქმის აღარ აქვს, მეალერსება და სიმყუდროვის განცდას მანიჭებს. ჩვენი საუბრის განმავლობაში ორჯერ ხაზგასმით გაიმეორა: ადამიანის უდიდესი სიმდიდრე თავისუფლებაა. მის სიტყვებს ვენდობი, მან ეს მართლაც უნდა იცოდეს. ეს ოლეგ ზაიაჩკივსკი დასავლეთ უკრაინიდან გერმანულად შესანიშნავად საუბრობს; ის თანამედროვე ევროპის ერთგვარ სიმბოლოდ მესახება, იმ ევროპისა, რომელსაც ჩვენი აღმოსავლელი მეზობლები ნატრობდნენ, იმ ხსნის სიმბოლოდ, რასაც დღემდე ესწრაფვიან; ჯერაც ყველა ბრძოლა როდია მოგებული, ამიტომ ფრთხილად ირგებენ ახლად მოპოვებულ თავისუფლებას, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ დემოკრატიულ ხელისუფლებას ძალუძს.

პირადი და უნივერსალური ერთმანეთს ერწყმის. დაჟინებით ვეკითხები საკუთარ თავს: მე თვითონ რაღა მაკავშირებს ევროპასთან, თუ არა ხელოვნება? სურათების, სივრცეში განლაგებული საგნების, ენის, ბგერების ხელოვნება?.. და კვლავაც ახალი, მუდამ განახლებული, მგზნებარე და თან მშვიდი სწრაფვა მშვენიერებისა და საზრისის, ფორმისა და შინაარსის დიალექტიკის წვდომისა, რასაც გვერდით უწყვეტ პროცესად მიჰყვება სურათ-ხატები, ზმანებები, ფიქრები და განცდები.

ის, რაც წერისათვის შთამაგონებს, ლრმა გარინდებაა, უნატიფესი განცდებია, იდუმალი ხილვები, რომლებიც მაღელვებს და მნუსხავს. როგორც ჩანს, ამა თუ იმ ტრადიციული ლოგიკის ნაცვლად უფრო პოეტურ ლოგიკას მივყვები, ვაზროვნებ არა სწორხაზოვნად, არამედ ხატოვნად. ეს სურათ-ხატები, ყოველდღიური, თითქოსდა უმნიშვნელო მოვლენები, შეიძლება წამიერად გარდაისახოს მეტაფორად თუ სიტყვათშეხამებად და მათი პირვანდელი წყაროს ამოცნობა უკვე ძნელდება.

ხილული გამოცდილება სიტყვის სფეროში ინაცვლებს – სულ ეს არის. მაინც რა არის ჩემთვის ევროპა – ბუნდოვანი სურათი თუ მრავალფეროვნებით აღბეჭდილი ერთობა? ევროპა: ზევსის მიერ ტვირთივით მოტაცებული ფინიკიელი მეფის ასული... ხარის რბილ ქურქში გახვეული, ბრილიანტის სამკაულით დამშვენებული ზევსი, ქათქათა ბეწვით, შავად მოლაპლაპე ჩლიქებით, ზამთრის ბუჩქნარიდან რომ გამოდის და წამში იპყრობს მეფის ასულის გულს.

ევროპა დელფოს კასტალიური წყაროა, ორაკულის წყარო, პოეზიის, კაზმული სიტყვის, ტრფობის სიმბოლო.

ევროპა ჩემი პაპა-ბებიაა დედის მხრიდან, ნორჩები და ლაღები უდარდელად რომ დაფარფატებდნენ ვალსისა და პოლკას რიტმში ქალაქის სამეჯლისო დარბაზებში, შტრაუსის, სოფიასა და ტერეზას დარბაზებში და ახალ საუკუნეს ეგებებოდნენ. მათ კი ჩემი მშობლები შეენაცვლნენ, ოციან წლებში რომ ცეკვავდნენ მგზნებარე ტანგოს; ყველას კარგად გვახსოვს, რომ ორიოეჯერ ეს ვულკანზე ცეკვის დარი იყო და ისიც გვახსოვს, თუ რა საშინელებები მოჰყვა ამ ცეკვებს. ჩემი მშობლიური ქალაქის გარეშე წარმოუდგენელია ჩემი შინაგანი განწყობის წვდომა, არადა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ ქალაქის იატორიას შეგნებულად ვაქცევდი ზურგს.

ვენა მწერალთა ქალაქია. ამ ქალაქში შეიძლება შეიშალო. აქ შეიძლება წლობით იცხოვრო შეშლილმა. მწერლებმა ვენა დიდი ხანია თავიანთ ქალაქად დაიგულეს, ჩვენთან ბევრია შეშლილი მწერალი. შეშლილობა, ჭკუიდან გადამდგარი კაცის ხედვა წერისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს და, თუმცა მეც ამ ქალაქის კვალი მატყვია, მის მიღმა უფრო ფართო და უალაგო სივრცე იშლება – გერმანულენოვანი აზროვნების სივრცე, ჩემი გერმანულენოვანი პოეზიის საუფლო. თუმცა ინგლისურს კარგად ვფლობ, ჩემი ენის გარდა მაინც ვერც ერთ სხვა ენობრივ სივრცეში ვერ შევძლებდი წერით თვითგამოხატვას.

ვისმენ მოცარტის „საღამოს გრძობას ლაურასადმი", ფრანც შუბერტის „სილვიას", ფორკრეს, შუმანსა და ბახს, ლისტს, ბრამსსა და სატის, ვკითხულობ ჟან პაულს, ჰიოლდერლინს, ბრეხტს, გოტფრიდ ბენს, ბეკეტს, ჰოპკინსს, ფროიდს, მიშოს, ეზრა პაუნდს, არტოს, როლან ბარტს, პონჟს, ბრეტონს, ბოტო შტრაუსს, დიურასს, ინგერ ქრისტენსენს, პიტერ უოთერჰაუზს, ზარზოტოს. წარმოსახვაში მაქვს ერნსტის ასთავიან ქალად გარდაქმნილ და ფერნან ლეჟეს მძლავრი ფანტაზია წარმოშიდგება, მისი დინამიური ფაზა: ბალიშისმაგვარი, უფორმო, ხორციანი არსება, დაბურული კვამლის მსგავსად ფაბრიკის მილიდან რომ ამოდის.

ლურჯი დალი, წმინდა და მსუბუქი განატიფება, გამჭვირვალება, ქრობა: 1933 წელს შექმნილი მისი ტილოს, „სამკუთხა საათის" ოვალურ თვალსაწიერში, რომელზეც ცის ნაკუწი, ღრუბლები, ერთურთში გარდამავალი ორი მთა და მზესუმზირის მინდორია, ამ ფონზე კი მხატვრის ციცქნა, უმწეო ფიგურა მოჩანს: კვერთხზე დაყრდნობილი ეული მწყემსი, რომელიც ხელით მოგვითითებს ფერთა ძალუმ შემოტევაზე, მშვენიერი და თანაც შემზარავი ლანდშაფტის, ბორცვებისა და ფერდობების ფერთა ზეიმზე.

ევროპა თვითმფრინავიდან ნაკუწ-ნაკუწ მაქვს დათვალიერებული. ევროპის ქალაქები მაქვს შემოვლილი, იქაური აუდიტორიის წინაშე ჩემი წიგნებიდან ამონარიდებს ვკითხულობდი. ბუნებაში ამაოდ ვეძებდი დაკარგულ უმწიკვლოებას, ხავსზე ვცდილობდი იმ ადამიანთა ლანდების ამოცნობას, ვინც ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში შემხვედრია, მაგრამ მათ კვალს მოგვიანებით ველარ მივაგენი.

კაბა გაცვეთილი მაქვს, ადამიანების, საგნების და ვითარების წინაშე უმწეო და დაბნეული ვარ, მაგრამ არაფერს ვცვლი, რადგანაც რაღაც გამოუთქმელი უცხო ძალა მკრნახობს ასე მოქცევას. ჩემი ტვინის ხვეულებში ბგერები, სურათები, სიტყვები დავანებულა, გამოცდილებანი, ვერბალური მოგზაურობანი, გულისნადების განდობანი, და ნათურასავით ინთება: ფრთხილად, მაღალი ძაბვაა! ფრთხილად, დენი! ფრთხილად, პარანოიდული ფსიქიკა!

დალის თქმით, ჩვენ ის ადამიანები ვართ, ვისაც ეს დაავადება სჭირს: ხმაურს ვერ იტანენ. ვხედავ ყვავილებს, ვხედავ შევარდენის ფრთის გაელვებას, ვხედავ ჩამავალი მზის მეწამულ სხივებში დაბურულ ტყეს, მაგრამ ვილვიძებ და ბუნება კვლავაც მიშველი და მკვდარი მხვდება.

შემოქმედებამ ავტონომია მოიპოვა და საკუთარი კანონებით ცოცხლობს.

ჩემ თავს ვეკითხები, ნეტავ საიდანაა ამოჭრილი ჩემში შეკოწიწებული ეს ნაკუწები? ალბათ ძნელადშეთავსებადი ენობრივი სისტემები, თუნდაც ნაწყვეტები დალიდან და ჰოპკინსიდან, ლოგიკით ვერ აიხსნება, რადგან მიმეზისის ლიტერატურულმა პროცესმა სინამდვილეში შემოაღწია.

საწერ მანქანაში მუდამ მაქვს ჩადებული გვიმრის ფურცელი და დროდადრო ზედ ვწერ, ჩემი საუზმის ბუტერბროდს თაფლით დახატული ვიოლინოს გასაღები ამშვენებს...

აღარ მჭირდება მათეს პასიონიდან გუნდის ჩანაწერის ჩართვა, რადგან ის ისედაც გამუდმებით ჟღერს ჩემში: სიარულისას მუსიკის რიტმში ვირწევი, მუსიკა სულ უფრო მაღლა მიტაცებს, მაბრუებს, გონებას მაკარგვინებს და ყურში გრძნეულ სითბოდ მეღვრება, ვიდრე ცა მეწამული მარაოებით შრიალებს.



# წყურვილი, ანვდენილი კარვის ჭერისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სიტყვა, წარმოთქმული 1993 წლის 7 ივნისს, ბად ჰომბურგში, ფრიდრიჰ ჰიოლდერლინის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე*

ბატონებო და ქალბატონებო, პატივცემულო საზოგადოებავ, ძვირფასო მეგობრებო!

„მერწმუნე, ძვირფასო! სიკვდილამდე ვიბრძოლე რწმენითა და ჭვრეტით უზენაესი სიცოცხლის მოსახელთებლად, დიახ! ეს ჭიდილი ისეთ ტანჯვად დამიჯდა, რაც კი კაცს შეუძლია აიტანოს უდრეკი ნებით!"

(ჰიოლდერლინი თავის ნახევარძმას, კარლ გოკს, 1801 წლის მარტის მეორე ნახევარი, ჰაუპტვილი).

წამიერი ძილი. სიზმრის ნაფლეთები. სურათების მოძალება: სიზმარეულ ხეობაში სიტყვების მსუბუქი ფარფატი, წყლების თავზე ნიავით მათი გამოქროლება, ზღვაზე მტრედისფრად მბზინავი ღრუბლები, ჰორიზონტზე უნაზესი ფერების გაკრთომანი, ჰაერის სარკეში არეკლილი სახეები, ღამისა და დღის ზმანებები, მონაპავე კონტინენტები. ამ ორომტრიალში, ქროლვაში, გავლისას კარადის პირიდან გაკვრით ჩამოგდებული პატარა სავარცხელი... სწორედ ასე მიმოვდივარ ცხოვრებაში, ასე დაუდევრად ვეპყრობი საგნებს თუ მოვლენებს, შემთხვევითობის მონა ვარ და წერის იდუმალებებსაც შემთხვევით ვიხელთებ: მაგალითად, შემთხვევით ვიხსენებ სამი ათწლეულის წინათ დედის ნახელავ კოხტა რუხ ქურთუკს, ფართხუნა კაბებს...

კარვის ჭერს ვაწვდენ ჩემ უზომო წყურვილს: თავანეული ავყურებ და მოველი ნიშანს, ცნობას, რაიმე გზავნილს, დაწერილსა თუ ჩურჩულით წარმოთქმულს: კედელსა და ჭერზე ამოკითხული ნიშნები პოეზიის ნაკვალევია.

სწორედ ჰიოლდერლინი: წლების მანძილზე ის იყო ჩემ კედელზე ამოტვიფრული ცეცხლოვანი წარწერა, ვერცხლისფერი მილაკებით, წვეთოვანით ძილღვიძილში ჩემს არსებასთან მიერთებული მისეული, ჰიოლდერლინის პოეტური სახეები კვებავდნენ ჩემებს. ჩემ თავმდაბლობას სულაც არ ვღალატობ, როდესაც ვამბობ: ეს ზიარჭურჭელს ჰგავს.

შემთხვევით როდი შევარჩიე ეს შედარება. ჰიოლდერლინთან რაც მაკავშირებს, სწორედ ისეთივე ზიარი ჭურჭლით ვარ გადაბმული სიურეალიზმის პოეტურ ტრადიციასთან.

ერთი მწიკვი ბენი, ერთი მწიკვი ბრეხტი, ცოტაც სენ-ჟონ პერსი, სალვადორ დალის განდობილი მოგონებანი, ჟან პაული, ფროიდი, ფრენსის პონჟი, ბლომად ბრეტონი, მიშო, დიურასი, ცოტაოდენი როლან ბარტი, ჟაკ დერიდა, ბოტო შტრაუსი, და კვლავაც და კვლავაც, უცვლელად – სემუელ ბეკეტი, ახალი დროების შეუდარებელი დიდოსტატი.

1989 წლის 18 მაისს პროფესორმა პაულ ჰოფმანმა, ვისაც უდიდეს პატივს ვცემ, ლექციის წასაკითხად მიმიწვია ტიუბინგენში, ჰიოლდერლინის კოშკში. იმ ჩემთვის ეგზომ ბედნიერ მზიან დღეს თეთრკაბიანი სტუდენტები დაბალი თეთრი გალავნის გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ, ქვევით ნეკარი მოედინებოდა, ყველანი ჩემი ლექციის მოლოდინში გარინდულიყვნენ, დღე იყო თეთრი, თეთრად მოკაშკაშე, ტირიფები ტოტებს წყლისაკენ ხრიდნენ და ნატიფ ჩრდილს ჰფენდნენ, კოშკი, ბაღი, სიჩუმე... იქ ბედნიერება და სიმშვიდე და დამეუფლა, იქ კიდევ მსურდა დაბრუნება. რას ვიფიქრებდი მაშინ, იქ, ჰიოლდერლინის კოშკში, რომ იმ დღეს ჰიოლდერლინის სახელობის ამ ჩემთვის ეგზომ საპატიო პრემიას მივიღებდი! დიდ მადლობას მოვახსენებ ამისათვის ქალაქს, პატივცემულ ჟიურის და ამას, პიერ ბიერტოსი არ იყოს, ჰიოლდერლინის სახელით ვაკეთებ!

დღევანდელებიდან ალბათ ბევრი ნატრობს ამგვარ ჰიოლდერლინის კოშკში გამოკეტვას, სურს, მოკლე ხნით მაინც გაექცეს უმოწყლო სინამდვილეს, რომელიც, თუმც ყველას პირადად არ ვნებს, ირიბად მაინც გვემტერება.

ჰიოლდერლინის დიდი მკვლევარი პიერ ბიერტო ამბობს, რომ კოშკში დამკვიდრებით ჰიოლდერლინმა ცხოვრებისა და შემოქმედების ახალ ფაზაში შეაბიჯა, რაც სამყაროსაგან გაქცევისა და განმარტოების მისეულ სურვილს დაემთხვა. ბიერტოს აზრით, ჰიოლდერლინი იმაში დარწმუნდა, რომ მსოფლიო მის პოეზიას აღარ მიიღებდა, რომ მასა და სამყაროს შორის ყოველგვარი კავშირი გამწყდარი იყო.

ამ სოფლის სიამენი კი...

ყველა სიამე ამ ქვეყნისა ვნახე თავიდან,
ახალგაზრდობის დრო გრძელია! გრძელი! გაეიდა,
აპრილს და მაისს, და ივლისსაც ჩაუვლია, კარგა ხანია,
აღარაფერი აღარა ვარ, და სიცოცხლეც არ მიხარია![1]

1 თარგმნა ვასილ გულეურმა.

როგორ მოხდა ის, რომ ჩვენ დროში სულიერი ნათესაობის ეს ძაფები გაიბა? ეს სიმპათეტიკური სისტემის ბრალი უნდა იყოს, მილაკებით გაცვლილ-გამოცვლილი განცდები და აზრები, რაც კვლავაც ზიარი ჭურჭლის ხვიარებთან გვაბრუნებს. ბუნების ელეგიური ჭვრეტა: დახრა, მიდრეკა, ხელოვნების სხვა დარგებისადმი მგზნებარე სწრაფვა, რაც მესამე ათასწლეულის გზაგასაყარზე ერთგვარ უცნაურობას, ექსცენტრულობასაც კი მოითხოვს. ან იქნებ ამას ცხოვრებასთან ეგოცენტრული, აუტისტური მიმართება უნდა ვუწოდოთ? დამეთანხმებით, ეს პოზიცია საზოგადოების და, მით უმეტეს, ლიტერატურული წრეების მხრიდან კეთილგანწყობას ვერ დაიმსახურებს, თუმცა მას ეს თვითონაც არ სურს. ...მზით განათებული პალმები, ზღაპრული ლანდშაფტი, ფრენსის ბეკონისთანა შემოქმედის მომნუსხველი სამყარო. ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული წინა ფრონტზე ვილევწი ჩემი სათაყვანებელი გერმანული ენისათვის, ცხადშიც და ზმანებაშიც, თრობასა და ასკეტობაშიც, ყოფითი მოკრძალება ჩემში დიდ პრეტენზიულობას ერწყმის, რაც ჩემს სამუშაო პირობებს ეხება; გამუდმებით ვვარჯიშობ თვითკრიტიკაში, დაუღალავად დავეძებ რაღაცას, ვცდი, ვადარებ, ვაჭაშნიკებ, ვბაძავ, ვაყურადებ მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან მოსულ გასაოცარ ექოს, ჩემ თავში ათასი ჰანგი ჟღერს, ასოციაციური მუხტი ყველაფერს მსჭვალავს, სიმღერის გვერდით გამუდმებით ფხიზლობს გონება, ზუსტი გათვლა მთვარეულის ხილვებსაც კი განსაზღვრავს.

ჩემ თავს ვეკითხები, როგორ მოვეპყრო საგნებს, მოვლენებს, გარემოებებს... ყველაფერს მუდამ მხოლოდ ზედაპირზე ვაკეთებდი და ჩემი ფიქრიც მხოლოდ ზედაპირულად ნაფიქრი გახლდათ; ყოველთვის გაკვრით ვეხებოდი, არასოდეს ჩავღრმავებივარ არც მოვლენას, არც ადამიანს, არც რიტუალს, არასოდეს განვზავებულვარ მასში; ჩემი ცხოვრება ანარქიულად განვვლე და, ამავდროულად, საყოველთაო კანონებსაც მკაცრად ვიცავდი: მუდამ გულჩათხრობილი, გარშემომყოფთაგან განრიდებული და ურთიერთობაში ხისტი ვიყავი; აუცილებლობის შემთხვევაში გაცვეთილ ფრაზებს, თვალთმაქცობასა და თავაზიან კლიშეებს ვიშველიებდი.

ზედაპირის მიღმა მიმდინარე ნამდვილ, უხილავ, ღრმა პროცესებს ვერასოდეს ვამჩნევდი. თითოეული მოძახილი, სატელეფონო ზარი, სტუმარი უჩვეულოდ და უცხოდ მეჩვენებოდა: ვიჯექი და მორუხო ცას გავყურებდი, ვცდილობდი გამერჩია, მის კაბადონზე ჩიტები მოჩანდა თუ ციცქნა ღრუბლები. ჩემთვის მოუხელთებელი სამყაროს მოიისფრო სისხლის მორევს ჩავცქეროდი და გაოგნებას, უმწეობას, საკუთარი თავის გამო უკმაყოფილებასა და სიმშვიდის მოთხოვნილებებს განვიცდიდი. ჩემს სიახლოვეს პიროვნებათა სიმრავლე მაწუხებდა, მაგრამ ამავდროულად ენატრობდი სამყაროს მთლიანობა, ცალკეულ პიროვნებათა გარეშე, რადგან ისინი მხოლოდ პერსპექტივას მიმახინჯებდნენ; მუდამ მსურდა სამყაროს პანორამული, გამთლიანებული აღქმა მქონოდა, ყოველთვის ისე ჩავწვდომოდი, ისე გამეთავისებინა, რომ ამასთან ერთად საკუთარი თავი არ დამეკარგა. ასე განვაგრძობდი ცხოვრებას, ყოველთვის მხოლოდ გაკვრით ვეხებოდი.

ვიღვიძებ და ბუნება შიშველი და ცარიელი მხვდება.

საბეჭდი მანქანის წინ მოხრილი, თითქმის მუხლმოყრილი ვზივარ, დიახ, საწერი მანქანის წინაშე მუხლმოყრილი ვარ: პლატონური ტექსტი, შესაძლოა, ერთადერთი რამ იყოს, რასაც ამქვეყნად თაყვანს ვცემ. ჩემი ძალისხმევით იწერება ჩემი ნაწარმოებები. თუმცა ის ჩემი ძალისხმევით იბადება, მაგრამ ის ჩემგან არ მოდის და ამიტომაც ვიყრი მუხლს ჩემი საბეჭდი მანქანისა და ჩემი ნაწარმოების წინაშე, ცრემლები ღვარად მდის და ლამის ნამლევკოს, ჩემი ცხოვრება ჩემ შემოქმედებასთან საკანცელარიო სამაგრებითაა მიმაგრებული, ნეტავ ვინმეს თუ შეუძლია ამის გაგება...

ასე ვიჯექი, ჩემ თვალწინ ჰორიზონტი იშლებოდა, ფანჯრის მიღმა – ფოთლების მწვანე ნაფლეთები, საწერი ფურცლის ნაცვლად – ნაჭრის ხელსახოცი, გონებაში – მარად ამოუხსნელი გამოცანა... ის ამგვარად ჟღერს: რატომ კვდება ხეზე ჩიტი, რად კამკამებენ ვარსკვლავები...

ნება მომეცით, ჩემი სამადლობელო სიტყვა ჰიოლდერლინის ჩემთვის უსაყვარლესი ლექსით დავასრულო:

სიცოცხლის ნახევარი
ტბის წყალში ჰკიდია
ხმელეთი, დახუნძლული
ყვითელი მსხლებით და
ველური ვარდებით.
ნატიფო გედებო,
ამბორით მთვრალები
თავებს ყოფთ
ანკარა წყლის ქვეშ.
ვაგლახ მე, როდესაც
ზამთარი დადგება,
საიდან ავიღო ყვავილთა კონები,
საიდან ავიღო მზის სითბო,
ჩრდილმა თუ მიწია?
დგანან გალავნები,
უტყვი და პირქუში,
ქარში შრიალებენ დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამყაროს პანორამული სურათი, თვითდახასიათების მცდელობა

*1986 წლის მაისში, ენისა და ლიტერატურის გერმანულ აკადემიაში მიღებისას წარმოთქმული სიტყვა*




ის მოკლე სიტყვა, რომლითაც დღეს თქვენს წინაშე გამოვალ, მისი უჩვეულო კილოს მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამის გამო, თქვენს საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაჩქარევი მინიშნებები იქნება რაღაც ისეთზე, რისი განსაზღვრაც თვითონაც მიჭირს:

რადგანაც ჩემი ცხოვრება ამ ორმოცდაათი წლიწადის განმავლობაში ფანქარივით გაითალა და თავისი წვერით ერთადერთი მიზნისაკენ, წერისკენაა მისწრაფული, ამიტომ ჩემი წარმომავლობის შესახებ ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. მხოლოდ ამას: მამისაგან ვიშვი, დედაენამ გამომკვება, თავიდანვე მფრთხალი ვიყავ და ყოველი ფიქრი თუ სიტყვა ისე მაშინებდა, რომ მას ჩემი მხრიდან არასოდეს მოსდევდა რაიმე ქმედება, გარდა შიშის გამომხატველი ჟესტისა. რაც არ უნდა მომემოქმედა, ამით ჩემ შიშს მხოლოდ ვაასმაგებდი. მაგრამ ბუნება, ხელოვნების მსგავსად, ნატიფი ხაზების კალმით გამოსახვაში მეხმარებოდა. ჭეშმარიტების ძიება და შემოქმედებითი სიგიჟე – აი, ჩემი მწერლობის წინაპირობა. იმთავითვე ვისრუტავდი ყველაფერს ნანახს და ჩემი ოთახის კედელზე ფანქრით ვჯღაბნიდი სწავლას მოწყურებული ბავშვივით, რომელსაც უცხო სიტყვების დამახსოვრება უნდა. მტირალა ბავშვი არ ვყოფილვარ, მოსე მწერალი კი ვიყავი, წერის ჟინი ყოვლად მოულოდნელად და მძლავრად დამატყდა თავს. სკოლაში თხზულებების წერაზე მეტად არაფერი მიხაროდა, ამის გამო მასწავლებლების ქება-დიდებას ვიმსახურებდი, თუმცა ეს ქება უხერხულობის განცდას მიმძაფრებდა, მით უმეტეს, რომ არ ვიცოდი, საიდან გამიჩნდა წერის წყურვილი: არა მგონია, თანდაყოლილი ყოფილიყო. განსაკუთრებულად არასოდეს გამიცხელებია თავი იმ უხილავ ძაფებზე ფიქრით, რომელთა წყალობით პოეტის გონებაში თავნება აზრები ჩნდება ხოლმე (ვილანდი).

უნდა ითქვას ისიც, რომ გონება იმთავითვე არეული მქონდა, ინტელექტზე ჯობს საერთოდ არ ვილაპარაკოთ, მეხსიერებას სიყრმიდანვე ვუჩიოდი, ცოდნა და ზრდილობა კი ვერასოდეს გავაწონასწორე.

(ვიდრე ტრამვაი გაჩერებას მიუახლოვდებოდა, ორმოცდათოთხმეტი წლის შემდეგ ჩემი ბავშვობის ერთი მომენტი მომაგონდა: შვიდი წლისამ ფრანგულის სახელმძღვანელოს პირველი გაკვეთილი ზეპირად დავისწავლე. ტრამვაის საფეხურზე რომ ჩამოვდივარ, გულში ვიმეორებ: Madeleine

est une petite fille, elle est a la fenetre, elle regarde la rue... Madeleine

est une petite fille, elle est a la fenetre, elle regarde la rue... მოგონების ჩანაწერი აქ მთავრდება).

1924 წელი. ჩემი დაბადების წელიწადი. ამ წელს გარდაიცვალა კაფკა, ამ წელს გამოქვეყნდა სიურეალისტების პირველი მანიფესტი. მე, არაფისმცოდნე, უსუსური არსება, ავდრიან დროში მოვხვდი, სადაც სიყვარული შემაგებეს. დედაჩემის მშობლები ჯერაც მძლავრად იდგნენ, მმფარველობდნენ და მდარაჯობდნენ. შემდეგ სურათი ბუნდოვანდება, როგორც ზოგადი, ისევე კერძო, 1934 წელს ჩემი ოჯახი კატასტროფას განიცდის. მე ნანგრევებიდან ვარ გამოსული.

ჩემი კომეტის კუდი, ანუ ჩემი სანათესაო გამუდმებით მმოძლვრავდა და მინერგავდა – ო, ღმერთო დიდებულო! – რას აღარ მინერგავდა! პირველ რიგში გულწრფელობასა და პატიოსნებას. წერის ჩვევა ჩემდათავად გამოვიმუშავე (რამდენად გულწრფელი ვიყავი ამაში, ან იქნებ წერა საერთოდ დიდი თვალთმაქცობა და თამაშია? – ამას ნამდვილად ვერ განვსაზღვრავ). ღვთისაგან კურთხეული ბავშვი ვიყავი, ზიარების სეფისკვერები ენაზე მადნებოდა, ბავშვობის ნლებში მონეს „ჟივერნის დუმფარების" შუაგულში ვიდექი და ამ წყლებში მარგალიტების ჟღარუნს ვისმენდი, ხოლო როცა ეს მარგალიტები საფეხურებიდან ილევენთებოდა, მწარედ ვტიროდი.

ბუნებაში დავეძებდი დაკარგულ უმწიკვლოებას, ხავსის ხალიჩაზე – იმ ადამიანთა აჩრდილებს, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, მაგრამ ვისი კვალიც შემდგომ დავკარგე, ზოგჯერ ჩემივე დაუდევრობისა თუ ტლანქი სიტყვის გამო. რამდენჯერ გავრიდებივარ და სიბნელეში შემიფარებია თავი, რათა ხალისისათვის ხელი არ შემეშალა. უკვდავებას სულმუდამ ეჭვით ვუცქერებდი, და არც ახლა მწამს მისი.

დიდსულოვნება ვისწავლე და ზოგჯერ დიდსულოვნებით თვითუარყოფამდეც კი მივდიოდი. ასაკთან ერთად შევეჩვიე თითოეული ადამიანისადმი, თითოეული არსებისადმი მოწიწებას. ამის გამო უკვე დამდეს ბრალი, კრიტიკულობა გაკლია, სამყაროსადმი ინდიფერენტული ხარო, მაგრამ მე ამით მთელი პალიტრა მოვიხელთე, ფერთა ნაირგვარობას ჩავწვდი და უსასრულო განზომილებები აღმოვაჩინე.

ომის წლებშივე მომხვდა პოეზიის მძიმე ური. მახსენდება ის უსასრულო პანორამა: ომის წლებმა დამამსხვრია, მაგრამ თან დამზოგა კიდეც, მე ის წლები მინის კედლის მიღმა გავატარე, ყველასაგან საიდუმლოდ ვწერდი. ცხოვრებისეული განსაცდელი ჩემი წერისათვის მარგებელი აღმოჩნდა ან, გოეთეს სიტყვები რომ ვთქვათ, „თუ გსურთ რომ ადამიანებმა ფიქრი და წერა შეწყვიტონ, მათ უდარდელი ცხოვრება უნდა შეუქმნათ."

მაგრამ არასოდეს მსურდა წერით ლუკმა-პურის მოპოვება, ამიტომ ოჯახის ტრადიციას მივყევი და მამის პროფესია ავირჩიე, ოცდახუთი წელიწადი მასწავლებლად ვიმუშავე, თუმცა ეს დიდად არ მომწონდა. დიახ, დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია ვაღიარო, რომ ამ არასასურველი საქმიანობის არჩევით საკუთარ თავს შევეწინააღმდეგე, ჩემი საოცნებო ხატი დავანგრიე: ამით ჩემივე არსი დავთრგუნე, ჩემი შინაგანი სამყარო ორად გავხლიჩე, წინააღმდეგობებით ავავსე, წერა ორიოდე თავისუფალ საათში გამოვამწყვდიე; ფრიად ზარმაცი და უყურადღებო მასწავლებელი ვიყავი, ყველა შესაძლებლობას ვიყენებდი, რათა ქვეშიდან გამოვმძვრალიყავი, გაკვეთილებზეც კი ვიხელთებდი დროს და ჩემთვის ვჯღაბნიდი, რასაც ჩემი მონაფეები ზოგჯერ უკომენტაროდ ტოვებდნენ, უფრო ხშირად კი დაცინვით ხვდებოდნენ. ამიტომაც კარგა ხანს პოეზიის უბრალო შეგირდად დავრჩი, სწავლა და ძიება გამიგრძელდა, ჩემი საუკეთესო წლები ამას შევალიე.

მსურდა ყველაფერზე უარი მეთქვა და ჩემი დრო, ჩემი სულიცა და ხორციც მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურისთვის დამეთმო. ჰაინრიჰ ფონ ბერინგენის მსგავსად, ქამარზე მიმაგრებული სამელნით ვივლიდი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩემი სამუშაო ჩანთა, რვეული და კალამი მუდამ თან მექნებოდა, ქუჩაში ორივე ხელიდან გამივარდებოდა, რითაც გამვლელთა გაკვირვებულ და თანამგრძნობ მზერებს მივიზიდავდი. ჩავუფიქრდებოდი იმას, თუ რას წარმოადგენს ლიტერატურა: გრძნობათა ხელოვნება უფროა, აზროვნებისა თუ აღმოჩენებისა.

იქნებ თავიდანვე მქონდა შუბლი ცეცხლით დადაღული, მაგრამ ნიშანი დროის განმავლობაში გამიმკრთალდა: აჩეჩილი თმის ქვეშ ჩამალული აფრიკის კონტინენტი.

გამოსაწევმაგიდიანი კომოდი ანუ, როგორც უწოდებენ, სეკრეტერი, „ბიოზენდორფის" ფირმის როიალი, რომლის გამოყვანილ წელს ვიყავი ჩახუტებული, როცა პირველად ვცდილობდი წერას, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ჩემ კეთილ მშობლებს გაუხარდებოდათ, მასზე ეტიუდები დამეკრა. ეს სოლიდური, პატივცემული ავეჯი დღემდე თან მდევს. ჩემი გაჩეჩილი რვეულები ჩემი ნაჩქარევი ჩანაწერებითაა სავსე, რომლებსაც რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც კი ველარ ვარჩევ, და ჩემი საბეჭდი მანქანა, რომელსაც ერთდროულად ათივე თითით ვაცხრები თავზე.

ჩემი მშობლიური ქალაქის გარეშე შეუძლებელია ჩემი შინაგანი ხილვების წვდომა. მაგრამ იმ ძველისძველ, ისტორიული წარსულით დახუნძლულ ქალაქს სულაც არ დავახლოვებივარ. სიმართლე თუ გსურთ,

მის ისტორიას დღემუდამ თავს ვარიდებდი, იქნებ იმიტომ, რომ ისტორიისა და პიროვნული სფეროს კავშირისა არ მწამს, იქნებ იმიტომ, რომ მუდამ რაღაც უფრო ღრმა, ჩემთვის ჯერაც უცნობ კავშირებს დავეძებ.

წერასთან სრულიად განსხვავებული მიმართება მაქვს, ვიდრე ლაპარაკთან. მსურს, ცხოვრების დარჩენილი დრო წერა-კითხვაში, ჭვრეტასა და დუმილში გავატარო: თავი დავაღწიო ყოვლისმომცველ ზიზღს, სიცარიელეს, სასოწარკვეთილებას, შიშს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, წერა ისე არ მწყურია, როგორც ფიქრი და გარინდება. ბევრი კითხვა. მსურს, შემეძლოს იმ წიგნების დასახელებები დავიხსომო, რომლებითაც ვარ დაკავებული, რათა მავანის შეკითხვაზე, ახლა რას კითხულობთო, უხერხულობა არ დამეუფლოს. გარინდება ის უწონო ხელოვნებაა, რომელიც სახეზე მაქვს აღბეჭდილი, როცა ყინულის კრიალა ზედაპირს ჩავყურებ. სულიწმიდის წინაშე როცა წარვსდგები, ის ჩემ სახეს დატოვებს, ნიღაბივით ჩამოსცილდება.

მისი სახება ყვავილებით დაბურული ბაღია: მუდამ ასე წარმომიდგება შთაგონება, მაგრამ იგი ისე იშვიათად მეწვევა ხოლმე... მის წინაშე წამსვე ვიჩოქებ, თავზე ამარილის გვირგვინად ადგას მზის შუქი. და მზე ვარდება, ჩემი შთაგონება სულის წიაღში მივარდება, მერე კი ყველაფერი მთავრდება... მოხრილ დედაბრად ვიკუნტები საწოლის კიდეზე, გაცრეცილ მერცხალს ვემსგავსები და მაციებს. პროზაა ეს თუ პოეზია, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ისაა, თუ რითაა შემოსილი ის სიტყვები, შთაგონებას რომ ჩემთან მოაქვს, და რა ჩონჩხს ავაგებ მე ამ სიტყვებზე. ხორცის შესხმა მძიმე სატანჯველია, სულის ამოხდომამდე მივბობღავ ციცაბო აღმართში, აღარც ჩურჩულით წარმოთქმული ლოცვა მშველის, გული მიკრთება.

იქნებ მწერლობა, გოეთეს თქმისა არ იყოს, მართლაც, ქედმაღლობაა. ხილული და სმენადი სამყაროს თავდადებული გათავისება და დაფიქსირება. კვლავაც და კვლავაც მიჩნდება კითხვა: რატომ ითვლება დღეს პოეტურ შთაგონებაზე ლაპარაკი მოძველებულ უგემოვნობად? რად მიაჩნიათ, რომ ტექსტის შექმნა ყოველ ადამიანს შეუძლია?

კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ არ შემიძლია ჩემ სათაყვანებელ, მშვენიერ ლიტერატურას ის ლექსი, ის პროზა თუ ის სასცენო დიალოგი მივაკუთვნო, რომელიც ირონიას, სიცილსა თუ უხერხულობას აღმიძრავს, რად მირჩევნია, ამგვარი ტექსტები მაგიური წრის მიღმა ვიგულო, განვდევნო, ავირიდო. მსგავს რამეს, მგონი როლან ბარტი წერს თავის წიგნში „მდუმარე საკანი“: „იუმორი არც მუსიკაში მხიბლავს და არც ფოტოგრაფიაში.“ გასაფლანგი დრო არ მაქვს, თითოეულ საათს ძუნწად ვეპყრობი, ყველაფრის ერთდროულად კეთება მსურს, მინდა ერთ დღეში დავწერო წიგნი. წერა საზღვრების დაძლევის, უსაზღვრო გამოცდილებების წყაროდ ქცეულა. წერა ჩემი მოძღვარია, ჩემი სულიერი საზრდო, ჩემი [illegible] წერის წყალობით შევიცანი, ბუნებაც და ადამიანებიც. ქაოსი სულ უფრო გასაგები და ხილული ხდება.

რასაც ინტუიცია შმაგად ეუფლება, იმას გონება მაშინვე თანდათან სწვდება, აწესრიგებს, დამაჯერებელ ფორმაში აქცევს და ბეჭედს ასვამს. ასე იქცევა ექსტაზი დისციპლინად. და მაინც, სწორი იქნება, თუ ვიტყვი: მე მხოლოდ გრძნობებით ვრეაგირებ. (რა ორაზროვნად ჟღერს ამგვარი აღიარება! იმისდა მიხედვით, მწერალი მამაკაცის პირით ითქმის თუ მწერალი ქალისა, მისი მნიშვნელობა წამსვე იცვლება!)

ახალი ლიტერატურა, ექსპერიმენტული პოეზია, დადაიზმი, სპირიტუალიზმი: ეს ჩვენი, ეგრეთ წოდებული ცივილიზებული საზოგადოების ნატიფი გემოვნების ხელყოფის მცდელობებია. ყოველივე ეს ფარდას ხდის სიტყვათა ახალ, იდუმალ სამყაროს, პროვოკაციებს ახდენს, გაოცებას აღძრავს. ბეკეტი და ბრეხტი, როლან ბარტი და ბრეტონი, მაქს ერნსტი და ჟან პაული, ჰიოლდერლინი, არნო შმიტი, მიშო, კლოდ სიმონი და დიურასი ჩემს ოთახში იფანებენ, თავს დამტრიალებენ, ჩემი გენიოსები, ჩემი ძმადნაფიცები. ვხედავ ხელს როგორ მიქნევენ, თავიანთ საიდუმლოებებს მანდობენ მე, მდუმარესა და უსუსურს, მგზავრისჩანთიან მაწანწალა მისანს, გადამთიელს, საეჭვო მარგინალს.

ერთი უძველესი გამონათქვამი ნორჩ ფრინველებს ასე ახასიათებს: როცა გალობას სწავლობენ, როცა თავიანთ ხმას გაუბედავად სინჯავენ, ეს პოეზიის დასაწყისიაო.

*გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2

# პროზა, ესეისტიკა

# დებიუტი





ზურაბ გოგიძე

# Sister of the Moon

„საუნჯეს“ ვკითხულობდი, ლუზერებს რომ ეძღვნებოდა, გული მოვიფხანე, რამეთუ თავად გახლავართ ლუზერი – უპროფესიო, უსარგებლო, უფულო, უიმედო და უსაშველო, არ ვიცი რა მიხაროდა, როცა ვკითხულობდი, ეტყობა ეს ყურადღება მესიამოვნა ჩემდამი და ჩემი ხელმოცარული თანამოძმეებისადმი. მადლობა ამ ნომრისთვის. ვწერ მეც ზღაპარ-მოთხრობებს (ოღონდ არასაბავშვოს) და როგორც ლუზერების ამქრის წესია, ვერსად ვაქვეყნებ. თავს არ მოგახვევთ, მხოლოდ მითხარით, თუ შეიძლება და „საუნჯე“ თუ ინტერესდება უცნობი ავტორებით, შემეძლო ნაწყვეტის ან მთლიანი მოთხრობის გამოგზავნა.

პატივისცემით,
ზურაბ გოგიძე

2 ოქტომბერი, 2013 წელი,
პირადი წერილი ფეისბუკზე
ჟურნალის მთავარ რედაქტორს





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ღამით ოკეანის თავზე ცას სავსე მთვარე უნდა ენთო, მაგრამ მთვარე ამოსვლას არა ჩქარობდა, დიდხანს არსად ჩანდა. ბოლოს კი მაინც გამოჩნდა ცა-ზღვის კიდეში იმის ნათება: მთვარის ორი ფრთაქათქათა ანგელოზი ძალით მიათრევდა ზარმაც მნათობს ცის სიმაღლეებში. ანგელოზები ხატულა, სიფრიფანა ასულები იყვნენ და ძლიერ უმძიმდათ იმ გაბერილი მთვარის ზიდვა, ხელები ფეხებში ჩაევლოთ ძილისგუდასათვის, ფრენით მძიმემძიმედ მიიწევდნენ ცაზე ამაღლებად. ეძინა მთვარეს, ყურს არ იბერტყავდა. წინდებისამარა ბალნიანი ფეხები ცაში აეშვირა და ხვრინვისაგან იბერებოდა. მისი შარვალი ერთ-ერთ ანგელოზს გადაეკიდა მხარზე, ეტყობოდა სიფრიფანა ასულებმა დაძინებულს ჩაცმა ვერ მოუხერხეს და შარვალი თან გამოიყოლეს.

– გადაპყოლია მთელი დღე ვარსკვლავებთან დროსტარებას ეს უქნარა, ლოთი ესა! – უკმაყოფილოდ ამბობდა ანგელოზი.

– როდის გაიღვიძებს ნეტავ, რომ ფეხზე დგომა შეძლოს. ამის ზიდვას რამდენ ხანს შევძლებთ კიდევ? – ამბობდა მეორეც.

– იქნებ ღამის სიგრილემ მოაფხიზლოს.

– თუ არა და ზღვაში ჩავაგდოთ.

– ჩამივარდება სულაც, ჩემი ბრალიც არ იქნება.

– მაშ როდემდე გავუძლებთ ამსიმძიმეს!

ძალით იყო თუ ნებით, მთვარის სინათლე მაინც დაეფინა ოკეანეს, განათდა წყლის პირი. ანგელოზებმა თვალი მოავლეს არემარეს და კიდეც დაკვირვება უნდეს ოკეანეზე მიმავალ რაღაც ხომალდს.

– შეხე მთვარევ! – შესძახა ანგელოზმა – შენი ერთადერთი და ზღვაზე ძნელ აღმართს დადგომია!

მართლაც ხომალდს „და მთვარის" რქმეოდა, სახელი უცხოური ასოებით ჰქონდა გამოყვანილი მთვარით განათებულ ფერდზე.

– ოცდაათი უგულო კაცი მეზღვაური იმის დაღლას არაფრად დაეძებს, აღმართის ავლად მიერეკება! საბრალო, ტვირთის სიმძიმით ზღვაში ჩადაბლებულა! – შესძახა მეორე ანგელოზმაც და ხელიც იქით იშვირა, რისგან კინაღამ გაუვარდა მძიმე მნათობი.

– აღარა ძალუძს საბრალოს, უღმერთოდ გატანჯულა იმათ ხელში! აღმართში ზურგის ქარი გამოლევია, ალა აღარა შესწევს!

გამოიღვიძა მთვარემ ამ შეძახილებზე, ძნელი იყო ნამთვრალევზე გამოღვიძებაც. გონებას, მხედველობას იკრებდა. გასწორდა. თავის ფეხზე დადგა, დააკვირდა უიღბლო ხომალდს. ხედავს, ბოროტ მეზღვაურებს მართლა უღმერთოდ მოუხმარიათ და მისი, არაქათი აღარ შერჩენია საბრალოს და მაინც ძნელ აღმართზე ერეკებიან. უმძიმესი ტვირთით დატვირთული ძლივს მიღოღავს ზღვის პირზე, მყრალად აგინებს გულქვა კაპიტანი და წყევლის უკლებლივ ოცდაათი ლოთი მეზღვაური, ეშმაკებს მოუხმობენ იმის სათრევად.

კოპები შეიკრა მთვარემ, ანგელოზისგან შარვალი მოიკითხა, უმალ ჩაიცვა და დალონებულმა საშველის მოფიქრება დაიწყო. წამსვე მოიფიქრა ზურგის ქარი სასოწარკვეთილი დედმამიშვილისთვის, თავისგან მარჯვენა ანგელოზს უბრძანა:

– მუქურქალო, შენს გახარებას, სწრაფად იფრინე, მიეახლე ცათა სიმაღლის ქართა ქროლვის ხელმწიფეს, ხვეწნა გადაეც ჩემგან, ქარი მოავლინოს, ქროლვა ძლიერი ტანჯულ ხომალდის, ერთადერთი ჩემი დისთვის მისაშველებლად.

იფრინა მუქურქალმა, კვეთა ცა და კვეთა ღრუბელი, მიენია და მიეახლა ქართა ხელმწიფეს. უზრუნველობით სუფევდა ხელმწიფე, მხართეძოზე წამოწოლილს თავისი სამეფოს სამი ასული ანგელოზიართობდა, თავს ევლებოდნენ და რიგრიგობით უჩვენებდნენ ნარნარი, ჰაეროვანი ცეკვის წარმტაც ილეთებს. ხელმწიფის მცველმა ხელქვეითებმა ადვილად დაუშვეს და მიაცილეს ხელმწიფემდე მთვარის მშვენიერი მოციქული, დაიჩოქა და მოახსენა მუქურქალმა ყოველივე ქართა ხელმწიფეს. დარდი არა ქონდა თავქეიფა ხელმწიფეს, მოხდენილად შეიფერა მთვარის თხოვნა, აქაოდა ამათ დავჭირვებივარო, სიძუნწე მოუჭირა თავის ძლიერ უნარს, ქარის დაბერვას ფასი დაადო:

– ახლა რომ განრიგით აღარ გვიწევს ქროლვა ემაგ განედზე? საქროლი ფილტვი დაცლილია ახლა ყოველი მოსასვენებლად. ისინი ვბერო, ვამუშაო ახლა ურიგოდ, რაღა გამოვა, რა პასუხს მივცემ ქარებს, ერთი ვიღაც ხომალდისთვის რად გაწუხებთ-თქო?! არა, ტურფა მოციქულო მაშუქ მთვარისა, ვერ გაგიწიო შემწეობა ამჯერად მაინც.

ნაღვლით იფრინა უკანა გზა მუქურქალმა. წყენა შესჩივლა და დანაბარები მოახსენა თავის მბრძანებელს. იგინებოდა მთვარე და ახლა მარცხენა ანგელოზს უბრძანა დავალებით:

– ზღვაზე იფრინე ცისმანათო, ოკეანის ხელმწიფეს მიეახლე, იმან უბრძანოს ძლიერ ვეშაპებს ზურგებით ამოუდგნენ ხომალდს და აატარონ ზღვის აღმართ-აღმართ.

თქმაც არ მოესწრო სიტყვის ბოლომდე მბრძანებელ მთვარეს რომ დაღმა იფრინა ცისმანათმა, ზღვის პირს აშურა. ძებნა და ნახა განედი ოკეანის ხელმწიფის სუფევისა. ყვინთვით დაეშვა, მიეახლა თევზთა მბრძანებელს. თევზის ხელმწიფეც უზრუნველ განცხრომაში სუფევდა იმ დროს თავის სატახტო განედზე, ნებივრად იჯდა სამეფო ტახტში, სამი ქალთევზა ევლებოდა, რომელთაგან ერთი ქნარზე დაკვრით აამებდა, მეორე კუდსა ფხანდა, ხოლო მესამე სულაც ტოლმას აჭმევდა საკუთარ ხელით. ხელმწიფეს დაუჩოქა ცისმანათმა, მოახსენა მთვარის დანაბარები. და ზღვის ხელმწიფემაც სიჯიუტით თითი შეიყო:

– განა შენი ბატონი ის მთვარე არა ბრძანდება ზღვის მოქცევით ჩემს ვეშაპებს თავთხელში რომ იტყუებს, მერე უკუაქცევს ზღვას და ვეშაპებს კი ხმელზე ტოვებს დასალუპად?! რამ მოაფიქრა ჩემთვის თხოვნა შენს მბრძანებელს ვერ გამიგია. ვერას გიშველი, წადი და უთხარ ესე ჩემგანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცვეთი ანრი



მარიკა მამალაძე

მთელი თვე ვემზადებოდი პრეზენტაციისთვის, ყოველთვის მომწონდა ჩემი პროფესია, თავს არასდროს ვზოგავდი. სამსახური კარგი მქონდა და ანაზღაურებაც. ბოლო პროექტმა „ჭკუიდან გადამიყვანა", მევალებოდა ისეთი უცნაური რამის შექმნა, რაც მძღოლებისთვის, კონკრეტულად კი ქალბატონებისთვის მოსახერხებელ „გაქუცვის საწინააღმდეგო საშუალებად" გამოდგებოდა. ქალების გაქუცვა-დაბერებას მე ვერაფერს ვუშველიდი, საუბარია მათ მაღალ, საშუალო თუ ოდნავ ქუსლიან ფეხსაცმელზე, საჭესთან ჯდომისას რომ ილახება. ვისაც ავტომატიკა ყავს – მარჯვენა, ვისაც მექანიკა კი – წყვილად, ოღონდ მარჯვენა მაინც უფრო მეტად. უნდა მომეხდინა შესაბამისი იდეის ჩამოყალიბება, მიახლოებითი დიზაინის მონახვა, ბაზრის კვლევა და ანალიზი და კიდევ ათასი წვრილმანის გააზრება. ალბათ ამ მოცემულობიდან დიდი ვერაფერი გაარკვიეთ. მომიწევს ყველაფერის თავიდან ჩამოლაგება.

ვ ი ნ ა ო ბ ა: ვარ 29 წლის, მქვია კატერინა, იგივე კატო, ასაკი არ მეტყობა, მაცვია ყოველთვის „სხვანაირად". ამ ბოლო დროს შევიჭერი მოკლე „ჩოლკა", რამაც უფრო დამაპატარავა და 21 წლისას დამამსგავსა.

პ რ ო ფ ე ს ი ა: მე კრიატივისტი ვარ, სხვანაირად რომ გითხრათ, „შამქმნელი", შემოქმედი, ფანტაზიორი. რომანტიკოსი ადამიანი, რომელიც რეალობაშიც ერკვევა, ერკვევა იმდენად, რომ მის უსაზღვრო და უკიდეგანო ოცნებებსა და ილუზიებს აწმყოში აცოცხლებს – რეალობას აფანტასტიკურებს.

ქ ო ნ ე ბ ა: მყავს ძაღლი – შავი დობერმანი. მინიკუპერი ლურჯი. ვოცნებობ ბუგატზე, ჯერ საყიდელი ფული ვერ დავაგროვე.

გ ა ტ ა ც ე ბ ა: მიყვარს ყველაფერი, რაც ლამაზია და მოხერხებული ამავდროულად. ვგიჟდები ხელფასის აღების პირველ დღეზე, სენდვიჩებზე, ბაიკერებზე, ექსტრემალებზე, კიდევ ათას რამეზე.

ვ ე რ ე გ უ ე ბ ა: დღე-ღამეში რომ მხოლოდ 24 საათია. ერთ ადგილას დიდხანს ჯდომას. ორ ქმარს, რომლებიც უკვე ყოფილები არიან, სავარცხელს და ა.შ.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თავში ჯერ არაფერი გაქვს, ნერვიულობას იწყებ, „დედლაინი" ახლოვდება და იმ დროს, როცა იმედი გეწურება და ის-ისაა სასოწარკვეთილებაში ვარდები, გონება გეხსნება და იდეების ნაკადებიც მდინარეებად გადმოედინება.

ანრი მუდამ ჩემს გვერდშია (ჩემი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი), პირველად მას ვუყვები. თუ მომიწონა და თვალები გაუბრწყინდა, ესე იგი „იდეა გენიალურია". აზრებისა და ნოვაციების ძიებაში ღამეებს ვათენებთ, ერთად ვცხოვრობთ. „ჩვენ ნატურალები ვართ-თქო" დიდი ხნის განმავლობაში ვუხსნიდი მეგობრებს, ნათესავებს, მშობლებს, მეზობლებსაც კი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე, ბოლოს შევეშვი მათთან რაიმეს მტკიცებას. „დაე, ილაპარაკონ, რაც უნდათ" და ფაქტია, მათაც სალაპარაკო არ გამოლევიათ.

რვა მაისი იყო, პროექტს ვაკორექტირებდით და 11-ში კლიენტთან გვქონდა 3 საათზე შეხვედრა ჩანიშნული. მნიშვნელოვანი იყო მისი მოწონება-არმოწონების საკითხი, მასთან თანამშრომლობა არამარტო ფულს, დიდ პრომოუთინგს მოგვიტანდა, მოკლედ ასეთი მაგარი და სახელგანთქმული კლიენტი ჯერ არ გვყოლოდა და ჩვენი კონკურენტები შურისაგან, ვგრძნობდი, ფრჩხილებს იკვნეტდნენ. თითქმის მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, ანრის „ახალი გამონათება" დაემართა. მოგვიწია ყველაფრის გადასწორება. გადავწყვიტეთ ცხრაში დილიდან საქმეს ჩავჯდომოდით, რადგან უქმე დღე იყო და ხელს არაფერი შეგვიშლიდა.

ცხრა მაისს დილის ცხრა საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა.

– ბებო, რა ხდება, ხომ მშვიდობაა? – ბებიაჩემი მაშინვე ვიცანი, სევდიანი და მოწყენილი „ალო" მომეჩვენა.

– სად ხარ, გუშინ მთელი დღე გირეკავდით, ვერ დაგიკავშირდით ვერავინ, მამაჩემი გარდაიცვალა გუშინ დილით... ხვალ ვასაფლავებთ.

– უი, რას ამბობ, საწყალი... მთელი დღე ვმუშაობდი და ხომ იცი, ტელეფონი გამოვრთე, მე უნდა ჩამოვიდე, ხომ? – ვიკითხე და მივხვდი რომ არ უნდა მეკითხა, იქვე გამოვასწორე – მე ეხლავე გამოვალ, მოვწესრიგდები და მანდ ვარ – ბოლო წინადადება მაინც ფანტასტიურად გამომივიდა, ისე თითქოს ვერიდან ვაკეში აედიოდი, ან სულაც ამავე კორპუსის მეზობელთან.

– გურიაში თევზი ვერ ვიშოვეთ, – გადავიდა პირდაპირ საქმეზე, – ფოთში გავლას არ გთხოვ, მაგრამ მანდ კი უნდა მოახერხო შოვნა,

უმაგისოდ არ გამოვა, ხო იცი მარხვაა და თევზი აუცილებელია – მითხრა ბებიაჩემმა, მეც მარყერი და ფურცელი მოვიმარჯვე და ჩავიწერე მისი მითითებები – ხო, კიდე „კოფე", აქაურ ქალებს გაუხარდებათ, შენ სახელზე დალევენ.

– კიდევ, – დაამატა ბოლოს შემონახული მთავარი სიტყვა, – აქ ებლა ხალხია და იცოდე დამაფასო უნდა, წესიერად მოდი, ის „ქოსა" კაცი არ დამანახო. – თქვა და სასწრაფოდ დაკიდა ყურმილი, ქოსა კაცში ანრის გულისხმობდა თან ქოსას იმიტომ კი არ ეძახდა, რომ თავზე თმა არ ქონდა, პირიქით, მის გრძელ თმას ვერ იტანდა. ანრის ხელები, და შესაბამისად, ფეხებიც კრიალა და შესაშური ქონდა.

ბებიაჩემის მამა 96 წლის იყო და მისი ნაგრამი კიდევ ერთი მაგდენი ვიყავით. იმის გაფიქრება, რომ ყველანი ერთად შევიკრიბებოდით, ძალიან მახალისებდა. ერმილე ბაბუა მოსწრებული კაცი გამოდგა, ხუთი თაობა აპირებდა მის დატირებას. ის ჩემი დისშვილის ბებიის ბაბუა გამოდიოდა.

სასწრაფოდ ტანთ ჩავიცვი (ძალიან მეზარებოდა), ანრისაც გამოვღვიძე (იქვე ჩაძინებოდა სარწეველაზე). მარტო არ გაგიშვებთ, თავი გამოიდო. ჩემს უსაფრთხოებაზე არანაკლებად ჩვენს დასამთავრებელ პროექტზე ზრუნავდა და იმიტომაც. ბებიაჩემის ხათრით რაც შემეძლო შესაფერისი სამოსი შევარჩიე, ანრი გავაფრთხილე, შენს იქ წაყვანას ჯობია დობერმანი წავიყვანო, იმას უფრო სიხარულით შეხვდებიან თქო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გურიის გზაზე ჩემი საჭესთან ჯდომა, თანაც მაშინ, როცა მაკიმარებდა?! ანრის შეეძლო სამ საათში ჩავეყვანე „რაკეტა ხარ, რაკეტათქო" ერთ ბრაზილიურ სერიალში მოვისმინე შემთხვევით ეს ფრაზა და უმალ ჩემს ლექსიკონში ჩავწერე ანრის მისამართით. ბაზარში შევიარეთ, ვიყიდეთ თევზი სამნაირი, რომელიც რა თქმა უნდა საოცრად და სამნაირად ყარდა, მაგრამ რა მექნა, ასე დამაბარეს...

12 საათისთვის გზას დავადექით. მე მთელი გზა მეძინ-მეღვიძა. კონდიციონერმა სიცხისგან კი გვიხსნა, მარა ცროლისგან ვერ. ამას ისიც დაერთო რომ ანრი მთელი გზა საქმეზე მელაპარაკებოდა. გადაღლამ და დისკომფორტმა გულისრევამდე მიმიყვანა. გურიის „პერევალზე" სამჯერ გავაჩერეთ მანქანა. თუ არ მოვკვდებოდი არ მეგონა, ცალი ხელით რული და მეორე ხელით ჩემი თავი ეჭირა, ბებიაჩემის გული კი მაინც ვერ მოიგო, „ქოსა, ქოსაო" დაჯერებით გაიძახოდა სალანძღავ სიტყვად. ერთხელ ისე გადამიყვანა ჭკუიდან, ვთხოვე, ტანზე გაიხადეთქო... მერე ბებიაჩემს გადავურეკე და სიხარულით ვაცნობე:

– ეხლა ფედიმობილა მიდგას წინ, სადაც საჭიროა ყველგან თმა აქვს, იცოდე თავი დაანებეთქო!!! – კაი გვარიანად გამომთვრალი ვიყავი... ბებიაჩემს ამ ამბის მერე წნევამ აუწია და მეორე დღეა თვალში სისხლჩაქცევა დაემართა. ექვსი თვის მერე ძლივს შემო[illegible]

ოთხის ნახევარზე ქყონაგორაში ვიყავით. უამრავი ხალხი დამხვდა, აქედან მიახლოებით ასი ჩემი ნათესავი იყო. ეგ არაფერი, მიცვალებულს წრე რომ დავარტყი, ბებია მაინც უყმაყოფილო ჩანდა, ერთი წარბი აწია და ჩუმად დამეკითხა, ჭირისუფალი ყველა თუ გადაკოცნეო. მეც მოვტრიალდი, მტირალი ჩემი მეროშელილაცე ბიცოლა გავაჩერე და ყველას გასაგონად ვიკითხე:

– ბებიაჩემს აინტერესებს, ხომ ყველას მოგესალმეთთქო – მე არაო, ერთმა მოხუცებულმა ქალმა მიპასუხა, რომელიც იქვე კუთხეში იჯდა. მივედი და საჯაროდ ვაკოცე ორივე ლოყაზე.

მეაში ადგილი გამომითავისუფლეს და მიმაჩინეს – შენ აქ უნდა იჯდეო. ანრიმ მანქანა გადმოტვირთა და ხალხის ნაკადს შემოყვა. ბებიაჩემს ერთ-ერთმა შვილიშვილმა აცნობა, ბათუმლები ჩამოვიდნენო და ისიც მოემზადა და რა მოემზადა... ოთახიდან გამოსვლა ძლივს მოვახერხე. ატყდა ერთი ამბავი და მეორედ მოსვლა. საოცარ ხმაზე დატიროდა ბებიაჩემი მიცვალებულს, ტურებივით ყვებოდნენ ქალები, რომლებიც იყვნენ ჩემი დეიდები, ბებიდები, რძლები და უბრალოდ სოფლის მეზობლები. ხალხის ნაკადში ბებიაჩემმა ანრიც შენიშნა და – მისი ხმა მესამე ოქტავას აცდა.

ერმილე მარტო ცხოვრობდა, დროდადრო აკითხავდნენ შვილები და შვილიშვილები. უყვარდა სმა, მოლხენა და სლავი ქალები. ორი ცოლი ყავდა და არცერთი ქართველი. გურიაში მეტად მძიმედ გადაიტანეს „რუსის" რძლები, ჯერ იმიტომ რომ რუსები იყნენ, მეორე კიდე იმიტომ, რომ ძალიან შეიყვარეს და უდროოდ დაკარგეს ორივე. ერთი გაცივებამ გადაიყოლა ორსულობისას, მეორე დარდმა – ის პირველი ცოლი ჩემზე მეტად უყვარდაო. „დარდიმანდა" ბებომ ოთხი შვილი გააჩინა, პირველმა კი სამი. ერმილეს სახლი ძველი, მაგრამ კოხტა იყო, კარმიდამოს „დარდიმანდული" ჟოლოები და „უფრო საყვარელი" მეუღლის ნახატები ამშვენებდა. სახლის უკან უზარმაზარი ყანა იყო, სწორედ ამიტომაც ბევრი სოფლელი ნატრულობდა ჩვენს სამოსახლოს. მათ შემთხვევაში ყანები მოშორებით იყო და დიდი მანძილის გავლა უწევდათ მიწის დასამუშავებლად. ბაბუაჩემს კი როგორც ომის გმირს კოლმეურნეობამ მიაკუთნა ხუთი მოსახლის საკუთნებელი მიწა და ისიც ყოველ დილით მამლებთან ერთად იწყებდა მიწის სიყვარულს და გურულ ხასანბეგურასაც არ აკლებდა.

დიდმა ბაბუამ ორივე მეუღლე ომის წყალობით იპოვა. მფრინავი ერმილე ორჯერ გადაურჩა სიკვდილს კატაპულტირებით: ჯერ ექთანმა მარიამ იხსნა, ლენინგრადის ბლოკადისას კი კატერინას სახლთან დაეშვა მისი პარაშუტი. სანამ ერმილეს კატერინა ფეხზე დააყენებდა, მარია სიმინდს ტეხავდა ყანაში გოდორმოკიდებული და ფეხმძიმე ყველა, მერვე თვეში იყო, ამის დარდი არ ქონდა, სახლში სამი მოშიებული შვილი უცდიდა. ცუდი ამინდში დაიჭირა, ხუთი დღე გადაუღებლად წვიმდა. მერვე დღეს ერმილე გონზე მოვიდა, მარია კი ფილტვების ანთებით მიიცვალა. სოფელში ექიმი არ იყო, ზოოვეტერინარმა კი რაც შეეძლო იღონა, ბავშვი გადაარჩინა.

მრავალი მედალი და ორდენი უმშვენებდა გაჯგიმულ გულს ერმილეს. უნდოდა, ცხრა მაისის საზეიმო პარადს დასწრებოდა,

აკანკებოდ ემზადებოდა ყოველ წელს ამ დღისათვის. ფეხსაცმელი გაწმინდა და ბუხართან მიეწყო, მედლებდახუნძლული „ქასტუმი" სკამზე გადაეკიდა, შარვალს ელვა გაფუძებოდა და ამას დარდობდა... ასაკის მიუხედავად ჯანმრთელად და ენერგიულად გამოიყურებოდა, გაცხადებული დარდი არ უყვარდა, რაც მახსოვს, სულ შემართებით აღსავსე იყო.

პირველ ქმარს რომ დავშორდი ბევრი დრო არც იყო გასული, მაშინაც სოფლად ვიყავი, სახლის უკან სიგარეტს ვაბოლებდი, ვერიდებოდი ხალხს... თავზე უცაბედად და შეუმჩნევლად დამადგა, მე ხელი უკან დავმალე, იმას ვითომ არც შეუმჩნევია: „ბაგის ჯინაზე წაი ბაბუ და არაფერი მეიკლო, ჩეიცვი, დეიხურე და იმხიარულე გულიანად, იცოდე!" მითხრა, თოხი მხარზე გაიდო და ბაღჩისკენ დაიძრა. თითონაც კერკეტი კაკალი იყო, ათასი უბედურებისა და გაჭირვების მომსწრეს, დამწუხრებულსა და შემდრკალს რომ ვერ ხედავდნენ, „გულთან არაფერი მიაქვს და აბა მაგას რა მოკლავსო" – ამბობდნენ ახლობლებიც და შორეულებიც. „მე ომი გამოვიარე და ახლა რა მომკლავსო" – უპასუხებდა ის და გულზე მიბნეულ „საჩინოებებს" დაანახებდა ამაყად. სულ რამოდენიმე ფრაგმენტი მახსენდება მასთან ურთიერთობის, ხშირად არ ვხედავდი, თითქოს მივიწყებულიყო მისი არსებობა ჩემთვის. შორებელსა და შორეულს, რატომღაც ლეგენდად უფრო აღვიქვამდი, ვინემ რეალურ ადამიანად.

იქ იყო ათასი წლის უნახავი გენეოლოგია, ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვგავდით და განვსხვავდებოდით ამავდროულად. ბევრი ნათესავი შევყროვდით, სახლი გაისო მხიარულებით, ერთად შეყრის მიზეზი ირიბი გამხდარიყო და ჩვენი სიჭარბე კიდევ ერთხელ მიუთითებდა ერმილეს მთავარ დამსახურებაზე. ჩემი ტოლა გოგო-ბიჭები დაოჯახებულიყვნენ და გაეჩინათ სასაცილო პატარები, ბავშვების ხმაური არ წყდებოდა, გადაბუგეს ბოსტნები და დაატრთხეს საქონელი. ინდაურებისა და ქათმების დევნით გული რომ იჯერეს, მერე მეზობლის ლეკვებიც არ დაინდეს. ერთმა ყველაზე ხულიგანმა და ლამაზმა გოგომ შუა პანაშვიდებზე ლორები შემოდენა ეზოში.

ანრი დროს აქაც არ კარგავდა, ყანაში ადგილი მოენახა მყუდრო, ტიდან მომავალი იქითკენ შემიტყუა, მეც არ მიუარია, საქმე ბევრი იყო და რამენაირად უნდა შემეთავსებინა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან. ყანის შუაგულში მოვკალათდით. სიმინდის ტაროებს თავი წამოეყოთ, მაღადეც ერმილესთქო გავიფიქრე, ფეხები გავშალე და დაძინება მომინდა... ანრის ოთა ჩემი რეზინით შეეკრა უკან და ალუჩით ავსო ჯიბეები.

– არაჩვეულებრივია, აქ ათასი აზრი და მოგონება გადაგირბენს, ახლა ვხვდები რატომ არ უყვარო სოფელი. – მითხრა ანრიმ დ ალუჩა გაწმინდა.

– მაინც რატომ, მითხარი ანრიუს?

– კატერინიუს, ბევრს თავის თავთან მარტო დარჩენა არ უნდა ან მოსაგონიც არაფერი აქვს... შენი თავის სოფელი უნდა იპოვო, ქალაქი ლამაზად შეფუთული ფუტლიარია. – მითხრა და ალუჩა ჩაკბიჩა – აქ ქალებს კალოშები აცვიათ, იქ კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და მაქმანებიანი კოლგოტები – აწრი გვერდით მომიგორდა და ფეხი ჰაერში აწია – აი, ამ ფეხზე უნდა ვიფიქროთ ახლა ჩვენ! ამ ლამაზ ფეხზე.

– არაჩვეულებრივი ფეხები გაქვს ანრი, შენ რად გინდა ნეტა მასეთი, საცოდაობაა არაა, ჩემთვის მიეცათ ნეტავი... – ჯიბეში ჩავუძვერი, ალუჩა ავიღე და გემრიელად ჩავკბიჩე – კარგია, ეს ადგილი რომ იპოვე, იმდენი შევგროვდით, კაცმა არ იცის, სად მოგვიწევს დაძინება...

– აქ ნეტა მხაპის საშუალება არის? – იკითხა აწრიმ, სამუშაო მასალები ირგვლივ შემომიწყო და ისევ ალმოვჩნდი ქალაქის ხმაურიან ოფისში. სიმშვიდე და სოფელიც კი ავახმაურეთ... განსაკუთრებით კი ვახოია.

ვახოია მეზობლად ცხოვრობდა, ვმეგობრობდით ერთ დროს, სათევზაოდ დავყავდი, თაფლის დამზადებაც მასწავლა. მერე ყველი ერთად ამოვიყვანეთ, ბოლოს გამომიცხადა, ჩვენ ახლა იმდენი რამე გვაკავშირებს, ცოლად უნდა გამომყვეო... სამმა საათმა ისე გაიარა, ვერ შევამჩნიეთ, ბოლოს იდეები სულ რომ დაგვეშრიტა, ჰაერში აწეული ფეხებიღა შემოგვრჩა... ზუსტად მაშინ დავინახე ვახოიაც, ჩვენს შემხედვარეს ვერაფერი გაერკვია, დაფეთებული აჩქარებით მიიპარებოდა.

შინ რომ მივედით, გვიანი იყო. მეზობლებიც ამლილიყვნენ, ნათესავებს ზედა სართულიდან ქვემოთ ჩამოენაცვლათ, შეთხელებულიყვნენ, ჩაის სვამდნენ, ჩვენც შევუერთდით. ბიძაჩემი გაბრაზებული დამცქეროდა – ბიცოლაჩემი ნიშნის მოგებით. ანრი კედელთან დამდგარიყო გაუბედავად. ნერვები მომეშალა ჩემიანებზე.

– ალბათ აქ ჩვენი ადგილი არ არის, ბევრნი ვიქნებით და არ გვყოფნის ალბათ... – ვთქვი და სახლიდან გასასვლელად მოვემზადე. ბიძაჩემმა მკლავში დამიჭირა.

– კატო, აქ არის ერთი ადგილი შენთვის და შენს მეგობარზე ვახოია იზრუნებს... ჩემებიც



მასთან ათევენ – იგულისხმა ტყუპი ბიძაშვილები ანა და ლანა.

– სამიკო, მე ბევრი საქმე მაქვს და ჩვენი ცალ-ცალკე ამბავი არ გამოვა, ერთად უნდა დავასრულოთ... ძალიან მნიშვნელოვანია... ჯობს ორივე ვახოიასთან გადავალთ... – ვგრძნობდი, რომ ბიძაჩემის მოთმინების ფიალა ივსებოდა, მეც მზად ვიყავი შევსკდომოდი. შემეძლო მის ნებას დავმორჩილებოდი და მზადაც ვიყავი, მაგრამ მისმა პრინციპულობამ ბოლო მომიღო. ანრის გადავხედე, ვერ იტანდა კონფლიქტებს, მექანიკურად გასალებს ჩაჭიდა ხელი, მეგონა ახლა ადგება და იტყვის, ჩემზე ნუ ინერვიულებთ, მე თბილისში ვბრუნდებიო. ბიცოლაჩემმა ქურქლის ლაგება შეწყვიტა და ჩვენკენ გამოემართა, ვახოაია კარებში იდგა... სიტუაცია ბებიაჩემმა განმუხტა.

– კატერინა, იმ შეხვედრაზე ასწრებ ჩასვლას ბებო ხომ? თევზი გადასარევი გიყიდიათ, კოფეს ვერ მოვკარი თვალი ... – ბებიაჩემი ჩვეულ ამპლუაში იყო.

– ააააა, კოფე მანქანაშია, გადმოვიტან დამაცადე! – გამახსენდა უცებ.

– კაი, აფერი არ უჭირს, ხვალ რომ გადმოხვალთ ვახოიასგან, მაშინ არ დაგავიწყდეთ გადმოღება, ქალებში მოვიჯაყები... დაპირებული ვარ – თქვა ბებიამ და კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა.

ორი ქმარი მყავდა, რაც თავი მახსოვს, სულ შეყვარებული ვიყავი, არასდროს არავის ვახედებდი ჩემს ცხოვრებაში, ისინიც არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. მეგობრობდნენ ჩემს ორთავე ყოფილ ქმართან და საკმაოდ თანამედროვე შეხედულების იყვნენ ცხოვრებაზე. ოღონდ კი ანრი ვერაფრით აეტანათ. უფრო მეტიც, ჩემმა ორთავე ქმარმა ჩვენი გაშორების ერთ-ერთ მიზეზად ანრი მოიშველია, არადა არაფერ შუაში იყო...

ვახოიასთან ჩვენი განთავსების პატარა და ცოტა უხერხული პრობლემა შეიქმნა. ბიჭი, რომელთანაც ერთადაც ორგულა თხილებს ვინაწილებდი და „ტყუპები გვეყოლება თუ გაგიყოფო" რომ მეუბნებოდა, ვერ გარკვეულიყო, რანაირად უნდა დავეწვინეთ. სულ ორი ოთახი იყო და ოთხი დასაბინავებელი. ტყუპები ერთად განთავსდებოდნენ და ამას წყალი არ გაუვიდოდა. ან ვახოია და ანრი უნდა დაწოლილიყვნენ ერთად და მე ვახოიას ლოგინში, ან მე და ანრი ერთად, ერთ ოთახში.

დიდხანს არ დამეძინა, გულნატკენი ვიყავი რადგანაც ყოველთვის ვცდილობდი გამეხარებინა გარშემომყოფნი და პირიქით გამომდიოდა. მათი გაბრაზების მიზეზი მრავალი იყო, მაგრამ უმთავრესი ანრი. ვერ ეგუებოდნენ სიმპატიურ და უკონფლიქტო ადამიანს, რომელსაც გრძელი თმა ჰქონდა ჩემი რეზინით შეკრული. ქისას კი ბებიაჩემი იმიტომ უძახდა, რომ სლიპინა კანი ქონდა. ვერ იგებდნენ ამგვარ ურთიერთობას, არ მოწონდათ ჩვენი სიახლოვე, არ იჯერებდნენ, რომ ანრი ცუდად არ მექცეოდა და ცოლად მოყვანა უბრალოდ არ შეეძლო... არც ჩემი ოჯახები დაუნგრევია. პირველმა ქმარმა მისი ცემა მოინდომა, მაგრამ თითონ აღმოჩნდა ნაცემი, მეორემაც მოინდომა... არადა რისი გულისთვის?

– მარტო ვერ გამოგიშვებდი ამხელა გზაზე... – მითხრა ანრიმ და კედლისკენ გადაბრუნდა. საწოლნახევრიანი ტახტი იყო, ყველა გადაბრუნებაზე ჭრაჭუნობდა. სიჩუმის ხმა და უხერხული ჭრიალი სევდას მიძლიერებდა, ანრის უკვე ეძინა, მე კი კარგა ხანს ვერ დავხუჭე თვალი. ანრიზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ხშირად მის არსებობას ვერ ვაიგივებდი და საკუთარი დამატება მეგონა. არასდროს ვუყურებდი როგორც მამაკაცს, მაგრამ გვერდში მედგა როგორც არმია და ბატალიონი. იყო ჩემი მრჩეველი და ზოგჯერ დიქტატორიც, რომლის დიქტატურასაც პირდაპირ ვერასდროს ვგრძნობდი, თუმცა ნებაყოფლობით ვნებდებოდი მის რეჟიმს. ახლაც, დიდი ბაბუის დასასაფლავებლად ჩამოსული, მის განრიგს ვემორჩილებოდი და ანრის დადგენილი კანონები თუ წესები სულიერ სიმშვიდეს მიქმნიდა. ველოდებოდი, რომ უკმაყოფილოდ გადმოტრიალდებოდა და მისაყვედურებდა: რას წრიალებ ამდენს, ძილის დროაო და მეც უმალ დავხუჭავდი თვალებს. დიდი ძალაუფლებისა და გავლენის მიუხედავად ანრი უპირველესად ვასალი იყო ჩემი. ვასალი, რომელიც მხოლოდ იმიტომ მბრძანებლობდა, რომ უკეთ ემსახურა. ის ჩემი მონა იყო და მე მისი მორჩილი.

– იმიტომ დავარტყი, სხვანაირად არ შემეძლო, შენზე თქვა... – „ბოზიაო"... უნდოდა დაესრულებინა, არ იყო საჭირო, მეც იქვე ვიყავი და გავიგე. ეს მაშინ მითხრა, პირველი ქმარი რომ გამილახა ოფისში... შინ მისვლა დამაგვიანდა. ის რომ მოვიდა, ჩვენ ორი გვიპოვა ჩაბნელებულ და დაცარიელებულ შენობაში, რაფაზე ვიჯექით და ნაყინს მივირთმევდით... მაშინ „სენდვიჩი ნაყინის" კონცეფციაზე ვმუშაობდით.

– შენ არასდროს გყვარებია სინამდვილეში და იმიტომაც ჩაბღაუჭებიხარ მაგ გაუგებარ არსებას... – მითხრა ერთხელ ერეკლემ (ქმარი №2) – ხალხის მცხვენია, სხვა არაფერი... ფეხზე მხოლოდ იდიოტებს ჰკიდიათ საზოგადოება, აზრი არ აქვს არანაირ წარმატებასა და მიღწევას ცხოვრებაში საზოგადოებისაგან განცალკევებულად!!! – მითხრა და კარი გაიჯახუნა.

სიყვარული ერთ თარგზე აჭრილი მატერია არ არის, გვიყვარს ისე, როგორც შეგვიძლია და გვერგება, ისე, როგორც ვიტევთ და ვივსებით. სტანდარტი, პრიმატული მოცემულობები და დოგმები ყველასთვის მისაღები და გასაგები როდია. თუ ამ ქვეყნად გერგო „ხანდახანობა", უნდა იყო კიდეც ასეთი. ზოგჯერ ისე უცნაურად მიგაბამს ბედი ადამიანებს და ისეთი დიდი სიძლიერით, რომ



ნის გარეშე შენი არსებობის შეგრძნების უნარს კარგავ. სისხლი და გენეტიკა, რაც გვაახლოვებს ერთურთთან, გვაშორებს კიდეც. როგორც ორი დამუხტული მაგნიტი განმუხტვის პროცესში – ვშორდებით ჩვენ ფესვებს და საერთოს. ვნყდებით მიწიერს, რამაც გაგვაჩინა და შორეული ცისკენ, თუ მატერიკისკენ მივიწევთ. ვინც მიდის, იმისთვის არაფერიო, არც მთლად ესეა... გაუცხოება და გაქცევა უკვე სახადია. ვისაც ეშორდებით, მისთვის მისივე ნაწილის და შემადგენლის მოკვეთაა. მოკვეთილი ხელი მაინც შეიგრძნობს დაკარგულ თითებს და ზოგჯერ გგონია, რომ ეხება კიდევ იმავე თითებით მისსავე სხეულს. შორიდან ცქერა დაკარგულის სიახლოვისკენ მიგაწევინებს გულს, სიახლოვე კი შორეთს გიჩვენებს, გაუგებარი დისტანცია და ბევრი ფიქრი გააახლოვებს, ძალვე, როგორც ახლა... ვდგავარ ერმილეს ძველ სარკესთან, ვიცურები... ამდენი ხნის წინ შეთვისებული დიდი ბაბუა თითქოს მხოლოდ ახლა შევიმეცნე და შევიცანი, როცა საბოლოოდ წავიდა... ახლა უფრო ჩემიანი გამხდარა, მუსმის მისი ყველა ამოსუნთქვა. ბიძაჩემი საშკა და ბებია, ისინი ვინც ასეთი ჩემები არიან და ასე შორს ვართ ერთმანეთისგან, საზოგადოება და მათი აზრიც რომ არ იყოს მათთვის მბოჭავი, მაინც ვერ გავუგებდით ერთმანეთს. ის, რასაც გული ვერ ჩაწვდება, გონება ვერ შეიცნობს...

– სარკეში რამ ჩაგახედა გოგო!!! არ შეიძლება! – შეჰყვირა ბებიაჩემმა, თვალდახუჭული ეცა და უკანვე გადააფარა მოხსნილი ტილო. პირჯვარი გადაიწერა და სამჯერ „ფუი ეშმაკსო“ შეასრულა.

მოულოდნელად წვიმამ დაცხო და აცივდა. ანრი რატომღაც გარეთ გავარდა თავზე პარკგადაფარებული. ბოტები მქონია მანქანაში. მომიტანა. ბუხარი ავანთეთ. მეზობლის ქალები შემოვიდნენ სამზარეულოში ხმაურით. ფეხზე რეზინის კალოშები გაიხადეს და იქვე მიაყუდეს კარებებთან. მხიარული განწყობა ჰქონდათ. ამათ ასი წელი არ დაჭირდებათ ის პროდუქტი, ჩვენ რომ უნდა შევქმნათთქო, გავიფიქრე და გამეცინა.

– ნენა, კოფე გინდა თუ ყავა? – დაეკითხა მეზობლის ქალი თალიკო ანრის. ანრი ვერ მიხვდა რა ეპასუხა და მე გადმომხედა.

– ამას კოფე არ უყვარს, ამას ყავა უნდა რძით – ვუპასუხე. ანრი მაინც ვერაფერს მიხვდა. ცხელი და ქაფქაფა კოფე მოვსვი, გემრიელი იყო, ბუხართან ჩამოვჯექი. შეშის ტკაცატკუცმა წვიმის წვეთებს შეუწყო ბანი, კუთხიდან ნამძინარევი კატა გამოძვრა და ფეხებში გამელამუნა. ქალები სამზარეულოში სასიამოვნოდ საუბრობდნენ ოდნავ ხმამაღლა. ერთი წუთით თვალები დავხუჭე. პასიურობის განცდა იდუმალებასა და სიზმრისეულ შეგრძნებას მანიჭებდა. ვიფიქრე, ალბათ ერმილეც ასეთქო ახლა, მშვიდად ისმენს ჩვენ ხმებსა და საუბრებს... ბიძაჩემიც მდუმარებას მოეცვა, ხმას არ იღებდა, გვერდით ისე ჩამიარა, რომ ნივთად ვიგრძენი თავი. თითქოს მისთვის არსობა დამეკარგა და სიცარიელე გავმხდარიყავი... კოფეს სმას თავი მივანებე, სამზარეულოდან გავიპარე და თავსხმაში გავედი. რაც მთავარია, ბოტები მეცვა...

წვიმაში ტირილი დიდი შეღავათია, ვერაფერს აკლებენ წვიმის წვეთებს ნაზი ცრემლები. ტალახები და გუბეები, ცოტა ქარი და გარინდული ძროხები... აქ ისევ ისეთი იყო ყველაფერი, როგორც ყოველთვის, მეც ვერაფერს ვცვლიდი და სნორედ ამაზე მწყდებოდა გული. რაც არ უნდა მექნა, აზრი არ ქონდა, თუნდაც ანრი რომ გადაესახლებინათ, მაინც სიცოცხლის ბოლომდე არ მაპატიებდნენ, მარადიულ ტვირთად ამკიდებდნენ და ვირზე უკუღმად შემსვამდნენ. რაას? თითონაც რომ არ იციან იმას...

ანრის მხრიდან კი ეს სულ არ იყო მათზე შურისძიება და ნერვებზე თამაში. მე ამას ვერ შევძლებდი ვერავის გულისთვისთქმა, ვუთხარი კიდეც გუშინ საღამოს. არ შეიმჩნია, თითქოს არც გაუგია. მთელი ცხოვრება რაღაცის შექმნას ცდილობ, ურთიერთობებს გინდა გაუფრთხილდე და დროს, რომელიც რომელიღაც წამს სულ ჩაგივლის და ჩაგითვლის. ეძებ კომპრომისებს და თურმე არ უნდა ეძებდე. ცდილობ თავი იმართლო და თურმე უნდა გაჩუმდე. გინდა გასცე, არადა მხოლოდ უნდა მიგეღო.

გზას გავუყევი, არც კი ვიცოდი, საით ვაპირებდი წასვლას, მიახლოებით ვიცოდი, რომ ალბათ ღელესთან თუ გავიდოდი ამ ტრაექტორიით. ჩემს წინ მანქანა გაჩერდა – ერეკლე იყო. არ მენახა 7 თვე და 13 დღე, მას მერე რაც ჩემი სახლიდან წავიდა. მექანიკურად საათს დავხედე და დროის ათვლას მოვყევი.

– შეიდზე გამოვედი – მითხრა და გამიღიმა. მარტო იყო. კარი გამოვაღე და მანქანაში ჩავჯექი. არ უკითხავს სად მიდიოდი. მეც მეღიმებოდა, სულ სველი ვიყავი. ბოტებმა მხოლოდ ფეხები გადამირჩინეს. ჟაკეტი გავიხადე და სველი თმა გავიშალე, ასე უფრო გაშრებათქო... ერმილეს სახლს გავცდით – ხმა არ ამომიღია.

– გავცდით ხომ? – დამეკითხა ერეკლე. სულ ერთხელ მოუწია სოფელში ყოფნა, ხუთი დღე დარჩით. ერმილემ ლობიო მოგვიმზადა ბუხარში, კვამლის გემო დაყვებოდა და ერეკლეს ძალიან მოეწონა. ზამთარი იყო და თითქმის მთელი დღეები გვეძინა.

– გავცდით... – ვუპასუხე და სკამი უკან გადავწიე – მთელი ღამე არ მიძინია...

– მეც ცუდად მეძინა უშენოდ... – მიპასუხა სხვათაშორის, ისე, რომ არც გამოუხედავს.

წვიმამ გადაიღო და მზემ გამოანათა. 12 სრულდებოდა, მე და ერეკლე ისევ მანქანაში ვისხედით. შინ რომ მივედით, ბიძაჩემი კარებში დამხვდა, ჩემი სანვიჩარი ეჭირა ხელში (ესეც ანრის ნამოქმედია, როგორც ჩანს). ერეკლეს ხილვას არ მოელოდა, გაუხარდა და თითქოს წყენამაც გადაუარა. ვახოიასთან გადავედი გამოსაცვლელად, ანრი იქაც არ დამხვდა.

სიმშვიდეს მოეცვა ჩემი არსება და უძრაობას, ვიჯექი ქორისუფალში, ბევრი ხალხი ირეოდა. ათასმა ადამიანმა ჩამიარა, ბევრმა ძალიან ბებერმა, ეცვათ ძველი და დაკემსილი სამოსი, ხელები შრომისგან დაკოჟრვოდათ, ფეხსაცმლის ლანჩა ახეოდათ, ძლივს მოფრატუნობდნენ, „ვიზიარებთო“ მეუბნებოდნენ და ხელს მართმევდნენ. "ნეტა ამ საცოდავებსთქო" გულში ვფიქრობდი, უკვე დაჩაჩანაკებულნი მოფამფალებულან, ჩრჩილიც რომ არ კადრულობს ისეთი სამოსი ჩაეცვათ, „ბებრები და გაჭირ-

ვებულები". არ ვიცი, როგორ ცხოვრობდნენ ნინათ, მაგრამ იმ მოხუცების ცქერა საზარელი გამხდარიყო ჩემთვის. ერთმა წელში მოხრილმა და კატარაქტიანმა ბერიკაცმა ჩამიარა, კოსტუმის საყელო სიძველისგან გაყვითლებოდა, შარვლის ელვაზე მავთული გამოება, ხელში გაზეთი ეჭირა, რომელიც ბებიაჩემს გადაახოდა. გაზეთში ამოვიკითხე შემდეგი ნეკროლოგი:

„გარდაიცვალა სამამულო ომის გმირი ერმილე ტრაპაიძე, ჩვენ, ორადორი ცოცხლად შემორჩენილი მისი ფრონტის მეგობარი გატყობინებთ ამ სევდიან ამბავს სწორედ ცხრა მაისს-----------------"

ბერიკაცმა გადაწყვიტა ხელი ჩამოერთმია ჩემთვის, მაგრამ ბოლო წუთში დაიმორცხვა, კანი გაუხეშებოდა და ფრჩხილები გასქელებოდა, მე ხელი მაინც გაუწოდე... შემეცოდა საბრალო, სიბერეს მალავდა განა იმიტომ, რომ უკადრისობდა, მალავდა, რადგან ჩემთვის მოეგო პატივი, რცხვენოდა დაუძლურების და უსიმპატიობის. თვალებში სინანული და სითბო ჩაღვროდა, თუმცა ვხვდებოდი, რომ რიგიანად ვერ მხედავდა. მინდოდა ავმდგარიყავი და გულში ჩამეკრა... სოფლელი ახალგაზრდებიც მეცოდებოდნენ, მათი ცხოვრების დღეები – უფერო და ტალახისფერი.

ადამიანად ყოფნის სინანული მომეძალა, მღვდელი ყურში ჩამძახოდა. ვინც იქ წავიდა – ბედნიერიაო... თუ მართლა ბედნიერებაა ამ ქვეყნიდან წასვლა, ეგებ სულ არ დავბადებულიყავი, მაშინ ხომ ორმაგად ბედნიერი ვიქნებოდითქო – გავიფიქრე... ყველა ადამიანი, ვისთანაც უხილავი თუ ხილული ძაფები მაკავშირებდნენ, იქ იყო და მაინც მარტოობას განვიცდიდი. სიმარტოვე ტრაგედია როცა აღარ არის, მაშინ ხდება სწორედ ყველაზე ბობოქარი.

როგორც იქნა ანრი გამოჩნდა, მე მეძებდა და ვერ ვუპოვნივარ. სამკა დაიძაბა და ერეკლემ გაანეიტრალა, მივიდა და სალამი უთხრა კარში მდგარსა და დაბნეულ ჩემს მეგობარს. ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ბებიაჩემი და მოტირალი ქალები ყოველი ახალი სტუმრის გამოჩენაზე ხმამაღალ რეგისტრში იწყებდნენ მოთქმას, მე აღარ მეცინებოდა, არსებობის სევდას „თეატრალიზებური შეძახილები" მიასმაგებდნენ. გასვენების პროცესიამ წვიმაში ჩაიარა, მე უკან მოვდიოდი, მიწაზე ყვავილები დაეყარათ, რომლებსაც გორაკზე ამოსული ველური ყაყაჩოები ნარნარით შეჰყურებდნენ. გავიფიქრე, ყვავილების ნაცვლად შოკოლადებს უნდა ყრიდნენთქო, შეჭამდი გზადაგზა და ბედნიერებაც მოგაკითხავდა. ისედაც უბადრუკ ყოფას მალდამჭკნადი ყვავილები უიმედობას და ამაოებას ჰფენდნენ, ყვავილებივით დაკრეფილი ჩვენი სიცოცხლეები, და ჭკნობადი სიბერე. წარმავლობის კანონზომიერება და ჩამწკრივებული ჭირისუფალი, ნუთუ ესაა ჩვენი ბოლო? არა, მე დავიბარებ რომ ყველას შოკოლადი აჭამონ.

ბაბუისეულ სახლში შევიყარეთ ქელეხმოხდილი ნათესავები. ერეკლე ნასვამი იყო და რაოდენ გასაკვირიც არ იყო ჩემთვის, ანრი თვალს ვერ მისწორებდა, დიონისეს სიყვარულს მეცხრე ცაში აეყვანა, გვერდიგვერდ ისხდნენ, ოღონდ ცალკე მაგიდაზე, ეზოში და ვაშლისძირში. ბებია განგებ ჩაივლიდა მათკენ, სურდა გაეგო, რაზე საუბრობდნენ, ბიძაჩემმა დაუშალა. მე იმის წარმოდგენის თავიც არ მქონდა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ვახოიასთან გადავედი და მკვდარივით დამეძინა. გვიანობამდე ისხდნენ, ერეკლე უფრო ფხიზელი ჩანდა.

– ჩამოხვედი და უნდა შერიგდეთ ალბათ ხომ? – უთხრა ანრიმ და ღვინო ჭიქებში ჩამოასხა. ჯერ ერეკლეს შეუვსო, მერე თავისთვის. ადესა იყო ერმილეს დაწურული, ბოლო ოცლიტრიანიდან. ერეკლე მჟავე ნოირს სწვდა და გარჩევა დაუწყო. შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ზემოთაც არ ამოუხედავს.

– მოვედი და წავიყვან კიდეც... მივხვდი რომ შევცდი... – უპასუხა და გარჩეული ნოირი ნეტარებით ჩაამტკბარუნა, ისე როგორც რაიმე ტკბილსა და სასიამოვნოს აგემოვნებენ.

– ხაშლამა არ ყოფილა, გურიაში ლობიო უყვართ მგონი მხოლოდ, კახელ კაცს ნოირი თუ გაამხიარულებს – თქვა და ანრიც აყვა სიცილში. ცოტა ხანი მდუმარედ იჯდნენ, წვიმამ უმატა, სახლიდან სამიკო გამოვიდა და შეთავაზა, შინ შემოდით და აქ განაგრძეთო. იმათ იუარეს. იყო მცირე დიალოგები სხვადასხვა უმნიშვნელო საკითხებზე, აი ისეთზე, ბრიტანეთში ამინდზე რომ საუბრობენ საუბრისათვის. რამოდენიმე ტრაფარეტული სადღეგრძელოც დაილია, ერთმანეთს ყურადღებით უსმენდნენ და აცლიდნენ საუბარს. ორივეს უკვირდა იმის წარმოდგენა, რომ ასე მშვიდად და უდრტვინველად შეიძლებოდა ექციფათ. ძველ და შეწყობილ მეგობრებს გავდნენ. ორივეს ენაზე ადგა მთავარი სიტყვა, რაც უნდა თქმულიყო, მაგრამ არ ბედავდნენ. არა იმიტომ, რომ წაკიდებასა და ჩოჩქოლს გაურიდებოდნენ. ასეთ ამინდში და ვითარებაში, ანდა უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასეთ სურათში წარმოუდგენელი იყო ვნებათაღელვა და ქოთქოთი. წვიმდა, რახანია დაღამებულიყო, სოფელი ძილს მიცემოდა, ორი მეტოქე ერთმანეთის პირდაპირ ისხდა და თავს არაჩვეულებრივად გრძნობდა. სადღაც გამქრალიყო ერეკლეს აგრესია და სიძულვილი, რის ამოსაფრქვევადაც ანრის სახელის ხსენებაც კი საკმარისი იყო ადრე. ანრი ერეკლეს სიგარეტის კოლოფს სწვდა და გაახსნა. იშვიათად ეწეოდა, თითქმის არასდროს. სიგარეტის კვამლი ბრეზენტს აყვა და საკვამურიდან ამომავალ ბუხრის ძახილს შეუერთდა. ანრი ჩაფიქრდა, ხელები თავს უკან შემოიწყო და ზურგით მიწისკენ გადაიწია, სკამსაც იგივე ექნა, ცხენივით უკანა კიდურებს დაეყრდნო და წინა ჩლიქები ჰაერში აწია.

– შენ უნდა დათმო... იმიტომ არა, რომ მე მინდა ასე, იმიტომ რომ იმისთვის აჯობებს... – ერეკლემ გაბედა და დაარღვია სიჩუმე. ეს სიტყვები შესაძლებელია ომის დაწყების მიზეზიც გამხდარიყო, მაგრამ უბრალოდ და გულწრფელად ნათქვამი ანრის გაღიზიანების მიზეზი ძნელად თუ გახდებოდა.

– მისთვის აჯობებს არა? – თავის თავს უფრო დაეკითხა ანრი, თითქოს აანალიზებდა, ეგება და მართალიაო – ნეტა შემიძლია კი თავის დანებება? – სკამი გაასწორა, ცხენივით გეზი მისცა, ისიც ოთხზე დადგა და ბედაურმა მტერს თვალებში ჩახედა, მხედარი სევდიანი ჩანდა, მტრობა კი გარდანავალი...

– თვითონ ასე უფრო ბედნიერი გახდება? მეუბნები, მე არაფერ შუაში ვარო და აბა მითხარი, რა იცი, მისთვის რომ ასე აჯობებს... – ანრიმ ისევ დოქს ჩაჭიდა ხელი – მე წავალ, თუ მისთვის ასე სჯობს... – წარმოთქვა ყველაზე სევდიანი ფრაზა და ადესა ააჩხრიალა. ჯერ ერეკლესთან, მერე კი თავისთვის.

– ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს ანრი, – ერეკლემ არ დააყოვნა. ეს არ იყო გამარჯვების ტრფიალით ნათქვამი სადღეგრძელო – არასდროს მომწონდი! სიყვარულზე რომ ზედმეტია საუბარი, მაგრამ სიმართლეს გეტყვი, ყოველთვის მშურდა თქვენი ურთიერთობის. დიდი ნიჭია ასე გიყვარდეს, ასე გიყვარდეს და და და... – სიტყვები ვერ ეპოვა დასასრულებლად....

– და ერთად არ იყოთო, გინდოდა გეთქვა... – დაასრულა ანრიმ ერეკლეს გულისთქმა და სევდნარევად გაეღიმა – რა საჭიროა ერთად ყოფნა იქ, სადაც ამის გაკეთება არ გჭირდება იმის დაამტკიცებლად, რომ შენიანია... – პაუზა იყო, გოგო დაიბადაო რომ ამბობენ, ისეთი.

– მე ასე არ შემიძლია, თუ მიყვარს, მხოლოდ ჩემი იქნება... ბევრი ვიფიქრე თქვენს ურთიერთობაზე. ყოველთვის გულს მირევდა შენი როლი მის ცხოვრებაში. ვერ ვიტანდი შენს უტიფარ გამომეტყველებას, არ მჯეროდა შენი „წმინდანობის", სულ მინდოდა კატოს მივვარდნილიყავი და პირში მიმეხალა, რქებს რომ მადგამ და მასულელებ, მაგ ამბავს ვერაფრით ვერ შემიფუთავთქო... რამდენი დავაპირე, ვერასდროს შევძელი. მხოლოდ ერთხელ ვუყვირე, როცა წყობიდან გამომიყვანა, „წაეთრიე და შენ პიდარასტ ქინძაძესთან იკოტრიალე, მაგ გაუგებარი სქესის არსებას იმსახურებ მხოლოდთქო"... ადამიანს არ გავდა, თვალები გაუფართოვდა და გაფითრდა, ხმა არ ამოუღია. აკანკალებული კარს ეცა და ოთახში ჩაიკეტა. დიდი ხანი ვერ ვხსნიდი მის საქციელს, შეეძლო დაეცინა და ისე უარეყო ჩემი ბრალდება, ან გაბრაზებულიყო და პასუხი არ გაეცა, ან კიდევ ათასი რამ... კატო კი ჩემმა ერთმა ნათქვამმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა... თითქოს აკრძალული კარი შევაღე, გაუმხელველი გავუმხილე... ახლახან მივხვდი, რომ თქვენს შორის ყველაფერია, იმის გარდა, რასაც გაბრალებენ, არადა მერჩივნა, დამბრალებლები ყოფილიყვნენ მართლები და რაც მართლა გაკავშირებთ – ის ლეგენდა. ბევრი დრო მქონდა საფიქრალი, ერთხანს საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ კატოსთვის ჯობდა ყველაფერი ისევე დამეტოვებინა, შენთვის დამეთმო... მერე მივხვდი, რომ ამით არამარტო საკუთარ თავს, თქვენც არასწორედ გექცეოდით, არ აქვს თქვენს ცხოვრებას მომავალი და მიზანი, თქვენი დაახლოება ურთიერთობის დასასრულის დასაწყისი გახდება... ვიცი, რომ ეს შენც კარგად იცი. ამიტომ ჩამოვედი აქ, კატერინასთან ვბრუნდები. შენ აღარ უნდა გამოჩნდე, რამე მოიფიქრე და წადი სამუდამოდ. – ანრი უსმენდა და ფიქრობდა, ახლა უთუოდ ძინავს კატოსო.

– თავი ხომ არ მომეკლა ნეტა? – გადაიხარხარა ბოლოს – ერთადერთი პრობლემა ჩემი არსებობაა, როგორც შენ ბრძანე. ეგება სიცოცხლესაც მიკრძალავ? მე არსად წავალ, თუ კატო თავად არ მეტყვის... მოვიდეს, მითხრას და აღარაფერი მექნება მეტი სათქმელი, წავალ და სამუდამოდ გადავიკარგები... – ისევ ჭიქები შეივსო, ერმილეს ნაჟური ფსკერისკენ ეშვებოდა.

– ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს ერეკლეეეე! შენს მიზანდასახულობას და სიყვარულის ფილოსოფიას. მე შენგან განსხვავებით არასდროს მძულდი, პირიქით ახლაც მიყვარხარ. იცი რატომ? ხვდები მაინც? იმედია ისევ ცისფერობას არ დააბრალებ – ორივენი ხარხარებდნენ – წამო! სადაც გინდა და ვნახოთ, ვინ როგორი ულაყია... მე მხოლოდ იმიტომ მიყვარხარ და სხვა მიზეზი არც მჭირდება... შენ მისი რჩეული ხარ – გესმის? კატოს რჩეული და არჩეული, შენ გაგიმარჯოს და შენს მეობას, იმან რომ დაინახა და შეიყვარა. შენი სიყვარული ჩემი წასვლის ხარჯზე არ გაიზრდება, დამიჯერე!!! პირიქით, ცარიელ ადგილს დაუტოვებს უჩემობა, ის სიცარიელე დაანაღვლიანებს და მოაწყენს. მე წავალ, ოღონდ იმან მითხრას, სულ წავალ დასაკარგავში... – ბოლომდე დაცალეს და მამალმაც დაიყივლა.

ძალიან გვიანი იყო, ისინი კვლავ საუბრობდნენ გაუთავებლად. კატერინას რახანია ჩაძინებოდა. ბებო ისევ კართან იდგა და ცდილობდა ყური დაეგდო. ბიცოლას დაელაგებინა, ნათესავების დიდი ნაწილი რახანია გამგზავრებულიყო. საშკას ერმილეს ჩიბუხი აეღო და ბუხართან აბოლებდა. ნაქეიფხარი მეზობლობა ჩაწყნარებულიყო და სოფლის მამლებს აელოთ თავკაცობა, აქა-იქ დაიყივლებდნენ დროგამოშვებით. ბოლო სადღეგრძელოც დაილია:

– კატოს გაუმარჯოს!!! – წამოიძახა ერეკლემ და ანრიც უმალ აყვა. ჭიქები ვახტანგურად დაცალეს და წავიდნენ დასაძინებლად.

დილით ადრე გაეღვიძა, კედლისკენ არც გაუხედავს. არ გაკვირვებია ერეკლეს ნახვა. ნეტავ ანრი სადაა, პირველი ეს გაიფიქრა და მხოლოდ შემდეგ დააინტერესა, როდის მოხვდა აქ მისი ქმარი. არაფერი უკითხავს. ტელეფონს დახედა: თერთმეტი საათი სრულდებოდა და ერთი გზავნილიც ანრისგან იყო:

„chemze ar idardo :D diliT gamovedi, paxmelia sulac ar iyo gausaZlisi, erTma chiqa nabeRlavma gonze momiyvana. Samistvis shexvedraze viqnebi da yvelaperi ise iqneba rogorc chven gvekadreba. Vin aris chemi chkviani gogo? aba shen ici :P"

უდარდელი გზავნილი ასეთი საპასუხისმგებლო დღეს და ასეთი ამბების შემდეგ. არც ერთი სიტყვა. გუშინდელი ამბის მაუწყებელი...



ელექტრონული ბიბლიოთეკა

კატერინა ნაჩქარევად წამოდგა ლოგინიდან და ფაციფუცს მოჰყვა.

– კატო, ვკვდები, ისე ცუდად ვარ, ერთი ბოთლი „ბორჯომი„ მიშოვე სადმე რა? – ერეკლემ თვალები გაახილა.

– ერეკლე, გურიაში „ნაბელლავს" სვამენ... გასაღებს ვერ ვპოულობ, უნდა გავიქცე.

– სად უნდა გაიქცე, რა ხდება ამ დილაადრიან?

– ერეკლე, ანრი ჩემი მანქანით წასულა, სამზე შეხვედრა მაქვს, უსიკვდილოდ უნდა ვიყო იქ.

– აუ, ოღონდ ეგ არა რაა! სად გარბიხარ, დაიცადე, კატო, ეკატერინე!!! – მეტის თქმის თავი არ ქონდა. აივანზე ვახოია იდგა, ვერაფერი გაეგო რა ხდებოდა. ორჯერ გათხოვილიყო მისი ბავშვობის შეყვარებული – ესეც არაფერი, ერთ დღეს ერთ კაცთან იწვა და მეორე დღეს კი იმავე ლოგინში ყოფილ ქმართან, რომელთანაც ახლა მას „ნაბელლავი" მიჰქონდა. ეს ყველაფერი მის სახლში ხდებოდა, მის აბაზანაში კი კატოს წყალს უსხამდა თავზე დედამისი. სველი თავით და ნახევრად შიშველი საძინებელში შემობრუნდა, თმა გაიშრო, ჩანთა გადაქექა. როგორც იქნა მონახა, რასაც ეძებდა.

– ერეკლე! მანქანა უნდა მათხოვო შენი.

– მაცადე ათი წუთი, მეც მოვდივარ...

საშიკოს რახანია გაეღვიძა, მზიანი დილა იყო, ბებიამ ხაჭაპური გაატანა გზად მიმავლებს. კმაყოფილები ჩანდნენ. ბიძამ მშვიდობიანი გზა უსურვა. საჭესთან კატო იჯდა, ერეკლე ძალაგამოლეული და თავატკიებული იყო. დიდი ხანი ხმა არ ამოუღიათ, ისევ კაცმა დაარღვია სიჩუმე.

– კატო, შენთან ერთად ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ამ პახმელიაზე მაინც ნუ მომკლავ, ა? ცოტა ნელა და დალაგებულად იარე. – დაიწუწუნა გურიის „პერევალზე" ნამთვრალევმა მგზავრმა და თავი უკან გადააგდო უმწეო ბავშვივით.

– ვაგვიანებ, ჩემი ბრალია, უპასუხისმგებლო ვარ. ანრის იმედზე ვიყავი, ის კიდე გაიპარა, არც გამაღვიძა! გუშინ ლოთობა გააბით, გუშინ უნდა წამოვსულიყავით... ყველაფერი ჩემი ბრალია!!!

– ისევ ანრი... – ერეკლეს საფეთქლები დაეჭიმა ისე, რომ კატომაც იგრძნო – ისევ ანრი... კატერინა მიყვარხარ, ყველაფერზე მეტად, ყველაფრის მიუხედავად, ალბად იდიოტი ვარ, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერ გშორდები? – თქვა და გაელიმა – ახლა ჩხუბის თავიც არა მაქვს... თუ არ შეანელებ, აუცილებლად დავიღუპებით ავტოკატასტროფაში.

– ნუ გეშინია, ჩემი მშობლები არ დაუშვებენ ამას კიდევ ერთხელ... არაფერი მეორდება, არც ტრაგედია... – გურიის ულელტეხილს გაცდნენ და კატომაც ფრთები უფრო ფართოდ გაშალა.

– სიცარიელის ამოვსება ძნელია, ძნელი... – ერეკლეს გუშინდელი ანრი მოაგონდა...

საბედნიეროდ გზა არ იყო გადატვირთული, გორი ფრენით გადმოიარეს და მცხეთა ერთი სიმღერის მისამღერში ჩაატიეს. სამს აკლდა ოცი წუთი, თბილისში რომ შევიდნენ. ერეკლე გამოფხიზლებულიყო. დანიშნულების ადგილზე დროულად მიფრინდნენ.

– მე წავედი, – კატომ გახსნილი პომადა ჩანთაში დააბინავა, ტუჩი ტუჩზე გადაისვა და მანქანიდან აუჩქარებლად და ნარნარად ჩამოსკუპდა. – წარმატება მისურვე, ძალიან მჭირდება ეს შეხვედრა ერეკლე! – გადაიხარა და ტუჩებში აკოცა.

– მე სახლში დაგხვდები. ალარსად წავალ. ყველაფერი კარგად იქნება... – ერეკლემაც არ დააყოვნა, ისე რომ კარი არც გაუღია პირდაპირ მძღოლის ადგილას გადაძვრა.

ანრი იქ იყო, კოსტუმი ჩაეცვა, თმა უკან გადაეწია და ისევ კატერინას რეზინი ეკეთა, კოსტუმზე უცნაური ბროში შეებნია – ერმილეს კოლექციიდან იყო: აი ის, ცენტრალურ ადგილას რომ ეკეთა კოსტუმზე... ძალიან ლამაზი იყო, მზე ადგა თავზე, არ ეტყობოდა გუშინდელი აყალმაყალი, არც ის, რომ ამხელა გზა გამოიარა. ახალგამომცხვარ და სურნელოვან „პეროგს" გავდა, გვერდზე ჩავლისას აუცილებლად თვალსა და გულს რომ გააყოლებ. კატო ომმოხდილ და ბლოკადაგამოვლილ გამარჯვებულ მებრძოლს, რაც მას იდუმალებას და მიმზიდველობას ჰმატებდა. პრეზენტაცია ხუთი წუთის დაგვიანებით დაიწყო, ერთ-ერთმა პარტნიორმა დაიგვიანა, სულ ცხრანი იყვნენ. დიდი ეკრანი და დაფა სამი ფერის მარკერით. დაფასთან კატო ჯადოქრობდა, გაშალა ფრთები და ჯადოსნურ ქვეყანაში გადააფრინა პოტენციური კლიენტები. ერთი მაინც მიწაზე დარჩენილიყო და შეკითხვებს არ იშურებდა, კატოს საუბრის გაწყვეტა არ უყვარდა, აზრები ეფანტებოდა და აღებული „რაზგონიც" უნელდებოდა ამ დროს. ესეც რომ არა, წესი არ იყო საუბრის გაწყვეტა...

საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კატერინას „საოცრებათა სამყარო" ანრის „მიწაზე დაშვებულმა" პრაგმატიზმმა შეცვალა, ყველა პრაქტიკულ შეკითხვას ამომწურავად უპასუხა. შეძლეს კლიენტების დარწმუნება. გულითადი მადლობაც გადაუხადეს. ხელი ჩამოართვეს და გვერდზე ოთახში გაიწვიეს ახალი თანამშრომლობის დასაწყისის აღსანიშნავად. ცოტა ვისკი და ცოტაც შამპანური, მისაყოლებლად კი ათასი სასუსნავი და რაც მთავარია, შოკოლადიც არ დავიწყებიათ. კატოს ძალიან მოშივებოდა, ცდილობდა თავშეკავებას, მაგრამ ნაკლებად გამოსდიოდა, ხელს მაგიდისკენ აპარებდა. მსგავსი მოძრაობა ხშირად რომ გამეორდა, სხვა სტრატეგია აირჩია, ანრის აწუხებდა და ბოლოს სულაც მისი თეფშის საკუთნებელიც მიისაკუთრა.

– ჰო, კიდე მსუნაგიცთქო! უნდა მომეწერა ესემესში – გადაუჩურჩულა ანრიმ, რომელსაც საგულდაგულოდ მომზადებული ანანასის დესერტი ააცალა კატომ პირიდან.

– მე! მე!! მე ვარ შენი მსუნაგი და ჭკვიანი, მარტო მე!!!! – გადაუჩურჩულა კატომ და დიდ შავ შოკოლადს დაადგა თვალი. სახლში კი ერეკლე ელოდა და იცოდა რომ აუცილებლად ბედნიერები იქნებოდნენ ერთად ის და კატერინა ერთად.

# Veni Vidi...

## ესსე




*დავით ქართველიშვილი*

**ნაწილი მეორე**

*(ნაწილი პირველი იხ. „ახალი საუნჯე" №4)*

1.

ამ უკვე განვლილ, გარდასულ, გამქრალ ნამამდე ორი თვის განმავლობაში სიტყვა არ დამიწერია, შევსებულ აპლიკაციებს თუ არ ჩავთვლით. ბევრი რამ შეიცვალა ჩემში, ჩემს ირგვლივ თითქმის არაფერი... გარეგნული ცვლილებები რთულად ხდება, როდესაც რეალურ ცვლილებებზეა საუბარი და არა პროპაგანდაზე. ახლა მე ჰაერში გამოკიდებული ადამიანი ვარ, რომელმაც ყველაფერი ძველი განზრახ დაკარგა, მაგრამ ვერ გათვალა, რამდენად მტკივნეული და მძიმე დანაკარგი იქნებოდა ეს და სიახლეებს ელის. ერთადერთი, რაც შემომრჩა, ჩემი შეხედულებებია. მიუხედავად იმისა, რომ ცხადზე ცხადი შეხედულებები მაქვს, მათი ცხოვრებაში გატარება კოლექტიურ დონეზე არასდროს მიფიქრია, რადგან კოლექტივი არ არსებობს, ეს მხოლოდ სურვილია, ღირსეული სურვილი.

2.

ადამიანი სამყაროს ცენტრია, ყოველ შემთხვევაში მას ასე მიაჩნია, რაც ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებს – შეცვალოს სამყარო და არა საკუთარი თავი. დავუშვათ, მას გამოუჩნდა კონკურენტი იგივე ამბიციით, სრულიად გაუგებარი უცხოპლანეტელი არსება, მაღალი ინტელექტით, მოლაპარაკე და ადამიანს ჩაჩოჩება მოთხოვა. რას შვრება ადამიანი? რა თქმა უნდა, იწყებს საკუთარი თავის განვითარებას, რათა შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია ცენტრში, მაგრამ ადამიანი უკონკურენტოა, ხოლო იქ, სადაც კონკურენცია არ არის, ხარისხი მუდმივად კლებულობს, აქედან გამომდინარე, პროგრესი მოჩვენებითია, რეგრესი რეალური... ანტიკური ფილოსოფია, ხელოვნება სწორედ ამ მიზეზის გამოა დიადი, რადგან ეს გადაშენებული, სიცოცხლისმოყვარული ადამიანები ღმერთებთან ერთად თანაცხოვრობდნენ და მათ ეჯიბრებოდნენ, ედრებოდნენ და სამყაროს ცენტრად გახდომას ცდილობდნენ, მაგრამ სულ სხვა რელიგიის მიხედვით ეს დანიშვნითი პოზიციაა.

3.

ღმერთი, რომლის არსებობაში პირადად მე არანაირი ეჭვი არ მეპარება (ჩემი ეჭვები ეკლესიას უკავშირდება, მაგრამ აზრად არ მომდის, რომ ამ ინსტიტუტის ლიბერალიზაცია ან გარდაქმნა მოვითხოვო, რადგან ეს ინსტიტუტი ძალიან ღიად აფიქსირებს საკუთარ დანიშნულებას და ამბობს, რომ ის ღმერთის სახლია დედამიწაზე და მიუხედავად ჩემი ეჭვებისა, მაინც ძალიან მიყვარს ეკლესიაში სიარული და ჩემთვის კუთხეში დგომა, რადგან იქ ადამიანები აშკარად ცდილობენ შეინარჩუნონ ან უფრო სწორად გაიხსენონ საკუთარი ადამიანობა, განსხვავებით ოფისებისა, პარლამენტისა და მსგავსი დაწესებულებებისა), იმდენად უნივერსალურია, რომ შესაძლებელია მისი არარსებობის დამტკიცება და დაჯერება. უნივერსალური არსებობა სწორედ ამას გულისხმობს: შენი არარსებობის დამტკიცება და დაჯერება შესაძლებელი უნდა იყოს. ადამიანი ამ თვისებას მოკლებულია, მაგრამ გადმოცემით ვიცით, რომ ადამიანს ქონდა ეს თვისება. მაგალითად, ადამ და ევას არარსებობის დამტკიცება და ამის დაჯერება შესაძლებელია...

4.

დიდი ხანია მაქვს აკვიატებული მხიარული სურვილი, დავწერო წერილი ქართულ (კუთხურ, რადგან საქართველო დედამიწის ერთ-ერთი კუთხეა) თანამედროვე ლიბერალიზმზე. მაგრამ არ ვწერ, არა მოუცლელობის, უფრო სხვა მიზეზის გამო, რომელიც შეიძლება დავასახელო და შეიძლება არც. მე მივაკუთვნებ საკუთარ თავს იმ ლიბერალებს, რომელთაც მძლავრი „მავრაზმული" გადახრები აქვთ. რა თქმა უნდა, ადამიანი არ უნდა



მოკლა ან დააპატიმრო პოლიტიკური ხედვების გამო, სექსუალური ორიენტაციის გამო, რადგან ადამიანი ისეთი არსებაა, რომელსაც თვითმკვლელობის უფლებაც კი აქვს და ემთავრდები როგორც ლიბერალი... რადგან ვთვლი, რომ საბჭოთა კავშირის არა დანგრევა, არამედ რეფორმირება იყო საჭირო ამერიკის ტიპის იმპერიად, მის ალტერნატივად. ევროპას რუსეთის გარეშე ამის პოტენციალი არა აქვს. ბარემ აქვე ვიტყვი: მთავარი მიზეზი, რატომაც ამერიკაში ვარ და არა ვთქვათ კანადაში ან ავსტრალიაში, სწორედ ისაა, რომ მე დიდ იმპერიაში მჭირდება ცხოვრება.

ფულის შოვნა, მეტ-ნაკლებად კომფორტული ცხოვრების მოწყობა ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაშია შესაძლებელი, მაგრამ ყველა ქვეყანა იმპერია ვერ არის. ევროპა ჩანასახშივე მკვდარი იმპერიაა. ევროპული იმპერიალიზმი ჰიტლერმა დაასამარა და რა თქმა უნდა, ბრიტანეთმა, ის ხომ ამერიკის სამხედრო შტაბია ევროპაში. და როდესაც მეკითხებიან, რა მომწონს ამერიკაში, პასუხი ერთია: ის, რომ ამერიკა იმპერიაა. პატრიოტები მხოლოდ იმპერიას ყავს. ამის დამტკიცება საქართველოს მაგალითზეც შესაძლებელია. ვცდი: ქართველი საბჭოთა პატრიოტები და უბრალოდ ქართველი პატრიოტები, ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი რუსეთის იმპერიის შიგნით შექმნილი ხედვაა. რუსეთი ცუდია, მაგრამ ამერიკა უფრო კიდევ უფრო ცუდი, რადგან ის კიდევ უფრო შორსაა. ევრაზიული კავშირი საქართველოსათვის არის შანსი, დაიბრუნოს საკუთარი სახელმწიფოებრიობა კოლონიურ პირობებში, საშუალო ქართველმა ადამიანმა გაიფართოოს მოქმედების არეალი, მოიპოვოს ინტელექტუალური გავლენის სფერო, რადგან ქართველ ინტელექტუალებს თუ სადმე ყურადღებით მოუსმენენ, მხოლოდ ამ ახალ იმპერიაში.

ვისაც ეს ერთადერთი რეალური გამოსავალი არ განყობთ, სხვა რა გზაა, ჩემსავით უნდა აიბარგოთ და ქვეყანას ბუნებრივი განვითარების საშუალება მიცეთ. საქართველოს მეხუთე კოლონა არა პრორუსული, არამედ პროდასავლური ძალებია. რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ევრაზიულ კავშირში? მცირე. რა პერსპექტივა აქვს პროამერიკულ საქართველოს? არანაირი. ჩვენ ვიცხოვრეთ 9 წელი (პირადად მე ცოტა ნაკლები) ამერიკული ოკუპაციის ქვეშ. თქვენ რომ იცოდეთ, ამ ღალატში რაოდენი სიყვარულია, მოღალატეს არ დამარქმევდით.

5.

ამერიკა ჩემთვის სრულიად მისაღები ტიპის იმპერიაა. ის გაძლევს საშუალებას, იყო თავისუფალი. თავისუფლება საკმარისი არასდროს არ არის, რადგან ადამიანი გაუმაძღარი არსებაა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რასაც მოიხმარს, ყველაფერს ამუშავებს და ძლნერად აქცევს. ამერიკა არ გიგვარებს არანაირ პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ ერევა შენს ცხოვრებაში. რაც არ უნდა ეხვეწო: ჩაერიეთ ბატონო, მომიგვარეთ პრობლემები, მაკონტროლეთ – ის უარზეა. ამერიკაში შეუძლებელია მოხდეს ყველაზე დიდი სისულელე: რევოლუცია (თუნდაც ამის გამო როგორ არ უნდა მომწონდეს ეს იმპერია?!). რუსეთი რევოლუციური ქვეყანაა, ქართველები რევოლუციური ხალხი... ამიტომ ევრაზიული კავშირი შანსია. დედა რუსეთი, მამა – საქართველო, არა მამა ამერიკაა...

6.

ადამიანებს, რომლებიც ასეთ ან ამის საწინააღმდეგო აზრებს ჩემგან განსხვავებით სრულიად სერიოზულად გამოთქვამენ, და ქვეყნის და ოჰოჰო მსოფლიოს მოწყობით არიან დაკავებულები, რა თქმა უნდა, უპასუხისმგებლო ახვრების ან უბრალოდ ალალი იდიოტების გარდა სხვა ვერაფერს ვუწოდებთ. ისე რატომ ვერ, მაგალითად – ყლეებს.

7.

მე ხომ ჩემი ცხოვრება ვერ მომიწესრიგებია, მსოფლიოს მოწესრიგებაზე რა შემიძლია ვთქვა? სერიოზულად არაფერი, ხუმრობით ყველაფერი... მაგალითად, ხუმრობით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს უდიდესი შანსი აქვს არიოს მსოფლიო: თავად აღიაროს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ოჰ, ეს ფეოდალიზმი!) დამოუკიდებლობა, მაგრამ სერიოზულად ამის თქმა...

დროა საკუთარ მოუწესრიგებელ თავს დავუბრუნდე...

8.

როდესაც ვიხსენებ, ერთადერთი სერიოზული მიზანი ჩემთვის ლიტერატურა იყო, რალაც ისეთის დაწერა, რაც შემცვლიდა მე თავადვე, რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ და დღემდე ასე ვარ. სხვა ყველაფერი, პოლიტიკური საზოგადოებრივი ცხოვრება გვერდითი მოვლენებია, იყო. არის. ვინ იცის, რა იქნება?

ცხოვრების გემო მოლოდინშია. ცხოვრებას არ ჭირდება აზრი. ცხოვრების გემო მოლოდინში, რომ სიკვდილამდე რალაც ისეთი მოხდება, რომ ალარ იქნება საშიში, არამედ უბრალოდ ძალიან არ გენდომება სიკვდილი, მაგრამ მის წინააღმდეგ ალარ იბრძოლებ, რადგან ის საშიში ალარ იქნება. ადამიანი, რომელსაც სიკვდილის არ ეშინია, ადამიანურად ცხოვრობს. მე ასე არასდროს მიცხოვრია, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წამით, რომელიც არა ჩემს გონებას (გონებას სიკვდილის არ ეშინია, ის ხანდახან მასში გამოსავალსაც კი ხედავს), არამედ ჩემ გულს ახსოვს.

9.

დღეს დასვენების დღე მაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კი არ ვისვენებ, არამედ უბრალოდ ფულს ვერ ვშოულობ დღეს. ჩემი ფულისადმი დამოკიდებულება ყოველთვის აოცებდა ჩემს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ალბათ იმიტომ, რომ მე არასდროს ვამცირებდი ხელოვნურად მის მნიშვნელობას. არასდროს ვამბობდი, რომ ის მხოლოდ ხელის ჭუჭყია, მე ყოველთვის რეალურად ვაფასებდი ფულის მოქმედების არეალს. ფულით იყიდი მხოლოდ იმას, რისი ყიდვაც შესაძლებელია. თანამედროვე სამყაროში ასეთი ობიექტების რაოდენობა საშინლად გაიზარდა. ფულით იყიდი არამხოლოდ საგნებს, არამედ ამომრჩევლებს, ინფორმაციას, თუ გაქვს ასეთი მოთხოვნილება, რა თქმა უნდა.

ფულით ვერ იყიდი სიყვარულს, მეგობრობას, ბედნიერებას. მე მომწონს იმის წარმოდგენა, როგორ ვზივარ სადმე, არა ყველაზე ძვირფას ადგილას, არამედ იქ, სადაც მინდა, მაქვს უზარმაზარი საბანკო ანგარიში და ვოცნებობ ბედნიერებაზე, მეგობრებზე, სიყვარულზე. რადგან ახლაც ზუსტად იგივეს ვაკეთებ უზარმაზარი საბანკო ანგარიშის გარეშე. დიდი ინგლისელი გონიერი ფილოსოფოსის, ფრენსის ბეკონის მოსაზრება, რომ ფული უნდა გემსახურებოდეს და არა ფულს ემსახურებოდე, მექრთამის (ბეკონი მექრთამეობის გამო დააპატიმრეს) სენტენციაა. ფულს არ ჭირდება მსახური და არც ის მოგემსახურება: ფული უნდა გიყვარდეს და ფულს უნდა უყვარდე. პირველ რიგში, მას აქვს უზარმაზარი წარსული და არც ისე საამაყო რეპუტაცია. მისი მიღება ძნელია, თუ ის არ გიყვარს. ის მოღალატეა. მისი შენარჩუნების შანსი ორმხრივ სიყვარულშია. ადამიანს, რომელსაც ფულთან ორმხრივი სასიყვარულო ურთიერთობა აქვს, არაეთიკურია, თხოვო ფული. ეს დაახლოებით იგივეა, შეყვარებულ ადამიანს საყვარელი ქალი თხოვო, ერთი დღით ან ერთი თვით. ფული მას უნდა თხოვო, ვისაც ის არ აქვს.

10.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საშინლად არაკომერციულ წიგნებს ვწერდი და ვწერ, პარალელურ რეჟიმში მე და ფულს ხანგრძლივი პლატონური სასიყვარულო ურთიერთობა გვქონდა. პირველად რამდენიმე თვის წინ მივესალმეთ ერთმანეთს და მან მითხრა, რომ ამ დღეს დიდი ხანი ელოდა. ელოდა, როდის ავიღებდი პასუხისმგებლობას და მივესალმებოდი და მეც ვაღიარე, რომ დიდხანს ვემზადებოდი მასთან მისასალმებლად, თითქმის მთელი ცხოვრება. ჩვენი ურთიერთობა ჯერ ნედლია, მაგრამ მისი განვითარებისთვის აქტიურად ვილვწით. ის იმით, რომ უაზროდ არ მეწინაღმდეგება, მეც ასევე. ურთმანეთთოდ მოწყენილები ვართ. ამიტომ ვამბობ, რომ დასვენების დღეებში კი არ ვისვენებ, არამედ მასზე ვფიქრობ, რადგან მენატრება. მან იცის, რომ მე მის გამო ვერავის მოვკლავ და არც მთხოვს ამას, ის ობიექტურია, არ ითხოვს იმას, რაც არარეალურია. მან იცის, რომ მე შემიძლია ვწერო მის შესახებ, გავამართლო ის, უფრო რეალური გავხადო, უფრო კეთილშობილი. მოჩვენებითად მაინც, რადგან ნებისმიერი ჩვენგანის დადებითი რეპუტაცია მოჩვენებითია. ეკლესიამ ვერ შეძლო მისი გაკეთილშობილება, ვერც პოლიტიკამ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ის მათ მიენდო, მათ მისი დამცირება და ლანძღვა განაგრძეს. მას თავად ღმერთთანაც ქონდა ხანმოკლე, რამდენიმეწამიანი ურთიერთობა, როდესაც ქრისტეს მონეტის სახით მიაჩერეს და კითხეს და ქრისტემ იგი კეისართან გადაამისამართა. რამდენადაც ვიცი, ქრისტე არცერთი ქვეყნის ვალუტაზე არ არის გამოსახული.

წარმოვიდგინოთ ფული ქრისტეს გამოსახულებით. ასეთ რამეს ამერიკელებიც კი ვერ ბედავენ, მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტალისტი ქრისტიანები და ოფიციალური ფულისმოყვარულები არიან, რადგან ფული გამოსავალი არ არის, ქრისტე კი გამოსავალია. ფული არ ამბობს, რომ ის გზაა, ის გამოსავალია, ამას ფულს დაპატრონებული ადამიანები ამბობენ. ამიტომ გაყარა ვაჭრები ქრისტემ ტაძრიდან. ფული ტყვეობაშია, ის ქაჯებს ყავთ მოტაცებული და მას გათავისუფლება ჭირდება. ის მორჩილია. თუ უყვარხარ, მორჩილია. თუ გრძნობს, რომ გიყვარს, მორჩილია. თავად მითხრა და რადგან ჩვენ ურთიერთობა დავიწყეთ, ვენდობი, სხვანაირად შეუძლებელია.




11.

მდიდარს რა თქმა უნდა, გაუჭირდება სამოთხეში შესვლა იმ უბრალო და [illegible] მიზეზის გამო, რომ მას გონია, რომ გამოსავალი ნაპოვნი აქვს, სინამდვილეში ეს ასე არ არის, ვერ არის.

ღმერთის (ყოვლისშემძლე ზეძალის) იდეა ერთადერთი იდეაა, რომლის გარეშეც კაცობრიობას არ უცხოვრია. კაცობრიობას უცხოვრია ტექნოლოგიების, ხელოვნების, ბიზნესის, რომელიც შეცდარად ხელოვნება გონიათ ხანდახან, გარეშე, მაგრამ არა ღმერთის გარეშე... ახალი ათეიზმი, რომელიც რეალურად ეკლესიას ებრძვის, იმდენად სუსტი და არაფრისმთქმელი მოვლენაა, რომ ძნელია კიდევაც, როგორ აღიქვამენ მას სერიოზულად. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კრისტოფერ ჰიტჩენსი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა კიბოთი. რა თქმა უნდა, ფანატიკოსებმა შანსი არ გაუშვეს ხელიდან თუ პირიდან და აყვირდნენ, რომ ჰიტჩენსი ღმერთმა დასაჯა. აი, ასე განიზიდავენ ეკლესიიდან სხვა უფრო ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქრისტიანობა ასეთ სასჯელებს გამორიცხავს. აქვე ისმის ლოგიკური შეკითხვა: რატომ ჰიტჩენსი და არა რიჩარდ დავკინსი, ამ მოძრაობის მეორე ლიდერი? პირადად მე მას უფრო უგემოვნო და ბნელ ფიგურად ვთვლი, ვიდრე ჰიტჩენსს, რომელიც მართლაც რომ კაი ტიპია უბნური გაგებით, სიგარეტით და ვისკით, ანტიფემინიზმით და ამავე დროს ქალების სიყვარულით. მეც ხომ ასეთი ვარ: ანტიფემინისტი, მაგრამ ამავე დროს ქალზე სრულყოფილი არსება არ მეგულება. ამას წინათ ჰიტჩენსის ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუ ვნახე, სადაც ის უკვე თმაგაცვენილი და გამხდარია, ჭირს ის, რაც ყველა ქიმიოთერაპიის ქვეშ მყოფ ადამიანს. ის ამბობს, რომ თავად ის არ ლოცულობს, მაგრამ სხვებს არ უშლის, ილოცონ მასზე და სწორედ აქ არის ღმერთი. როდესაც შენზე ვიღაც ლოცულობს, იმ წამს შეუძლებელია მოკვდე, რადგან ვიღაც არ გიშვებს აქედან, ამ რა თქმა უნდა ღმერთის მიერ შექმნილი და დალოცვილი დროებითი თავშესაფრიდან, ხოლო სიკვდილის შემდეგ ღმერთი კიდევ უფრო მეტად არის. ალბათ მხოლოდ მკვდრებს შეუძლიათ თქვან: ჩვენთან არს ღმერთი და ეჭვი არ შეეპაროთ საკუთარ ნათქვამში.

12.

ახალი ათეიზმის კრიტიკის მთავარი ობიექტი კათოლიკური ეკლესია და ისლამია, ქართული კუთხური ლიბერალიზმის კრიტიკის მთავარი ობიექტი საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია. ახალი ათეიზმი კათოლიკურ ეკლესიას ადანაშაულებს რელიგიური ომების წამოწყებაში, სამეცნიერო პროგრესის შეფერხებაში, ცრმათა გარყვნაში (ბავშვების გაუპატიურებაში); კუთხური ლიბერალიზმი მართმადიდებლურ ეკლესიას – ჯიპებში (ეჰ, მაინც მანქანის ხამები ვართ რა ეს ქართველები!) პრორუსულობაში, უშიშროებასთან თანამშრომლობაში და პატრიარქის კულტის შექმნაში. ეს ყველაფერი ერთი მხრივ სწორია, მაგრამ ჯერ ერთი, არ ღირს იმის დავიწყება, რომ სადაც ადამიანები არიან, მათ შორის ეკლესიაში, იქვე არის შეცდომის დაშვების უდიდესი ალბათობა, არ მინდა ვთქვა, გარდაუვალობა... ასე რომ ჯიპიანი მღვდელი, პედოფილი პრისტი არ არის არგუმენტი და მითუმეტეს მტკიცებულება იმისა, რომ ღმერთი არ არსებობს.

ახალი ათეიზმი თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს იყენებს, თუმცა მეცნიერების პასუხები არაერთგვაროვანია და ვინ იტყვის გადაჭრით იმას, რომ კიდევ უფრო განვითარებული მეცნიერება არ აღიარებს იგივეს, რაც საუკუნეების წინ ტერტულიანემ უკვე თქვა: „მწამს, რადგან აბსურდია"...

რაც შეეხება პატრიარქის კულტს. მე მახსოვს, თან კარგად და თან ნათლად ის დრო, როდესაც პატრიარქი მხოლოდ პატრიარქი იყო, რელიგიური მოღვაწე, წინამძღვარი. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ილუზია, რომ ბორჯომი და ჩაი გადაგვარჩენდა და 7 წელიწადში შვეიცარიას დავეწეოდით. ჩვენ საერთოდ გამოუცდელები ვიყავით

კაპიტალიზმში და ვფიქრობდით, რომ ეს ბორჯომი და ჩაი საერთო-საერო საკუთრება იქნებოდა.
პატრიარქის ავტორიტეტის ზრდა კაპიტალიზმში იმედგაცრუების შედეგია. ჩვენ ისე შევიძულეთ კაპიტალ-
იზმი, რომ რეალურად ვერც მოვასწარით მასში ცხოვრება. ეკლესია თავისი არსით ანტიკაპიტალისტურია. ის
ცნობს ერთობას, კოლექტივს, ურთიერთდახმარებას, მტრის სიყვარულს, პატიებას, საერთო საკუთრებას... მხედ-
ველობაში მაქვს დეკლარილებული ღირებულებები და არა ის, ვინ რა წილებშია და ა.შ.
და კიდევ: თუ გავიხსენებთ, ვინ იყვნენ ჩვენი ლიდერები უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში და რამდენად
სათნო და ლმობიერია პატრიარქი ვთქვათ სტალინზე? ბევრად. პატრიარქი ტიროდა სტალინის გარდაცვალების
შემდეგ. დიდი ამბავი, ჩვენ დღემდე ვტირით უსტალინობაზე.
გაივლის დრო და ეკონომიკური ზრდა (თუ ასეთი რამ მაინც მოხდა) თავისთავად შეამცირებს ეკლესიის გავ-
ლენას, მაგრამ ამით ცხოვრება უკეთესი ნამდვილად არ გახდება, რადგან ბანკი გახდება შენი მოძღვარი.

13.

აქ, როდესაც მეკითხებიან, ვინ არის ყველაზე ცნობილი ქართველი, ბუნებრივია, მინდა ვუთხრა, რომ მე
თავად, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. შემდეგ კუთხური ლიბერალიზმის წარმომადგენლებზე ვფიქრობ, მაგრამ
არც ისინი გამოდგებიან. შოთა რუსთაველი? არა. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით ქართველი დიონისე არეოპ-
აგელი? არა. არჩევანი მცირეა. ან უნდა თქვა არავინ ან სტალინი. არავინ, როგორღაც არ გამოდის. სრულიად
გაუგებარს ხდის თანამოსაუბრისთვის და ხუზე მოძრომიალე ერის წარმომადგენლად გაქცევს (კიდევ კარგი
თეთრი ვარ! რასიზმი კვლავ ძალაშია). ამიტომ იძულებული ვარ, ვთქვა სტალინი, რაც სისხლის გუბეებს აყენებს
ირგვლივ, მაგრამ ამერიკელებს იზიდავს სისხლი. ტიპიურ ამერიკელს უყვარს ბევრი შეკითხვის დასმა და მოს-
მენა. ინფორმაცია (ერთი შეხედვით სრულიად გამოუდეგარიც კი) მისთვის მნიშვნელოვანია და მეორეც: ქვეყანა,
რომლის მოსახლეობაც ნებაყოფლობით იზოლაციაშია. ისინი ერთმანეთისაგან საჭიროებენ განმუხტვას, ხოლო
ჩამოსულებთან ასეთი საუბრები სწორედაც რომ განმუხტვაა.
სტალინმა არ იცოდა, სტალინს ატყუებდნენ, სტალინი ჯალათი იყო... აბა, რა ექნა... ეს უკანასკნელი ობ-
ვრითი არგუმენტი სრულიად რეალურია. როდესაც სიგიჟეს წამოიწყებ ან ჩაერთვები, რაღა უნდა ქნა? ავილოთ
კოლექტივიზაცია... სტალინმა დახვრიტა კულაკები, მდიდარი გლეხები, აბა რა ექნა? კულაკი არასდროს შევიდო-
და კოლმეურნეობაში საკუთარი ნებით, ეს ასეა. უფრო ნათელი რომ იყოს რაზე ვლაპარაკობ, საჭიროა მაგალითი:
კულაკი ბიძინა ივანიშვილი არასდროს შევა საკუთარი ნებით კოლმეურნეობაში, ის შევა და გამოვა ბუტკაში,
ისევ შევა და გამოვა და საქმეს თუ დაჭირდა, ისევ შევა და გამოვა მისმიერ კავშირში, ევროატლანტიკურშიც და
ევროაზიურშიც, მაგრამ არა კოლმეურნეობაში... რა ექნა სტალინს? ან კოლექტივიზაციის გიჟურ იდეაზე უნდა
ეთქვა უარი და ან ის უნდა გაეკეთებინა, რაც გააკეთა. მდიდარს არამხოლოდ სამოთხეში უჭირს შესვლა... სტალ-
ინმა დახვრიტა ტროცკისტები... აქაც მაგალითია საჭირო... ტროცკისტები კარგი ორატორები და შედარებით
განათლებული ადამიანები იყვნენ, ვიდრე სტალინის მხარდამჭერები, ისინი დასავლეთში ნაცხოვრები ადამიანები
იყვნენ, ამავე დროს რადიკალები და სასტიკები, როგორც... თუმცა ნაქცეულს წიხლი არ უნდა მიაყოლო.
ნიცშე სხვანაირად ფიქრობდა...
რა ექნა სტალინს?
უარი ეთქვა ექსპერიმენტზე?
ვერ თქვა.
ავსტრიელებს გაუმართლათ: ჰიტლერი გერმანელებს შეტენეს და თავად მოცარტი დაიტოვეს...

14.

მე არ ვარ საზოგადოებრივი (პოლიტიკური) ცხოველი. მე მარტოკაცი ვარ. ადამიანებთან ურთიერთობით
მალე ვიღლები. მე არ მჭირდება მათთან კამათი და ჭეშმარიტების ასე მიგნება. ისინი მე მღლიან და მე მათ ვღლი.
მე მორჩილი მსმენელები მჭირდება, რადგან ბუნებით დიქტატორი ვარ და ალბათ ამიტომ ვერ ვიტან დიქტატუ-
რას (დიქტატორები ერთმანეთს ვერ იტანენ). ადამიანები ყოველთვის ზედმეტად კეთილგანწყობილები იყვნენ
ჩემდამი, ეტყობა რაღაც ჩემთვის უხილავ კარგ თვისებებს ხედავდნენ ჩემში. არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი
გაცილებით მეტს გასცემდნენ ჩემთვის, ვიდრე მე მათთვის. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ადამიანები ცუდები არიან.
რა აღმოაჩინა ადამიანურ ურთიერთობაში ისეთი დიადი სენტ-ეგზიუპერიმ, რომ ის კაცობრიობის მთავარ ღირე-
ბულებად დაასახელა? კაფეში, რესტორანში, სამზარეულოში ჯდომა და ფასებზე ლაპარაკი, თუ ვინ ვისთან წევს
ამბის გარჩევა, თუ კრედიტების პროცენტები ბანკში. რა არის ამაში საინტერესო. მაშინაც კი, როდესაც ადამი-
ანები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან თემას – ლიტერატურას ეხებიან... სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება
ეს, მათი დაკვირვებები იმდენად არასაინტერესოა, რომ ყურებში თითების გაკეთება მინდება. აღარაფერს ვამბობ
რელიგიურ დისკუსიებზე, სადაც ადამიანები უმეცრებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, რადგან ჩვენ არაფერი ვიცით

და ეს არცოდნა ჩვენივე სიმშვიდის მიზეზი უნდა იყოს. ადამიანისათვის არცოდნა სამარცხვინო (ეს არ ნიშნავს რომ ის არცოდვაა) არ არის, აი რაღაცეების მოჩვენებითად ზედმიწევნით ცოდნა კი დამდვილად სასაცილო და სამარცხვინოა. ჩემი ხელობა მარტოკაცობაა. მე შემიძლია ერთ დღეს დიდი სიყვარულით მივესალმო ადამიანს, ხოლო მეორე დღეს გვერდზე ჩავუარო, როგორც სრულიად უცნობს და დავიფიცო, რომ არ ვიცნობ.

15.

ამ გარეგნულად აბდაუბდა, მაგრამ შინაგანად მკაცრად მოწესრიგებული ტექსტის ქვესათაურად სიტყვა „სულერთია" გამოდგებოდა, რადგან ახლა მართლაც სულერთია. არა იმიტომ, რომ ღირებულებები აღარ მაქვს ან ცხოვრება სიკეთისა და ბოროტების მიღმა მიმდინარე მოვლენად მიმაჩნია, არა, უბრალოდ მართლაც, მეტიც, ჭეშმარიტად სულერთია. ეს დროებითი, მაგრამ დაუვიწყარი მდგომარეობაა, რადგან ყველაფერი ასე სულერთი პირველადაა ჩემს ცხოვრებაში, ხოლო ყველაფერი პირველი დაუვიწყარია, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ და თუ ეს მოსაზრება მცდარია, ესეც სულერთია... ასეთი განწყობა საშუალებას მაძლევს, მოვლენები არა ცალმხრივად, არამედ ორმხრივად მაინც გავიაზრო. მაგალითად, ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ ეს იყო ტრაგედია, მაგრამ ვინ იქნებოდნენ დღეს იაპონელები მის გარეშე? გაცილებით ნაკლებად განვითარებული მეომარი ერი. მათი პროგრესის სათავე ხიროსიმა და ნაგასაკია. მე მიყვარს იაპონური ლიტერატურა თავისი უძველესი დიდი ქალი მწერლებით, მეოცე საუკუნის აკუტაგავათი, ტანიძაკით, ოეთი, გენიალური კობო აბეთი, მოგიჟო მიშიმათი და ჩემი საყვარელი კავაბატათი, მაგრამ პრეზიდენტ ტრუმენის დამსახურება გაცილებით მეტია იაპონიის ისტორიაში, ვიდრე ერთად აღებული ზემოთ ჩამოთვლილი და გამოტოვებული ლიტერატორების. მაგრამ იაპონია სულერთია. საქართველოც სულერთია, მაგრამ როგორღაც სხვანაირად სულერთი, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან არ იყო სულერთი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გახდეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქართველო. მე არ ვეკუთვნი ქართველი ლიტერატორებისა და ინტელექტუალების უმრავლესობას, მე უმცირესობაში ვარ, რადგან ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ქართული ლიტერატურა, მისი ისტორია და ქართველი მწერლების წიგნების კითხვა 30 წლის ასაკში არ დამიწყია... კუთხური ლიბერალიზმის წარმომადგენლების ძირითადი პრობლემა ხომ ეს არის: მათ რეალურად არ იციან, რა ქვეყანაზე და რა კულტურულ ფენომენზე ლაპარაკობენ და გულწრფელად გაკვირვებულები არიან, როდესაც მათი არ ესმით.

გაღვიძებისთანავე მოდის განცდა, რომ სულერთია და დაძინებამდე ასე ვარ. მე სიზმრებს ვხედავ არათქვენებურს. ამის დამწერისთვისაც ყველაფერი სულერთი იყო, გარდა იმისა, რომ თავად წერდა. ჩემთვის მისი დიდი პოეტობაც სულერთია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მახსოვს, მასზე ვწერ, ვწერ, მახსოვს, ვწერ, მახსოვს და სულერთია და სულერთია მაინც.

16.

გადავიფიქრე. ორი მიზეზის გამო. მიზეზი პირველი შეიძლება დასახელდეს მეორე მიზეზის შემდეგ, რადგან უკუთვლაც თვლაა, მაგრამ სულერთია, როგორ დავითვლი. მიზეზი პირველი: მან საუკეთესოდ ილაპარაკა საკუთარ თავზე და მიზეზი მეორე არ არსებობს. რა თქმა უნდა, მისი მოფიქრება, გამოგონება შესაძლებელია, მაგრამ ჩემი თავი სხვა რამით არის ახლა დაკავებული. არადა მინდოდა ორი მიზეზი ყოფილიყო, ასე უფრო სოლიდურად გამოვჩნდებოდი. ერთი მიზეზის გამო რაღაცაზე უარის თქმა უფრო აკვიატებაა. მაგალითად, ომში არ წავალ იმიტომ, რომ შეიძლება მომკლან ან იმიტომ, რომ პაციფისტი ვარ. ორივე მიზეზის დასახელება ომში არწასვლას უფრო დამაჯერებელს ხდის, ვიდრე ერთის.

ახლა დილაა...

17.

ახლა დილაა. ვწევარ და მზე დამნათის. მშია. მზეს ვერ შევჭამ. ვცდილობ: პირს ვაღებ და მზის სხივებს ვკვნეტ... ერთს, მეორეს, მესამეს. მზეს ვერ შევჭამ. მზით ვერ ისაუზმებ და ვერც მთვარით ივახშმებ (მთვარე თავად ვახშმობს მუხებში, თუ პოეტს ვენდობით, მაგრამ პოეტების ნდობა არ შეიძლება. პლატონი მართალი იყო, როდესაც პოეტები სახელმწიფოდან გააძევა, მაგრამ პოეტებმა შური იძიეს და თავად პლატონს დაარქვეს პოეტი).

ამერიკული თავისუფლება თავისთავად ლოკალური, არატრანსპორტირებადი პროდუქტია. შეუძლებელია ამერიკულად თავისუფალი იყო საქართველოში, რუსეთში, დასავლეთ ან აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში... ის მარტო არ მოდის, მას თავისი კონტროლის მექანიზმი აქვს, ირიბი, მაგრამ პირდაპირი კონტროლის ყველა მექანიზმზე ძლიერი. ის უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სამხედრო დიქტატურა ან არასამხედრო დიქტატურა, რადგან ის შიმშილია. ამერიკული თავისუფლების მაკონტროლებელი მექანიზმი შიმშილია. ეს სისტემა გამორიცხავს ყოველგვარ გარანტიებს, გარდა თავისუფლებისა. ამის გამოა, რომ ყოველგვარ მისტიკურ სწავლებებს აქ დიდი გასაქანი აქვს, თავად ათეიზმიც კი როგორღაც მისტიკურია აქ. თავისუფლე-

ა მონსტრია და ცნობილი თავისუფლების ქანდაკებაც სინამდვილეში მონსტრის ქანდაკებაა. არის ამერიკულ თავისუფლებაში რაღაც მძლავრად ამაღელვებელი და სენტიმენტალური, რადგან ეს ერთადერთი თავისუფლებაა, რომელიც სიკვდილს შეიცავს. სკანდინავიური დასავლეთევროპული თავისუფლების უკან იმდენი სოციალური და სახელმწიფოებრივი გარანტიაა, რომ ეს თავისუფლება ყალბია, პოსტსაბჭოთა სივრცის თავისუფლების უკან კი მონობაა. პოსტსაბჭოთა სივრცის ადამიანი გათავისუფლებულ მონას ან ყმას გავს, რომელიც მფლობელს ან ბატონს დაუბრუნდა, მაგრამ ის გაკოტრებული დახვდა და ახლა მფლობელი და მონა, ბატონი და ყმა ერთად იხსენებენ იმ ძველ ძვირფასს დროს, როდესაც ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად იყო და ახალ სისტემასაც იმ ძველი, ძალიან ძალიან კარგი დროის მოდელის მიხედვით აგებენ. არის კონფლიქტებიც, მაგრამ ეს კონფლიქტები არ ეხება თავისუფლებას, მიზეზი ქონებაა. ამერიკული თავისუფლება ყველა სხვა თავისუფლებებთან შედარებით ნამდვილია, რადგან მის უკან სიკვდილია და რა არის სიკვდილზე ნამდვილი? სიცოცხლე? მაგრამ ის ცხოვრებაში იკარგება.

18.

ძირითადად მექსიკურ საჭმელებს ვჭამ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გემრიელია, მეორე იმიტომ, რომ იაფია, მესამე იმიტომ, რომ მექსიკური სასადილო ახლოსაა ჩემი ბინიდან.

მექსიკური საჭმელი ქართული ღვინოსავითაა. განსხვავება მხოლოდ დასახელებებშია. ყოველთვის, როდესაც რიკარდოს ვხედავ, მახსენდება სიტყვა დახლიდარი. ის მართლაც დახლიდარია, ჩვენ უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, მან იცის, მე რას ვყიდულობ, მე ვიცი, რას ვიხდი და ამიტომ საშუალება გვეძლევა, დროის ის მონაკვეთი, რომელშიც მან შეკვეთა უნდა მიიღოს, ხოლო მე ვკითხო, რამდენი გადავიხადო, სხვა თემებს დავუთმოთ. ძირითადად სპორტზე ვლაპარაკობთ. ბეისბოლი დღემდე ამოუხსნელი რებუსია ჩემთვის. რიკარდომ ეს იცის და მეასედ მიხსნის წესებს და მეც მეასედ ვერაფერს ვიგებ და უკვე მრცხვენია, რომ ვერ ვიგებ. რიკარდო მექსიკელია, ამერიკაში დაბადებული მექსიკელი, ამიტომ ის არც ფეხბურთისადმია გულგრილი. მე დიდი ხანია, ყოველგვარი ინტერესი დავკარგე ფეხბურთისადმი, მაგრამ რაღაცეები ხომ მახსოვს და ვიხსენებ. ამასობაში ჩემი ბურიტო მზადდება და მე და რიკარდო ერთი დღით ვემშვიდობებით ერთმანეთს. საჭმელი ერის ისტორიას გვიყვება. მაგალითად, ამერიკული საჭმელები გვიყვებიან, როგორ მოუცლელები იყვნენ ამერიკელები, როგორ ბევრს მუშაობდნენ, რა მნიშვნელოვანი იყო მათთვის დრო. ბურიტო სხვა ისტორიაა, ეს უკვე მექსიკელი ხალხის ისტორიაა. სრული ქაოსი, სილარიბე, ყველაფრის ერთად თავმოყრა, რაც გააჩნდათ, მაგრამ ამ ქაოსს აქვს განუმეორებელი გემო. ეს გემრიელი ქაოსია. ქართული სამზარეულო მოწესრიგებულია, თითქმის არაქაოსური, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ და ჩვენ კოლონიზატორებს მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ურთიერთობა გვქონდა. სხვა შემთხვევაში ეს აუცილებლად აისახებოდა სამზარეულოში. მექსიკურ და ქართულ სამზარეულოს ერთი რამ აერთიანებს, მიდრეკილება სიმწარისკენ. მონის ცხოვრება მწარეა. ტკბილი მონობა არ არსებობს.

19.

ნაწერები კი არ გვანან მწერალს, პირიქით, მწერალი ემსგავსება თანდათან საკუთარ ნაწერებს. ეს რთული და მტკივნეული პროცესია. სიტყვადქცევის პროცესი. ათასჯერ მითქვამს და კიდევ იმდენჯერ ვიტყვი, რამდენჯერაც ამის საშუალება მომეცემა: ეს საქმე, რომელსაც მე ვაკეთებ და უკვე დიდ მწერლად ქცევის საშიშროების წინაშე ვდგავარ, მე არ ამირჩევია. ჩემი შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ მას წინააღმდეგობა არ გავუწიე და მოვეჯადოვდი. ახლა კი მთლიანად მას ვეკუთვნი. აღარაფერი შემრჩა ჩემივე თავიდან. ჩემი საუბარი ლიტერატურულია, ჩემი იუმორიც, ჩემი სევდაც, ჩემი ცხოვრება... და ეს არ არის ის, რაზედაც ვოცნებობდი ან რაც უბრალოდ მინდოდა. ადამიანებს ზედაპირულად უნდა უყურო. ეს სიმშვიდის სათავეა. არც კი უნდა დაუშვა, რომ ისინი განიცდიან, ოცნებობენ, უხარიათ, ტკივათ და ეშინიათ,



რომ ისინი სულაც არ არიან ბოროტები და უბრალოდ ეშინიათ. ადამიანებზე ამდენი არ უნდა იფიქრო, უნდა გჯეროდეს, რომ ასეთი თვისებები მხოლოდ შენ გაქვს, ხოლო სხვები უბრალოდ მასალაა, თიხაა, მიწაა, რომელსაც სულს ვერ ჩაბერავ, რადგან ეს შენი დანიშნულება არ არის. შენ მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის გაკეთება შეგიძლია, მაგრამ მოზილავ და გადაზელავ გინდა, მაგრამ მე დავკარგე ასეთი კომფორტული ცხოვრების შესაძლებლობა, როდესაც ამ სრულიად დანიშნულების არმქონე საქმეს დავნებდი და ახლა, როდესაც უკვე თითქმის მართლა დიდი მწერალი ვარ, უკვე გვიანია რამის შეცვლა. მზით ვერ ისადილებ, მთვარით ვერ ივახშმებ, მაგრამ სიტყვადქცეულისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს.

20.

უსასრულობის შეცნობა საკუთარი სასრულობის შეცნობით იწყება. რაც უფრო მკაფიოდ გაქვს გააზრებული საკუთარი საზღვრები, მით უფრო მკაფიო წარმოდგენა გექმნება უსასრულობაზე. ერთი კვირა კალიფორნიის მთებში ვიცხოვრე. მშენებლობაზე მზარეულის დამხმარედ ვმუშაობდი: ვჭრიდი სტაფილოს და ცრემლისმომგვრელ ხახვს, ვრეცხავდი და ვფურცლავდი კომბოსტოს, ვაწესრიგებდი ჭურჭელს. მე და ჩემი უშუალო ხელმძღვანელი დავახლოვდით. თავიდან მიჭირდა ამინდთან შეგუება, რადგან წელიწადნახევარია უკვე სითბოში ვცხოვრობ და სიცივე მიმავიწყდა როგორია. იქ, მთებში გავიხსენე. ამერიკულ დემოკრატიას დაუწერელი კანონები აქვს, მაგალითად, შეგიძლია აკრიტიკო ყველა: მთავრობა, კორპორაციები, მაგრამ არა შენი უშუალო ხელმძღვანელი. ეს დასჯადი ქმედებაა, მაგრამ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი, მზარეული, კარგი კაცი იყო. მან გაცნობიდან ერთი საათის შემდეგ მკითხა: „რატომ ხარ ესე სევდიანი?" და მეც პირი მოვალე და მოვყევი რისი მოყოლაც შემეძლო და რასაც ჩემი სევდის მიზეზად ვთვლიდი: პირველ რიგში ძირითადი და მთავარი მიზეზი, რომ საყვარელ ადამიანს დავშორდი. ხოლო მან თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვების შემდეგ მირჩია: „ქრისტეს ელაპარაკე"... ხმები ამერიკის გარყვნილებაზე და ეშმაკეულობაზე გადაჭარბებულია, იმდენად გადაჭარბებული, რომ პირველ თვეებში საერთოდ ვერ ხვდები სად ხარ, კონსერვატულ-პატრიარქალურ ქვეყანაში თუ იმ ამერიკაში, რომელზეც სულ სხვა კონტექსტში ლაპარაკობენ. კალიფორნია ერთ-ერთი ლიბერალური შტატია, მაგრამ მაინც იმდენად თვალშისაცემად კონსერვატული, რომ ხანდახან ჩემნაირ შავრაზმელსაც კი უკვირს. მაგრამ ამერიკელებს აქვთ უკვე ტრადიციული თვისება, მოისმინონ განსხვავებული აზრი და ამერიკაც ეს არის. ასე უფრო ნაკლებადქაოსურია ცხოვრება, როდესაც ბავშვობიდან გასწავლიან, რომ შენი აზრი ერთ-ერთია და არა ერთადერთი. ნებისმიერი ლიბერალური ცვლილების, რომელიც დღეს აქ ტარდება, ბრძოლის ათწლეულებია. მაგალითად, გეებმა სულ ცოტა 30 წელი აქტიურად იბრძოლეს საკუთარი უფლებებისათვის, განსხვავებით ქართველი გეებისაგან, რომლებსაც ერთ დღეში უნდათ მოიპოვონ ის, რაც წლების განმავლობაში საომარია. ასე რომ ქართველი გეები არ არიან არატრადიცული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები, ისინი პიდარასტები არიან (ამ სიტყვის ფართო ხალხური გაგებით), რადგან მუქთად უნდათ მიიღონ ის, რაც რეალურად საომარია.

21.

„ქრისტეს ელაპარაკე და ის გეტყვის გამოსავალს..." – მირჩია მან.

მე სტაფილოს ვჭრიდი. ვცდილობდი შეძლებისდაგვარად თანაბარ ნაწილებად დამეჭრა და მგონი ცუდად არ გამომდიოდა.

„ველაპარაკები" – ვთქვი მე ისე, რომ სტაფილოს ჭრა არ შემიწყვეტია.

ასე დაიწყო ჩვენი საუბრები ქრისტეზე, რომელიც ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდა, მერე მე სან დიეგოში დავბრუნდი. ის მთებში დარჩა.

მშენებლები წესის და რიგის მიხედვით იქცეოდნენ და დღეში სამჯერ იკვებებოდნენ. მუშაობას იწყებდნენ უთენია და ამთავრებდნენ საღამოს. თორმეტი საათი (შესვენებების ჩათვლით) უწევდათ მშენებლობაზე ყოფნა. ჩვენც დაახლოებით ასე. ეს იყო პატარა სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. გვეძინა კოტეჯებში. მე რამდენიმე თვეა აღარ ვხედავ სიზმრებს. შეიძლება უბრალოდ ვერ ვიმახსოვრებ.

22.

ერთადერთი ობიექტური რეალობა ან ობიექტურობასთან მიახლოებული რეალობა გადასახადებია, ციფრები. თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი ფურცლები, რომლებზეც სხვადასხვა ციფრებია გამოსახული. სხვა მხრივ ჩვენ ერთმანეთს საკუთარ მოჩვენებებს ვუზიარებთ.

მე სხვა სიტყვებს ვწერ, თქვენ სხვა სიტყვებს კითხულობთ... სასვენი ნიშანი – წერტილი – გვეჩვენება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

# პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული

ეს მწვანე კაბაა იმის დასტური, რომ
მოკვდა.
ის კიდია კარადაში.
ცივ და ბნელ, ხის კარადაში
და ელოდება ჩრჩილის პეპელას.
პატარა და უშნო პეპელას,
რომელიც
შენს ლექსებში,
როგორც ობობას ქსელში,
უმწეოდაა გაბმული.



მაია ლოპარტყელიანი



ერეკლე შველიძე

* * *

ო ეს საღამო, მერამდენეჯერ
შემოგეხვია მკლავები მისი.
მერამდენეჯერ ისევ შეჯერდნენ
თეთრი და შავი და ქალის კისრის
პროფილი შუქებს ისხლეტს და ისვრის.

განათებული ყველგან აბრები
თვალებს გილლიან. მზერას აცილებ.
როგორც ოცნება, ქრება აპრილი.
საღამოებო! სად მიმაცილებთ?
საღამოებო, რატომ მაციებთ!

მე არ გიმჩნევდით, დიდი ხანია
და, დიდი ხანი, თქვენც არ მიმჩნეედით.
მაინც რაღაცა დასანანია.
ნაწვიმარ პარკში ყრია გირჩები.
საღამოებო! როგორ მირჩებით!



ლუკა აქიმიძე

* * *

მე მარცვალი ვარ გადმოვარდნილი
ღმერთის საშოდან ნაგავსაყრელზე,
სისხლს მწოვენ ქალაქის ასფალტის ძარღვები
და მანქანების ხმები მავსებენ.

ცუდი მუშების კონსტრუქციები
თვლემენ ნისლში და ელიან დილას,
სიმშვიდე ჩუმად წაიღო ქარმა,
მე არაფერი არ შემიძლია.

# ლუკა აქიმიძე

## ამბავი კაცზე, რომელიც ყველას გიჟი ეგონა

ერთხელ, ძილში, სიზმრები გამომეკიდნენ.
გავიქეცი, მეგონა გამოვასწარი,
მაგრამ გაღვიძებულს ბალიშზე წამომსხდრები დამხვდნენ.

რა უნდა მექნა,
ჩავყარე ჩანთაში და წამოვედი.
მას შემდეგ ასე დავდივარ, სიზმრებმოკიდებული...

გავცქერი ცეცხლოვან გორაკებს, ყვითელ ცას, ოქროსფერ ქარებს,
ვტკბები მათი სილამაზით,
თან სიზმრებით სავსე ჩანთას ხელს მაგრად ვუჭერ,
იმის შიშით,
სხვის ძილში არ შეიპარონ.

## შენი მეზობელი ალისა

ალისა დიდი გოგოა.
საოცრებების აღარ სჯერა
და უკვე ფეხებსაც იპარსავს.
გაზაფხულის ერთ საღამოს, როცა ალისას ბექა საბოლოოდ დაშორდა,
ის მარტო მოდიოდა ქუჩაში
და სწორედ მაშინ გამოხტა კურდღელი.

ბევრი ეძახა,
მაგრამ არც გაუგია...
ალისამ კურდღელი უბრალოდ ვერ შეამჩნია.
ასეც ხდება ხოლმე,
ხანდახან ქუჩაში მიდიხარ და კორპუსებსაც ველარ ამჩნევ,
ხოდა ალისამ კურდღელი ვერ შეამჩნია.

პატარა, თეთრი, წითელთვალება კურდღელი.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა.
ალისა უკვე მოხუცდა, პენსიაზე გავიდა,
შვილიშვილებიც ჰყავს.

ერთ ღამეს, როცა ირაკლი სამსახურიდან დაბრუნდა,
ლიზას, ალისას შვილს, უთხრა:
– ასე აღარ შეიძლება, დედაშენი რაც უფრო ბერდება,
მით მეტ სისულელეს უყვება ჩვენს შვილებს,
იმათაც სჯერათ, სკოლაში ბავშვებს უყვებიან,
ბავშვები მშობლებს და მასწავლებლებს მოუყვებიან და რა გამოვა?!
რას იფიქრებენ ჩვენზე?! შეშლილების ოჯახიაო...
მოდი, ვუქირაოთ პატარა ბინა, კვირაში ერთხელ დავხვდავთთ ხოლმე...
ჩვენთვისაც უკეთესი იქნება და მისთვისაც.

ლიზაც დაეთანხმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ ვახშამი ჭამეს, იალერსეს და დაიძინეს.
ძილის წინ ორივე ფიქრობდა, რომ მართლა ბედნიერი ოჯახი ჰყავდათ.

მეორე დღეს ალისას ყველაფერი აუხსნეს და ბინა უქირავეს.
ჰოდა ზის ალისა ერთოთახიან,
ნამლების სუნით აყროლებულ „ხრუშჩოვკაში" და
გაუთავებლად ყვება თავისი ბავშვობის მოგზაურობის შესახებ,
რომლისაც თითქმის თვითონაც აღარ სჯერა.

**ნერტილი**

ჩემს მაგიდაზე კოსმოსის რუკაა გაშლილი.
მასზე ჩვენი მზის სისტემა პატარა წერტილად მოსჩანს
და იმ ნერტილში კიდე უფრო პატარა ნერტილად – ჩვენი პლანეტა.
ამ პლანეტაზე ცხოვრობენ:
ადამიანები, რომლებიც ცხოვრების გასართულებლად ახალ გზებს ეძებენ;
ღმერთი, რომელიც რომელიღაც ღრუბელზე ზის და ცხვრებივით გვითვლის;
ლურჯი ცა, რომელიც გადაკრულია ჩვენს პლანეტაზე და კოსმოსს გვიმალავს;
ჩიტები, რომლებიც დაფრინავენ ხეების და კორპუსების თავზე...

ამ პლანეტაზეა ჩემი სახლიც.
სახლის მესამე სართულზე დგას მაგიდა.
მაგიდაზე გაშლილია კოსმოსის რუკა,
რომელზეც უამრავი წერტილი ბრნყინავს.

მე ამ კოსმოსის რუკას დავყურებ და მეშინია.

**დაბადება**

პატარა ვიყავი
რომ გავიგე ძმა დამებადა.
გავიქეცი, ვყვიროდი.
ქუჩის ბოლოს მოსჩანდა
მწვანე ტრაქტორი –
ახლა მგონია ის მიდიოდა წინ,
უსასრულობისკენ...
ქალმა (რომლისაც მთელი ბავშვობა მეშინოდა,
ცხვირზე ქონდა მეჭეჭი
და სულ მოხარშული კარტოფილის სუნი ასდიოდა),
გამომიტანა ჭრელი ნინდები.
მითხრა:
აპა, ახალ ბალღს მიართვი.

სახლში მივედი,
დავჯექი თხილის ხის ქვეშ,
შემდეგ არ მახსოვს –
მახსოვს სიზმარი...

ხოლო იმ ნინდებს,
დღემდე მოხარშული კარტოფილის
სუნი ასდით.

**თუშეთი**

ამ ხევებში ჯერ კიდევ ხედავენ
უკულმართტერფა ბავშვებს და
სამთვალა ეშმაკებს.

კამკამა მწვანით
და ძლიერი მდინარეებითაა სავსე აქაური სიზმ
უცნობი თანავარსკვლავედებივით გამოჭედილ
იისფერ ღამეებში.

* * *

გარეთ ნუ გახვალ ძვირფასო გვიან,
თბილისში ახლა ადრე ბინდდება,
მექანიკური დღეები რბიან
და ფორთოხალიც მალე მწიფდება.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# მაია ლიპარტელიანი

## სორო

ღმერთო,
ეს კაცი
თაგვივით დარბის ოთახში.
შეხედე –
პურის ქერქს აგორავებს
და პურის გემო არ იცის.
კედლის ნასვრეტში იხედება
და იქ ყველს ვერ ხედავს.
დაბნეულ ფქვილზე დააბიჯებს
და კვალს არ ტოვებს.
ღმერთო,
ყოველ საღამოს
თბილი რძე მომაქვს ჯამით
და შუა ოთახში ვდგამ.
მთელი ღამე დარბის
და დილით ამ ჯამთან მხვდება
გულაღმა მწოლი.
გული მაქვს სოროსავით გამოღრღნილი,
ღმერთო,
კედლებდაბზარული. მეშინია –
ერთხელაც
როცა ისევ შეიძურწება შიგ, დაღლილი,
არ ჩამოინგრეს იქაურობა,
არ მოიყოლოს ქვეშ,
არ გასრისოს –
უარაფრო. უძლური.

## შენ

ატირდა ჩემი შვილიც
სხვა ბავშვებივით
შენი მრისხანე ხმა რომ გაიგეს
და გაიფანტნენ სათამაშო მოედნიდან
სახლებისაკენ.
სახლები კი აღარსად დახვდათ.
*.
იჯექი ხის სკამზე
მრისხანე და მკაცრი
და მწიფე ვაშლებს
ჯიბის დანით
გულებს აჭრიდი.
*.
აფრინდა წერო
მაღალი ხიდან
და შეუერთდა თავისიანებს.
ჩვენ გავშორდით
ერთმანეთის ჩრდილებს
და გავიქეცით სახლისაკენ
მაგრამ სახლი იქ აღარ დაგვხვდა.

## მეტრო

აი, იღება ჩემი გული,
როგორც მატარებლის კარი
და გამოდის იქიდან კაცი.
ის ჩემი გულის სიმაღლიდან,
როგორც ციდან,
დაბლა ეშვება.
სიმაღლის შიში
მისი მთავარი თვისებაა.
მიწა ფეხქვეშ
მისი მთავარი მიზანია.
და ჩქარობს.
მზარავს მისი დაღმასვლა. ვამბობ:
„მშიშარა ხარ, მსურს იქცე თაგვად!".
და მას მაშინვე უმძაფრდება ყნოსვა
ნაგვის მიმართულებით
და რომ ჩემ თვალწინ არ გასრისოს
რომელიმე მაღალმა ქუსლმა,
მე ის გრძელი და ლამაზი კუდით
ჰაერში ამყავს
და ბნელი გვირაბისკენ ვისვრი, ლიანდაგებში.
იქ სხვა თაგვები წრიპინებენ თავიანთ შიშებს.
მე ესკალატორს მაღლა მივყვები.

## ტყუილი

აი, ის ნისლიანი ხიდი.
ვდგავარ და ჩავყურებ წყალს,
რომელიც არ ჩანს.
ადამიანები მიმოდიან ირგვლივ.
ბრმებიც რომ არ იყვნენ, ისინი
მაინც ვერაფერს დაინახავდნენ –
ვერც მე,
ვერც იმას,
რასაც ჩავყურებ,
რადგან ნისლია.
მაშინაც,
როცა ხელი გკარი
და წყალში ჩაგაგდე,
ისინი ბრმები იყვნენ.
ბრმებიც რომ არ ყოფილიყვნენ,
მაინც ვერაფერს დაინახავდნენ.
რადგან იმ დღეს
როცა ხელი გკარი,
არ იყო ნისლი.
არც ეს ხიდი.
არც მე ვიყავი.

# ერეკლე შველიძე

## გაზაფხულის შემოსვლა

აი, დრო გადის, წელინადი სადღაც გავარდა.
ზამთარმა განვლო, ამოწურა თავის მარაგი.
ნიავმა თბილმა გადაფარა ველი ხრიოკი,
და გაზაფხული სიყვარულზე ალაპარაკდა.
კვლავ გაიმართა მობუზული წელში ქალაქი,
ჰაერი გახდა უფრო მჩატე, სუნთქვას გიოხებს.
თბილი სურნელი მოეხვიათ ხეებს თანდათან.
უშფოთველობით იფლინთება მთელი ალაგი.

ეს მერამდენე გაზაფხული კარებს მოადგა
და მოიტანა სიმსუბუქის განცდა, განივრცო
ქუჩებში. სითბომ დაუარა კედლებს, შენობებს.
გავიდა ჟამი ყინვის, სუსხის, მიმოთოვათა
და უცაბედი სიხარულით გული აივსო.
და ყოველგვარი დარდის შეყრის პირშავ მცდელობას
ხაზი ესმება, ვით წილნაყარს უაზრობასთან.
დღე გეუბნება – განსაცდელი უკან არისო.

აი, რა გახდა ასე ყოფნა, ასე სიმჩატე
ტანში, სხეულში რაღაც განცდა უწონადობის.
მიწიერისგან, სიმძიმისგან სადღაც გაშვებულს,
ფეხების ქვემოთ, მიწას თითქოს მხოლოდ სინჯავდე,
და სხეულიდან დაგროვილი შხამი გამოგდის.
რაღაცდაგვარი სიმშვიდეა ახლა გარშემო.
აქ მყოფი წამი თავისთავში უცებ გიჯამებს
და გეუბნება – სად იყავი, ჩქარა, წამოდი.

## სონეტი

მოგვრილო სევდავ არსაიდან, საიდან მოხვალ!
რატომ მიხვრგავ თვალსანიერს მდარე ხედებით!
გამუდმებულად როგორ ცდილობ ჩემს წელში მოხრას,
როგორ იბუდებ სხეულებში, სისხლში დედდები.
მოგვრილო დარდო არსაიდან, გინდა, რომ ხორხმა
ამოატანოს კვნესა გარეთ ისევ შემდეგი.
შენ მკვნესარეთა მეუფე ხარ და გრჩება ოხრად
კაცობრიობის ისტორიის შავი გვერდები.

მოგვრილო შვებავ არსაიდან, სახეზე მხვდები,
ვით მობერილი შორით სიო გრილი, ნოტიო.
იშლები, როგორც მშვენიერი ქალღმერთის თმები,
იდუმალებით ჩამჩურჩულებ ყურში – მოდიო.
თვალებს ვარიდებ არემარეს, შორს ვიყურები,
უშფოთველობით მიცურავენ ცაში ღრუბლები.

* * *

მუდამ რომ ღვარო ცრემლი,
ამით რას უნდა გახდე!
ნულარაფერზე ღელავ.
მოდის ცხოვრების ცელი
და განურჩევლად ცელავს.

აღარ გსურს იყო მცველი
არაფრის, ყოფნის ტახტებს
უარყოფ, ტოვებ წელა.
მოდის ცხოვრების ცელი
და განურჩევლად ცელავს.

სამყარო არის ვრცელი.
ამაოების კვამლი
ყელზე გეხვევა გველად.
მოდის ცხოვრების ცელი
და განურჩევლად ცელავს.

ისევე, მუდამ ელი,
გამჭოლ ვნებათა გავლით
სიკვდილს, ვით ნარმტაც მხევალს.
მოდის ცხოვრების ცელი
და განურჩევლად ცელავს.

* * *

ზაფხული, დენა მსუბუქ ნიავთა.
ისევე ისე, როგორც ადრე,
სიცხე და ხვატი.
ნარსულო! უკვე დაგაგვიანდა,
ამაოდ ლამობ აქ ყოფნას, ნადი.

ზაფხული ისევ გაგონებს იმ ძველ
ზაფხულებს, სავსეთ ჭრიჭინებით
და მზით თავსზემოთ.
ნარსულო, ნადი, საიდან მიწევე?
ნუ თვლი ჯიუტად, რომ კვლავ არსებობ.

თუმცა, არსებობაც ჩემი, ხანდისხან,
რომ ვუფიქრდები, მეჩვენება
მეტად სათუოდ.
ნარსულო! ვენა გსურს გადამიხსნა,
ხსოვნის და შორით მომითათუნო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 4

# ნობელიანტი

# Władysław Reymont



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რკინიგზის „რაპორტებიდან“ ნობელის პრემიამდე

ამბროსი გრიშიკაშვილი

მწერლები ძირითადად თავიანთი შემოქმედებით ხდებიან სახელგანთქმულნი. თუმცა ისეთებსაც ვიცნობთ, რომელთა ცხოვრებაც მათ შემოქმედებაზე გაცილებით საინტერესოა.

ვლადისლავ რეიმონტი ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია; მისი ცხოვრებაც ისევე საგულისხმოა, როგორც შემოქმედება. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ პოლონეთის ერთ-ერთი პოპულარული გამომცემლობის მიერ წამოწყებულ სერიაში – „ბიოგრაფიული რომანი“, პირველ წიგნად, 1971 წელს, რეიმონტის ბიოგრაფია დაიბეჭდა. მალე ეს ნაწარმოები ისე პოპულარული გახდა პოლონეთში, რომ განმეორებით 1973 და 2000 წლებშიც გამოიცა.

ვლადისლავ რეიმონტი დაიბადა 1867 წლის 6 მაისს სამხრეთ პოლონეთში, რადომის სავოევოდოს პატარა ქალაქ კობელ-ველკეში. მწერლის მამა იოსები, თუმცა მდიდარი არ გახლდათ, მაგრამ დიდად განათლებული კაცი იყო, ორღანისტის თანამდებობაც სჭერია კოსტიოლში. დედა ანტონინა მდიდარი და კეთილშობილი ოჯახიდან ყოფილა. იოსებს, მუსიკალური ნიჭის მქონე ყმაწვილს, არ გაძნელებია რომანტიკული ბუნების ქალიშვილის გულის დაპყრობა და ისინი დაქორწინებულან. ორი ვაჟიშვილისა და ერთი ქალიშვილის გაჩენის შემდეგ, მათ მეოთხე შვილი, ვლადისლავ სტანისლავი შეეძინათ.

მამას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ვლადისლავი მის გზას გაჰყვებოდა და მუსიკალურ კარიერას აირჩევდა, მაგრამ შვილს ამაზე ცივი უარი განუცხადებია. გაბრაზებულ მამას ვაჟიშვილი სიძისათვის მიუბარებია, რომელიც სამკერვალოს ფლობდა ვარშავაში. მამა, ალბათ, იმედოვნებდა, ნემსის ხმარება მოწყინდება და დამიჯერებსო. მოხდა კი პირიქით: ვლადისლავმა ფორტეპიანოს კლავიშებს ნემსი არჩია.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და რეიმონტმა სასარგებლოდ გამოიყენა შეძლებულ სიძესთან ცხოვრების პერიოდი: დადიოდა თეატრში, არ აკლდებოდა კულტურულ-ლიტერატურულ ღონისძიებებს და, რაც მთავარია, უამრავ გაზეთსა და წიგნს ყიდულობდა და მოწყურებული კითხულობდა. როგორც მისი ბიოგრაფები წერენ, სწორედ ამ პერიოდში მომხდარა რეიმონტის მწერლად ჩამოყალიბება. მართალია, ამ დროს რეიმონტი ლექსებსაც წერდა, მაგრამ ბოლოს მასში მაინც პროზაიკოსმა იმძლავრა.

რეიმონტმა ნაცნობ კრიტიკოსს გაუგზავნა რამდენიმე ნოველა, რომლებიც დედაქალაქის ყოველკვირეულში დაიბეჭდა. შემდგომ გამოაქვეყნა მხატვრულ-პუბლიცისტური რეპორტაჟი – „სალოცავად წასვლა იასნაია გურაში“ (1894), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

1896 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „კომედიანტი ქალი“, განსაკუთრებით კი რომანმა „აღთქმული ქვეყანა“ დაარწმუნა მკითხველებიც და კრიტიკოსებიც, რომ ამ თხზულებათა ავტორი მონიჭული მწერალია.

ლიტერატურათმცოდნეები რეიმონტის 1911 წელს გამოცემულ „ვამპირს“ მოიხსენიებენ, როგორც გოთურ რომანს. ამ ჟანრის ნაწარმოებების სიუჟეტი მოითხოვს ბოროტი ძალის არსებობას. ეს ბოროტი პერსონაჟი იმდენად თვითმყოფადი და საინტერესოა, რომ იოლად ახერხებს რომანის მთავარი გმირის „გაძევებას“, იძენს უსაზღვრო ძალაუფლებას და მკითხველის მხრიდან ყურადღებასაც იმსახურებს.

არც თეატრით დაინტერესებას ჩაუვლია უკვალოდ. ერთხანს ირიცხებოდა დრამატული თეატრების მსახიობთა ასოციაციაში, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მართავდა წარმოდგენებს. ამ თეატრალურმა დასმა რეიმონტის მონაწილეობით დადგა მოლიერის „ძუნწი“ და სხვა პიესები. რეიმონტს მთელი სიცოცხლე არ განელებია თეატრისადმი სიყვარული და არ შეუწყვეტია თეატრალურ საზოგადოებასთან ურთიერთობა. აგრძელებდა პიესების წერასაც. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე დრამატული პიესა.

საზოგადოებას ყოველთვის აღელვებდა და დღესაც არ განელებია რეიმონტის მგზნებარე პირადი ცხოვრებისადმი ინტერესი. არსებობს მწერლის რამდენიმე ავტობიოგრაფია. აი, ნაწყვეტი ერთ-ერთი მათგანიდან:

„...ვაგრძელებდი ლექსების წერას, სახლიდან ვარშავაში გავიქეცი, დამიჭირეს, უკან დამაბრუნეს. უბედური ბავშვობა მქონდა. მეწადა სემინარიაში მოწყობა, მაგრამ მამა ამის წინააღმდეგი იყო, ფულიც არ მომცა, უნდოდა მუშაობა დამეწყო, ტირანივით მექცეოდა.

რა უნდა მექნა? ერთი სკოლის მეგობარი მყავდა, პროვინციულ თეატრში თამაშობდა; შინიდან გავიქეცი მასთან. მირჩია, თეატრალურ

დასში შევსულიყავი. არ ვიყავი მოხიბლული დასის წევრებითა და წარმოდგენებით, მაგრამ აქ თავისუფლად მაინც შემეძლო ცხოვრება. გვარი შევიცვალე და დასთან ერთად მთელ ქვეყანაში ვმოგზაურობდი. ერთი კუთხეც არ დაგვრჩენია, წარმოდგენა არ გაგვემართოს. დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდი, მაგრამ ამ თავისუფლებამ, მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებამ ჩემი არსება მთლიანად დაიპყრო. მსახიობის ტალანტი არ მქონია, მაგრამ ყველაფერს ვთამაშობდი. ერთი წლის შემდეგ შინ დავბრუნდი. უკვე ძველებურად აღარ ცდილობდნენ ჩემს დაჩაგვრას, პირიქით, მამა დამეხმარა კიდეც: რკინიგზაში დამეწყო მუშაობა. ერთი წელი ვიმუშავე და ბოლოს ამგვარი უფერული არსებობა მომწყინდა..."

რკინიგზაში მუშაობის დროს რეიმონტის ყოველთვიური ანაზღაურება 70 რუბლს შეადგენდა, რაც მწერალს არათუ წიგნებისა და გაზეთების შესაძენად, საკვებადაც არ ჰყოფნიდა. სამსახურის დაწყებიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ რეიმონტსა და რკინიგზის სადგურის უფროსის ახალგაზრდა მეუღლეს, სტეფანიას, ერთმანეთი შეუყვარდათ. „მისი გულისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ", – ჩაწერს რეიმონტი დღიურში. სხვათა შორის, სტეფანიას პირველი ვაჟი მწერალს თავისად მიაჩნდა. ეს ბიჭი ადრეულ ასაკში გარდაცვლილა.

საკუთარი შვილი რეიმონტს არ ჰყოლია. იგი ზრდიდა და პატრონობდა ძმისშვილს, რომელიც ასევე ახალგაზრდა გარდაიცვალა.

სტეფანიასთან რამდენიმეთვიანი ურთიერთობის შემდეგ რეიმონტი იძულებული გახდა, გაშორებოდა ქალს, ოღონდაც ვერაფერი მოუხერხა მისდამი მწველ გრძნობას, რომელიც იმდენად ღრმა გამოდგა, რომ მწერალმა თავის მოკვლაც კი სცადა. საავადმყოფოში მიყვანილ რეიმონტს ქირურგებმა ამოაცალეს ტყვია და, ამრიგად, სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯეს.

სიყვარული რეიმონტისათვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმედგაცრუებებისა, მწერალი ცდილობდა რწმენას სიყვარულის ჭეშმარიტად არსებობის შესახებ ჩრდილი არ მისდგომოდა.

რეიმონტი კვლავ იწყებს რკინიგზაზე მუშაობას. სხვა საქმესთან ერთად მას ევალებოდა სარკინიგზო უბანზე მომხდარი შემთხვევების შესახებ ბარათის დაწერა და უფროსებისათვის წარდგენა. ამ დროისათვის რეიმონტში უკვე მძლავრობდა ლიტერატორის სული, რის გამოც ბარათები სრულიად სხვა სახეს იღებდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. ამიტომ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, გაეფრთხილებინა მომავალი მწერალი, რომ რკინიგზას სჭირდება ტექნიკური მოსამსახურე, რომელსაც „რაპორტები" უნდა ეწერა და არა ნოველები.

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას: რკინიგზა რომ არა, შესაძლოა მას გასჭირვებოდა მწერლად გახდომა. ეს პროფესია ხომ ბევრ მოვალეობას არ მოითხოვს და სხვაგვარად საიდან ექნებოდა მას თავისუფალი დრო და თანაც თავის რჩენის ფინანსური საშუალება.

1900 წლის 13 ივლისს რეიმონტი თავის მეგობარ გაზეთის რედაქტორთან და მის მეუღლესთან ერთად მატარებლით ავარიაში მოჰყვა. საექიმო კომისიამ, რომელსაც უნდა დაედგინა დაშავების ხარისხი, ეტყობა, თანაგრძნობის ნიშნად მომავალ მწერალს გაცილებით მძიმე ტრავმა ჩაუწერა ცნობაში. რეიმონტს კომპენსაციის სახით მისცეს გაცილებით დიდი თანხა, ვიდრე ეკუთვნოდა.

თუ რა დიდი თანხა იყო რკინიგზის მიერ გაცემული კომპენსაცია, იმის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეიმონტმა 1899 წელს ერთ-ერთ საუკეთესო ნოველა „ლილიანი" ჰონორარად 25 რუბლი მიიღო. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით: ნაწარმოების გმირი მსახიობი ქალია, რომლის ლიტერატურული სახეც ისე მხატვრულადაა აღწერილი, რომ კრიტიკოსები მას ხშირად ალექსანდრე დიუმა-შვილის ნაწარმოების „ქალი კამელიებით" მთავარი გმირის უმცროს დად მოიხსენიებენ.

მწერალი დღიურში ჩაწერს:

„დღეს მომცეს კომპენსაცია 38500 რუბლი. ეს საკმარისია ჩემს დასამარხავად, მაგრამ მცირეა ცხოვრებისათვის".

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სარკინიგზო კატასტროფამ მწერალი დააზიანა არა მხოლოდ ფიზიკურად (ორი ნეკნი ჩაემტვრა და ფეხი მოსტყდა, ხოლო მისი მეგობრის მეუღლე ამ კატასტროფაში დაიღუპა კიდეც), არამედ ფსიქოლოგიურადაც, მაშინ ეს თანხა არცთუ ისე დიდი მოგვეჩვენება.

აი, რას წერს რეიმონტი ერთ წერილში:

„მხოლოდ ახლა ვხედავ, თუ როგორ შეარყია ჩემი ჯანმრთელობა ამ შემთხვევამ. რომ აღარაფერი ვთქვა გაუსაძლის ფიზიკურ ტკივილებზე, ერთი წუთითაც რომ არ მანებებენ თავს, შინაგანად სრულიად გატეხილი ვარ, სრულიად. რაიმე სერიოზულ მუშაობაზე ზედმეტია ლაპარაკიც. ახლა უბრალო წერილის დაწერაც ისე მიჭირს, რომ ბოლომდეც ვერ ვამთავრებ და კალამს ვაგდებ. ეს ძალზე მაშინებს, მაგრამ თავს ვიწუგეშებ".

ბევრი კრიტიკოსის აზრით, მეფის რუსეთის (იმ დროს უკვე მესამედ ჰქონდა დანაწილებული სამ დიდ იმპერიას პოლონეთი: ავსტრიას, დედაქალაქით კრაკოვი, პრუსიას – დედაქალაქით პოზნანი და რუსეთს – დედაქალაქით ვარშავა) რკინიგზამ ხელი შეუწყო რეიმონტის დიდ მწერლად გახდომას.

რეიმონტს დაწერილი აქვს შესანიშნავი ლირიკულ-ფილოსოფიური ხასიათის წერილები, რომელთა ნაწილის ადრესატია მწერლის უკანასკნელი სიყვარული – ვანდა ტოჩილოვსკა. ამ წერილებს ავტორი თავის შეყვარებულს 1907-1912 წლებში უგზავნიდა. სიყვარული ვანდასადმი ისე ძლიერი იყო, რომ მწერალს სურდა გაჰყროდა ცოლს. ემუდარებოდა ვანდასაც, რომ გაშორებოდა ქმარს და მას გაყოლოდა ცოლად... მაგრამ ამ განზრახვას, ისევე როგორც მწერლის არაერთ სხვა განზრახვასაც, განხორციელება არ ეწერა. ეს სიყვარული ბოლომდე პლატონურ გრძნობად დარჩა.

რეიმონტის ვანდასადმი გაგზავნილი წერილები ლექსებივით იკითხება. წერილების დაწერიდან მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წერის სტილიც შეიცვალა და აზრის გამოხატვის მანერაც, მაგრამ რეიმონტის წერილები იმდენ მგზნებარებას, გულახდილობასა და ადამიანურ სითბოს შეიცავენ, რომ დღესაც გვაღელვებენ.

1944 წელს ფერფლად ქცეული ვარშავიდან ვანდა ტოჩილოვსკამ წერილები ემიგრაციაში წაიღო და იქ ინახავდა. სიკვდილის წინ, 1960 წელს, მონტევიდეოში, წერილები თავის ვაჟიშვილებს გადასცა. 1979 წელს თეოდორმა ისინი მშობლიურ პოლონეთში დააბრუნა.

1919 წელს ახლად თავისუფლებამოპოვებულმა პოლონეთმა საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ამერიკაში გაგზავნა, რათა კავშირი დაემყარებინა იქაურ პოლონურ დიასპორასთან და ფინანსური სახსრები მოეზიდა ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის.

რეიმონტის ჩასვლა აშშ-ში ისეთ პაპანაქება სიცხეებს დაემთხვა, რომ მწერალი რამდენიმე დღე ლოგინში იწვა და სასტუმროდან გარეთ ვერ გამოდიოდა: „აქაური კლიმატი საჩემო არაა. ამის გამო ჩემი ნერვები ისეთ დღეშია, რომ, თუ რამდენიმე საათი სინესტეში, მარტოობაში არ გავატარე, ძალას ვერ ვიკრებ... აქ ძალიან უცხოდ ვგრძნობ თავს, ჩემთვის უცხოა ცხოვრების აქაური რიტმი. სულიერადაც ეულად ვარ. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხის უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ, მახარებს მათი თავგანწირვა და პატრიოტიზმი. ეს რომ არა, აქ დიდხანს ვერ გავჩერდებოდი".

იშოვიდა თუ არა რეიმონტი ფულს, იმ ქალაქებში სამოგზაუროდ გასწევდა ხოლმე, რომელთა მონახულებაც ხელოვანისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც კათოლიკესათვის რომში, ხოლო მუსლიმანისათვის – მექაში ჩასვლა. ეს ქალაქებია ლონდონი, პარიზი და რომი.

„...მძინავს რვა საათს, 12 საათს ვსეირნობ, ხოლო 4 საათს იმის ჩაწერას ვანდომებ, რასაც ვნახავ", – აღნიშნავს რეიმონტი ლონდონში ყოფნისას.

„ხვალ პარიზში მივდივარ, იმ პარიზში, რომლის შესახებაც ბავშვობიდანვე გამუდმებით მესმოდა. საინტერესოა, რა შთაბეჭდილებას მოახდენს", – ვკითხულობთ რეიმონტის დღიურში.

როგორც ჩანს, პირველი ნახვით ქალაქს მასზე არც თუ ისე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. პატარა, ჭუჭყიან, პროვინციულ დასახლებად მოსჩვენებია.

„ვიწრო ქუჩები, მაღალი და ასევე ვიწრო სახლები, – ისინიც ჭუჭყიანები, თუმცა საკმაოდ ორიგინალურები. აქ ყველგან შეიძლება ბარიკადების მოწყობა (ნაპოლეონმა ხელახლა გააშენა პარიზი, რათა ხელი შეეშალა აქ ბარიკადების აგებისათვის. და მისი პოლკები ქუჩებში უკვე თავისუფლად დადიოდნენ)".

თუმცა გადის რამდენიმე დღე და მწერლის შეხედულებები ძირფესვიანად იცვლება:

„...ქალაქი ძალიან მომწონს, განსაკუთრებით ბულვარები". რეიმონტს რომ პარიზზე ნამდვილად უკეთესობისაკენ შეეცვალა აზრი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემდგომში იგი ხშირად ჩადიოდა ამ ქალაქში და იქ თავის ნაწარმოებებზე მუშაობდა კიდეც. რაც შეეხება რომს, მის შესახებ დღიურში რეიმონტი შემდეგ ჩანაწერებს აკეთებს:

„აღტაცებული ვარ არა იმდენად ქალაქით, რამდენადაც მისი ეკლესიებით; მე ხომ კარგად ვიცნობ ლონდონს, ვენას, ბერლინს... მათ უმშვენიერეს ეკლესიებსაც, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება რომის წმინდა პეტრეს ეკლესიას... ეკლესიას, რომელშიც ერთ კვადრატულ მეტრსაც ვერ ნახავთ, რომ სასწაულებრივად მოჩუქურთმებული მარმარილო არ შემოგყურებდეთ".

ალბათ, როგორც ყველა ხელოვანი, რეიმონტიც ამ დიდი ქალაქების ლიტერატურულ კაფეებს ხშირად სტუმრობდა, განსაკუთრებით პარიზში. ვერ გეტყვით, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ამ ქალაქების სალონები მწერალზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ვიცით, თუ რა აზრისა იყო იგი ვარშავის ლიტერატურულ კაფეზე.

აი, ჩანაწერი მისი დღიურიდან:

„პირდაპირ სიცილი მოგინდება კაცს ვარშავის სალონების გახსენებაზე, სადაც ყავა სუსტია, სამაგიეროდ, აქაური ჭორებია ძლიერი. აქ თითქმის ყოველი ქალიშვილი გრძნობს სურვილს, ისაუბროს ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, იდეებზე, – სულის სიღრმეში კი მხოლოდ ერთი რამის გაგება სურს: მოისურვებ თუ არა მასზე დაქორწინებას. აქ მამაკაცებსაც ძალზე საიდუმლო და ღრმაშინაარსიანი საუბარი გაუბამთ... ღვინოზე. აქ ვაჟები იმ „დიდ საკითხზე" ესაუბრებიან ერთმანეთს, თუ სად იცეკვეს გუშინ და სად უნდა იცეკვონ დღეს; თუ როგორი იყო გუშინდელი ვახშამი..."

მომავალი მეუღლე რეიმონტმა 1895 წელს ვარშავაში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე გაიცნო. ავრელია გათხოვილი გახლდათ. მისი ქმარიც მწერალი იყო, თუმცა არც თუ ისე ცნობილი. მალე მათი ქორწინება დაირღვა და ქალი კრაკოვში გადასახლდა. იგი საკმაოდ განათლებული გახლდათ და ლიტერატურისა და მხატვრობის ნიჭიც ჰქონდა. კარგად იცოდა ფრანგული. თუმცა, ვერ გამოამჟღავნა ხასიათის სიმტკიცე, რომ ხელოვნების სფეროში რაიმე ღირებული შეექმნა.

რეიმონტზე რომ დაქორწინებულიყო, ქალს ჯერ საკმაოდ რთული და ძვირადღირებული განქორწინების პროცესი უნდა გაევლო. ეს ფული (დაახლოებით 10 ათასი რუბლის ოდენობით) როგორც იქნა, მოგროვდა როგორც ქალის, ისე რეიმონტის მეგობრებისა და ნათესავების დახმარებით და ისინი დაქორწინდნენ. თუმცა ამ ქორწინებამ რეიმონტს ბედნიერება არ მოუტანა.

ვლადისლავისა და ავრელიას ურთიერთობას კარგად ახასიათებს ცნობილი მწერალი ქალი ელზა ოჟეშკოვა. ერთ-ერთ თავის წერილში ის აღწერს, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა ავრელიამ მასზე პირველი შეხვედრისთანავე,

როდესაც ოჟეშკოვა მათთან სტუმრად იმყოფებოდა ვარშავაში, 1909 წელს: „ახალგაზრდაა და ლამაზი, ახლო გაცნობისას მასში ძნელი არაა გარკვეული ტალანტიც აღმოაჩინო; იგი ტოვებს შთაბეჭდილებას იმ ტიპის ქალისას, რომელიც დიდი ადამიანის ცოლი გახდა და დაუცხრომლად ლამობს კიბეზე ასვლას, რათა თავისი სიმაღლით ქმრის სიმაღლეს გაუსწორდეს. ბუნებრივია, კიბე დროდადრო ფეხიდან ეცლება, მაგრამ ის ინტიბარს არ იტეხს და იკრებს მთელ ძალ-ღონეს, რათა კვლავ ასვლას მასზე...“

საზღვარგარეთ მოგზაურობისას რეიმონტი ბევრს მუშაობს, ბევრს ბეჭდავს და ლიტერატურულ სარბიელზე აქვს კიდევაც თვალშისაცემი წარმატებები. ანეკდოტები დადიოდა რეიმონტის შემოქმედებითი მუშაობის თაობაზე. მოუვიდოდა თუ არა მუშაობის ჟინი, გაეცლებოდა ყველას და ყველაფერს, ყველაზე უახლოეს ნათესავებსაც და მეგობრებსაც, დადუმდებოდა, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და წერდა.

„გლეხების“ ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალის, იაგუსიას ქორწინების სცენაზე რეიმონტმა ისე ინტენსიურად იმუშავა, ისე დაიძაბა და გამოიფიტა, რომ ექიმის გამოძახება გახდა საჭირო (ეს დაახლოებით იმას ჰგავს: ფლობერმა მადამ ბოვარის მოწამვლის სცენა რომ აღწერა, შემდეგ იგონებდა თურმე, მეც ისე მოვიწამლე, რამდენიმე დღე დასჭირდა ჩემს გამოჯანმრთელებას). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ეპიკური რომანისთვის დაჯილდოვდა რეიმონტი ნობელის პრემიით. „გლეხებს“ სამართლიანად ადარებენ ჰომეროსის „ილიადასა“ და ადამ მიცკევიჩის „პან თადეუშს“ და ემილ ზოლას [illegible] ლაც აყენებენ.

ბიბლიოთეკა

ამასთან, ისევე, როგორც ძველი თუ ახალი დროის მრავალ ხელოვანს, მასაც არ ასვენებს ეჭვი, რომ მთელი მისი ოჯახი და ნათესაობა მის ლიტერატურულ მიღწევებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ვლადისლავი გზააბნეულ ადამიანად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ ერთ-ერთ წერილში ძმას ეკითხება:

„როგორცა ხედავ, რაღაცას ვაკეთებ და შედეგიც ნათელია, ამასთანავე, მაქვს სრული თავისუფლებაც და ცხოვრებას ისე ვატარებ, როგორც მომწონს...“ თუმცა, ბოლოს მაინც ეჭვი ეპარება იმაში, თუ რამდენად სწორად ატარებს თავის ცხოვრებას და ამავე წერილში კითხულობს: „ამასთან ერთად, მაინტერესებს, თუ როგორ ღებულობთ შენ და მთელი ჩემი ოჯახი ჩემს ლიტერატურულ ნარმატებებს. კვლავ უიღბლო და გზააბნეულ შვილად მიგაჩნივართ? რას იზამ, ჯერ კიდევ წმიდა წერილში ჩაწერეს, რომ იერუსალიმი ჩასაქვავებლად იმეტებს თავის წინასწარმეტყველებსო. ეს შენ არ გეხება, მაგრამ ჩემი ოჯახი მე სათვალავშიც კი არ მაგდებს, ხოლო თუ მახსენებენ, მახსენებენ უფრო როგორც შეცოდების ღირს არსებას, ვიდრე ჩემით ნაშვილად ინტერესდებოდნენ. თუმცა მე არა მაქვს მათ მიმართ რაიმე პრეტენზია, რადგან, ღმერთო ჩემო, რა აზრი აქვს, მუსიკა ყრუ ადამიანებს შეაფასებინო!“

რეიმონტის შემოქმედებას, მის მწერლურ კრედოს, კარგად ახასიათებს მისივე წერილი ერთი ახალგაზრდა პროზაიკოსის შესახებ:

„...ის ვერ გრძნობს ცხოვრებას, ვერ გრძნობს ადამიანს, რომელიც მილიონი ძაფით არის დაკავშირებული სხვა ადამიანებთან... პროზაში მას არა აქვს თავისი ენა, წერს სენკევიჩის სტილით. მე კი ვაღიარებ, რომ მირჩევნია მწერალი, რომელიც ლაპარაკობს როგორც ყმა გლეხი, მაგრამ ლაპარაკობს გულწრფელად, ლაპარაკობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენით, ვიდრე ადამიანი, რომელიც თუნდაც გენიოსებს ბაძავს“.

თავისი ცხოვრების იმ ეპიზოდზე, დაახლოებით ხუთ წელიწადზე, როდესაც ადამიანი ირჩევს საკუთარ ცხოვრებისეულ გზას, რეიმონტი დღიურში შემდეგს ჩაწერს: „5 წელიწადი ცხოვრების უდიდესი მონაკვეთია. ამ ხნის განმავლობაში ძალიან წინ წავედი... რკინიგზაში მუშაობის სამი წელიწადი, ლიტერატურული კარიერის დასაწყისი, ცხოვრება ლიტერატურისათვის, პილიგრიმობა. ინგლისში გამგზავრება, ნოველები. ახალი მეგობრების გაჩენა, ძველებიდან ზოგიერთთან უთანხმოება... ახალ სამყაროში ცხოვრება, ათასობით ადამიანის გაცნობა, ახალი იდეები, შთაბეჭდილებები – იტალიაში მოგზაურობა. მოკლედ, ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი. არ ვიცი, 20 წლის გასვლის შემდეგ, როდესაც დღიურს ჩავხედავ, ვინ ვიქნები მაშინ, ბედნიერი თუ არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიქნები 48 წლის, მობერებული, სიცოცხლის ასაკის უკვე მეორე მხარეს მდგომი. რა იქნება მაშინ? რა?..“

რეიმონტი არა მხოლოდ წერისას აზროვნებდა ხატოვნად, არამედ თხრობის, რაიმე ამბის გადმოცემისასაც. მისი მეგობარი ალფრედ ვისოცკი იხსენებს ერთ უჩვეულო ამბავს, რომელ-




რეიმონტის „გლეხების“ ხელნაწერი

იც მასა და რეიმონტს პარიზში, ცნობილ კაფე „როტონდაში", შემთხვევით. იქ მწერალს შეუთავაზებია მისთვის კრიმინალური რომანის დაწერა. მოგცემ თემასაც და კულმინაციური სცენის მინაარსსაცო, – უთქვამს აღგზნებულ მწერალს და დაუწყია ვისოცკისთვის იმის მოყოლა, თუ როგორ შეიძლებოდა აღწერილიყო ბანკის დაყაჩაღება. ბანკზე თავდასხმის აღწერისას რეიმონტი, თურმე, ორივე ხელით აღგზნებული ჟესტიკულირებდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, მსახიობს დამსგავსებია.

თურმე, მათი მაგიდის გვერდით გაზეთში თავჩარგული ჟანდარმერიის თანამშრომელი მჯდარა. როდესაც ვისოცკი ამდგარა და გამომშვიდობებია რეიმონტს, აგენტი მასთან მისულა და დოკუმენტის წარდგენისას უკითხავს, თუ ვინ იყვნენ და რაზე ლაპარაკობდნენ. მხოლოდ მას შემდეგ დაუწყნარებია თავი, რაც გაუგია, რომ მაგიდასთან ცნობილი მწერალი მჯდარა.

რაც შეეხება რეიმონტის პოლიტიკურ სიმპათიებს, იგი ამ მხრივ აქტიური არ ყოფილა, თუმცა პატრიოტი ნამდვილად გახლდათ. ამ მხრივ მას ახასიათებს ოჟეშკოვა: „ვისპიანსკის შემდეგ ახალგაზრდა თაობაში რეიმონტი უპირველესი მწერალია... ვერავითარმა სოციალიზმმა, ნიჰილიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა თავგზა ვერ აუბნია... კლასობრივი ბრძოლის ქარიშხალმა მასში ვერ ალგავა სამშობლოს სიყვარული..."

საზოგადოდ, რეიმონტს ორიგინალური აზრები აქვს გამოთქმული ომის შესახებ:

„ამჟამად მიმდინარე საშინელი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო დაიწყებს მზადებას კიდევ უფრო შემზარავი ომისთვის. ომი ხომ პროგრესის პირობაა და, შესაძლოა, კაცობრიობის არსებობისაც!".

„ჩემი აზრით, არიული რასა სასიკვდილოდაა დაავადებული, – მას აღარა აქვს იდეა – აქ ადამიანმა აღარ იცის, თუ რითი იცხოვროს, აღარა აქვს იდეალები. ადამიანისათვის კი საკმარისი არაა მხოლოდ წარმოება და მოხმარება. ამ სასიკვდილოდ განწირული მატერიალისტური იდეებით ცხოვრება კარგი იყო მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. საშინელი მოწყენილობა იწყებს უკვე ბღავილს ადამიანის მკერდიდან...".

რეიმონტმა ბიზნესშიც სცადა ბედი. მას უნდოდა საქმეში იმ ფულის ნაწილი ჩაედო, რომელიც რკინიგზაზე დაშავების შედეგად მიიღო. მისი ნაწილი მწერალს იპოთეკური სესხის სახით ჰქონდა აღებული, დარჩენილი თანხით კი აპირებდა ბიზნესის წამოწყებას. კერძოდ, მას სურდა ფული დაებანდებინა... სამეცნიერო წიგნებით ვაჭრობაში. მის მეგობრებს უკვე ჰქონდათ ამ სახის ფირმა. შემონახულია რეიმონტის წერილი, რომელიც მან ფირმის დამფუძნებელს გაუგზავნა. ნაწყვეტი ამ წერილიდან: „თუკი ჩემი წინადადება თქვენთვის მიუღებელია, ნუ მოგერიდებათ, მითხარით. ბიზნესში სიმორცხვის ადგილი არაა. სურვილი მაქვს, მოგება ვნახო და ამიტომ მოგმართავთ ამ წინადადებით და, თუ თქვენთვისაც ხელსაყრელი არ არის ეს, მაცნობეთ".

რეიმონტმა ფულის ჩადება სცადა ასევე ნავთობის მოპოვებაშიც. გალიციის ნავთობის მინდვრები დიდ იმედებს აღვივებდნენ და ზოგი მას „პოლონეთის კალიფორნიასაც" უწოდებდა. თუმცა არაა ცნობილი, როგორი იყო მწერლის მონაწილეობა ამ ბიზნესში და ისარგებლა თუ არა ამით რაიმე. როგორც ჩანს, მას ამ საქმეში ხელი ბალზაკივით მოეცარა, სხვაგვარად ასეთ რამეს არ დაწერდა: „ფულის გაკეთება ათასში მხოლოდ ერთ მწერალს თუ ხელეწიფება, გულწრფელად რომ გითხრათ, მე მათი სულაც არა მშურს".

ისევე, როგორც არაერთი ხელოვანი, რეიმონტიც ხშირად განიცდიდა უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს. ამის საილუსტრაციოდ დისადმი მისი ერთ-ერთი წერილის პატარა ფრაგმენტიც კმარა: „...და მერე რა სარგებლობა მაქვს ამ სულელური დიდების, ამ ქების ჰიმნების, ამ ტირაჟირებული პორტრეტებისგან, როდესაც ხშირად სადილის ფულიც კი არა მაქვს?! ახლა იმდენი ფულიც კი არა მაქვს, რომ სამშობლოში დავბრუნდე (წერილი პარიზიდანაა გაგზავნილი). არადა, მე ხომ დიდი გართობების კაცი არა ვარ და ისე ვცხოვრობ, როგორც უბრალო ადამიანი... ამ ჩემი გაწამაწიისაგან იზრდება მხოლოდ დაწერილი წიგნების რაოდენობა და ასევე კრიტიკოსთა რიცხვიც".

თუ მუშაობდა რეიმონტი ახალ ნაწარმოებზე, ამას განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს „წელი 1794", ანუ რომანი, რომელსაც ავტორი „ჩემი ცხოვრების სიმღერას" უწოდებდა. ამ ისტორიული რომანის დასაწერად რეიმონტმა წაიკითხა იმ ეპოქის ამსახველი უამრავი წიგნი, გაზეთი, კალენდარი, ცნობილი ისტორიკოსების ნაშრომები – ანუ ყველაფერი ის, რასაც ოდნავ მაინც ჰქონდა შეხება მისთვის საინტერესო ისტორიულ პერიოდთან. მან კიდევ ერთხელ გულდასმით გადაიკითხა კლასიკოსების (მიცკევიჩის, კრაშევსკის და სხვათა) ნაწარმოებები. მისთვის განსაკუთრებულ სამაგიდო წიგნად იქცა „პოლონური ენის განმარტებითი ლექსიკონი".

„დიდი სურვილი მაქვს, – წერდა რეიმონტი მეგობარს, – ავსახო ეპოქა არა მხოლოდ თარიღებითა და ფაქტებით, არამედ ფსიქოლოგიურადაც. ეს კი, გარდა იმ ეპოქის წარმოსახვისა, უაღრესად მძიმე შრომას მოითხოვს". ავტორი ერთ ნაცნობს თხოვს ლინდას ლექსიკონს: „აუცილებლად მჭირდება, არადა, ვერსად, ანტიკვარულ მაღაზიაშიც კი, ვერ წავაწყდი"... ხოლო მისი მიღების შემდეგ კი ბრძანებს: „ეს წიგნი განუყრელად ჩემთან იცხოვრებს... ის ხომ აუცილებელი განძია იმ ეპოქის აღსაწერად".

ერთი მეგობარი შეესწრო, თუ როგორ ირჯებოდა რეიმონტი: „იგი მუშაობისას დავინახე. მაგიდაზე მე-18 საუკუნის კალენდრები ჰქონდა დახვავებული... რას ეძებდა მათში? უპირველეს ყოვლისა, მათში კითხულობდა განცხადებებს, იმდროინდელი კაფეების, მაღაზიების, გასართობი ადგილების ანონსებს, ინიშნავდა სახელებს, მისამართებს. ამრიგად, ის შედიოდა მაშინდელი ვარშავის რეალურ ყოფაში, ფარდას ხდიდა მას, ხოლო სადაც ამას ვერ შეძლებ-




რეიმონტის „გლეხები"

და, ცდილობდა, თავად გამოეცნო სტანისლავ ავგუსტის ვარშავული ცხოვრება...".

მისი მუშაობის სტილს კრიტიკოსები ფლობერის სტილს ადარებდნენ. რეიმონტიც მის მსგავსად ცდილობდა ეცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით, მათ ნაკვალევზე დადიოდა მშობლიურ ქალაქებში, ეცნობოდა მათ სახლებს, ჩადიოდა მათ სოფლებში.

ასაკში შესულ, უფულობითა და მატერიალური უსახსრობით განამებულ რეიმონტს მრავალი სახის ავადმყოფობა შემოეჩვია. „უფულობა ისე როდი მაწუხებს, როგორც ავადმყოფობა", – წერს იგი.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ უკვე ხელმოწერილი კონტრაქტები აიძულებდა, დღე და ღამე ხარივით ემრომა და გამომცემლობებთან უკვე შეთანხმებული ნაწარმოებები დაესრულებინა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რაც უფრო მეტს წერს რეიმონტი და რაც უფრო მეტი ხალხი ეცნობა მის შემოქმედებას, მით უფრო გაუსაძლისი ხდება მისი ყოფა-ცხოვრება. აი, რას წერს იგი მეგობარს:

„მერწმუნე, არასოდეს ვყოფილვარ უფრო უარეს მდგომარეობაში; ასე მჭიდრო ალყაში ვალებისა და ბოროტი ბედისაგან ჯერ არასოდეს მოვქცეულვარ. არის წუთები და ამას გულწრფელად გეუბნები, რომ ვფიქრობ: შუბლში ტყვია ხომ არ დავიხალო – მეთქი. ეს, მართალია, არ იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი ჩემი მდგომარეობიდან, მაგრამ ამდენ პრობლემას მაინც სწრაფად გადამიწყვეტდა. ეს არაა წუთიერი წყენის შედეგად გაკეთებული დასკვნა, ესაა ჩემი მდგომარეობიდან ნაკარნახევი გამოსავალი".

რეიმონტი იკვლევს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მას თავი ვერ დაუღწევია ხელმოკლეობისათვის და ერთ-ერთ წერილში შემდეგ დასკვნამდე მიდის: „არ ვიცი ცხოვრება, – ამით გამოიხატება ჩემი უბედურება. ხოლო ეს რომ არ ვიცი, იქიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად საკმაო დიდი ტალანტისა, მას შესაბამისად ვერ ვიყენებ... არ ვიცი ცხოვრება, რამეთუ ვერ ვახერხებ ადამიანებთან ურთიერთობას, არ შემიძლია მეგობრების მოპოვება, ხოლო, თუ ისინი მყავს, ამას ჩემს სასარგებლოდ ვერ ვიყენებ. არ ძალმიძს ხალხისა და ცხოვრებისაგან ისე მაღლა ყოფნა, რომ ვბატონობდე და არც მათში გათქვეფა, თავი რომ კარგად ვიგრძნო".

1924 წელს რეიმონტს ღირსშესანიშნავი ეროვნული ეპოსისათვის „გლეხები" ნობელის პრემია მიენიჭა. ავადმყოფობის გამო რეიმონტი ვერ ჩავიდა სტოკჰოლმში ჯილდოს მისაღებად და სანობელო ლექცია არ წაუკითხავს. „რა საშინელებაა: ნობელის პრემია, ამდენი ფული, საყოველთაო აღიარება, დიდება და... სხვის დაუხმარებლად ტანსაცმლის ჩაცმაც კი არ შემიძლია", – უთქვამს მწერალს.

ნობელის პრემიის მიღების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა პოლონელი ხალხის დამოკიდებულება მწერლისადმი. ახლა უკვე ცამდე აჰყავთ მისი დამსახურება და ამაყობენ.

რეიმონტი სინანულით შენიშნავს:

„არ ვიყავი არც „სოციალი", არც ეიდი, არც რომელიმე პარტიის წევრი და ასეთ სულელს კი ყურადღების მიქცევის ღირსად ვინ ჩათვლიდა. მე რომ სათანადო ხელშეწყობა მქონოდა, მაშინ ხომ ორმოცდაათჯერ მეტს გავაკეთებდი, ვიდრე გავაკეთე. ახლა კი უნდა მივიღო ჯილდო და მერე რისთვის, იმ ნაწარმოებისათვის, რომელიც ჩანასახიც კი არ არის იმისა, რისი გაკეთებაც მინდოდა და ვერ გავაკეთე, რამეთუ ვცხოვრობდი სიღატაკეში და თავის სარჩენად ფელეტონი ფელეტონზე უნდა მეწერა. არადა, ვიცი, რაც მინდოდა და ვიცი, რაც შემეძლო".

რეიმონტი ფინანსურად მეტ-ნაკლებად მოღონიერდა, დიდი სახლი და მიწები იყიდა ვარშავის ახლოს, სოფელ კოლაჩკოვოში, თუმცა იმ წლებში (1924-1925) ავადმყოფობისაგან ისე იყო დასუსტებული, რომ ვარშავიდან იქ ჩასვლას ხშირად ვერ ახერხებდა. მწერლის სურვილი იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ სახლი ლიტერატორებს გადასცემოდათ, უნდოდა, რომ აქ მარტოხელა და დამსახურებულ მწერლებს ეცხოვრათ. თუმცა მისმა მეუღლემ ქმრის ანდერძი დაარღვია და სახლი რეიმონტის გარდაცვალებისთანავე გაყიდა.

ნობელიანტი გარდაიცვალა 1925 წლის 5 დეკემბერს. დაკრძალულია ვარშავის პოვაზკის სასაფლაოზე, დამსახურებულ ადამიანთა ხეივანში, რომელსაც სწორედ მისმა დაკრძალვამ დაუდო სათავე და რომელიც შემდგომ წლებში სხვა დიდი პოლონელების სამუდამო ძვალთ შესალაგი გახდა.

რეიმონტის გული, ისევე, როგორც გული გამოჩენილი პოლონელი კომპოზიტორის, შოპენისა, განისვენებს ვარშავაში, წმინდა ჯვრის ეკლესიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 5

# ახალი თარგმანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაღის სასაფლაო

## (ნაწყვეტი)

„პრაღის სასაფლაო" უმბერტო ეკოს რიგით მეექვსე რომანია, რომელიც იტალიაში გამოიცა 2010 წელს (გამომც. „ბომპიანი"). მთავარი გმირი, სახელად სიმონინი (იგივე აბატი დელა პიკოლა), მოგვითხრობს თავისი ცხოვრების შესახებ. მან ამნეზიის შედეგად მეხსიერება დაკარგა, და შემთხვევით გაცნობილი ექიმის რჩევით ცდილობს წერით აღადგინოს წარსულის მოგონებები.

მთავარი გმირის მონათხრობით მკითხველი მოგზაურობს XIX საუკუნის ევროპაში, უფრო ზუსტად კი, მოქმედება ხდება იტალიასა და საფრანგეთში და ასახულია იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, რეალური ფაქტები, და რაც მთავარია, რომანში არ არსებობს არცერთი გამოგონებული პერსონაჟი თავად მთხრობელის გარდა. პერსონაჟებს შორის შეხვდებით: ზ. ფროიდს, ა. დიუმას, ლ. ტაქსილს, მ. გოლოვინსკის, და ა.შ.

შესავალ სიტყვაში, უ. ეკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი ქმედება, რაც ამ წიგნშია მოცემული, წარმოადგენს ისტორიულ ფაქტს.

„პრაღის სასაფლაოს" გამოცემას მოჰყვა მძაფრი კრიტიკა, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის მხრიდან.

## თავი II. ვინ ვარ მე?

ცოტა არ იყოს, შეცბუნებული ვარ იმის გამო, რომ თავს ვაიძულებ იმ გერმანელი ებრაელის (თუ ავსტრიელი იყო? თუმცა, სულერთია) ბრძანება – ოჰ, არა – ასე ვთქვათ, მითითება შევასრულო და ვწერო: თითქოს ჩემს სულს ვაშიშვლებდე. ვინ ვარ მე? უკეთესია, ალბათ, ჯერ საკუთარ თავს შევეკითხო ჩემი ცხოვრებისეული ვნებებისა და, რაც გამიკეთებია, იმის შესახებ. ვინ მიყვარს? ვერ ვიხსენებ ვინმე ისეთის სახეს, რომ მიყვარდეს. ერთი ის ვიცი, რომ კარგი სამზარეულო მიყვარს. „la tur d'arJent"-ის მარტო ხსენებაზეც კი ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის. ეს სიყვარულია?

ვინ მეჯავრება? ვიტყოდი, ებრაელები. თუმცა, ფაქტი, რომ ასე მონასავით ვემორჩილები ავსტრიელი (თუ გერმანელი) ექიმის მითითებებს, მეტყველებს, რომ ამ წყეული ებრაელების საწინააღმდეგო არაფერი უნდა მქონდეს.

ებრაელებზე მხოლოდ ის ვიცი, რაც პაპაჩემმა მასწავლა: გამორჩეულად ათეისტი ხალხია, – ჭკუას მარიგებდა, – მაგათთვის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ სიკეთე აქ უნდა განხორციელდეს, საფლავის მერე კი არაო. ჰოდა, მაგიტომაც, მაგათი საქმე მხოლოდ მსოფლიოს დაპყრობააო.

ჩემი ბავშვობის წლები მაგათი აჩრდილებით იყო დამძიმებული. პაპაჩემი აღმიწერდა ხოლმე მსტოვარ თვალებს, რომლებიც ისეთი ყალბებია, რომ შეიძლება შიშისაგან გაფითრდე კიდეც; მოლიპულ ღიმილს; აფთარივით კბილების ზევით აწეულ ბაგეებს; მძიმე, ამორალურ, სასტიკ მზერას; ცხვირსა და დაუღალავ პირს შორის მდებარე ნაოჭებს, რომლებიც სიძულვილმა წარმოქმნა; სამხრეთული ფრინველების ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირს... და თვალები, ოჰ, ეს თვალები... გახუხული პურის ფერი გუგები, რომლებიც ცხელებაშეყრილივით მოძრაობენ და დაავადებულ ღვიძლზე მიგვანიშნებენ, თვრამეტსაუკუნოვანი სიძულვილს სეკრეციით რომაა აღვსილი და ათას პატარა ნაოჭად რომაა გამოხატული, რომლებიც ასაკთან ერთად კიდევ უფრო ღრმავდებიან და 20 წლის ებრაელი უკვე ისეთივე დანაჭკნარია, როგორც მოხუცი. როდესაც იღიმება, გასიებული ქუთუთოები ებრაელს მჭიდროდ ეხურება და მათ შორის ოდნავი, თითქმის შეუმჩნეველი მანძილიღა რჩება, რაც ზოგიერთის აზრით ეშმაკობის ნიშანია, პაპაჩემი კი დააზუსტებდა ხოლმე, მრუშობას ნიშნავსო. და როდესაც იმდენად წამოვიზარდე, რომ მისი ნათქვამის გაგება შემძლებოდა, შემახსენებდა ხოლმე, ებრაელი, გარდა იმისა რომ არის ესპანელივით პატივმოყვარე, ხორვატივით უვიცი, ლევანტელივით პირქუში, მალტელივით უმადური, ბოშასავით თავხედი, ინგლისელივით ბინძური, ყალმუხელივით ფლიდი, პრუსიელივით იმპერიული და ასტელივით[2] ენაბოროტი, იმყოფება მუდმივად აღგზნებულ მდგომარეობაში, რაც იმის ბრალია, რომ ეგენი წინდაცვეთას იკეთებენ. წინდაცვეთა მაგათ მაღალ ერექციულობას განაპირობებს, რაც თავის მხრივ აბსოლუტურ არაპროპორციულობას ჰქმნის ლილიპუტივით აღნაგობასა და ნახევრად დასახიჩრებულ გამონაზარდს შორის.

ებრაელები მე ყოველ ღამე მესიზმრებოდნენ. მრავალი წლის მანძილზე.

---

[1] ლევანტელი – იგივე აღმოსავლელი, ძირითადად, იგულისხმება ოტომანების იმპერიის მცხოვრებლები, რომლებიც იტალიაში სავაჭროდ ჩადიოდნენ.

[2] ასტი – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში.

მადლობა ღმერთს, პირადად არცერთი მათგანი არ გამიცვნია, გარდა ერთი მეძავისა, ჩემს სიყმაწვილეში, ტურინის გეტოში რომ ცხოვრობდა (სულ ორიოდე სიტყვა თუ ვითხარით ერთმანეთს) და კიდევ ავტრიელი ექიმისა (თუ გერმანელი იყო, მაგრამ სულერთია).

გერმანელს ბევრს ვიცნობ, მაგათთან ვმუშაობდი კიდეც: ეგენი არიან კაცობრიობის ყველაზე უფრო დაბალი დონე, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება. საშუალო გერმანელი საშუალო ფრანგთან შედარებით ორჯერ მეტ ფეკალურ ნარჩენებს გამოყოფს. ნაწლავების ფუნქციის ჰიპერაქტივობა ტვინის ფუნქციასთან შედარებით, მაგათ ფიზიოლოგიურ ჩამორჩენაზე მეტყველებს. ბარბაროსების შემოსევის დროს, გერმანიკული ურდოები გზებს უზარმაზარი ფეკალური მასებით დაამშვენებდნენ ხოლმე. ახლაც, ამ ბოლო საუკუნეებში, ფრანგი მოგზაურები უზარმაზარი სიდიდის ფეკალიებს რომ დაინახავდნენ გზაზე, უკვე ხვდებოდნენ, რომ ესე იგი ელზასის საზღვარი გადალახული იყო. და თითქოს ეს საკმარისი არ იყოს, გერმანელებისათვის ტიპიურია ბრომიდროზი, ანუ, ოფლის აყროლებული სუნი. დამტკიცებულია, რომ გერმანელის ურინა 20% აზოტს შეიცავს მაშინ როცა, სხვა ხალხებში აზოტის შემცველობა 15%-ს არ აღემატება.

გერმანელი თანაარსებობს ნაწლავების მუდმივ აშლილობასთან, რაც ლუდის გადაჭარბებული სმით და ღორის ხორცის იმ სოსისებითაა გამოწვეული, რომელსაც გამუდმებით შთანთქავს. ვნახე მე ეგენი ერთ საღამოს, ჩემი მიუნხენში ერთადერთი მოგზაურობის დროს, ეკლესიიდან განკვეთილი კათედრალების მსგავს და ინგლისური პორტებივით ბუღიან შენობებში, ღორის ქონის სუნით აყროლებულები, წყვილწყვილად იყვნენ, ქალები და კაცები, ხელში მაგრად ჩაებღუჯათ ლუდის იმხელა კათხები, მარტო ერთი მათგანიც კი საქონლის მთელ ნახირს რომ წყურვილს მოუკლავდა, ცხვირი-ცხვირზე ერთმანეთისთვის მიდებული, ცხოველურ სასიყვარულო დიალოგში იყვნენ გართულები, ერთმანეთის მყნოსავი ძაღლებივით. [...]

პირს ივსებენ თავიანთი „Geist"-ით, რაც სულს ნიშნავს, ოღონდ ეგ ლუდის სულია, ყმაწვილობიდანვე რომ აშტერებს ხალხს, და ესაა ერთადერთი ახსნა, ხელოვნების სფეროში რატომ არასოდეს შექმნილა არაფერი საინტერესო რეინის იქითა მხარეს, გარდა რამდენიმე კათხის გამოსახულებიანი საშინელი ნახატისა და, რამდენიმე სასიკვდილოდ მოსაწყენი პოემისა. აღარაფერი რომ ვთქვათ მაგათ მუსიკაზე: იმ რახ-რახა და მესაფლავე ვაგნერს კი არ ვგულისხმობ, დღეს ფრანგებიც რომ გამოათაყვანა, არამედ ნაწი მყავს მხედველობაში, ის მცირე, რაც მოვისმინე, აბსოლუტურად უჰარმონიო და ზამთრის ღამესავით ცივია; იმ ბეთჰოვენის სიმფონიები კი, ბილწსიტყვაობის ორგიას ჰგავს.

ლუდის გადაჭარბებული სმა მაგათ საშუალებას უსპობს ოდნავ მაინც დაინახონ საკუთარი ვულგარულობა, ოღონდ ამ ვულგარულობის უმაღლესი წერტილი ისაა, რომ გერმანელობისა არ სცხვენიათ. მაგათ ოქროდ მიითვალეს ისეთი ხარბი და მრუში მოძღვრის სიტყვები, როგორიც ლუთერი იყო (მონაზვნის ცოლად მოყვანა შეიძლება?) მხოლოდ იმიტომ, რომ ბიბლია გააფუჭა მაგათ ენაზე გადმოთარგმნის დროს. ვინ ამბობდა, ორი დიდი ევროპული ნარკოტიკის, ალკოჰოლის და ქრისტიანობის ჭარბი დოზით მიიღებამ ავნო გერმანელებსო?

თავიანთი თავი ღრმა ჰგონიათ იმიტომ, რომ მაგათი ენა გაფანტულია, ფრანგულივით ცხადი არ არის, მაგ ენაზე არასოდეს ნათლად არაფერი არ გამოითქმება, სწორედ ისე, როგორც არცერთმა გერმანელმა არ იცის, თუ ზუსტად რისი თქმა უნდა, და ეს გაუგებრობა სიღრმისეულობაში ეშლება. გერმანელები ქალებივით არიან – ბოლომდე ვერ ჩასწვდები. სამწუხაროდ, სწორედ ამ არაექსპერესიული ენის შესწავლა, რომლის ზმნები თვალით ნერვიულად უნდა ეძებო, ვინაიდან არასოდეს არ არიან თავის ადგილას, მაიძულა ბავშვობაში პაპაჩემმა. თუმცა, რა უნდა მიკვირდეს, – ავსტრიაკანტი[3] იყო ყოველთვის. ამგვარად, მე ეს ენა შევიძულე ზუსტად ისე, როგორც ის იეზუიტი, ვინც მას მასწავლიდა და თან ჯოხს თითებზე მირტყამდა ხოლმე.

მას მერე, რაც იმ გობინომ[4] რასების არაერთგვაროვნების შესახებ დაწერა, ითვლება, რომ სხვა ხალხზე თუ ცუდი თქვი, ესე იგი შენი საკუთარი წარმომავლობა სხვებზე უკეთესი გგონია. მე ასე არ ვთვლი. მას მერე, რაც ფრანგი გავხდი (სანახევროდ უკვე ვიყავი, დედის მხრიდან), მივხვდი, თუ როგორი ზარმაცები, თაღლითები, ბოლმიანები, ეჭვიანები, იმ დონეზე ამპარტავნები, რომ ფიქრობენ, თუ ფრანგი არ ხარ, ესე იგი ტყიური ხარო, და შენიშვნის მიღების უნარმოკლებულები ყოფილან ჩემი ახალი თანამემამულეები. სამაგიეროდ, იმასაც მივხვდი, რომ ფრანგის საკუთარი გენიალობის აღიარებამდე მისაყვანად საკმარისია სხვა ხალხი გაკიცხო, მაგალითად, ასე: „ჩვენ, პოლონელებს, ესა და ეს ნაკლი გვაქვს"; და ვინაიდან არაფერში არ უნდათ ვინმეს ჩამორჩნენ, თუნდაც ცუდ საქმეში, მაშინვე შემდეგნაირად რეაგირებენ: „ოჰ, არა, აქ საფრანგეთში უარესები ვართ" – და დაუყოვნებლივ იწყებენ ფრანგების ლანძღვას და ვერც კი ხვდებიან, რომ მახე დაუგე.

თავიანთი მსგავსები არ უყვართ, თუნდაც ეს მათთვის ხელსაყრელი იყოს. არავინაა ისეთი უზრდელი, როგორც ფრანგი მერესტორნე – ისეთ შეგრძნებას გიქმნის, თითქოს კლიენტი ეზიზღება (შეიძლება მართალიცაა) და მისი არსებობაც კი არ

---

[3] ავსტრიაკანტი – ჰაბსბურგების მონარქიის მხარდამჭერი იტალიური მოსახლეობა XIX ს.-ში.

[4] გრაფი ჟოზეფ არტურ დე გობინო – **1916-1882** წწ. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, „Essai sur l'inégalité des races humaines"-ს („ესსე ადამიანთა რასების არაერთგვაროვნების შესახებ") ავტორი. მოგვიანებით, ეს ნაშრომი გახდა გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგიური საყრდენი.

უნდაო (ტყუილია, ვინაიდან ფრანგი უხარბესია). „Ils grognet toujours". მაგრამ, აბა რამე ჰკითხეთ, „sais pas, moi", და ტუჩებს ისე მომუწავენ, თითქოს ქარი ეპარებათ.

ბოროტები არიან. მონყენილობისაგან თავის დასაღწევად ხოცვა-ჟლეტას მიმართავენ. ერთადერთი ხალხია, ვინც მრავალი ბლის მანძილზე საკუთარი მოქალაქეები იმით დააკავა, რომ ერთმანეთისათვის რიგრიგობით თავები დაეჭრათ; კიდევ კარგი ნაპოლეონმა მათი რისხვა სხვა წარმომობის ხალხებისაკენ მიმართა, და ესენიც ჩამწკრივდნენ და ევროპის დაქცევას შეუდგნენ.

ამაყობენ, რომ, თავიანთი აზრით, ძლიერი სახელმწიფო აქვთ, მაგრამ დროს მისი დანგრევის მცდელობაში ატარებენ: არავის, როგორც ფრანგს, ხელეწიფება ალმართოს ბარიკადა ვებისმიერი საბაბით ან ნიავის ამოქროლების მიზეზით, ხშირად თვითონაც რომ არ იცის, რატომ; და ვიღაცა საქმოსანს თავი ქუჩაში გააყვანინოს. ფრანგმა კარგად არ იცის, რა უნდა, მაგრამ გადასარევად იცის, რომ არ უნდა ის, რაც აქვს. მოკლედ რომ მოვჭრა, სიმღერის გარდა სხვა არაფრის უნარი არ შესწევთ.

დარწმუნებულები არიან, რომ მთელი მსოფლიო ფრანგულად ლაპარაკობს. რამდენიმე ათწლეულის წინათ, იმ გენიოსმა ლუკასმა[5], ეროვნულ ბიბლიოთეკას ძველი წიგნების პირველი და ბოლო გვერდები – სადაც არაფერი ეწერა – მოჰპარა და, თუმცა ჩემზე კარგად კალიგრაფიის გაყალბება არ შეეძლია, 30 000 ხელმოწერიანი ფალსიფიცირებული დოკუმენტი დაამზადა. არ ვიცი, რამდენი მათგანი მიჰყიდა უდიდეს ფასად იმ მტრედ შალს[6] (დიდი მათემატიკოსიო, ამბობენ, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჩემი აზრით კი წმინდა წყლის სულელია), და არა მარტო მან, არამედ მაგისმა აკადემიკოსმა ბევრმა კოლეგამაც დაიჯერა, რომ ფრანგულად ჰქონდათ წერილები დაწერილი კალიგულას, კლეოპატრას, იულიუს კეისარს, და, რომ ფრანგულადვე ჰქონიათ ერთმანეთში მიმოწერა პასკალს, ნიუტონსა და გალილეის, როცა ბავშვმაც კი იცის, რომ იმ საუკუნეებში განათლებული ხალხი ლათინურად წერდა. განათლებულ ფრანგებს ხომ ვერც კი წარმოედგინათ, რომ სხვა ხალხები თურმე ფრანგულად არ ლაპარაკობენ. გარდა ამისა, ყალბ წერილებში ნათქვამი იყო, რომ სამყაროს მიზიდულობის კანონი პასკალმა აღმოაჩინა ნიუტონამდე 20 წლით ადრე და ეს საკმარისი გახდა ამ ეროვნული ქედმაღლობით დაავადებული სორბონელების დასაბრმავებლად.

უვიცობა, ალბათ, მაგათი სიძუნწის შედეგია. სიძუნწე ფრანგების ეროვნული ზნეა, თუმცა ისინი ამას ნიჭად აღიქვამენ და „ეკონომიას" ეძახიან. მხოლოდ ამ ქვეყანაში შეიძლებოდა ვინმეს აზრად მოსვლოდა ძუნწის შესახებ მთელი კომედიის შეთხზვა. მამა გრანდეზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

შეადარეთ, როგორც ეს მცენარეებში ხდება, ფრანგი ებრაელთან (უკეთესია, გერმანული წარმოშობის თუ იქნება) და მიიღებთ იმას, რაც სახეზეა: მესამე რესპუბლიკა.

ფრანგი იმიტომ გავხდი, რომ ვეღარ ვიტანდი იტალიელობის ატანა. ვინაიდან პიემონტელი[7] ვარ (დაბადებით), ვგრძნობდი, რომ მამლის კარიკატურა ვიყავი, ოღონდ უფრო მამალი მჯობდა. ყოველი სიახლის გაგონებაზე პიემონტელებს ძარღვებში სისხლი ეყინებათ, მოულოდნელობა მათ აშინებთ. ორი სიცილიის სამეფომდე[8] მაგათ ნასაყვანად (უნდა აღინიშნოს, რომ გარიბალდის[9] არმიაში ძალიან ცოტა პიემონტელი იყო), ორი ლიგურიელის[10] ჩარევა გახდა საჭირო: ისეთი ქარიზმატულის, როგორიც გარიბალდი იყო და ისეთი თარსის, როგორიც მაცინი[11] გახლდათ. ნეტავი იცოდეთ რა აღარ

5 დენის ვრენ-ლუკასი – 1818 -1881 წწ. ფრანგი ფალსიფიკატორი. ისტორიაში შევიდა, როგორც ადამიანი, ვინც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკას 140 000 ფრანკად ყალბი დოკუმენტები მიჰყიდა.

6 მიშელ შალი – 1793-1880 წწ. ფრანგი მათემატიკოსი, პარიზის და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, რამოდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი, „ლონდონის სამეფო საზოგადოების" საპატიო წევრი.

7 პიემონტი – ოლქი ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში, დედაქალაქი – ტურინი.

8 ორი სიცილიის სამეფო – სახელმწიფო სამხრეთ იტალიაში 1816-1861 წწ.-ში, რომელიც შეიქმნა ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოების გაერთიანების შედეგად. დედაქალაქი – ნეაპოლი, მმართველი დინასტია – ბურბონები. რისორჯიმენტოს შედეგად შევიდა იტალიის შემადგენლობაში.

9 ჯუზეპე გარიბალდი – 1807-1882 წწ. იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე და ერთ-ერთი ლიდერი.

10 ლიგურია – ოლქი ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში, დედაქალაქი – გენუა.

11 ჯუზეპე მაცინი – 1805-1872 წწ. იტალიელი პოლიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.



ვნახე, პალერმოში რომ მიმავლინეს, მაგ პერიოდში (როდის იყო? უნდა გავიხსენო). მარტო იმ ხელმოცარულ დიუმას უყვარდა ეს ხალხი, იმიტომ რომ ეპირფერებოდნენ, ფრანგებისგან განსხვავებით. ფრანგებისათვის დიუმა ყოველთვის შერეული რასის ადამიანი იყო და ასეთად რჩებოდა. დიუმა უყვარდათ ნეაპოლელებს და სიცილიელებს, თავადვე მულატებს, ოღონდ არა ავხორცი დედის შეცდომის გამო, არამედ იმ თაობათა ცვლის შედეგად გაჩენილებს, რომლებმაც მზაკვარ ლევანტელებთან, ოფლიან არაბებთან და დეგენერატ ოსტგუთებთან სისხლი აღურიეს; და თავიანთი ჰიბრიდი წინაპრებისაგან მხოლოდ ცუდი წამოიღეს მემკვიდრეობით: სარაცინებისაგან[12] – სიზარმაცე, შვაბიელებისაგან – სისასტიკე, ბერძნებისაგან – დაუსრულებლობა და გაუთავებელი ლაპარაკის ისეთი უნარი, ბოლოს თავი რომ გაუსკდება ადამიანს. [...]

იტალიელი არის ფლიდი, მატყუარა, არამზადა და მოღალატე. იტალიელის საქმე ხანჯალია და არა ხმლით ორთაბრძოლაში გასვლა; წამალს საწამლავი ურჩევნია; იტალიელი შეთანხმების დამრღვევია, ერთგულება მხოლოდ ქარის მიმართულებით დროშების ცვლაში ახასიათებს. ვნახე, რაც დაემართათ ბურბონ გენერლებს, როგორც კი გარიბალდის ავატიურისტები და პიემონტელი გენერლები გამოჩნდნენ ასპარეზზე.

ოღონდ, ეგ არის, რომ იტალიელები ზედგამოჭრილები არიან მღვდლობისათვის. სამღვდელოება ერთადერთი ნამდვილი მთავრობაა, რომელიც მაგათ ჰქონდათ მას მერე, რაც ის გაფუჭებული ბოლო რომაელი იმპერატორი გაანადგურეს ბარბაროსებმა, ვინაიდან ქრისტიანობას ანტიკური რასის სიამაყე უკვე შეერყია.

მღვდლები... როგორ გავიცანი ეგენი? მე მგონი, პაპაჩემის სახლში. ბუნდოვნად მახსენდება გაკვრითი მზერა, დანჯღრეული კბილები, პირიდან ამომავალი სუნი, ოფლიანი ხელები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ნიკაპზე მომფერებოდნენ. საზიზღრობა. უსაქმურები არიან, მიეკუთვნებიან ყველაზე უფრო საშიშ კლასს, როგორც ქურდები და მაწანწალები. ადამიანი იმიტომ ხდება მღვდელი, ან ბერი, რომ უსაქმურად იცხოვროს, უსაქმურობა კი თავიანთი მრავალრიცხოვნობის გამო გარანტირებული აქვთ. მოდი, ასე ვთქვათ: ყოველ ათას ადამიანზე რომ ერთი მღვდელი მოდიოდეს, მაშინ იმდენი საქმე ექნებოდათ, რომ ლიპგადმოგდებულები კაპლუნის[13] ჭამისათვის კი ველარ მოიცლიდნენ. ყველაზე ულირს მღვდლებში მთავრობა ამოარჩევს ხოლმე ყველაზე უფრო სულელს და ეპისკოპოსად ნიშნავს.

ბიბლიოთეკა

როგორც კი დაიბადები, უმალ გარს გეხვევიან ნათლობის დროს, სკოლაშიც ეგენი დაგხვდებიან, თუ შენი მშობლები იმდენად შტერები აღმოჩნდნენ, რომ მაგათ მიგანდეს, მერე პირველი ზიარება მოდის, მერე კატეხიზმო. შენი ქორწილის დღესაც მღვდელია შენს გვერდით, რათა გითხრას, თუ რა უნდა გააკეთო [...]

ეგენი სულ იმეორებენ, რომ მაგათი სამეფო ამქვეყნად არ არის, თუმცა, ყველაფერს იტაცებენ, რაზეც ხელი მიუწვდებათ. ცივილიზაცია უნაკლო ვერასოდეს გახდება, სანამ ბოლო ეკლესიის ბოლო ქვა არ დაეცემა ბოლო მღვდელს და დედამიწა ამ გეენისაგან არ გათავისუფლდება.

კომუნისტებმა გაავრცელეს აზრი, რომ რელიგია ხალხთა ოპიუმიაო. ეს მართალია, ვინაიდან რელიგია საჭიროა ხალხის შესაკავებლად, რომ ცდუნებას არ აჰყვეს. რელიგია რომ არ ყოფილიყო, ორჯერ მეტი ხალხი იქნებოდა ბარიკადებზე; კომუნას დღეებში საკმარისი ხალხი არ გაეიდა, ამიტომაც მოახერხეს მათი მოსპობა დიდხანს რომ არ უფიქრიათ, ისე. მას მერე, რაც იმ ავსტრიელ ექიმს მოვუსმინე, კოლუმბიური ნარკოტიკების სასარგებლო თვისებებზე რომ მიყვებოდა, ვიტყოდი, რომ რელიგია ხალხის კოკაინიც არის, ვინაიდან უბიძგებდა და უბიძგებს ხალხებს ომებისაკენ, ურწმუნოების განადგურებისაკენ, და ეს ეხება ქრისტიანებსაც, მუსულმანებსაც და სხვა კერპთაყვანისმცემლებსაც. ადამიანები ვერასოდეს შეძლებდნენ ისე სრულყოფილად და ენთუზიაზმით დაეხოცათ ერთმანეთი, როგორც ამას თავიანთი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე ახერხებენ. [...]

ყველაზე უარესები, ცხადია, იეზუიტები არიან. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მაგათ ოდესღაც ცუდად მოვექეცი, თუ პირიქით, თვითონ მავნეს რაღაცა, კარგად ვერ ვიხსენებ. შეიძლება იეზუიტები კი არა, მაგათი ხორცისმიერი ძმები, მასონები იყვნენ. ეგენი იეზუიტებივით არიან, ოღონდ ცოტა უფრო დაბნეულები. იმათ თავიანთი თეოლოგია მაინც აქვთ და იციან, რა მანევრები გააკეთონ, მასონებს კი თეოლოგია ბევრი აქვთ და სულ ერთმანეთში ერევათ. მასონებზე პაპაჩემი მელაპარაკებოდა ხოლმე. მაგათ მეფეს თავი მოაჭრეს და კარბონარები წარმოშვეს – ცოტა უფრო სულელი მასონები, ვინაიდან ჯერ თავს ახვრეტინებდნენ, მერე თავებს აჭრევინებდნენ მას შემდეგ, რაც ბომბის დამზადება შეეშალათ. ანდა, სოციალისტები, კომუნისტები ან კომუნარები გახდნენ. ყველა კედელთან დაცხრილეს. კარგად გაკეთებული საქმე იყო, ყოჩაღ ტიერ[14]!

მასონები და იეზუიტები. იეზუიტები იგივე მასონები არიან, ოღონდ ქალივით აცვიათ.

---

12 სარაცინები – იგივე არაბები, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებლების კრებითი სახელი.

13 კაპლუნი – მსუყე კერძი. მზადდება კასტრირებული მამლის ხორცით.

14 ლუი ადოლფ ტიერი – 1797-1877 წწ. ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრემიერ მინისტრი 1836-40 წწ.-ში და მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი 1871-73 წწ.-ში.

*იტალიურიდან თარგმნა ნინო ჩართოლანმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6

# ხელოვნება



*სერგო ფარაჯანოვი*
*„ფარაჯანოვი სამოთხეში". ინსტალაცია. 1988წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტფ/თბილისური

## კულტურის პოეტიკა



*ზაზა შათირიშვილი*

ტფ/თბილისური კულტურა განსხვავდება ქართული კულტურისაგან, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ქართული კულტურა ლიტერატურაცენტრულია – უფრო მეტიც, მისი უმთავრესი ჟანრი პოეზიაა და არა – პროზა. ტფ/თბილისური კულტურა კი მთლიანად სანახაობრივ-კარნავალურია, „მონტაჟურია" – აქ მთავარია არა ლიტერატურა, არამედ – კინო და თეატრი.

მიუხედავად იმისა, რომ ტფ/თბილისური კულტურის სათავეში აშუღი საიათნოვაა, ამ კულტურის უმთავრესი ავტორები მაინც რეჟისორები და მხატვრები არიან: ფიროსმანი, ბაჟბეუქ-მელიქოვი, ოთარ იოსელიანი, სერგო ფარაჯანოვი, რობერტ სტურუა, რეზო გაბრიაძე...

ქართული კულტურა პრინციპულად ბილინგვურია – გარკვეული აზრით, მის პროტო-სახეს არმაზის ბილინგვა წარმოადგენს (სადაც, ერთი ენა ბერძნულია, მეორე – არამეული)... ქართლის მოქცევის შემდეგ ქართულ კულტურას მუდმივად ორ ენას შორის უხდება ყოფნა – თავიდან ესაა ქართული და სირიული, შემდეგ – ქართული და სომხური, ქართული და ბერძნული, შემდეგ – ქართული და სპარსული (ერთი მხრივ), ქართული და თურქული (მეორე მხრივ)... შემდეგ – ქართული და რუსული, დაბოლოს – ქართული და თანამედროვე საერთაშორისო ლათინური (ანუ – ინგლისური)...

ტფ/თბილისური კულტურა კი პოლილინგვური და დიალოგური, პოლიფონიური და პოლიკულტურულია... ის იწყება მე-18 საუკუნის 70/80-იან წლებში და მთავრდება 1990 წელს, როდესაც წლის ბოლოს მერაბ მამარდაშვილი გარდაიცვალა („ყველა ქალაქს როდი ჰყავს ფილოსოფოსი!" – ერთხელ შენიშნა მამარდაშვილის მეგობარმა და თანაავტორმა ალექსანდრ პიატიგორსკიმ), ხოლო წლის არცთუ დასაწყისში (მაისის თვეში) – სერგო ფარაჯანოვი... ამის შემდეგ თბილისური ქრონოტოპოსი მთლიანად ეწერება ქართული კულტურის კონტექსტში...

### სერგო ფარაჯანოვის სიტყვები და ნივთები

სერგო ფარაჯანოვის კინემატოგრაფი დატვირთულია ნივთებით, საგნებით, მატერიალური ობიექტებით – გარკვეული აზრით, მის კინოპოეტიკაში სემიოზისისა და ნიშნების ნაკლებობაა. ნიშნებს აძევებენ ნივთები თავიანთი სიმრავლითა და მატერიალურობით.

რატომ? – იმიტომ, რომ ასეთი იყო ფარაჯანოვის პასუხი საბჭოთა კონტექსტზე: ეს იყო კინემატოგრაფიული ტრანსცენდირება ამ კონტექსტიდან – საბჭოთა „ეკონომიკური სემიოტიკისაგან" (ან – „სემიოტიკური ეკონომიკისაგან") – საბჭოთა რეალობა ხომ სწორედ ნიშნებით იყო გაჯერებული და ნივთების ნაკლებობას ჰქონდა ადგილი: საბჭოთა ეკონომიკა პერმანენტული დეფიციტის ეკონომიკაა, სადაც ყველგან რიგებია; გასაყიდ სივრცეში არსებული ნივთები არავის სჭირდება, ხოლო ის ნივთები, რომლებიც უნდათ, სურთ, სჭირდებათ – სხვა, არაეკონომიკური წესებით ნაწილდება (მაგალითად, „ცეკას" პარტიულ მაღაზიებში, სადაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ აღწევდა). საბჭოთა დისკურსის მიხედვით, საბჭოთა ადამიანს ყველაფერი აქვს – საბჭოთა დისკურსი სამყაროს ავსებს ნივთების ნიშნებით, მაგრამ ადამიანური სურვილების სივრცეში ამ ნიშნების უკან არაფერი დგას. სერგო ფარაჯანოვის კინემატოგრაფი სწორედ ამ ნიშნების სიცარიელეს ავსებს.

მაგრამ აქ იწყება პარადოქსი. ფარაჯანოვის ნივთები და მატერიალური სამყარო – „აღმოსავლური" არტეფაქტები, ხალიჩები, ტანსაცმელი, აღმოსავლური დიზაინი, ხელნაწერები – პირობითი და ურთიერთსუბსტიტუირებადია: არც ერთ ნივთს არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, საზრისი და ფასი – ნებისმიერი მათგანის სუბსტიტუირება შეიძლება სხვა „აღმოსავლური" ნივთით. ესაა ფარაჯანოვის (ბრი)კოლაჟი – კამერა აფიქსირებს შემოქმედის ინსტალაციებს და – მეტს არაფერს. სწორედ

ამიტომ მსახიობი, როგორც ასეთი, ფარაჯანოვს არ სჭირდება. მსახიობის ნაცვლად ჩვენს ვხედავთ თოჯინურ კინემატოგრაფს...

## მშრალი ხიდი და მადათოვის კუნძული

მშრალი ხიდი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს თბილისის ეკონომიკურ-კულტურულ ქრონოტოპოსში. 1986 წლამდე, როცა საბჭოთა კავშირში თავისუფალი მეწარმეობა აკრძალული იყო, თბილისში არსებობდა ე.წ. წიგნების ბაზრობა, რომელიც კიროვის (ვერის) ბაღში კვირაობით იმართებოდა ხოლმე. ეს ბაზრობა, ფაქტობრივად, არალეგალური იყო, მაგრამ მილიცია და უშიშროება მას თითქმის არანაირ ყურადღებას „არ აქცევდა" (რაც, ალბათ იმას ნიშნავს, რომ მოვაჭრეებსა და მილიციას შორის კორუფციული გარიგება არსებობდა). მე სულ ორ-სამჯერ თუ მახსოვს მოვაჭრეების „დაწიოკება" მილიციის მხრიდან, როცა შეშინებული მოვაჭრეები (ამ ტიპის მოვაჭრეებს საბჭოთა კავშირსა და, კერძოდ, თბილისში „სპეკულანტებს" ეძახდნენ) წიგნებს ტოვებდნენ და შეშინებულები გარბოდნენ.

წიგნების ბაზრობაზე იყიდებოდა ყველაფერი, რასაც ლეგალურად თვალით ვერ ნახავდი საბჭოთა წიგნის მაღაზიებში. წიგნის საშუალო ფასი 2-3 მანეთი იყო, ხოლო ბაზრობაზე, მაგალითად, მარსელ პრუსტის ეპოპეის (À la recherche du temps perdu) თითო წიგნი 40-45 მანეთი ღირდა (20-ჯერ უფრო ძვირი).

1990-იანი წლების მიჯნაზე, როცა თავისუფალი მეწარმეობა 1986 წლიდან მიხაილ გორბაჩოვმა პერესტროიკის ტალღაზე დაუშვა, წიგნის ბაზრობამ ვერის ბაღიდან მშრალ ხიდთან გადაინაცვლა. მაგრამ ამ პერიოდიდან დაწყებული ეს უკვე შერეული ბაზრობა იყო — წიგნებთან ერთად აქ მხატვრები ყიდდნენ თავიანთ ნახატებს, ხოლო თბილისელი მოქალაქეები – ძველ თუ შედარებით ახალ ნივთებს. 1992 წლის თბილისის ომის შემდეგ, როდესაც უკვე დამოუკიდებელ საქართველოში სრული ეკონომიკური კოლაფსი მოხდა, მშრალ ხიდთან მოსახლეობა ძირითადად ძვირფას დიზაინერულ ნივთებსა და სხვადასხვა წვრილმანს ყიდდა, რათა შიმშილისაგან თავი გადაერჩინა, ხოლო წიგნების ბაზრობის წილი ძალიან შემცირდა. დღესაც ამ ბაზრობაზე წიგნების წილი, ალბათ, 5%-ზე მეტი არ იქნება.

მაშასადამე, შეიძლება გამოიყოს მშრალი ხიდის ოთხი ეკონომიკურ-კულტურული პარადიგმა/პერიოდი: 1. პროტო-„მშრალი ხიდის" პერიოდი: კიროვის (ვერის) ბაღი, როცა საბჭოთა ინტელიგენცია ყიდულობდა ძვირფას „არალეგალურად" ნაშოვნ წიგნებს „სპეკულანტებისაგან"; 2. როცა საბჭოთა ინტელიგენციამ და სხვა ფენებმა დაიწყეს წიგნებისა და სხვა ნივთების ყიდვა/გაყიდვა ანუ როცა თვითონ ინტელიგენცია გახდა „სპეკულანტი"; 3. როცა საბჭოთა ინტელიგენციამ (და სხვა ფენებმა) ნივთების გაყიდვა დაიწყეს ძირითადად უცხოელებზე, რადგან თბილისელებს ფული აღარ ჰქონდათ; 4. თანამედროვე პერიოდი – როცა ვაჭრობს ყველა, ვაჭრობს ყველაფრით და ყველასათვის, რადგან ფული თბილისელებსაც გაუჩნდათ.

მშრალი ხიდი ამ საუკუნოვან ხიდს მაშინ დაერქვა (მოსახლეობამ სპონტანურად უწოდა მას ეს სახელი), როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მადათოვის კუნძული ამოავსო. ამ თვალსაზრისით, მშრალი ხიდი მადათოვის კუნძულის ქრონოტოპოსის ნაწილია. თუკი აკა მორჩილაძის რომანში მადათოვის კუნძული მაღალი ქართული კულტურის „არაცნობიერია", რომელიც დაფარულ სექსუალობასაც გამოხატავს, მაშინ მშრალი ხიდი, ამის პარალელურად, დაფარული/გახსნილი ეკონომიკური სურვილების აღსრულების ადგილია. ის დღეს არა მხოლოდ ხილულ ბაზრობასთან გვაკავშირებს, არამედ უხილავ სექსუალურ და ეკონომიკურ სურვილებთან და ამ სურვილების ისტორიასთანაც. სწორედ ესაა მშრალი ხიდის, როგორც ქრონოტოპოსის, სიმბოლური მნიშვნელობა.



## რატომ იცინიან თოჯინები? „მაღალ" ხელოვნებასა და სოციალისტურ შრომას შორის

*თოჯინები იცინიან (1962, რეჟისორი – ნიკოლოზ სანიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ პატარაია).*

*რეზიკო კონსერვატორიაში ვერ მოხვდა. ის და მამამისი მელიტონი გადაწყვეტენ, რომ დედას – ალისას, და ბებიას – ნუცას (დედის დედას) – ეს დაუმალონ. რეზიკო ვითომ დადის კონსერვატორიაში, ხოლო მამამისი ყოველთვე „სტიპენდიას" აძლევს.*

*რამდენიმე თვის შემდეგ მელიტონის მეგობარი სევერიანი, რომელიც სათამაშოების ფაბრიკის დირექტორია, რეზიკოს თავისთან დააწყებინებს მუშაობას – ასევე, რეზიკოს დედისა და ბებიისაგან უჩუმრად. ფაბრიკაში რეზიკოს გოგონა შეუყვარდება. ბოლოს ბებია და დედა ყველაფერს გაიგებენ, მაგრამ ყველაფერი კარგად სრულდება...*

ფილმი, ერთი შეხედვით, აგებულია ასეთ ბინარულ ოპოზიციებზე: მუსიკალური კონსერვატორია / თოჯინების ფაბრიკა; ინტელიგენციის ხელოვნება / სოციალისტური შრომა. თუმცა, როგორც ამ ნაწარმოების close reading-ი გვიჩვენებს, ხშირად ეს დაპირისპირებები ასიმეტრიული და ტრიადულია. კერძოდ, „მესამე ელემენტი" – თბილისური კულტურა – ფარულად ახდენს „მაღალი" ხელოვნებისა და სოციალისტური შრომის დიფუზიასა და ნეიტრალიზაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფილმის ავტორები საკმაოდ დახვეწილ და კომპლექსურ თამაშს გვთავაზობენ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ კომედიური ფილმის დაცინვის ობიექტი სულაც არაა „მაღალი" ხელოვნება – მისი ირონიის საგანი თბილისური სნობიზმია, რომლის რეპრეზენტატორები რეზიკოს დედა ალისა და ბებია ნუცა არიან.

თბილისური სნობიზმი საბჭოთა პერიოდში ოფიციალური საბჭოთა იდეოლოგიის (კულტურის) მიერ გაიაზრებოდა, როგორც „ბურჟუაზიული გადმონაშთი" („ბურჟუაზიული გადმონაშთი" გავრცელებული საბჭოთა რიტორიკული ფიგურაა). საკითხის საბჭოთა დოგმატური გადაწყვეტა ამგვარი იყო – საბჭოთა სახელმწიფო ესაა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც „ფენა". ცხადია, ქარხანა და ფაბრიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, – კონსერვატორია, მაგრამ ამ უკანასკნელსაც თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს – მან უნდა უზრუნველყოს საბჭოთა მსმენელის (მუშისა და გლეხის) „კულტურული დასვენება". ასეთი იყო ოფიციალური დისკურსი, რომლის ეროზიაც სწორედ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო.

საბჭოთა ოფიციალური კულტურის დოგმატური ბინარული წყვილი – კონსერვატორია / ფაბრიკა – ამ ფილმში გართულებულია იმით, რომ შემოტანილია თოჯინების თემა, თოჯინების ფაბრიკა. საქმე ისაა, რომ თოჯინები და „თოჯინურობა" საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისურ „დაბალ" კულტურაში, რომელიც „დაბალი მოვაჭრის" – კინტოს – ფიგურას უკავშირდება.



კადრი ფილმიდან „თოჯინები იცინიან"

ფილმში კიდევ ერთი საინტერესო დაპირისპირებაა „მაღალ" კლასიკურ (სერიოზულ) მუსიკასა და „დაბალ" საესტრადო მუსიკას შორის. მისაღებ გამოცდაზე კონსერვატორიაში რეზიკო ჯუზეპე ვერდისა და ზაქარია ფალიაშვილის ნაცვლად თბილისურ ჰიტს – „თოლიას" იმღერებს. მიუხედავად იმისა, რომ საგამოცდო კომისიის პროფესორებს ჩუმად ეს სიმღერა მოსწონთ (კამერა „ფარულად" გვიჩვენებს მათი ფეხების რიტმულ მოძრაობას), რეზიკოს არ მიიღებენ, რადგანაც მან კლასიკური რეპერტუარი არ შეასრულა. ეს საკმაოდ დახვეწილი სვლაა, რადგან ამ სიმღერის რეალური ავტორი – კომპოზიტორი სულხან ცინცაძე (1925-1991; მან ამ ფილმისათვის სპეციალურად დაწერა სამი სიმღერა) თვითონ იყო კონსერვატორიის პროფესორი და ერთი პერიოდი – რექტორიც კი. მაშასადამე, „მაღალი" კლასიკური მუსიკისა და „დაბალი" თბილისური ესტრადის დაპირისპირება საკმაოდ ამბივალენტური და ირონიულია.

მაგრამ რატომ უნდათ დედასა და ბებიას, რომ რეზიკომ კონსერვატორიაში ჩააბაროს? საქმე ისაა, რომ რეზიკოს ბაბუა – ნუცას მეუღლე – ცნობილი მომღერალი იყო. ამიტომ, დედისა და ბებიის აზრით, რეზიკომ სწორედ ბაბუის ტრადიცია უნდა გააგრძელოს, როგორც მომღერალმა.

სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეზიკოს მამის – მელიტონის – სახელი ქართულ კულტურაში მნიშვნელოვანი კონოტაციების მატარებელია – კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე (1862-1937) – პირველი ქართული ოპერის („თამარ-ცბიერი", 1897 წ.) ავტორია. ამიტომაც, სახელი „მელიტონი" ირონიულად მიუთითებს ოჯახის მუსიკალურ ტრადიციებსა და „დიდ" წარსულზე, რომლის გაგრძელებაც რეზიკოს სულაც არ აინტერესებს.

ფილმში ირონიულადაა გადმოცემული 60-იანი წლების თბილისური „ბურჟუაზიის" სნობის-

ტური ლტოლვა მაღალი კულტურისადმი. ნაჩვენებია, ასევე, „ჩაწყობის" მექანიზმიც, რომელიც XX საუკუნის 60/80-იანი წლების თბილისში (და, საზოგადოდ, საქართველოში) ტოტალურ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, მელიტონის ერთ-ერთი პაციენტი კონსერვატორიის პროფესორი აღმოჩნდება, რომელიც რეზიკოს „ნაცნობობით" უნდა დაეხმაროს გამოცდაზე. გროტესკული სცენა უშედეგოდ მთავრდება – რეზიკოს გამოცდაზე არავინ ეხმარება, რის შემდეგაც მამა-შვილი იძულებულია „ლეგენდა" მოიფიქროს და ქალები მოატყუოს, რომ ვითომ რეზიკო კონსერვატორიაში სწავლობს.

მაგრამ დედა და ბებია გადაწყვეტენ, რომ პროფესორი, რომელიც რეზიკოს გამოცდაზე „დაეხმარა", ოჯახურ წვეულებაზე დაპატიჟონ, რაც თბილისურ კულტურაში მადლობის გადახდის დღემდე მიღებული პრაქტიკაა. მელიტონი იძულებულია, რომ პროფესორი დაპატიჟოს, მაგრამ, სინამდვილეში, ეპატიჟება თავის მეგობარს – თოჯინების ფაბრიკის დირექტორს – სევერიანს, რომელმაც კონსერვატორიის პროფესორის „როლი" უნდა შეასრულოს. სწორედ აქ ხდება ის სუბსტიტუცია, რომელიც ფილმის მთავარ სემიოტიკურ ღერძს წარმოადგენს – თოჯინები და თოჯინების ფაბრიკა, სადაც რეზიკო მუშაობს, ანაცვლებს „მაღალ კულტურასა" და „მაღალ მუსიკას".

წვეულების ეპიზოდი, რომელიც ფილმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომიკური სცენაა, ბევრი აზრითაა საინტერესო. თოჯინების ფაბრიკის დირექტორი სევერიანი ცდილობს თავი კონსერვატორიის პროფესორად წარმოადგინოს და სადღეგრძელოებში ხშირად უადგილოდაც იყენებს მუსიკალურ ტერმინოლოგიას. მაგრამ დროდადრო მას თავისი როლი ავიწყდება და თოჯინებზე იწყებს საუბარს. ის ბოლოს თავის საყვარელ სლოგანსაც ამბობს – „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? – იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო". უნდა ითქვას, რომ ეს აბსურდული „აფორიზმი" უკვე 60-იან წლებშივე ჟღერდა როგორც ფარული ირონია საბჭოთა რიტორიკის მიმართ. დღემდე ეს ფრაზა თბილისურ ყოველდღიურ მეტყველებაში დარჩა, როგორც წარმატებული იდიომა.

თოჯინების ფაბრიკა რომატიკული ტოპოსი აღმოჩნდება – ის ჭეშმარიტად ქალთა საუფლოა, სადაც რეზიკო ერთადერთი მამაკაცია. ამიტომაც, ახალგაზრდა ქალების მხრიდან ის მსუბუქი ირონიისა და ფლირტის ობიექტი ხდება. ერთი-ერთი მათგანი – ლალი – რეზიკოს შეუყვარდება კიდეც. ფილმის რომატიკულ ფინალში რეზიკოსა და ლალის სიყვარულს გაცოცხლებული და ამოძრავებული მოცეკვავე თოჯინები უმღერიან. სულხან ცინცაძის მესამე სიმღერაში, რომელსაც თვითონ თოჯინები „ასრულებენ", უკვე აშკარად ჟღერს თბილისური კულტურის დამახასიათებელი „მუზამბაზის კილო", რომელიც ერთი მხრივ, XIX საუკუნის ქალაქური პოეზიის ჟანრია, მაგრამ, ამავე დროს, მუსიკალური ჟანრიცაა, რომლის მეორე დაბადება სწორედ 60-იანი წლების თბილისურ ესტრადაში ხდება.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ის სიმღერა, რომელიც ფილმის გამოსვლისთანავე ჰიტად იქცა და რომელიც დღემდე თბილისურ კულტურაში ერთ-ერთი პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებია. ესაა სულხან ცინცაძის „თოლია", რომელიც ანტიციპაციურად თავად ფილმში წარმოდგენილია, როგორც ჰიტი, რომელსაც მთელი თბილისი მღერის. ამ სიმღერის მოტივი აშკარად გვაგზავნის ცნობილ ამერიკულ მელოდიასთან, რომელიც „ამერიკის ხმის" სასიგნალო მუსიკა იყო, ხოლო „ამერიკის ხმის" ფარული პოპულარობა თბილისში სწორედ 60-იან წლებში იწყება. ცხადია, ბევრი მიხვდა ამ მუსიკალურ ალუზიას, მათ შორის – ოფიციალურ წრეებშიც, მაგრამ ამას არც სულხან ცინცაძისთვის და არც სიმღერისა თუ ფილმისათვის ხელი არ შეუშლია.

ამრიგად, „თოჯინები იცინიან" თავის თავში რამდენიმე აშკარა და ფარულ მესიჯს ატარებს: ერთი მხრივ, მისი აშკარა დაცინვის ობიექტი თბილისური სნობურ-ელიტური მეშჩანურ-ინტელიგენტური კულტურაა, რომელიც სწორედ 60-იან წლებში იფურჩქნება და რომლის განმსაზღვრელი ფაქტორი წარმოშობაა – ვისი შვილი ხარ? – სწორედ ესაა ამ კულტურისადმი მიკუთვნების მთავარი მექანიზმი. მეორე მხრივ, ფილმში იგრძნობა ფარული ირონია საბჭოთა ოფიციალური რიტორიკისა და კულტურისადმი, რაც „თოლიის" აშკარა „ამერიკული" ინტონაციითა და სევერიანის „აბსურდული" სლოგანით გამოიხატება.

მაგრამ არის კიდევ ერთი, ალბათ, თავად ავტორებისათვისაც კი „დაფარული მესიჯი" – სადაც, „მაღალ კულტურასა" და „სოციალისტურ შრომას" უპირისპირდება „დაბალი" თბილისური კულტურა, რომელიც XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში „მუხამბაზის კილოთი", კინტოს ფიგურით, აბანოთი და სხვა ტოპოსების მეშვეობით გამოიხატებოდა. თოჯინა და „თოჯინურობა" ამ კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტოპოსია.

„თოჯინები იცინიან" სწორედ იმიტომ აღმოჩნდა წარმატებული კომედია, რომ მასში საკმაოდ ნატიფადაა წარმოდგენილი XX საუკუნის 60-იანი წლების თბილისის ოფიციალური, ნახევრად ოფიციალური და თითქმის არაოფიციალური კულტურების დიფუზია და დიალექტიკური დაპირისპირება. მაგრამ ფილმი იმდენად წარსულს კი არ აცოცხლებს, რამდენადაც

მომავალ ტენდენციებზე მიუთითებს – გარკვეული აზრით, ის ანტიციპაციაა სერგო ფარაჯანოვის მომავალი პოსტმოდერნისტული კინოპოეტიკისა, სადაც „თოჯინურობა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და, ასევე, – რეზო გაბრიაძის „თოჯინური“ ესთეტიკისა. სწორედ რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი გახდა 80-იანი წლების თბილისური კულტურის ერთ-ერთი მთავარი „ბრენდი“ რობერტ სტურუას თეატრთან და ოთარ იოსელიანისა და სერგო ფარაჯანოვის კინემატოგრაფთან ერთად.

## მარიონეტების თეატრის ქრონოტოპოსი: „თოჯინური“ ესთეტიკა და ტფ(თბ)ილისური (ბრი)კოლაჟი

რეზო გაბრიაძე (1936 წ.) ერთდროულადაა მწერალი, სცენარისტი, მხატვარი და რეჟისორი. მისი მარიონეტების თეატრი 1981 წლს გაიხსნა ალექსანდრე დიუმა-შვილის პიესის – „ალფრედი და ვიოლეტა“ – გაბრიაძისეული ვარიანტის დადგმით. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად – წლების განმავლობაში მასზე დასწრება თითქმის შეუძლებელი იყო. „ალფრედსა და ვიოლეტას“ მოჰყვა „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ (1983), „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“ (1985), „სტალინგრადის ბრძოლა“ (2000). ის თითონვეა ყველა ამ პიესის ავტორი, რეჟისორი და მხატვარი.

მარიონეტების თეატრი დღესაც თბილისის ძველ უბანში მდებარეობს. ამ ტოპოლოგიით გაბრიაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ ის „დაბალი“ თბილისური კულტურის რეპრეზენტატორია. ამ კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება კი კლასიკური ტექსტების ადაპტაცია, „გადაწერა“ და პაროდირებაა. სწორედ პაროდიული პასტიში, გროტესკი, იუმორი და ირონიაა გაბრიაძის ესთეტიკის შემადგენელი ელემენტები, რომელიც არც ტრაგიზმსა და ლირიზმსაა მოკლებული.



კადრი ფილმიდან „კოჯრის ტყის სიზმრები“

გაბრიაძისეული „ალფრედი და ვიოლეტა“ ალექსანდრე დიუმა-შვილისა და ვერდის ოპერა „ტრავიატას“ ტრაგიკომიკური პაროდიაა. ამავე დროს, ის 16 კინოსცენარის ავტორია, რომელთაგანაც ერთი – ლუიჯი პირანდელოს „ქვევრის“ ადაპტაციაა (ქვევრი, 1971, რეჟისორი – ირაკლი კვირიკაძე), სადაც მოქმედება კახეთშია გადატანილი, ხოლო კიდევ ერთი – ფრანგი მწერლის, კლოდ ტილიეს (Claud Tillier, 1801-1844) რომანის „ბიძაჩემი ბენჟამენის“ (Mon Oncle Benjamin, 1843) ამჯერად იმერულ-ქუთაისური (სადაც თვითონ გაბრიაძე დაიბადა) ვარიაციაა (Не горюй! არ იდარდო! 1969, რეჟისორი – გია დანელია).

სწორედ ამ ფილმში ჩნდება პირველად თოჯინური მოტივი – ექსცენტრული თავადის, ვამეხ ვახვარის სასახლის ინტერიერში XVIII საუკუნის იშვიათი ფრანგული მუსიკალური თოჯინა-ავტომატი – არლეკინი – იმყოფება, რომელსაც ხაზგასმულად კავკასიური გარეგნობის მქონე და ევროპელი ლაქიის ტანისამოსში გამოწყობილი მსახიობი (ზურაბ ქაფიანიძე) აამუშავებს. ეს ის არლეკინია, რომელიც 1937 წელს დაარსებული თბილისის თოჯინების მუზეუმიდან 1996 წელს მოიპარეს და რომლის ადგილ-სამყოფელი დღესაც უცნობია. საგულისხმოა, რომ ამჟამად თოჯინების მუზეუმი თბილისში სწორედ გაბრიაძის მარიონეტების თეატრის მეზობლად მდებარეობს.

გაბრიაძის პიესებსა და სპექტაკლებში ძველი თბილისი და თანამედროვეობა, საკუთარი და სხვა, ადგილობრივი და უცხო საგულდაგულოდაა გადაზელილი და არეულ-დარეული. ის სარგებლობს როგორც „მაღალი“, ისე – „დაბალი“ კულტურის ტექსტებით – კლასიკურ ტექსტთა ფრაგმენტების გვერდით ქალაქური ანეკდოტები და ზეპირი ისტორიებია, ხოლო ამაღლებულ მეტყველებში სლენგი და ჟარგონია ინკორპორირებული.

„სტალინგრადის ბრძოლა“ (2000 წ.) მეორე მსოფლიო ომის საკვანძო ეპიზოდს ჭიანჭველების ცხოვრებისა და მათი ტრაგიკომიკული ბედის ფონზე წარმოგვიდგენს. რამდენი ჭიანჭველა დაიღუპა ამ ომის დროს? რას შეეწირენ ისინი? როგორი იყო ზოგიერთი მათგანის კერძო ბედი? – ჭიანჭველების თვალით დანახული სამყარო არანაკლებად კომიკური და ტრაგიკული, ლირიკული და პროზაულია, ვიდრე – ადამიანების მიერ დანახული. აქ, როგორც ყველგან გაბრიაძესთან, „დაბალი“ და „მაღალი“, „ყოფითი“ და „ამაღლებული“ ერთმანეთში დიალექტიკურად გადადის, ხდება მათი დიფუზია და გადაკვეთა.

1978 წელს გაბრიაძემ თავად გადაიღო თოჯინური ანიმაციური ფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები“. თბილისური ფოლკლორის პერსონაჟი კინტო, სახელად ხეჩო, რომელიც აქ უკვე ჩვენი თანამედროვეა, კოჯრის ტყეში (თბილისის გარეუბანი, რომელიც XIX საუკუნის ქალაქურ კულტურაში დაკავშირებულია არისტოკრატიულ მოცალეობასთან და ქალაქურ მოლხენასთან კინტოებთან ერთად) ახალი წლის ღამეს დაიძინებს და ფანტასმაგორიულ სიზმარს ხედავს – კოჯრის დათოვლილ ტყეში ლუი არმსტრონგი და ელა ფიცჯერალდი გამოჩნდებიან, რომლებიც ჯაზურ სტილში ქართულ-ინგლისურად მღერიან თბილისურ სიმღერას – ყვავილების ქვეყანა (ეს იმპროვიზაცია თბილისში დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს). ხეჩოს ამ სიზმრის ერთ-ერთი პროტაგონისტია XX საუკუნის დასაწყისის გერმანელი ბიზნესმენი ზემელი, რომელიც საქართველოს ბოლშევიკურ ანექსიამდე (1921 წ.) თბილისში მსხვილ საკუთრებას ფლობდა. ქალაქურ მეტყველებაში რუსთაველის გამზირის ერთ მონაკვეთს არაოფიციალურად დღემდე მისი სახელი (ზემელი) ეწოდება. ხეჩოს სიზმარში მექსიკელი კინტო ზელიმხანი (კიდევ ერთი გაბრიაძისეული ჰიბრიდი – თბილისური, ლათინოამერიკული და სპარსული ელემენტების აღრევა) სნორედ ზემელს მოსტაცებს სატრფოს. ამ ანიმაციური ფილმის კიდევ ერთი პროტაგონისტი – მარშალი დე ფანტიე – იგივე თავადი ფანტიაშვილი – XIX საუკუნის ქართული თეატრის, ავქსენტი ცაგარელის „ხანუმას“ (კლასიკური ოპერისა და ფილმი-ოპერის „ქეთოსა და კოტეს“ დრამატურგიული წყარო) ერთ-ერთი მთავარი გმირია, რომელიც გაბრიაძემ თავისი შემოქმედების მოხეტიალე პერსონაჟად აქცია. ამ ჭეშმარიტად პოსტმოდერნისტულმა კოლაჟმა, სადაც გაბნეულია უამრავი მახილგონივრული აფორიზმი, ქალაქურ კულტურაში დიდი პოპულარობა მოიპოვა. საზოგადოდ, ცალკეული ფრაზები გაბრიაძის ფილმებიდან და პიესებიდან ქალაქური მეტყველების განუყოფელ ნაწილად იქცა.

მარიონეტების თეატრი ძველ თბილისში მდებარეობს – ანჩისხატის ტაძრისა (VI ს.) და გაბრიაძისავე პოსტმოდერნული სტილის კაფე „მეთერთმეტე თითს“ შორის. თეატრის მდებარეობა რეპრეზენტაციულია – ის ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნავს გაბრიაძის შემოქმედების ძირითად კოორდინატებს – ესაა დაბალი და მაღალი კულტურების დიფუზია, სხვადასხვა სტილების შეერთება, ლოკალურისა და კოსმოპოლიტურის სინთეზი, მუდმივად საზღვარზე ყოფნა და ამ საზღვრების გადალახვა.





# სათაური ბოლოში
## ანუ ჯარა სიზმართა ცთომილთა

*დავით ანდრიაძე*

*„დიდხანს ვიფიქრე, რა დამერქმია ამ მოთხრობისათვის და ბოლოს მივხვდი – მას უნდა რქმეოდა „ბარბარა“.*
*ასე იწყებს ბერტოლდ ბრეხტი თავის ერთ მოთხრობას.*
*მეც დიდხანს ვიფიქრე, რა უნდა დამერქმია ამ ესსესათვის და ბოლოს მივხვდი – მას უნდა რქმეოდა „სათაური ბოლოში“.*
*პარუირ სევაკს აქვს ციკლი ასეთი სათაურით – გივი შაჰნაზარის თარგმანებით ვიცნობ და ამ ლექსმა მიკარნახა.*
*თურმე, ნუ იტყვით და, წიგნის სახელწოდება, ინდოეთშიც, ბოლოში იწერება.*
*ეს ელიოტ უაინბერგერს აქვს ერთგან ჩანიშნული.*
*წერა კი, ასე დავიწყე:*



გოეთესთან მახსოვს ერთი პარადოქსული გამონათქვამი: ვინც მანამ არ მოკვდება, სანამ მოკვდება, ის დაილუპებაო...

ამ ესსეს მთავარი პერსონაჟიც თითქოსდა, სულ კვდებოდა; მშვენივრად კვდებოდა...

და ამ „სიკვდილითაც“ კეკლუცობდა...

შექსპირის ჯულიეტასავით, ტრაგედიის III აქტში რომ ამბობს, მე კიდევ მაქვს სიკვდილის შესაძლებლობაო, გაიანეც სულ მუდამ ამ შესაძლებლობას იზოგავდა. თუმცა, თავისი რომეო არც არასოდეს ჰქოლია და საერთოდ, ვერავინ იტყვის, „იცოდაო მან სიყვარული...“

მისი მხატვრობაც, სიკვდილის, როგორც ერთგვარი ესთეტიკურ-თანატოლოგიური პროცესის წარმოდგენა იყო; მისი რეპრეზენტაცია...

და ამიტომაც, არც დაღუპულა.

გაიანეს სიკვდილი სულაც არ ეგულებოდა მომავალში – სიცოცხლეშივე უკან შემოიტოვა; წარსულში ჩაიმარხა, მომავალში კი არა, წარსულში...

მოკლედ, ხაჩატურიანის ქალმა თანატოსის პროვოცირება თავად მოინადინა და საკუთარ არტისტულ ბრენდადაც გამოიყენა.

მისი სახელით მოვაჭრენი კი, ეტყობა ამ „სიკვდილს“ მხატვრის რებრენდინგის ინსტრუმენტად მომავალშიც მოიხმობენ.

რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, გაიანეს პერმანენტული სიკვდილი – სულიერი გადარჩენის აქტია.

ის საბოლოოდ წავიდა ამა ქვეყნიდან. ოვიდიუსივით Aeternum vale გვითხრა და წავიდა. წერტილი.

წავიდა და... გადარჩა.

დარჩა მისი მხატვრობა, როგორც უხსოვარ მისტერიათა და უუძველეს დამწერლობათა უცნაური ნაზავი.

მის ფერწერაში, ტურგენევის მიერ თეატრის შესახებ ნათქვამს რომ დავესესხო, არაფერი „ყარდა ლიტერატურით“.

და მაინც, ასეთ მხატვრობაში ბევრია ლიტერატურაც, თუმცა ეგზოტიკური მიხაკ-დარიჩინით შეზავებული, სასიამოვნო გემოდ გერჩება...

მერე კი, როცა ეს გემო „გაივლის“, შეიძლება ხელთ უგემოვნობის შემაწუხებელი განცდაც კი შეგრჩეს.

ცხადია, გაიანეს არა ჰქონდა ბაყბეუქის და, თუნდაც, დილბოს ხელი; და მაინც, ფარაჯანოვივით, მასაც შეეძლო ხელოვნებაში ნაკლებად ჩახედულ ადამიანთა გადმობირება და დარწმუნება, რომ „აი, ესაა ფერწერა!“

მის ოპუსებში, ყველაფერი – ცოტა არ იყოს, თვალის დამღლელი ვიზიონებით იყო გაჯერებული; ვიზიონებით და არა თავად ფერწერით...

საიათნოვა სიტყვის ფეიქარიაო – წამლერებით ამბობდა თავის დროზე ჟორა შავგულიძისეული გმირი.

გაიანეც ფეიქარი იყო; ფერის ფეიქარი, თავის არტისტულ „ინდსაწარმოში“ რომ ქსოვდა კუსტარულ ტილოებს.

ამ ტილოებში ყრუდ გუგუნებდა ფერების ენა; კი არ ყვიროდა თუ გაჰკიოდა, არამედ გუგუნებდა...

ნეკროლოგური დისკურსი ჟანრთა სისტემაში თავის ალაგს მოიზომავს; მომწონს მე ეს დისკურსი; და ლეტალური სტილისტიკაც ამდენადვე მკარნახობს, ხშირად მივმართო სიტყვას – „იყო“...

დიახ, იყო მის მხატვრობაში რაღაც – სიმპათიურად დილეტანტურიც და კიჩურიც; ტრივიალური ხელოვნების კვალსაც აღმოაჩენდით მასში და მარგინალური ხელოვნებისაც...

„მესამე კულტურის“ ხიბლიც იყო მის ნახევრადპროფესიონალურ „ტეხნეში“, ოღონდ ფიროსმანისაგან განსხვავებით, ამ „მესამე კულტურის“ ენა გაიანესთან „გამოგონილი“ იყო, კომბინირებული და [illegible] ნანვალებიც...

რაღაც დევიანტურიც იყო მის ესთეტიკაში, თუმცა, ეს „დევიანტიზმიც“, რაოდენ ექსტრავაგანტულ ჟესტად აქცია თავის უმწეო ფერწერაში?!

მისი „ფერწერა“ გამოდიოდა ნორმატიული ჩარჩოებიდან და თავისი „არატრადიციული ორიენტაციით“ რაოდენ სიმპათიურად გამოიყურებოდა?!

გაიანეში უცნაურად შენივთდა ჰერმესი და აფროდიტე...

ფრთები ჰერმესივით ფეხებზე ჰქონდა გამობმული, ხელზე კი აშკარად ესაკლისებოდა ფრთების არქონა...

მოკლედ, იმთავითვე შეექმნა ფონი, რათა მისგანაც გამოგონებულიყო „თბილისური სკოლის“ მორიგი მითოლოგიური გმირი, ქართული მხატვრობის თბილისური ტექსტის პროტაგონისტი...

ჟან ანუისეული „ანტიგონე“ ამბობს, მე ანტიგონე ვარ და ბოლომდე უნდა შევასრულო ეს როლიო...

ჩემს პროტაგონისტსაც შეეძლო ეთქვა, მე გაიანე ვარ და ბოლომდე უნდა შევასრულო ჩემი როლიო...

შეასრულა კიდეც... და თბილისის სომხური თეატრის სცენაზე დაამთავრა, ავლაბარში...



* * *

გაიანეს სურათები სიმბოლოებითაა გაჟღენთილი, სიმბოლოებით, რეალობის ანდა უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, კვაზირეალობის ორგანოებად რომ გვევლინებიან.

ეს სურათები მნიშვნელობათა ავტონომიურ სამყაროს გამოხატავენ და Art(ეა)კულაციის ალტერნატიულ წესს მოასწავებენ.

რაც შეეხება გაიანეს ფერწერულ „გამოთქმას", ის ბოლომდე არ მისდევდა პედანტურად არტიკულირებულ „ფრაზირებას" და თავს (თუ ხელს) არც უზრუნველ „nonchalance"-ს ანუ დაუდევრობის ნებას რთავდა.

გაიანე „ნაფიც პროფესიონალთაგან" განსხვავებულად გამოთქვამდა სამყაროს, გამოთქვამდა და მოთქვამდა...

მის სამყაროშიც ყველაფერი ფიქცია იყო, ოღონდ ისეთივე ფიქცია, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი სუბსტანცია, თუნდაც ოქრო...

იქნებ ამიტომაც ადევს მის სურათებს ოქროს ფასი – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

ოქროს ფასად ყიდდნენ გაიანეს ტილოებს წუწკი დილერები; სურათებს, რომლებიც მარტოოდენ იმის გამო მოსწონდათ, რომ არც მეტი, არც ნაკლები იცოდნენ – ისინი გაიანეს დახატული იყო.

მერე, ყალბი „გაიანეებიც" გამოჩნდა და, ასე აკითხავდნენ ჩასაფრებული გადამყიდველები მომაკვდავ მხატვარს ისანში, რათა მისივე ხელიდან მიეღოთ ავტორობის სერტიფიკატი.

ასე კვდებოდა „ავტორი"...

ასე კვდებოდა ეს მარადი სარძლო „გაზაფხულის მოსვლასთან ერთად"...

გაიანეს ფერწერული მეტყველება – ეს იყო დისკურსი მის უსასრულობაში; მონაგონიც და გამონაგონიც...

და მისი ფერწერული ინვენციებიც ნაკლებად ტოვებდა „ტყუილის" შთაბეჭდილებას; პირიქით, როგორც ნებისმიერი ფიქცია და სიმბოლური შემეცნება, მასთანაც ჭეშმარიტების პირობას წარმოადგენდა და ერთგვარ ალეთოლოგიურ პირობითობასაც...

გაიანემ შეთხზა თავისი ფსევდომაგიური ფერწერული ტექსტები, სუგესტიური იკონიკური ლოცვები და შელოცვები...

პარადოქსებითა და არტისტული ეპისტემებით აღსავსე მის სამყაროში კარნავალური სული სუფევდა და ამ კარნავალს ეს მარტოხელა-მარტოსული ქალბატონი ქმნიდა; ალტერნატიული სილამაზის ქალი...

მისი ასკეზა არა იმდენად პოზა, რამდენადაც თვითრეფლექსია უფრო იყო.

უცნაურია: ეს კარჩაკეტილი ადამიანი როგორი „ღია" იყო, როგორი გახსნილი სამყაროსადმი?!

გაიანემ თავისი სურათებით შეთხზა ერთგვარი ევრაზიული ბაროკოს მითი. მის ტილოებში ევროპული ორღანიც გუგუნებდა და ტფილისური არღანიც წრიპინებდა...

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს აქვს მოთხრობების ციკლი „ჩემო გაიანე".

გაიანე ხაჩატურიანს „ჩემო"-თი ვერ მიმართავდი – ის მუდამ ინარჩუნებდა დისტანციას და თავსაც ინონებდა ასეთი გაუცხოებით...

ის მუდამ „სხვისი" იყო; საკუთარ თავთანაც კი „სხვა"...

გაიანეს სამყარო – ეს იყო ერთი გაბმული სიზმარი, მოხეტიალე და მომთაბარე სიზმარი...

მხატვარი ქალი თითქოსდა „სხვის" სიზმრებსაც ნახულობდა – ინტერტექსტუალურ სიზმრებს...

გოეთეს უთქვამს, მოჩვენებებს ორნი ერთად არ ხედავენო; და არც სიზმრებს ხედავენ კოლექტიურად...

გაიანემ კი ეს სიზმრები რაღაც კოლექტიურ არაცნობიერ გამოცდილებად აქცია, ყოველი ჩვენთაგანის საზიარო არქეტიპულ წარმოდგენად განავრცო...

გაიანე რომანტიკოსიც იყო და სიმბოლისტიც, ყოველ შემთხვევაში, ორი – პასეისტურ-რომანტიკული და ნეორომანტიკული მინუსი მასთან სიმბოლისტურ პლუსად ჯვარედინდებოდა.

ამგვარ სიმბოლისტურ ჰორიზონტზე გაშოლილად ქრებოდა იგი თავის „წინასწარ სიკვდილს"...

ასე ეზმანებოდა მშობლიური აგულისის მისტიკური ველები და „ნაცნობი გვამი" – ავტოპორტრეტული გვამი („Знакомый Труп лежал в долине моей").

* * *

გაიანეს კომპოზიციები ერთგვარ ტოტალურ არქივს წარმოადგენდნენ; კულტურული ინფორმაციებით გადატენილ არქივს...

ამ სურათების სივრცე, სიმულტანურად „დადგმული" სცენებითა თუ მიზანსცენებით, კაცობრიობის ბავშვობას შეგვახსენებენ და თავიანთი პირველქმნილი უბინობითა და პერსონაჟთა თოჯინურ-ანგელოზური ჰაბიტუსით, რაღაც უსახელო, იმპერსონალურ სევდასაც გვიმხელენ და ყოფიერების „საზეიმო" განცდასაც გვინერგავენ; ონტოლოგიური სისავსის განცდას...

ამ სამყაროში სიკვდილისა და სიცოცხლის სიმბოლური გაცვლის უსასრულო პროცესებია წარმოდგენილი, ამ სიკვდილ-სიცოცხლის კონტინუუმი კი, საკუთრივ კარნავალურ ქრონოტოპში ფეთქავს...

ესაა „ტრაგიკული მხიარულება".

გაიანეს სურათების ონტონარატივს მითოლოგიური სარჩული აქვს, ყოველი ტილო მხატვრის პერსონალურ მითს წარმოადგენს – ავტომითს, საბოლოო ჯამში, მისივე კულტურული (თუ ინტერკულტურული) პილიგრიმობის მარშრუტებს რომ აღგვიწერს; თავისებურ ტრანსავანგარდულ მარშრუტებს...

გაიანემ თავისი ტოტალური უტოპიაც შეთხზა, თუნდაც, ფერწერული ჰეტეროტოპია, როგორც კოლექტიური სხეულის დღესასწაული.

ამ უტოპია/ჰეტეროტოპიის პროტოტიპი თბილისი იყო; თბილისი – ეს ფანტასტიკური ქალაქი-პოლისი, ქალაქი-სახელმწიფო...

ჩვენს ინფანტილურ კულტურაში სარფიანად იყიდება თოჯინური დისკურსი.

და გაიანემაც თავისებურად ააღორძინა თბილისური კულტურის თოჯინური არქეტიპი.

ფარაჯანოვისამებრ, გაიანემაც გაიხსენა თოჯინა, როგორც ბავშვურ-მითოსური სამყარო და „მოზრდილთა" სამყაროში, როგორც მომწიფებულ ცივილიზაციაში გადაზრდის საფეხური.

ქალაქური სუბკულტურა გაიანემაც „ზენა" კულტურის კარნავალური ინვერსიით წარმოგვიდგინა და ასე შეთხზა ტფილისის საავტორო ნარატივი.

ამ ნარატივს თავად შეარქვა „ქალაქური ჯარა".

ამ ჯარაში ცხოვრება, თუნდაც ყოფიერება – ტოტალურ თეატრად რეპრეზენტირდება და იქნებ, აქედანაც მომდინარეობს ამ ციკლის ტილოთა სცენოგრაფიული კომპოზიციები, თავისი „არაფრის არმატურებით"...

გაიანესეულ ქალაქურ ჯარაში რაღაც არომატულად მიმზიდველი მეტაფორ(მ)ებიც ელვარებენ და იური ოლეშასეული ერთი მეტაფორისა არ იყოს, „იასამნის უწნებელ ყვავილებად" გვესალბუნებიან.

არაერთი სცენა ურბანისტულადაა გატანილი ღია სივრცეში, ქალაქური პანორამა კი ხშირად, გეოგრაფიულამდე ფართოვდება და ჰიპერტროფირდება...

სარკეებივით ციმციმებს ჯარა, სივრცეს რომ აირეკლავს და სწრაფმავალ დროს, ამ მანდელშტამისეულ მფრთხალ ქრიზალიდას („Время, робкая хризалида") აყოვნებს...

ამ სურათებში სხვა „დღეა" გათენებული; გათენებულიც და დაღამებულიც... კვირის შვიდი დღე კი არა, კიდევ ერთი დღე, მე ვიტყოდი, მარადიული დღე, თუგინდ, მეტადღე...

გაიანეს სიზმრისეული ჯარას ტრიალს თავისი ხმა ახლავს – ყოფიერების ხმა, თავისუფალი ძალისხმევის ენად და ამ ენისავე ძალად რომ გვესახება.

ესაა, როგორც მამარდაშვილი იტყოდა, „არსებითი საჯაროობა, სხვებისთვის უწყება იმისა, რომ მონაწილეობ კაცობრიობის საიდუმლო გულისცემაში".

აი, ასეთი საჯარო Dasain-ის მესიჯებს გვიგზავნიდა მხატვარი, რომელსაც ერთი დღეც არ უცხოვრია „საჯარო ცხოვრებით".

უთვისტომო ადამიანი იყო; უჯილაგო...

და ეს უჯილაგობა რთავდა ნებას, ჰყვარებოდა მთელი კაცობრიობა – ეს „ცარიელი სიტყვა" (ო. შპენგლერი).

კაცობრიობა და არა ცალკეული ადამიანი...

გაიანეს სურათებში ერთმანეთს ენაცვლება ოქროს საუკუნისეული არკადიაც, ანტიკური პოლისიც, მედიევალური ურბანიზმიც... მერე, რაღაც კამპანელასეული „მზის ქალაქის" უტოპიური სხივიც შემოიჭრება და ამ სურათებს აელვარებს...

გაიანეს ტილოებში სულ ახალ-ახალი ხატები გვეცხადებიან... და საერთოდ, ესაა მხატვრობა, როგორც დიდი სასწაული, გნებავთ, გამოცხადება.

ამ ეპიფანიისას ეცხადებიან ტფილელ მხატვარ ქალს შორეული თუ ახლობელი არტისტული წინაპრები – უტამაროდან ბაყბეუქამდე, გრიუნევალდიდან შაგალამდე...

მისი სურათებიდან ასხლეტილი ლანდები – მარტოოდენ ალუზიები, რემინისცენციები თუ დეციტაციები კი არა, პლერომებიცაა.

აქ წარსულის კვალიც მნიშვნელობს და ამ კვალის წაშლაც ფასობს; წარსულის კვალის წაშლით კი, სხეულის წაშლა...

რაც უფრო მეტად წაიშლება სხეული, მით უფრო ფართოდ იშლება მათი სემიოტიკური მარაო, მით უფრო მეტად იწყებს სურათი „სემიოტიკურ ციმციმს", მით უფრო მდიდარი სემანტიკური შრეები იწყებენ გამონათებას, ელიმინაციას...

ამიტომაც გვეცხადებიან გაიანესეული სურათები ტექსტებად; და ონტოტექსტებად...

ყოველი ასეთი „ტექსტის" მხატვრის ხელიდან გასვლა „ავტორის სიკვდილით" მთავრდებოდა; მეტიც, გაიანე ამ ფერწერულ ტექსტებს თავად რთავდა უფლებას, „მოეკლათ ავტორი".

საავტორო სახელიც – „გაიანე" – ასე კარგავდა საკუთარი სახელის სტატუსს და მხატვრის რაღაც საზოგადო სახელად იქცეოდა.

გაიანე ამ გაგებითაც კვდებოდა, კვდებოდა ნელა-ნელა...

ის ხორციელადაც ნელა კვდებოდა...

და მისი არსებობაც ასე ეხმიანებოდა ჰერაკლიტეს სიტყვებს: „სიცოცხლე ხანიერი სიკვდილია, სიკვდილი კი გაელვებული სიცოცხლე".

აი, სიკვდილის იმპრესიონისტული ფორმულა!

გაიანეს ფენომენი იმაზეც ჩაგვაფიქრებს, თუ „პირველი" და „მეორე" ტალღის ფემინიზმის მიერ ლეგიტიმირებული ქალური სუბიექტი რატომ წარმოგვიდგება დეფექტურად; თუ მსხვერპლისმიერობის სტრუქტურაც და ძალაუფლებისადმი აპელაციაც, რატომ გვევლინებიან სუბიექტობის დაკარგვისაკენ მიმავალ პირდაპირ გზად.

ესაა საკუთარი იდენტობის ნებაყოფლობითი დაკარგვა, „სხვა" რეპრეზენტაციულ ლოგიკას რომ თხოულობს.

გაიანემ მოიპოვა უფლება, ყოფილიყო ფემინური ფერწერული ენის იმანენტური სხეულებრიობის მატარებელი და სიცოცხლეშივე შეძლო დაკარგული



ქალური სხეულებრიობის რე-ანიმაცია, თანაც, საკუთრივ იმ ენის ლეგიტიმაციით, რომლითაც აღიწერებოდა ეს სხეულებრიობა.

რაც მთავარია, ეს იყო ენა არა იმდენად ფერწერისა, რამდენადაც წერისა, როგორც „საკუთარ ენაში პოლიგლოტობისა" (ბრაიდოტი).

გაიანეს სურათებში მუდამ იგულისხმებოდა „მკვდარი ავტორის" ვიზუალური დასწრება ტექსტში; და ასე აღივსებოდა ეს სურათები ქალური ავტორობის, თუნდაც გამოტირებული ქალური ავტორობის, „L'ecriture feminine"-ის სიმბოლიკით.

გაიანეს ფერწერა – გენდერული სხეულის ნაკვალევთა, თუნდაც, სტიგმატთა ფიქსაციაა; ტილოზე საღებავის და-ტანა – სხეულის კანზე ძალადობასთან ასოცირდება, თუმცა, ქალურად ინტიმურ, ტაბუირებულ, ტრავმატულ, შოკირებად რეპრეზენტაციად ნაკლებად გვევლინება.

და მაინც, გაიანე ქალურ აფირმატულ პრაქტიკებს ერთობ დელიკატურად ეხება და საკუთარი სხეულის რეპრეზენტაციას კი არ ახდენს, არამედ „წერს" თავის სხეულებრიობას; აღ-წერს თავის ტანს; ტანს – შემოსილს გამჭვირვალე ბლონდებით...

თბილისურ მხატვრობას არასოდეს ჰყოლია თავისი დედოფალი, თავისი თამარ-ქალი...

და ამ უთამარო სკოლას უტამაროს ნილბით მოევლინა გაიანე; ტრავესტად, მამრს რომ თამაშობდა (იქნებ, პირიქითაც!).

გზა კი, ელენე ახვლედიანმა – დედილო ელიჩკამ დაულოცა...

რაღაცით ჩამოჰგავდნენ კიდეც ერთმანეთს, ავტოპორტრეტიც აქვს გაიანეს ელენესთან ერთად...

ელენეშიც იყო რაღაც არაამქვეყნიური, მის შესახებაც იკითხავდა კაცი: „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი".

თუმცა, არც ერთში იყო დემონი და არც მთლიანად – ანგელოზი.

ასე ითხზვებოდა გაიანეს ბიოგრაფია...

და გაიანეს მხატვრობაც, გარკვეულწილად, მისივე გაფართოებული ბიოგრაფია იყო; უნიკალური ფერწერული ბიო-გრაფია...

თავის „ერთადერთობა" მან უნიკალურ გამოცდილებად გადაადნო...

ეს იყო ყოფიერებისა და არარას ზღვარზე „მეშაობის" გამოცდილება, უნივერსალიათა თანავარსკვლავედის ურთიერთგამოძახილი...

მის სამყაროში, ლერმონტოვისა არ იყოს, ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება („И звезда с звездою говорит").

გაიანეს სამყარო ალმასებში ჩაძირული ცაა; ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ცა...

ამასობაში, მის სურათებში, „სხვა" ცა, „სხვა" ღამეც ჩამოწვებოდა; „სხვა" ვარსკვლავივით; აბსურდის ვარსკვლავივით...

აქ კი, როგორც მანდელშტამი იტყოდა „И звезда с звездою не говорит".

და ეს ვარსკვლავებიც, ჩვენი საზიარო ცარგვალის ვარსკვლავებია; ჩვენი საზიარო მიწის თავზე მოკიაფე...

სხვისი ზეცა არ არსებობს, ასევე როგორც „სხვისი" მიწა...

ამ გაგებით, გაიანეს არაერთი და ორი ცა ეგულებოდა; და არაერთი და ორი მიწა...

და ისიც, „სხვა" და „სხვა" მიწებზე ცხოვრობდა და ამ მიწებზევე კვდებოდა...

და მაინც, გაიანეს უმძიმდა მიწაზე ყოფნა.

ანდრეი პლატონოვი წერდა, ეტყობა მიწაზე ცხოვრება ჯერ კიდევ შეუძლებელია – ბავშვებისთვის მზად არ არისო...

გაიანეც ხომ მარადიული ბავშვი იყო, არასოდეს დაუტოვებია ბავშვობა...

ალბათ, ამიტომაც არ დატოვა ბავშვები.

ბავშვები არც მის სურათებში არიან...

„Нет детей – воображай ангелов" – ეს უკვე როზანოვია; ვასილი როზანოვი...

და გაიანეც, ანგელოზებს წარმოისახავდა...

ეს ანგელოზები იყვნენ სამოთხის მედესანტეები; მიწიერი მედესანტეები...

და მხატვარიც, თითქოსდა, საგანგებოდ ზრუნავდა, რათა თავისი თავისთვის სიცოცხლეშივე გამოეწერა „ვიზა სამოთხეში"...

ის რაგინდარა ცივილიზაციათა არტეფაქტებში ითქვამდა სულს და ამ არტეფაქტებშივე კვდებოდა...

მე ერთადერთხელ შევესწარი, თუ როგორ ხატავდა გაიანე – უკვე ღრმად სნეული, როგორ წერდა...

თითქოსდა, მარსელ პრუსტივით, ნარატორის ამ Alter ego-სავით აკვირდებოდა, თუ როგორ ივსებოდა მინის გამჭვირვალე ქურჭული კამკამა წყლით...

აკვირდებოდა, როგორც სიზმარში...

ყოველ სიზმარში არის სულ ცოტა ერთი ადგილი, სადაც ის ნამდვილად გაუგებარიაო – წერდა ფროიდი.

გაიანესეულ ცთომილ სიზმართა ჯარაშიც იყო ეს ერთი ადგილი, ერთი ტოპოსი, მისი მითოპოეტური ინსპირაციების აბრევიატურას რომ წარმოგვიდგენდა.

ეს იყო სიზმრის მაშინერიაც; ანუ მაშინერია პოეტური ფუნქციისა, ეს უცნაური ნაზავი სიღრმისა და სიმაღლისა, ჭისა და ფუნიკულორისა...

გაიანესეულ ტფილისში რაღაც უცნაური ხმები „დაიარებიან"...

თბილისში გაიანეზეც „დადიოდა ხმები"...

და ამ ხმებში გახვეული ავტორიცა და მისი საკრალიზებული ფერწერული ტექსტებიც, პროფანთათვის, მით უფრო მიუწვდომელნი ხდებოდნენ.

ეს მიუწვდომლობაც იყო მხატვრის სულიერი გადარჩენის შანსი, ანდა როგორც ჟორჟ ბატაი იტყოდა ნიცშეს გამო, „პოზიცია, რომელიც იძლეოდა შანსს".

ასე იჯავშნებოდა გაიანე მიუკარებლობის ავტომითით;

ასე განერიდებოდა მხატვარი ყოველდღიურობას – მისი სახელის გარშემო „დაყრილი ხმების" საკრალურ სფეროში.

ესაა მთელი იდეოლოგია, ავიტალ რონელმა რუმონოლოგია რომ უწოდა.

გაიანე არ ყოფილა-მეთქი ანგელოზი და უცოდველი...

მეტიც, მისი ხელოვნება მეტაფიზიკური ცოდვის რეპრეზენტაციადაც კი შეიძლება ვიგულისხმოთ.

ეტყობა, გოტფრიდ ბენისა არ იყოს, გაიანესთვისაც, საბედისწერო საკითხი სწორედ ეს იყო – თვით გამომსახველობით საშუალებათა სამყარო ხომ არაა ცოდვის გამოხატვა?!

გაიანე ირელიგიური ადამიანი იყო, თუმცა, მის თეოპათიურ პასიონებში რაღაც „სხვა" რწმენა გამოსჭვივის...

გაიანე მთელი მიწიერი ცხოვრება ნებაყოფლობით ეწამა, და მასაც შეეძლო გაემეორებინა ერთი რუსი პოეტის სტრიქონები"

„... Я ведь и сам не хочу,

чтобы сняли с креста, –"

მან არა მხოლოდ თავისი სურათებით, არამედ საკუთარი ჰაბიტუსითაც შექმნა ერთგვარი ანთროპოლოგიური არტეფაქტი, რაღაც „ალთქმული ყალმით" ნაწერი არტეფაქტი...

ეს იყო მოჩვენება...

მოჩვენებალა დარჩა მისი პიროვნული სუბსტანციისგან იმდენად, რამდენადაც უძვირფასესი „მეშინაარსი" მას სიცოცხლეშივე დაკარგული ჰქონდა, მეტიც, ეს „შინაარსი" ნებაყოფლობით, შეგნებულად გააძევა თავისი ექსისტენციიდან და შემოგვიტოვა მოჩვენება, როგორც არაამქვეყნიური სამყოფის მკვიდრთა ნიშან-ხატი.

ამიტომაც დარჩა გაიანე, როგორც „მშფოთვარი ალუშფოთველთა შორის" („беспокойник среди покойных").

მორის ბალანშო უცნაურ მსგავსებას ხედავდა მიცვალებულსა და გამოსახულებას შორის; და გვამიც, ამიტომ იყო მისთვის არა იმდენად აგრესიის, რამდენადაც არადეტერმინირებულობის გამოხატულება; დიახ, გვამი, ისევე როგორც გამოსახულება, უსულო საგანი კი არა, ისეთი რამაა, საფუძველს პრინციპულად რომ არ იძლევა გამოსახულებისათვის.

აი, რატომაა მიცვალებულის გამოსახვა – დახატვა თუ გადაღება, სულ ერთია, ფოტოაპარატით თუ კინოკამერით – უხერხული საქციელი.

გაიანეს ყველა ფოტოსურათი მომაკვდავის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეს იყო „ცოცხალი გვამი" – ამ სიტყვის ყველაზე ღრმა თანატოგრაფიული გაგებით.

გაიანეს ცხოვრებაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ სიცოცხლე – მუდამ, საკუთარ თავთან შეუსატყვისობაა და საკუთრივ გვამში იძენს ადამიანი იდენტურობას; ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს ემსგავსება. არადა, სწორედ ამ მომენტში აღარ ფლობს სიცოცხლეს.

გაიანე „სიცოცხლეშივე" ემგვანებოდა თავის თავს, როგორც გვამი, ჯერ კიდევ ცოცხალი გვამი, რაღაც ენით აუწერელი, უმშვენიერესი მორტალური აურით მოსილი...

მის ექსისტენციაში თითქოსდა თავიდანვე იყო ჩადებული ერთგვარი Taedium vite, ანუ „სიცოცხლის ზიზღის" კოდი. და მის სანაცვლოდაც ელოდა უძვირფასეს საჩუქარს – „სიკვდილის ძღვენს"...

ეს იყო ნამდვილი დერიდასეული „donner la mort..."

დიახ, გაიანეს „მიეცა სიკვდილი"; და მანაც მიიღო...

ის მივიდა სიკვდილამდე, სიკვდილამდე მიიყვანა თავისი მუნ-ყოფნა...

და ეს თავისებური „თვითმკვლელობაც" კი იყო.

ამგვარი კონოტაციები ინგლისურ იდიომატურ გამოთქმას – „სიკვდილის კოცნასაც" („Kiss of death") ეხმიანება.

ამ გაგებით, გაიანემ სიკვდილის ამბორი, როგორც ეროტიკულ-თანატოლოგიური გამოწვევაც მიიღო.

სიკვდილი მისი ადამიანური არსებობის (თუ არარსებობის) ის ერთადერთი სიტუაცია გახლდათ, რომელშიც იგი საკუთარ თავთან „ერთი-ერთზე" უნდა აღმოჩენილიყო; ერთადერთი სიტუაცია, როცა კითხვა: „რა არის ადამიანი" შესაძლებელი (ანდა შეუძლებელი) უნდა გამხდარიყო...

რაც მთავარია, ეს სიტყვა – „ერთი-ერთზე" ყოფნა თითქმის იმეორებს იდეალურ შემოქმედებით პროცესს, ისევ და ისევ „ერთი-ერთზე" ყოფნას რომ გულისხმობს.

პლატონისეული „ფედროსისა" არ იყოს, სადაც ფილოსოფია „პრაქტიცირებად სიკვდილად" ან/თუ „სიკვდილში ვარჯიშად" მოიაზრება, გაიანესთვისაც, თავად მხატვრობა იყო ერთგვარი თანატოგრაფიული პრაქტიკა; სიკვდილში გავარჯიშება, სიკვდილთან შეგუება, სიკვდილთან ადაპტაცია...

ჭვრეტასთან დაწყვილებული ეს პრაქტიკა ილებდა საკუთარ თავზე სიკვდილისთვის ზრუნვას, ჰაიდეგერისეულ „Sorge"-საც რომ ემეზობლება.

ეტყობა, გაიანესეული მარტოხელობა სიკვდილის ერთადერთობასა და მომაკვდავის შეუცვლელობასაც, უფრო ზუსტად, ჩანაცვლებასაც გულისხმობდა.

სიკვდილის საჩუქარს გაიანე საიდუმლოდ იღებს, „არ უმჟღავნებს ქვეყნად არავის"...

ეს იყო „სეკრეტორული" ძღვენი, ძვირფასი ძღვენი, რომლითაც იგი საბოლოოდ უნდა გამოყოფოდა „სხვებს" (ლათინური „Secretum" – სწორედაც „გამოყოფას" ნიშნავს); ამასთან, ეს იყო სხეულისგან, ცოდვილი ტანისგან გამოცალკევება, მისგან გან-სხვა-ვება, გა-უცხო-ება".

გაიანეს დამტირებელი არავინ დარჩა;

მან თავად დაიტირა საკუთარი თავი.

გაიანეს სიკვდილი პრინციპულად „სხვისი" სიკვდილი იყო; მწუხარება, „სხვა" მკვდრის დატირება, ამ ცნების დეკონსტრუქტივისტული ვარიანტით, საკუთარი თავისგან ამ „სხვის" გამოცალკევებით აღინიშნება; მაგრამ, გაიანემ აქაც დაგვასწრო და არა მხოლოდ „წინასწარ შეირბინა სიკვდილში", არამედ წინასწარვე მოახდინა საკუთარი მუნ-ყოფნის, როგორც „სხვისი" ყოფიერების მარკირება და დასატირებელი „Glas"-იც წინდაწინვე ჩაგვიკლა; „ხმა გაგვაკმენდინა".

დიახაც, დასატირებელი „Glas"-ი დაგვიზოგა; და ესეც თავისებური ეკონომიკა იყო – „სიკვდილის ეკონომიკა"...



ასე აიღო საკუთარ სიკვდილსა და ამ სიკვდილის რეპრეზენტაციაზე მთელი პასუხისმგებლობა და ამითაც ცხადყო, რომ ადამიანი, იღებს რა სიკვდილს, როგორც საჩუქარს, პასუხისმგებლობასაც კისრულობს საკუთარი სიკვდილის პრივილეგირებულობის, ერთადერთობისა და განუმეორებლობის გამო;

და ამაშიცაა სიკვდილის ესთეტიზმი!

და კიდევ, გაიანემ თავისებურად გააუქმა გამოთქმა „ჩემი სიკვდილი", უფრო ზუსტად, დერიდასეული „აპორიებისა" არ იყოს, „ბრჭყალებში" ჩასვა ეს გამოთქმა.

* * *

„ვისი ხმა არის ეს საკვირველი" – იკითხავდა პოეტი...

გაინეს „მო-ხდენილი" სურათებითაც ეს ხმა ჩაგვესმის; ალ-მოხდენილი ხმა...

ხმა, როგორც მხატვრის აუხდენელ ოცნებათა გამოხატულება.

მისი მხატვრობა ერთი გაბმული ფიქრია; უფრო ზუსტად, ჩაფიქრება, ხოლო ამ ჩაფიქრებაში, როგორც ძილ-ქუშის, ბურანის ex-stasis-ში – ხატი და ხმა, უნისონშია წარმოდგენილი.

გაიანეს მიერ მოთხრობილი გნოსტიკური ნარატივები ტფილისს ეძღვნება; ტფილისს, როგორც „საქართველოს სამოთხის" ცენტრს...

„იის შრიალში" ასე ილვიძებენ ტფილისის აჩრდილები და რაღაც პანთეისტური შვენებით გვეცხადებიან...

გაიანეს მხატვრობა „ავტორის" თვით-ყოფნის" ცნობიერებითაა გამსჭვალული, მისი Dasain ტრაგიფრივოლურად განიცდის „თავისი თავის" ყოფნას, მუნყოფნას... და ამიტომაც მეტყველებს მაშინაც კი, როცა დუმს...

გაიანეს დუმილი, მის პაუზები ყოველდღიურობაშიც ერთობ შთამბეჭდავი იყო.

გაიანე ხატავდა მაშინაც, როცა არ ხატავდა.

ოცნებებში ხედავდა ტფილისს...

და გამუდმებით ადარებდა აგულისს – თავის Genius Loci-ს...

ტფილისისა და აგულისის მითოპოეტიზირებული კონტამინაციებით იქსოვებოდა ახალი ქალაქური ტექსტი; ქალაქი – მომღერალი ქარებითა და ჯიქის ჩრდილში გატვრინული ლურჯი აჭმებით, ბრმა ანგელოზის ხიდებითა თუ ალისფერი კაკლის არფისეული ლამეებით...

და ისევ ტრიალებდა მის სურათებში ზმანებათა ჯარა; ჯარა სიზმართა ცდომილთა...

მხატვარი ნიადაგ უსხლტებოდა თავის მუნყოფნას, რათა მოეხელთებინა ყოფიერება, რომელიც არა-

სოდეს ეგულებოდა დროისა და სივრცის იმ მოცემულ წერტილში, სადაც მისი სხეული იმყოფებოდა...

ამიერიდან, ეს სხეული აღარ ამძიმებს...

თუმცა, გაიანემ სხეულის, ტანისეული ყოფნის ფასიც უწყოდა და მნიშვნელობაც... გრძნობდა, რომ კანი, ტყავის ზედაპირი – თავისთავადაა ულრმესი და საკრამენტული ფენო(უ)მენი.

თავადაც უცნაური სახის კანი ჰქონდა;

რაღაც არამიწიერი ფერი გადაჰკრავდა, თუგინდ აურა; არყოფნის აურა...

ამ გაგებით, თავადაც არყოფნის მედესანტე იყო...

გაიანეს ფერწერული ტილოების კანი „მუნის" ქავილს კი არა, მუნყოფიერების ალერსს იწვევს.

გაიანე ტილოს ხორკლიან ზედაპირს, როგორც ადამიანის კანის ერთგვარ სუროგატს, ისე განიცდიდა, და ამ ტილოს ზედაპირზე წარმოგვიდგენდა თავის ფერწერულ პალიმფსესტებს.

თავად მხატვრის პირისახე კი, კანია ფერ-ითურთ, რაღაც მემორიალურ ნიღაბს გვაგონებ-და... მისი სახე, ემანუელ ლევინასისისა არ იყოს, თავისთავად, უკვე ტრანსცენდირება იყო; დასწრება და ტრანსცენდირება...

ჯარა კი ისევ ტრიალებდა, ჯარა სიზმართა ცდომილთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საერთოდ, გაიანეს მხატვრობა ძილის რეპრეზენტაცია იყო, ძილში, როგორც სემიოტიკურ სარკმელში შეჭყიტვა...

ამ ძილში აღვიძებდა ხოლმე მხატვარი უძვირფას-ეს ექსისტენციალებს.

გაიანესეულ სიზმარეთში, როგორც არაცნობიერ-ში გამოღვიძებული ეს ექსისტენციალები ანუ მუზები სულ მუდამ ფერისცვალობდნენ...

ეს მუზები მხატვარმა თან გაიყოლა...

და ეს მუზები მიაცილებდნენ არყოფნისაკენ...

P.S. გაიანეს დაბადების დღე 9 მაისია.

სურათიც აქვს – „ნატურმორტი. დაბადების დღე".

მაისის თვეშივე იცვალა საბოლოოდ ფერი.

მკვდრის მზე ანათებდა თითქოს... „დაღლილი მზე"...

თბილისში კი, ისევ ის ჯარა ტრიალებდა, ქალაქური ჯარა...

„ჯარა სიზმართა ცდომილთა"...

ესეც – სათაური ბოლოში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

7

# ახალი წიგნები

n104/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი კაკაბაძე სახელმწიფო სახრჩობელასთან

წინ ირაკლი კაკაბაძის ახალი კრებული მიდევს, სახელწოდებით „სახელმწიფო სახრჩობელასთან". სანამ წიგნს ჩავიგდებდი ხელში, ვფიქრობდი, რომ ასეთ წიგნს ერთი სერიოზული ყულფი კი დაამშვენებდა გარეკანზე. ბანალური გზით წავედი, გეთანხმებით. არადა ყდაზე, დიდ ლანგარზე, აქეთ-იქიდან დანა-ჩანგალშემოწყობილი, დიდი, წითელი, ლამის მფეთქავი გული დევს. წიგნს კი თავში გადაბმულად აწერია ავტორის სახელი და გვარი და სათაური და გამოდის ასე: „ირაკლი კაკაბაძე სახელმწიფო სახრჩობელასთან".

დიახ.

შემდეგ, ეს გული, შიგნით, წიგნის ილუსტაციებში, ამ ლანგრიდან თანდათან ქრება, ნაჭრებს ნელ-ნელა ვიღაც აციცქნის და სულ ბოლო ფურცელზე სისხლის ერთი მხეფიღაა დარჩენილი.

ლექსების კრებული გამომცემლობა „ინტელექტმა" გამოსცა, გარეკანის დიზაინი თეონა ჭანიშვილს ეკუთვნის.

მე მომწონს ეს კონცეფცია. გულის მირთმევის თუ გულის შეჭმის.

ირაკლი კაკაბაძე რაღაცნაირი მოქალაქე პოეტია. ზოგადად, მის ლექსებში (თუ იაკი კაბეს ტანკებს არ ჩავთვლით) უფრო ხშირია მეამბოხის მოწოდებები, სოციალური უსამართლობის აფიშირება, ხშირად გეცემა სიდამპლის სუნი და ხშირად დაინახავ იმ ქვეყნის ჩამონგრეულ ნაწილებს, რომელშიც ის ცხოვრობს. ირაკლი კაკაბაძეს თავის პოეზიაში აქვს მკვეთრი პოზიცია კონკრეტული მოვლენების მიმართ – ეს არც ისე ხშირია, როცა პოეტი პოეტურად არ მიედ-მოედება და პირდაპირ ამბობს:

„ჩვენ ვცხოვრობთ
ძალიან პატარა ადამიანების ქვეყანაში
(ქალაქში, დაბაში, სოფელში, უბანში და ქუჩაზე).
მაგრამ ამ პატარა ადამიანებს
ასეთივე პატარა ადამიანები ასაღებენ
ძალიან დიდ ადამიანებად და
გვტენიან ყველა ძალითა და ყველანაირი საშუალებით
თვალებში, პირში, ყურებში, უკანალში..."

ირაკლი იმაზე წერს, რაც დღეს ხდება. პოეტების, ბავშვების, კუდის თანამშრომლების, მეამბოხე სტუდენტების თუ, უფრო ზოგადად, მისი სამშობლოს თავს. და ის, რაც ხდება, მის ლექსებში არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. აი, პოეტი – მის თავგადასავალს ეს პატარა ჰაიკუც გამოხატავს:

„ბავშვობის სიზმრებსა და ოცნებებში,
შეჭმული ვაშლის ჩენჩოსავით,
გადაგდებული"...

ანდა გულგრილობის თემა მის ლექსებში. სულ ორი სტრიქონია საკმარისი ამის გადმოსაცემად – „არც ერთი ნაკვალევი თოვლზე, მოხუცი მეზობლის სახლთან". კრებულში მოზრდილ მანიფესტებს მინიმები ენაცვლება. ასე უფრო ადვილია „გადაყლაპო" პოეზია. მაგალითად ლექსი „წერილი პრეზიდენტს". რომლის დამწერი სოფელ ტირძნისში მცხოვრები ყრუ-მუნჯი ქალი, კაინდარაშვილი ნათელაა. ის ამ წერილს პრეზიდენტს 2008 წლის 9აგვისტოს სწერს.

„მიწისთვის გაიხსნა სხეულები,
ქვიშით აგვევსო ვაშლის ბაღები,
მკვდარ სხეულებს რიყავენ ჩვენი მდინარეები და
ამ სხეულებს გახელილი თვალები უყროლდებათ".

ის ხედავს:

„ვეებერთელა რკინის ჩიტები
როგორ ბარდნიან შავ სკინტლებს"

და ძალიან ეშინია.

„პრეზიდენტო,
მიწის ზევით ნუ დამტოვებთ –
ბავშვობიდან მეშინია
ყვავ-ყორნის"...

მე კრებულსაც ამ ლექსის სახელს დავარქმევდი.

თუ კარგად დააკვირდები, ნახავ, რომ პრეზიდენტი, უფრო ზოგადად კი ქვეყნის მთავრობა, ამ კრებულში შესული არაერთი ლექსის პირდაპირი ადრესატია.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით




ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0134-9848